საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტი
ბიზნესის ადმინისტრირების, მენეჯმენტის და მარკეტინგის დარგობრივი
დეპარტამენტი

გურამ საფარიძე

საქართველოს ბიზნეს გარემოს ფორმირების აქტუალური საკითხები ევროინტეგრაციის პირობებში

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი
დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი:
ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი,
ასოც. პროფესორი პაატა ჩაგანავა

ბათუმი 2022

სარჩევი

		გვ.
	შესავალი	3
თავი 1.	ორი ეკონომიკური სისტემის ინტეგრაციის პროცესში ბიზნეს გარემოს ცვლილების თეორიული გააზრება	
1.1	**ეკონომიკური სისტემის ბიზნეს გარემოში მოქმედი საწარმო**	10
1.2	ბიზნესი ორი ეკონომიკური სისტემის ინტეგრირების პროცესში	28
1.3	საწარმოს ბიზნეს გარემოს ცვლილება ქვეყნის მსხვილ ეკონომიკურ გაერთიანებასთან ინტეგრირების პროცესში	47
თავი 2.	ბიზნეს გარემოს ტრანსფორმაცია საქართველოში ევროკავშირთან ინტეგრირების გზაზე	
2.1	**ქართული საწარმოს ბიზნეს გარემოს წარსული ცვლილებების მიმოხილვა**	60
2.2	**ადგილობრივი საქმიანი ორგანიზაციის ბიზნეს გარემო ევროკავშირთან ინტეგრირების თანამედროვე ეტაპზე**	75
2.3	საქართველოს ბიზნეს გარემოს პირობების ევროკავშირის საერთო პირობებთან ადაპტირების პროგნოზი	87
თავი 3.	ევროკავშირთან ინტეგრირების პროცესში საქართველოს ბიზნეს-გარემოს ცვლილების თანამდევი საფრთხეების მართვა ქართულ კომპანიებში	
3.1	ინტეგრირების საფრთხეების იდენტიფიკაცია ქართული საწარმოებისთვის	92
3.2	ინტეგრირების პროცესში ადგილობრივი ბიზნესის საფრთხეების და დანაკარგების შემცირების მიმართულებები	109
3.3	მათემატიკური მოდელების სანდოობის შეფასება	121
	დასკვნა	130
	გამოყენებული ლიტერატურა	138

შესავალი

საკვლევი თემის აქტუალობა. საქართველო ევროკავშირში გაწევრიანების გზაზე იმყოფება. ასოცირების ხელშეკრულებამ პრაქტიკულად ბევრი კარი გახსნა ევროკავშირში საზოგადოებრივი ურთიერთობების მრავალ, მათ შორის ეკონომიკური ურთიერთობების, სფეროში. ამ მხრივ ძალიან მნიშვნელოვანია ევროკავშირში ქართული სამეწარმეო სექტორისთვის გაჩენილი სხვადასხვა სახის საქონელ-მომსახურების ექსპორტის შესაძლებლობები. ერთ-ერთი საკვანძო კითხვა, რომელიც ამ შემთხვევაში შეიძლება წარმოიშვას, შემდეგია: არის თუ არა ქართული ინდუსტრია მზად იმისთვის, რომ ახალი შესაძლებლობების ეფექტიანი რეალიზება მოახდინოს?

ეს კითხვა თავის თავში გულისხმობს სხვა კითხვასაც - რამდენად მოქნილია, განვითარებაზე და ადაპტირებაზე ორიენტირებული ქართული ბიზნეს-სექტორი, ბიზნესის კეთების შეცვლილ პირობებზე წარმატებული პასუხისთვის?

ამასთან ერთად, ლოგიკურია კიდევ ერთი კითხვის დასმა: რა ცვლილებებს გამოიწვევს ევროკავშირში ინტეგრაცია ქართული საწარმოებისთვის ბიზნესის კეთების პირობებში, რა მნიშვნელობებს შეიძენს ბიზნეს-გარემოს ფაქტორები ქართული კომპანიებისთვის, რომლებიც ახალი შესაძლებლობების გამოყენებასთან დაკავშირებით სხვადასხვა საქმიანი გადაწყვეტილებების მიღებას დაიწყებენ?

ევროკავშირთან ინტეგრაცია საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის გრძელვადიან მიზანს წარმოადგენს. ტარდება სპეციალური კვლევები, რომლებიც განსაზღვრავენ, რამდენად არის ეს მიზანი მოქალაქეთა განწყობის შესაბამისი, გარდა ამისა, ტარდება კვლევები, რომლებიც ცდილობენ დაადგინონ, რამდენად სარგებლობენ ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები იმ პოტენციალით, რომელიც მათ ასოცირების ხელშეკრულებამ მოუტანა.

ევროკავშირთა ინტეგრირება ერთი შეხედვით მრავალი სარგებლის მომტანია, თუმცა სკეპტიკოსებს მრავალი არგუმენტი გააჩნიათ ინტეგრაციის საწინააღმდეგოდ. ზოგიერთი ქვეყნის ევროკავშირში მიღება (მაგალითად ბალტიისპირეთის ქვეყნებისა) ითვლება პოლიტიკურ ნაბიჯად და სკეპტიკოსების აზრით, ეს ქვეყნები არ იყვნენ ტექნიკური თვალსაზრისით ევროკავშირში შესვლისთვის. ამავე დროს

არის ქვეყნები, რომლებსაც უკვე ათწლეულებია გააჩნიათ ასოცირების ხელშეკრულება (მაგალითად თურქეთს), თუმცა ისინი ჯერ ვერ გადავიდნენ ინტეგრაციის შემდეგ ეტაპზე. დიდი ბრიტანეთის გამოსვლა ევროკავშირიდან, ასევე გამოსვლის მცდელობა საბერძნეთის მხრიდან დამატებითი არგუმენტებია სკეპტიკოსების ხელში, რომელთაც ისინი იყენებენ ევრო-ინტეგრაციის კრიტიკისთვის.

ცხადია საქართველოს ბიზნესის წარმომადგენლების პერსპექტივები ევროკავშირში ინტეგრაციის შემდეგ საკვანძო საკითხს წარმოადგენს, რადგან სწორედ სამეწარმეო სექტორი ქმნის ეროვნულ დოვლათს და შესაბამისად მოქალაქეთა კეთილდღეობის უმნიშვნელოვანესი ელემენტია. მოახერხებს თუ არა ბიზნეს სექტორი ადაპტირებას ახალი რეალობისადმი, რა შეიცვლება მისთვის და რა არა - ამ კითხვებზე პასუხი მნიშვნელოვანია რათა შეფასდეს ამ ინტეგრაციის ეფექტიანობა მთლიანობაში.

ბიზნეს გარემო ის რეალობაა, გარე თუ შიდასაფირმო, რომელშიც ოპერირება უწევს კომპანიას. ეს მრავალფაქტორიანი მოცემულობაა, რომელშიც ზოგიერთი ფაქტორი უფრო დიდ როლს თამაშობს, ზოგიერთი ნაკლებს. საბოლოო ჯამში კომპანიას უწევს ზოგიერთის მიმართ ადაპტირება, ზოგიერთი მათგანის მართვა კი (ცხადია, ძირითადად იგულისხმება შიდა საფირმო ფაქტორები) თავად შეუძლია. თუმცა ის, თუ როგორ მართავენ შიდა საფირმო ფაქტორებს ამა თუ იმ საზოგადოებაში, თავისთავად წარმოადგენს მოცემული საზოგადოების ბიზნეს გარემოს მახასიათებელს.

პრობლემის შესწავლის მდგომარეობა. ინტეგრაციის თეორია წინა საუკუნის პირმშოს წარმოადგენს. ძირითადად მისი შექმნა სწორედ ევროკავშირის ჩამოყალიბების პროცესის თეორიული საფუძვლების შექმნის მცდელობის შედეგია. ამდენად, ინტეგრაციის პროცესი და კონკრეტულად ევროკავშირის ინტეგრაციის პროცესი საკმაოდ ღრმად არის დამუშავებული აკადემიურ ლიტერატურაში. წინამდებარე კვლევა სწორედ ამ ნაშრომების ერთგვარ განვითარებას წარმოადგენს. წინამდებარე კვლევა შეეცდება, მათ შორის, პროგნოზირების მათემატიკური აპარატის მეშვეობით გამოავლინოს საქართველოს და ევროკავშირის ინტეგრირების პროცესის კანონზომიერებები.

საქართველოს და ევროკავშირის ურთიერთობები რამდენიმე სადისერტაციო ნაშრომის თემად იქცა. ინგა ცინცქილაძის ნაშრომი „დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარების საკითხი საქართველოში ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ჭრილში“ მიზნად ისახავს აჩვენოს, როგორ ზემოქმედებს ევროპის სამეზობლო პოლიტიკა, ევროკავშირის პირობითობისა და სოციალიზაციის პრინციპების მეშვეობით საქართველოში შიდა ინსტიტუციური ცვლილებების დაჩქარებას, ევროპული ნორმებისა და ღირებულებების გავრცელებას, დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბებას (ცინცქილაძე, 2016 :4-6, 125-128). კვლევა საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ აჩვენებს ინტეგრაციის პროცესში როგორ ხდება ერთი საზოგადოებრივი სისტემის მახასიათებლების გავრცელება მეორეზე.

პირობითობისა და სოციალიზაციის ინსტრუმენტების კიდევ ერთი ანალიზი განხორციელდა სერგი კაპანაძის სადისერტაციო ნაშრომში „პირობითობისა და სოციალიზაციის გავლენა ევროპული პოლიტიკის მაკოორდინირებელი შიდა ინსტიტუტების ტრანსფორმაციაზე აღმოსავლეთ ევროპისა და საქართველოს ევროპეიზაციის პროცესში“. კვლევა ეხება მაკოორდინირებელ სტრუქტურებს, რომლებიც მუშაობენ ევროკავშირთან ინტეგრაციის სხვადასხვა საკითხებზე. ნაშრომში კარგად არის აღწერილი ევროკავშირთან ინტეგრირების პროცესის დინამიკა, კოორდინაციის მექანიზმი და გაკეთებულია შედარება სხვა სახელმწიფოებთან, რომლებმაც საქართველომდე გაიარეს ინტეგრაცის პროცესი. (კაპანაძე, 2009 :63-154)

ნათია დაღელიშვილის სადოქტორო დისერტაცია „ქართული ფირმების საექსპორტო საქმიანობის დივერსიფიკაცია ევროკავშირის ბაზრებზე“ განიხილავს DCFTA ფარგლებში ქართული კომპანიების ევროკავშირის ბაზრებზე გასვლის დინამიკას. ქართული ფირმების ევროკავშირის ბაზარზე ინტერნაციონალიზაციის პროცესის მოდელი საინტერესო სქემას წარმოადგენს როგორც თეორიული ისე პრაქტიკული თვალსაზრისით. (დაღელიშვილი, 2016 :174-177).

საყურადღებოა ოთარ აბესაძის დისერტაცია „ევროკავშირთან საქართველოს ეკონომიკური ინტეგრაციის სტატისტიკური ანალიზი“. ამ კვლევის ფარგლებში ავტორმა განიხილა ინტეგრაცია საგარეო ვაჭრობის, ინვესტიციების, საგარეო ვალის

ასპექტებში. ავტორმა დროითი მწკრივების ანალიზის მეთოდიკა გამოიყენა პროგნოზების გაკეთების მიზნით (აბესაძე, 2015 :136-158).

ცხადია ინტეგრაციის პრობლემატიკა არ შემოიფარგლება საქართველოს და ევროკავშირის ურთიერთობების კვლევით, ეს ბევრად უფრო ფართო სფეროა რომელიც ევროპის კავშირის ჩამოყალიბების და განვითარების, მასში ახალი წევრების დამატების, ბრექსიტის, სხვა წევრების გასვლის საფრთხეების და გაერთიანებასთან დაკავშირებული მრავალი ეკონომიკური, სოციალური პოლიტიკური და სხვა პრობლემების კვლევას მოიცავს.

საქართველოს და ევროკავშირის ინტეგრაციის პრობლემატიკა მრავალი მკვლევარის ყურადღებას იქცევს. გ.მამულაძის, პ.არუშიძის, ბ.გეჩბაიას, ვ.სერჟანოვის, მ.ცეცხლაძის, ა.ცინცაძის, ი.ვაშაყმაძის, ი.თავაძის, ლ.მელიან-ფუტკარაძის, გ.აბუსელიძის, კ.ჩახავას, ს.გელაშვილის, ნ.აბესაძის, ო.აბესაძის, ს.ლოდას, რ.ფუტკარაძის, გ.ბედაინაშვილის, ს.გოგიაშვილის, ს.პავლიაშვილის, მ.კრისტინას, ნ.აბრამიშვილის, ა.რუქსანდრას სტატიებში ყურადღება გამახვილებულია საქართველოს და ევროკავშირის ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესის და ამ პროცესში წარმოშობილი სხვადასხვა შესაძლებლობების პრობლემატიკაზე.

თუმცა ინტეგრაციის პრობლემატიკის კვლევა მარტო ევროკავშირითაც არ შემოიფარგლება, მაგალითად კობაიაშის, რაშიდის, ფურუიჩის და ანდერსონის ერთობლივი გამოცემა ეხება სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიური ერების ასოციაციის (ASEAN) ბაზაზე შექმნილი ეკონომიკური თანამეგობრობის (AEC) შექმნის და განვითარების პრობლემატიკის შესწავლას (Kobayashi, Rashid, Furuichi, Anderson, 2018 : 9-235)

სამუშაო ჰიპოთეზა. საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრირების პროცესში, როდესაც ქვეყნის ბიზნეს-გარემოს მახასიათებლები ნელი ტემპით უახლოვდება ევროკავშირის ბიზნეს-გარემოს მაჩვენებლებს, საკვანძო პრობლემას ქართული ინდუსტრიისთვის საწარმოების მცირე მასშტაბები და რესურსები წარმოადგენს, რაც არ აძლევს მათ შესაძლებლობას ეფექტიანად მართონ პროდუქტის ევროკავშირში გასაღების პროცესი.

კვლევის მიზანი და ამოცანები.

კვლევის მიზანია საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრირების პროცესში ქართული საწარმოებისთვის ბიზნეს-გარემოს პირობების ცვლილების, ახალ პირობებთან ადაპტაციის კანონზომიერებების იდენტიფიცირება, ახალ ბიზნეს-პირობებთან ადაპტაციის ძირითადი პრობლემების გამოვლენა და მათი გადაჭრის მექანიზმების შემუშავება.

კვლევის მიზანმა შემდეგი ამოცანების დასმა განაპირობა:

- ბიზნეს-გარემოს ტრანსფორმაციის პროცესის ბიზნეს-ერთეულზე გავლენის ეკონომიკური კანონზომიერებების გააზრება.
- ევროკავშირთან ინტეგრირების პროცესში ქართული საწარმოებისთვის გაჩენილი ახალი შესაძლებლობების რეალიზაციის ხარისხის დადგენა და ძირითადი პრობლემების იდენტიფიკაცია.
- ინტეგრირების პროცესში გაჩენილი პრობლემების გადაჭრისა და საფრთხეების ეფექტიანი მართვის მექანიზმების შემუშავება.

კვლევის საგანი და ობიექტი. კვლევა განიხილავს ორი ეკონომიკური სისტემის ინტეგრაციის პროცესში ბიზნეს გარემოს ცვლილებას და ბიზნეს-სუბიექტის საქმიანობაზე მის გავლენას. კვლევის ობიექტს წარმოადგენს ბიზნეს-ერთეული, რომელიც კონკრეტულ, მცირე მასშტაბის ეკონომიკურ სისტემაში ფუნქციონირებს, თავად სისტემა კი ინტეგრირდება მსხვილ ეკონომიკურ გაერთიანებაში.

კვლევის მეთოდოლოგია. კვლევის მიზნებმა და ამოცანებმა, სამუშაო ჰიპოთეზამ, კვლევის საგანმა და ობიექტმა განაპირობეს ორი რაოდენობრივი მეთოდის გამოყენება კვლევის პროცესში.

- დროითი მწკრივების ანალიზი გამოყენებულ იქნა ინტეგრაციის პროცესის პროგნოზის გასაკეთებლად.
- მრავალფაქტორიანი რეგრესული ანალიზი გამოყენებულ იქნა ბიზნეს გარემოს ფაქტორების შესაფასებლად.

კვლევის შედეგები.

- დადგინდა მცირე ეკონომიკური სისტემის მსხვილ ეკონომიკურ გაერთიანებასთან ინტეგრირების პროცესში ბიზნეს გარემოს პირობების ცვლილება რა გავლენას ახდენს ბიზნეს-სუბიექტზე

- განხორციელდა საქართველოს და ევროკავშირის ინტეგრირების პროცესის ფარგლებში საქართველოს ბიზნეს გარემოს ცვლილების ქართულ საწარმოებზე გავლენის ანალიზი, გამოვლინდა ინტეგრაციის ძირითადი საფრთხეები და პრობლემები, რომლებიც ჩნდება ქართული საწარმოებისთვის;
- შემუშავდა რამდენიმე მექანიზმი, როგორ შეიძლება ეფექტიანად იმათებოდეს ინტეგრაციის საფრთხეები და წარმატებით გადაიჭრას ინტეგრაციის პრობლემები ქართულ ბიზნეს-სუბიექტებში.

სამეცნიერო სიახლე.

- ეკონომიკური სისტემების ინტეგრაციის პროცესში ბიზნეს-გარემოს ტრანსფორმაციის ბიზნეს-სუბიექტზე გავლენის თეორიული გააზრების შედეგად დადგინდა, რომ ბიზნეს-სუბიექტებისთვის აუცილებელი ხდება წარმოების ხარჯების მინიმიზირების, ბაზარზე ეფექტიანი ბრძოლის, სამუშაო ძალასა და თანამედროვე ტექნოლოგიებში ინვესტირების შესახებ გადაწყვეტილებების მიღება.
- ქართული ბიზნეს-სექტორის ანალიზმა გამოავლინა, რომ საწარმოთა მცირე მასშტაბები, სხვადასხვა რესურსებსა თუ ტექნოლოგიებზე წვდომის ნაკლებობა, ქართული პროდუქციისადმი უნდობლობა და შესაბამისად მაღალკონკურენტულ ევროპულ ბაზარზე ეფექტიანი ბრძოლის უუნარობა ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ქართული საწარმოებისთვის.
- დადგინდა, რომ საქართველოს და ევროკავშირის ბიზნეს-გარემოს მაჩვენებლები ერთმანეთს უახლოვდებიან.
- დადგინდა, რომ საქართველოს და ევროკავშირის ბიზნეს-გარემოს მაჩვენებლების დინამიკა პრაქტიკულად ერთნაირია, რაც აჩვენებს რომ ეს ორი ეკონომიკური სისტემა პრაქტიკულად ერთნაირად ვითარდება.
- რაოდენობრივი ანალიზის საერთო სქემის ფარგლებში ერთმანეთთან დაკავშირდა რეგრესული ანალიზის და დროითი მწკრივის ანალიზის მეთოდები. პირველის ფარგლებში მოხდა რეგრესიის კოეფიციენტების ანგარიში რათა დადგენილიყო რა წვლილი შეაქვს ბიზნეს-გარემოს კონკრეტულ ფაქტორს წარმოების საერთო მოცულობაში. ამის შემდეგ მოხდა რეგრესიის განტოლების კოეფიციენტების მოდიფიკაცია, რათა მიღებულიყო კოეფიციენტების მნიშვნელობა ბიზნეს გარემოს ინტეგრირებული მაჩვენებლის ფორმულებისთვის. ამის შემდეგ დაანგარიშდა ორი

სისტემის ბიზნეს-გარემოს მაჩვენებლთა სხვაობის მოდული, რათა დროითი მწკრივების ანალიზის ფარგლებში განხორციელებულიყო ბიზნეს გარემოთა დაახლოების პროგნოზი.

ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა. კვლევის შედეგები შეიძლება საინტერესო აღმოჩნდეს აკადემიური წრეების იმ წარმომადგენელთათვის, რომლებიც იკვლევენ ბიზნეს-გარემოს ტრანსფორმაციის და ბიზნეს-სუბიექტის გარემოს ცვლილებებზე რეაგირების პრობლემატიკას.

საწარმოს გადაწყვეტილებების მიღების პროცესის და შინაარსის ტრანსფორმაცია ბიზნეს-გარემოს ახალი რეალობის პასუხად საინტერესო შეიძლება აღმოჩნდეს მენეჯმენტის, რისკ მენეჯმენტის, სტრატეგიული მენეჯმენტის სფეროს მკვლევართათვის.

საქართველოს და ევროკავშირის ბიზნეს გარემოთა ინტეგრაციის პროცესის იდენტიფიცირებული საფრთხეები, პრობლემები და ბიზნეს-სუბიექტების მხრიდან მათი ინდივიდუალური თუ კოოპერირებული მართვის შემუშავებული მიმართულებები შეიძლება საინტერესო აღომჩნდეს ბიზნესის პრაქტიკოსებისთვის, რომლებიც ინტეგრაციის პროცესში მოგების მაქსიმიზირებას და ზარალის მინიმიზირებას ცდილობენ.

თავი 1. ორი ეკონომიკური სისტემის ინტეგრაციის პროცესში ბიზნეს-გარემოს ცვლილების თეორიული გააზრება.

1.1. ეკონომიკური სისტემის ბიზნეს გარემოში მოქმედი საწარმო

ბიზნეს გარემოს სხვადასხვაგვარი დეფინიცია არსებობს. შუბლაძე და ნანიტაშვილი მას განსაზღვავენ, როგორც სხვადასხვა ხასიათის პირობათა (ფაქტორთა) ერთობლიობას, რომლებიც გავლენას ახდენენ ბიზნესის განვითარების მიმართულებებზე, მის ტემპებსა და მასშტაბებზე (შუბლაძე, ნანიტაშვილი, 2011 :242). აქვე ისინი ახორციელებენ ბიზნეს გარემოს დაყოფას მიკრო და მაკრო გარემოდ (შუბლაძე, ნანიტაშვილი, 2011 :244-246), სადაც გამოყოფენ მიკრო გარემოს შემდეგ ელემენტებს: ფირმის ძალები, მიმწოდებლები, მომხმარებლები, შუამავლები, კონკურენტები, საკონტაქტო აუდიტორია; ასევე მაკრო გარემოს ელემენტებს: ეკონომიკური გარემო, ბუნებრივი გარემო, დემოგრაფიული გარემო, კულტურული გარემო, მეცნიერულ-ტექნიკური გარემო.

ვორტინგტონი და ბრიტონი ბიზნეს გარემოს მსგავს განსაზღვრებას გვაძლევენ, თუმცა მათი საკლასიფიკაციო სქემა ოდნავ უფრო გართულებულია. ბიზნეს გარემო მათთვის გარე (Worthington, Britton, 2006 :3-17) და შიდა (Worthington, Britton, 2006 :18-38) ელემენტებისგან შედგება. გარე გარემო მათთვის ორ ნაწილად იყოფა: 1) ზოგადი ანუ კონტექსტუალური გარემო, რომელსაც ისინი აღწერენ PESTLE (Political, Economic, Socio-cultural, Technological, Legal, Ethical) ანალიზს გამოყენებით და დაჰყოფენ, შესაბამისად, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციო-კულტურულ, ტექნოლოგიურ, სამართლებრივ და ეთიკურ ელემენტებად; 2) შუალედური ანუ საოპერაციო გარემო, რომელშიც შედის რესურსები და რესურსების ბაზრები, მომხმარებლები, კონკურენტები (Worthington, Britton, 2006 :7-10). რაც შეეხება შიდა გარემოს, ისინი მას აიგივებენ ცნებასთან „მენეჯმენტი“ და ამ თვალსაზრისით განიხილავენ მიდგომებს ორგანიზაციის და მენეჯმენტის მიმართ (კლასიკური, ადამიანური ურთიერთობების, სისტემური); ორგანიზაციულ სტრუქტურას (ფუნქციონალური ორგანიზაცია, პროდუქტზე ან სერვისზე მორგებული ორგანიზაცია, განყოფილებებიანი სტრუქტურა და მატრიცული სტრუქტურა, პროექტზე დაფუძნებული სტრუქტურა, ვირტუალური ორგანიზაცია);

სტრუქტურულ ცვლილებებს; ფუნქციონალური მართვის, ადამიანური რესურსების მართვის, მარკეტინგის ფუნქციის საკითხებს (Worthington, Britton, 2006 :18-38).

კიდევ ერთ საინტერესო მიდგომას ბიზნეს გარემოს მიმართ ვხვდებით ჯიმ კილინის ნაშრომში. ავტორი განიხილავს ბიზნეს გარემოს, როგორც სამი დონის ელემენტების ერთობლიობას: ა) „შორს მდებარე“ გარე გარემო (აქ ავტორი იყენებს PESTLE ანალიზს, ოღონდ, „ეთიკური“ შეცვლილია „გარემოსდაცვითი“ ელემენტით); ბ) „ახლოს მდებარე“ გარე გარემო (აქ ავტორი იყენებს პორტერის „ხუთი ძალის“ პრინციპს და შესაბამისად მოიხსენიებს საბაზრო კონკურენციას, მომხმარებლის ძალას, მიმწოდებლის ძალას, ახალი შემოსვლების საფრთხეს, საფრთხეს შემცვლელი საქონლების მხრიდან); გ) შიდა გარემო ავტორისთვის სამ ელემენტად იყოფა: ხელშესახები რესურსები (ფინანსური და ფიზიკური); არახელშესახები რესურსები (ბრენდი/რეპუტაცია და კულტურა/ფასეულობები); ადამიანური რესურსები (ცოდნა და უნარები, მოტივაცია, გუნდური მუშაობის უნარი). (Killeen, 2012 :1-13).

ზოგიერთი ავტორი განსაკუთრებით გამოჰყოფს და განიხილავს საერთაშორისო ბიზნეს გარემოს, რაც სავსებით ბუნებრივია თანამედროვე ბიზნეს-ურთიერთობების სპეციფიკის და განვითარების დონის, გლობალიზაციის ტემპების გათვალისწინებით. მაგალითად, სუბა რაო ცალკე გამოჰყოფს საერთაშორისო ბიზნეს გარემოს ცნებას და განსაზღვრავს მას, როგორც ფაქტორებს/აქტივობებს რომლებიც საერთაშორისო ბიზნესის ირგვლივ არის თავმოყრილი, ანუ განიხილავს ბიზნეს გარემოს, როგორც ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენენ მულტიეროვნულ ან ტრანსეროვნულ კორპორაციებზე. თავის ანალიზში სუბა რაო განიხილავს STEPIN (Social and cultural, Technological, Economic, Political/Governmental, International, Natural) მიდგომას და გამოჰყოფს, შესაბამისად სოციალურ და კულტურულ, ტექნოლოგიურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ/სამთავრობო, საერთაშორისო, ბუნებრივ ფაქტორებს (Dr. Suba Rao, 2008 :35). საყურადღებოა, რომ რეგიონული სავაჭრო ბლოკები, მათ შორის ევროკავშირი, ავტორის ანალიზის ერთ-ერთ საყურადღებო ნაწილს წარმოადგენს (Dr. Suba Rao, 2008 :232-260).

ბიზნეს გარემოს განსაზღვრება როგორც ყველა გარე და შიდა ფაქტორების ერთობლიობისა, რომლებიც ერთობლივად ახდენენ გავლენას ბიზნესზე, პრაქტიკულად გვხვდება ყველა ავტორთან, თუმცა ისინი ამ ფაქტორების

სხვადასხვაგვარ ჩაშლას იძლევიან. მაგალითად, ბაზილ ჰანსთან გარე ფაქტორებში მხოლოდ ოთხი ელემენტია მოყვანილი (პოლიტიკური, ეკონომიკური (მიკრო და მაკრო), სოციალური, ტექნოლოგიური), ხოლო შიდა ფაქტორები ძირითადად იმეორებს სხვა კლასიფიკაციებს (ორგანიზაციული კულტურა, ორგანიზაციული მიმართლება ან ლიდერობა, მისია და მიზნები, მენეჯმენტის სტრუქტურა და ბუნება, ადამიანისეული რესურსები, სხვა ფაქტორები). საყურადღებოა ასევე ამ ავტორთან მოყვანილი PESTLE ანალიზის გაფართოება STEEPLED მოდელში, სადაც ემატება განათლების (Education) და დემოგრაფიის (Demographic) ფაქტორები (Basil Hans, 2018 :68-72).

წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავს ბიზნეს გარემოს ანალიზს ძირეული ცვლილებების პროცესში. ცხადია, ნებისმიერი ბიზნეს გარემო გამუდმებით განიცდის ცვლილებას, რადგან გამუდმებით იცვლებიან იმ ფაქტორების მნიშვნელობები, რომლებიც განსაზღვრავენ ბიზნეს გარემოს ამა თუ იმ მდგომარეობას. მაგრამ ამ კვლევის ფარგლებში საუბარია ბიზნეს გარემოს ცვლილებაზე მსხვილ ეკონომიკური გაერთიანებასთან ინტეგრაციის კონტექსტში.

კიდევ ერთ ასპექტს, რომელიც საყურადღებოა ბიზნეს გარემოს არსის გაცნობიერებისთვის, გლობალიზაცია და საერთაშორისო პროცესების როლის მკვეთრი ზრდა წარმოადგენს. შრომის საერთაშორისო დანაწილება, გაცვლითი კურსები, მულტიეროვნული და ტრანსეროვნული კორპორაციები, შრომის და კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობა მნიშვნელოვან როლს თამაშობენ თანამედროვე ბიზნეს პროცესებში.

გარდა ამისა, ბიზნეს გარემოს როგორც თანამედროვე მოვლენის, არსის შეცნობა აუცილებლად საჭიროებს მდგრადობის საკითხის წამოწევას. ბიზნეს გადაწყვეტილებების და ბიზნეს პროცესების გარემოს დაცვითი და სოციალური ასპექტები ერთდროულად შეიძლება წარმოადგენდნენ ბიზნეს გარემოს როგორც გარე, ისე შიდა ფაქტორებს.

ამ თვალთახედვიდან გამომდინარე შეიძლება, ბიზნეს გარემო წარმოვადგინოთ, როგორც პირობების ერთობლიობა, რომლებიც დროთა განმავლობაში იძენენ სხვადასხვა მნიშვნელობებს და განსაზღვრავენ რამდენად

მდგრადია და მასშტაბური ბიზნეს გადაწყვეტილებები და ბიზნეს პროცესები. ბიზნეს გარემოს ელემენტები შემდეგი კლასიფიკაციით შეიძლება აღვწეროთ:

- ბიზნესის მაკრო გარემო (ეკონომიკური ზრდა. უმუშევრობა. ინფლაცია);
- ბიზნესის მიკრო გარემო (კონკურენციის ხარისხი);
- ბიზნესის სოციალურ გარემო (სიღარიბე; პოლიტიკური დაძაბულობა);
- ბიზნესის ეკო-გარემო (გარემოს დაბინძურება);
- ბიზნესის გლობალური გარემო (სავალუტო კურსი).

ბიზნეს გარემოს პირობების კონკრეტული შინაარსი დამოკიდებულია იმ ეკონომიკურ სისტემაზე, რომელიც ანალიზის ობიექტს წარმოადგენს. ეკონომიკური სისტემა არის მექანიზმი, ეკონომიკურ აგენტთა ურთიერთქმედებათა ერთიანობა, რომლის ფარგლებშიც ესა თუ ის საზოგადოება ცდილობს უპასუხოს ფუნდამენტურ ეკონომიკურ კითხვებს - რა ვაწარმოოთ? როგორ ვაწარმოოთ? ვისთვის ვაწარმოოთ? ეკონომიკურ ლიტერატურაში მოცემული განსაზღვრებები, როგორც წესი, მეტ-ნაკლებად ზევით მოყვანილი განსაზღვრების სხვადასხვა ვარიანტებს წარმაოდგენს, მაგალითად, პრაიორის და მიხაილოვიჩის სტატიებში ნახსენები განსაზღვრებები (Pryor, 2006 :78) (Mihajlovic, 2015 :76).

წინამდებარე კვლევის მიზნებისთვის მნიშვნელოვანია ეკონომიკური სისტემების მახასიათებლების ანალიზი, რადგან განიხილება საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრირების პროცესი. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო და ევროკავშირი, პრინციპში ერთი და იგივე, საბაზრო პრინციპებზე დაფუძნებულ, ეკონომიკურ სისტემას წარმოადგენენ, შესაძლო განსხვავებები ამ სისტემებს შორის, (მაგალითად საქართველოს საბჭოთა კავშირის დროინდელი ეკონომიკური სისტემის, და რაც უფრო მნიშვნელოვანია, ეკონომიკური აზროვნების ნარჩენები) შექმნიან გარკვეულ პირობებს, რომლებიც აუცილებლად განსახილველია, როდესაც ორი ეკონომიკური სისტემის ინტეგრირებაზე მიმდინარეობს მსჯელობა. კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, აუცილებელია რამდენიმე სპეციფიკური მახასიათებლის გამოყოფა და მათი მეშვეობით სისტემებს შორის განსხვავებების დადგენა. ეს მახასიათებლებია:

- სისტემის საერთაშორისო გახსნილობის დონე;
- სისტემის სწრაფვა ინტეგრირებისკენ;

- ეკონომიკურ აგენტთა დამოკიდებულება ცვლილებების მიმართ.

ცხრილი 1.1.1. აჩვენებს ზევით აღნიშნული სამი მახასიათებლის მიხედვით სხვადასხვა ტიპის ეკონომიკური სისტემის აღწერას.

ცხრილი 1.1.1. ეკონომიკური სისტემების შედარებითი დახასიათება ზოგიერთი სპეციფიკური მახასიათებლის მიხედვით

N	მახასიათებელი	ტრადიციული ეკონომიკა	მბრძანებლური ეკონომიკა	საბაზრო ეკონომიკა	შერეული ეკონომიკა	გარდამავალი ეკონომიკა
1	სისტემის საერთაშორისო გახსნილობის დონე	კარჩაკეტილი	ძირითადად კარჩაკეტილი	სრულიად ღია	ნაწილობრივ ღია	ნაწილობრივ ღია
2	სისტემის სწრაფვა ინტეგრირებისკენ	არ გააჩნია	მძლავრი	მძლავრი	ნაწილობრივი	სუსტი
3	ეკონომიკურ აგენტთა დამოკიდებულება ცვლილებების მიმართ	უარყოფითი	უარყოფითი	დადებითი	ნეიტრალური	ნეიტრალური

წყარო: ავტორისეული შემოვიღეთ? -არ გვითქვამს (მე)

ტრადიციულ ეკონომიკას ყველაზე მეტად ახასიათებს „კარჩაკეტილობა“. როგორც წესი, ასეთი ეკონომიკური სისტემები წარმოების და მოხმარების თვითკმარ სისტემებს წარმოადგენენ, რომლებიც ერთ სულ მოსახლეზე მცირე მთლიანი შიდა პროდუქტით ხასიათდებიან, პრაქტიკულად არ შედიან სხვა ეკონომიკურ სისტემებთან სავაჭრო ურთიერთობებში, შრომისა და კაპიტალის გადაადგილება ასევე მინიმალურია ან საერთოდ გამორიცხულია. ცხადია, ეკონომიკური სისტემის ჩვენთვის საინტერესო ორი სხვა მახასიათებელი ამ კარჩაკეტილობის ლოგიკურ შემავსებლებს წარმოადგენს - ამგვარ ეკონომიკურ სისტემას არ გააჩნია სწრაფვა ინტეგრირებისკენ, რადგან ეკონომიკური აგენტები და ურთიერთობები მათ შორის პრაქტიკულად სტატუს კვოს ინარჩუნებენ როგორც მოკლევადიან, ისე გრძელვადიან პერიოდებში. ეკონომიკური, სოციალურ-კულტურული როლები განსაზღვრულია და გადანაწილებული და სისტემა, ვერც იდეოლოგიურად, ვერც პრაქტიკულად ვერ ხედავს რომელიმე სხვა ეკონომიკურ სისტემასთან გაერთიანების სარგებელს. ამასთან სისტემის არც ერთი შემადგენელი ელემენტი არ ისწრაფვის რაიმე ცვლილებებისკენ, იქნება ეს ტექნოლოგიური, იდეოლოგიური თუ სხვა სახის ცვლილებები, რომლებსაც შეუძლიათ არსებული სტატუს კვოს რაიმე ფორმით დარღვევა.

მბრძანებლური ეკონომიკა, როგორც წესი, მაღალი კარჩაკეტილობით ხასიათდება, თუმცა ეს არ არის აუცილებელი, თუ ამგვარი სისტემის ეკონომიკური

იდეოლოგია რაიმე ფორმით გაფართოების პოლიტიკურ იდეოლოგიას ეფუძნება, შესაძლოა სისტემას ჰქონდეს გარკვეული გახსნილობის ხარისხიც, თუმცა, გამომდინარე მბრძანებლური, ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღების იერარქიული პრინციპიდან, „ “ამგვარი სისტემა პრინციპში ვერ იქნება დახასიათებული როგორც საერთაშორისოდ გახსნილი, რადგან ამისთვის მას მოუწევდა საკუთრივ მბრძანებლურობის პრინციპის დარღვევა ეკონომიკურ ურთიერთობებში და საკუთარი ეკონომიკური აგენტებისთვის საერთაშორისო ურთიერთობებში თავისუფლად შესვლის უფლების მიცემა. ცხადია, ინტეგრირებისკენ სწრაფვა ამ სისტემის ერთ ერთ მახასიათებლად უნდა ჩაითვალოს, რადგან მბრძანებლური სისტემა პრინციპში ეძებს საკუთარი მბრძანებლური იერარქიის მუდმივი გაფართოების შესაძლებლობებს. თუმცა, იგივე პრინციპიდან გამომდინარე, ეკონომიკური აგენტები ამ სისტემაში არ არიან მიდრეკილები სხვადასხვა ცვლილებების მიმართ, თუ იგი მბრძანებლური აპარატის გაფართოებას და გაძლიერებას არ ემსახურება. მბრძანებლური იერარქიის ქვედა საფეხურზე მდგომი ეკონომიკური აგენტები შეზღუდულები არიან ცვლილებების განხორციელების შესაძლებლობებში, იერარქიის ზედა საფეხური ცდილობს სტატუს ქვო შეინარჩუნოს ან ძალაუფლება გაზარდოს, იერარქიის შუა საფეხურები კი ბრძანებების მიღებით და გადაცემით არიან დაკავებულები.

საბაზრო ეკონომიკა, ყველა ცნობილი კრიტერიუმის მიხედვით, მბრძანებლური ეკონომიკის სრულ წინააღმდეგობას წარმოადგენს. ამდენად, არ არის გასაკვირი, რომ მას ახასიათებს სრული გახსნილობა საერთაშორისო ურთიერთობების მიმართ, რადგან ამგვარი გახსნილობა მის იდეოლოგიურ ბაზისს წარმოადგენს. ასევე გასაგებია ეკონომიკურ აგენტთა პოზიტიური დამოკიდებულება ცვლილებების მიამრთ, რადგან ამგვარ ცვლილებებს მოაქვთ წარმოების ფაქტორთა უფრო ეფექტიანი კომბინაცია, ახალი პროდუქტების წარმოების და ახალი ბაზრების ათვისების შესაძლებლობები, რაც უფრო მეტი მოგების მიღების შესაძლებლობას იძლევა. უპრიანი იქნებოდა იმის მტკიცებაც, რომ ინტეგრირებისკენ სწრაფვა ამგვარ სისტემას არ უნდა გააჩნდეს, რადგან საბაზრო ეკონომიკის მთავარი იდეოლოგიური საფუძველი მრავალ ეკონომიკურ აგენტთა შორის მწვავე კონკურენცია არის. მაგრამ ამგვარი მსჯელობა ჭეშმარიტი იქნებოდა, თუ ერთი ბაზრის ფარგლებს

განვიხილავდით, თუმცა სისტემის ანალიზის პირობებში, როდესაც მაკრო- ან გლობალური დასკვნების გაკეთება არის საჭირო, აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ სისტემა, მბრძანებლური ეკონომიკის მსგავსად, ცდილობს საკუთარი იდეოლოგიური დოქტრინის გავრცელებას. ამდენად მასაც გააჩნია მსგავს (ან არამსგავს) სისტემებთან ინტეგრირებისკენ მძალვრი მიდრეკილება, რადგან ამ გზით იგი საბაზრო ეკონომიკის პრინციპების სხვა ეკონომიკებზე გავრცელების შესაძლებლობას, ბაზრებზე ეკონომიკურ აგენტთა რაოდენობის გაზრდას, ბაზრების ფუნქციონირების ტრანსაქციური დანახარჯების შემცირებას ესწრაფვის.

შერეული ეკონომიკა, რომელიც განსაზღვრების თანახმად, მბრძანებლური და საბაზრო ეკონომიკის, სხვადასხვა დოზით ნარევს წარმოადგენს, ზევით ჩამოთვლილი კრიტერიუმების მიხედვით ასევე წააგავს ორივე სისტემას. მაგალითად, საერთაშორისო გახსნილობის დონე ამგვარ სისტემაში შეიძლება აღიწეროს მხოლოდ ტერმინით „ნაწილობრივ ღია“ რადგან ამ სისტემაში ყოველთვის ეწინააღდეგება ერთმანეთს პროტექციონისტული და ღია ბაზრის მხარდამჭერი პოლიტიკური და ეკონომიკური ძალები. ამდენად, გარკვეულწილად ამგვარ სისტემაში არსებობს თავისუფალი ვაჭრობის შემზღუდავი, ინტერესეთა გარკვეული ჯგუფების მხარდამჭერი რეგულაციები, მეორე მხრივ, ასეთი სისტემა ცდილობს ჩაერთოს და მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში. მსგავსი დეფინიციით „ნაწილობრივი“ შეიძლება დახასიათდეს სისტემის სწრაფვა ინტეგრირებსკენ, რადგან აქაც ორი საწინააღმდეგო ტრენდი ურთიერთქმედებს - კარჩაკეტილობისკენ და ინტეგრირებისკენ სწრაფვა. ამდენად, ასეთი სისტემისთვის საკმაოდ ძნელი შეიძლება აღმოჩნდეს როგორც პირველი, ისე მეორე ტრენდის გაყოლა. საწინააღმდეგო ტრენდების ურთიერთქმედებით აიხსნება მესამე მახასიათებლის მნიშვნელობაც - იმდენად რამდენადაც გარკვეული ეკონომიკური აგენტებისთვის სხვადასხვა ცვლილებები პროგრესის ელემენტია და ისინი მას მიესალმებიან, მეორე ნაწილი ცდილობს სტატუს ქვოს შენარჩუნებას. ამდენად, სისტემის დამოკიდებულება ცვლილებების მიმართ შეიძლება დახასიათდეს, როგორც „ნეიტრალური“.

როგორც ცნობილია, რეალური ეკონომიკური სისტემები ყოველთვის წარმოადგენენ შერეულ ეკონომიკებს, რომლებშიც გამუდმებით ურთიერთქმედებენ

და ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს სხვადასხვა იდეოლოგიის, ინტერესების მქონე ძალები. ამდენად, ყოველი კონკრეტული შერეული ეკონომიკური სისტემა, გამომდინარე ამ ძალთა პროპორციიდან შეიძლება ჩამოყალიბდეს მეტად ან ნაკლებად ღია, ინტეგრირებისკენ მიმართულ და ცვლილებებისადმი პოზიტიურად განწყობილ ეკონომიკად. პრაქტიკულად შეიძლება ითქვას რომ იგი ემსგავსება საბაზრო ეკონომიკასთან ახლოს მდგარ, ან ტრადიციულთან მიახლოებულ ეკონომიკურ სისტემას.

გარდამავალი ეკონომიკა განსაკუთრებულ შემთხვევას წარმოადგენს, როდესაც ერთი ეკონომიკური სისტემა, მისი სამართლებრივი საფუძვლით, იდეოლოგიური დოქტრინით, ეკონომიკური აგენტების განწყობითა და ქცევის წესით, რომლებიც ქმნიან ეკონომიკურ ურთიერთობებს, იცვლის შინაარსს და სრულიად სხვა ტიპის ურთიერთობებზე გადადის. ამ შემთხვევაში საუბარია ორ ძირითად ცვლილებაზე - ტრადიციული ეკონომიკა გადაიქცევა მბრძანებლურ ან საბაზრო ეკონომიკად; მბრძანებლური ეკონომიკა გადაიქცევა საბაზროდ ან პირიქით. სინამდვილეში შეიძლება ითქვას, რომ ამგვარი ცვლილების შედეგად მიიღება მბრძანებლურთან ან საბაზრო ეკონომიკასთან ახლოს მდგომი ეკონომიკური სისტემა.

ყოველ შემთხვევაში, სანამ ეკონომიკური სისტემა გარდამავალ ეტაპზე იმყოფება, იგი გარკვეული სპეციფიკური ნიშნებით ხასიათდება ზევით აღწერილ მახასიათებლებთან მიმართებაში.

გარდამავალი ეკონომიკის საერთაშორისო გახსნილობის დონე ნაწილობრივ ღიას წარმოადგენს, ოღონდ არა იმიტომ რომ აქ იდეოლოგიურად განსხვავებულ ძალთა დაპირისპირება არსებობს, არამედ იმიტომ რომ სისტემა ტექნიკურად ან იდეოლოგიურად ჯერ არ გადაწყობილა ახლებურ ურთიერთობებზე. იგივე ლოგიკით შეიძლება გაკეთდეს დასკვნა სისტემის სწრაფვაზე ინტეგრირებისკენ - ამგვარი სწრაფვა სუსტია იმის გამო, რომ ჯერ არ არის მკაფიოდ ჩამოყალიბებული ახალი სისტემის ნიშნები, ამდენად ეკონომიკური აგენტები ჯერ არ გადაწყობილან ახალ ურთიერთობებზე, ამდენად ინტეგრირებისკენ სწრაფვა-არსწრაფვა მკაფიოდ არ არის გამოხატული.

ცხადია, ცვლილებების მიმართ დამოკიდებულებაც, მიუხედავად იმისა რომ ამ ეკონომიკურმა სისტემამ გადაწყვიტა ყველაზე ძირეული ცვლილების მოხდენა -

საკუთრივ სისტემის შეცვლა, შეიძლება დახასიათდეს როგორც ნეიტრალური. აღნიშნული ცვლილება, როგორც წესი ორი ფაქტორის ურთიერთქმედების შედეგია - საზოგადოების განვითარების გზაზე შექმნილი აუცილებლობისა, რომელიც შესაძლოა შიდა საზოგადოებრივი, ან გლობალური ტენდენციის შედეგი იყოს, პლუს გარკვეული პოლიტიკურ-ეკონომიკური ძალის აქტიურობა, რომელიც ცდილობს წარმართოს მოცემული საზოგადოება ახლებური ეკონომიკური ურთიერთობებისკენ.

საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკური სისტემის ბიზნეს გარემო წარმოადგენს წარმოების, განაწილების, გადანაწილების და მოხმარების მოცემული საზოგადოებისთვის დამახასიათებელი ეკონომიკური ურთიერთობების ჩარჩოებში ჩამოყალიბებული პირობების ერთობლიობას, რომლებიც დროთა განმავლობაში იძენენ სხვადასხვა მნიშვნელობებს და განსაზღვრავენ რამდენად მდგრადია და მასშტაბური ბიზნეს გადაწყვეტილებები და ბიზნეს პროცესები.

წარმოების და მოხმარების ეკონომიკური ურთიერთობების ჩამოყალიბებული იდეოლოგია და პრაქტიკა განსაზღვრავს ჩარჩოებს ბიზნეს-გარემოს განმსაზღვრელი პირობებისთვის და ეს პირობები, მოცემული საზოგადოებისთვის უნიკალურს წარმოადგენს, შეიძლება შეიცვალოს, მაგრამ მხოლოდ ეკონომიკურ ურთიერთობათა ჩამოყალიბებული იდეოლოგიისა და პრაქტიკის ჩარჩოებში. ის რომ ბიზნეს გარემოს პირობები დროთა განმავლობაში სხვადასხვა მნიშვნელობებს იძენენ, აღნიშნავს იმას, რომ მათი მდგომარეობა გრძელვადიან პერიოდში შესაძლებელია გასცდეს მოცემული ეკონომიკური სისტემისთვის ჩამოყალიბებულ იდეოლოგიურ და პრაქტიკის ჩარჩოებს და შეიძინოს აბსოლუტურად ახალი, განსხვავებული მნიშვნელობები. ამგვარი ცვლილებების ინიცირება შეიძლება რამდენიმე მიზეზით მოხდეს:

- გარე სამყაროში მომხდარი ცვლილებები, რომლებიც ახალ მოთხოვნებს უყენებენ მოცემულ ეკონომიკურ სისტემას და მის ფარგლებში ბიზნეს გარემოს. ეს შეიძლება იყოს რეაქცია გლობალურ დონეზე ან პარტნიორ ქვეყანაში მომხდარ ან მიმდინარე ცვლილებებზე;
- ეკონომიკური სისტემის იდეოლოგიასა და პრაქტიკაში მომხდარი ცვლილებები. ეს შეიძლება იყოს გარკვეული პოლიტიკური ან/და ეკონომიკური ძალის აქტიურობის შედეგი, რომელიც, ხედავს რა ამგვარი ცვლილების სარგებელს,

ცდილობს მოცემული საზოგადოება წარმართოს ახალი ეკონომიკური სისტემისკენ. შესაძლოა არსებული ეკონომიკური პრაქტიკა ვერ შეესაბამებოდა საზოგადოებრივ ურთიერთობათა ჩამოყალიბებულ ან განვითარების პროცესში მყოფ სქემას და ამან გამოიწვია ახალი იდეოლოგიის ძებნა. ან პირიქით, ახალი იდეოლოგიის მატარებელი პოლიტიკურ-ეკონომიკური ძალა ცდილობს გადაიყვანოს არსებული, სტატუს-ქვოს მიჩვეული საზოგადოება ახალ ეკონომიკურ რელსებზე.

- საკუთრივ ბიზნეს გარემოს იდეოლოგიასა და პრაქტიკაში მომხდარი ცვლილებები. შესაძლოა ცვლილებები გამოწვეული იყოს არა გლობალური ტრენდებით, არა საზოგადოებრივი ტრანსფორმაციებით, არამედ ბიზნეს-ურთიერთობებში მომხდარი ძვრებით, რომლებიც მოითხოვენ ცვლილებების განხორციელებას მთლიანად ეკონომიკურ სისტემასთან მიმართებაში.

შესაბამისად, მოცემული კვლევის ფარგლებში შესაძლებელია ბიზნეს გარემომ განიცადოს ცვლილება როგორც არსებული ეკონომიკური სისტემის ფარგლებში დადგენილი „თამაშის წესების“ ჩარჩოებში, ასევე მოახერხოს იმ პირობების მიღება, რომლებიც ამ ჩარჩოებს სცილდებიან.

კვლევის მიზნებისთვის აუცილებელია განიმარტოს ბიზნეს გარემოს ფაქტორების შინაარსი სხვადასხვა ეკონომიკურ სისტემაში, რაც ქვემოთ იქნება გაკეთებული. შემჭიდროებულად სხვადასხვა ეკონომიკური სისტემის ბიზნეს გარემოს მახასიათებლების ნახვა შესაძლებელია ცხრილში 1.1.2. ცხრილი აგებულია კვლევის კომპარატივისტული (შედარებითი) მეთოდის ტრადიციებში (Ragin, 1989 :19-32) (Lijphart, 1971 : 682-693) (Landman, 2008 :24-48). ამ მეთოდის ორი ძირითადი სტრატეგიიდან, ცვლადზე-დაფუძნებული დურკჰეიმისეული და შემთხვევაზე დაფუძნებული ვებერისეული მიდგომებიდან (Ragin, Zaret, 1983 :731-754), ამ შემთხვევაში შერჩეულ იქნა ცვლადზე დაფუძნებული დურკჰეიმის სტრატეგია.

ცხრილი 1.1.2. ბიზნეს გარემოს მახასიათებლები სხვადასხვა ეკონომიკური სისტემაში

	ტრადიციული ეკონომიკა	მბრძანებლური ეკონომიკა	საბაზრო ეკონომიკა	შერეული ეკონომიკა	გარდამავალი ეკონომიკა
გლობალური გარემო					
სავალუტო კურსი	მიბმულია სხვა ძლიერ ვალუტაზე	ფიქსირებულია და არ იცვლება საბაზრო კანონების შესაბამისად	თავისუფლად ცურავს მცირე ჩარევების ფონზე	თავისუფალია, თუმცა საჭიროების შემთხვევაში შეიძლება მკაცრადაც რეგულირდებოდეს.	ფრაგმენტულია, უსისტემო და შემთხვევაზე ორიენტირებული.
მაკრო გარემო					
ეკონომიკური	ეკონომიკური ზრდის	ეკონომიკური ზრდა	ეკონომიკური	როგორც წესი, არ	ძალიან ხშირად

ზრდა	ტემპი, როგორც წესი დაბალია ან ადგილი აქვს სტაბილურ ეკონომიკურ კლებას.	დაგეგმილია, როგორც წესი, მაღალია და მიმდინარეობს ერთიანი სახალხო სამეურნეო განვითარების გეგმის ფარგლებში და კონტროლირდება მმართველი პარტიის მიერ.	ზრდის ტემპები არ არის მაღალი, რაც განპირობებულია ამგვარი ეკონომიკის განვითარების მაღალი დონით, რაც ნიშნავს, რომ ეროვნული კეთილდღეობის ნამატი იზრდება თუმცა არც ისე სწრაფი ტემპით. მაკროეკონომიკური პოლიტიკა ძირითადად ამ ტემპის შენარჩუნებაზეა ორიენტირებული.	ხასიათდება ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპებით, თუმცა შეიძლება ამგვარ ეკონომიკაში ზრდა ინდიკატორული გეგმების მიხედვით ხორციელდებოდეს და დისკრეტული მონეტარული და ფისკალური თუ სხვა სახის პოლიტიკური აქტივობის შედეგი იყოს.	ხასიათდება ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპებით, რაც განპირობებულია იმით, რომ ახალ სისტემაზე გადასვლისას პრაქტიკულად ნულიდან იწყება ეკონომიკური ურთიერთობების ჩამოყალიბება და დასაწყისში ზრდის ტემპიც მაღალია.
უმუშევრობა	შესაძლოა გამოირჩეოდეს უმუშევრობის ყველაზე დაბალი დონით ისეთ საზოგადოებაში, რომელშიც ტრადიციებს, კასტებს, შრომით ტრადიციულ როლს, რელიგიას დიდი ადგილი უჭირავთ.	პრაქტიკულად მინიმალურ დონეზეა დაყვანილი რადგან დამგეგმავი და მაკონტროლებელი ორგანო, რომელიც გეგმის ფარგლებში ყველა არსებული, მათ შორის შრომითი რესურსის გამოყენებას ცდილობს, უბრალოდ არ უშვებს უმუშევრობის მაღალ დონეს.	როგორც წესი, დაბალ დონეზეა, თუმცა გააჩნია ეკონომიკური ციკლის ფაზას, რომელშიც ამ მომენტში იმყოფება საბაზრო ეკონომიკა, სავსებით შესაძლოა უმუშევრობის დონემ კატასტროფულ მაჩვენებლებს მიაღწიოს ღრმა ეკონომიკური დაცემის პირობებში.	შესაძლოა გამოირჩეოდეს უმუშევრობის საკმაოდ მაღალი დონით, ამავე დროს საჯარო სექტორში დასაქმება ბევრად უფრო სერიოზულ როლს თამაშობს დასაქმების საერთო სურათში, ვიდრე ეს წმინდა საბაზრო ეკონომიკის შემთხვევაში იქნებოდა,	შესაძლოა გამოირჩეოდეს საკმაოდ მაღალი მაჩვენებლებით, რადგან ერთი სისტემიდან მეორეზე გადასვლა ხშირად ნიშნავს არა მარტო ახალი შრომითი ურთიერთობების ცამოყალიბებას, არამედ ახლებური ტიპის პროფესიებსაც, რის მიწოდებასაც განალების ბაზარი დაგვიანებით ახერხებს.
ინფლაცია	პრაქტიკულად არ ფიქსირდება, თუ დაფიქსირდა, შესაძლოა მასშტაბური ხასიათი მიიღოს მმართველი კასტის მიერ ფულის ერთეულებთან მაქინაციების გამო.	პრაქტიკულად არ ფიქსირდება, მაგრამ თუ ადგილი მაინც ექნა, მაშინ ეს გათვალისწინებულია ყოველისმომცველი გეგმის ფარგლებში.	შესაძლოა ფიქსირდებოდეს მაღალი ან დაბალი ინფლაცია იმის მიხედვით, თუ ეკონომიკური ციკლის რომელ ფაზაში იმყოფება სისტემა. ფასების დონე ძირითადად მონეტარული ინსტრუმენტების მეშვეობით რეგულირდება.	ისეთივე არასტაბილურია, როგორიც საბაზრო ეკონომიკის პირობებში, თუმცა ამ შემთხვევაში მთავრობა უფრო მეტ მექანიზმს იყენებს მისი რეგულირებისთვის.	შესაძლოა მიიღოს ჰიპერინფლაციის ფორმა გარდამავალ პერიოდში საჯარო სექტორის ხარჯების დაფარვის მიზნით ფულის მასობრივი ბეჭდვის გამო.
მიკრო გარემო					
კონკურენციის ხარისხი	კონკურენციას პრაქტიკულად არ აქვს ადგილი. მეტიც, იგი მიუღებელია და ბიზნესის კეთების იდეალს სწორედ მონოპოლისტობა წარმოადგენს.	კონკურენციას არ აქვს ადგილი, რადგან ყველა როლი ეკონომიკაში გადანაწილებულია გეგმის მიხედვით	ბაზრების უმეტესობა კონკურენტულს წარმოადგენს. კონკურენცია მთავარი მარეგულირებელი პროცესია ამ სისტემისთვის.	ბაზრების გარკვეული ნაწილი კონკურენტულია, ზოგიერთზე მონოპოლიებია გაბატონებული, ზოგიერთი ბაზრის სხვა ფორმებს წარმოადგენს.	საბაზრო ურთიერთობები ჩამოყალიბების პროცესშია, ასე რომ ზოგიერთ ბაზარზე ვხვდებით კონკურენციას, მაგრამ მნიშვნელოვან ნაწილზე მონოპოლიები ბატონობენ.
სოციალური გარემო					
სიღარიბე	როგორც წესი, ეს არის ღარიბი საზოგადოება, რომელშიც ძალიან მცირე ძალიან მდიდარი, კასტობრივად მაღალ საფეხურზე მდგომი ფენა არსებობს.	გამოირჩევა შემოსავლების ძალიან თანაბარი გადანაწილებით, რომელიც მიიღწევა ერთიანი გეგმის ფარგლებში შემოსავლების გადანაწილების დაგეგმვით.	იქედან გამომდინარე, რომ ეკონომიკის ეს ტიპი იძლევა შესაძლებლობებს მაგრამ არ პირდება თანასწორობას, ამ ეკონომიკაში შესაძლოა არსებობდეს ძალიან მდიდარი, ძალიან	სიღარიბის მაჩვენებელი შეიძლება წააგავდეს საბაზრო ეკონომიკის მსგავს მაჩვენებლებს თუმცა სახელმწიფოს მონაწილეობს სიღრიბის დაძლევაში ამგავრ ეკონომიკაში უფრო მაღალია ვიდრე საბაზროში.	შესაძლოა მიაღწიოს ძალიან მაღალ ნიშნულს, განსაკუთრებით ახალი სისტემის აწყობის პირველ წლებში.

			ღარიბი, თუმცა ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილი საზოგადოებისა ამ ორ უკიდურესობას შორის ჯგუფში შედის.		
პოლიტიკური დაძაბულობა	საზოგადოება მოძრაობს მკვეთრად აბსოლუტური უმრაობისა და პოლიტიკური ინდეფერენტულობის მდგომარეობიდან სამოქალაქო ომის მდგომარეობამდე.	აბსოლუტურად მშვიდი უმოძრაო პოლიტიკური მდგომარეობა.	დემოკრატიის მაღალი ხარისხი განაპირობებს მწვავე კონკურენტულ ბრძოლას პოლიტიკურ ველზეც, თუმცა ეს საზოგადოება შორს არის მწვავე კონფლიქტებისგან პოლიტიკის ნიადაგზე.	საზოგადოებას ახასიათებს როგორც პოლიტიკური სტაბილურობა, ისე მწვავე პოლიტიკური კრიზისები.	პოლიტიკურად არასტაბილური გარემო.
ეკო გარემო					
გარემოსდაცვითი	ნულოვანი გარემოსდაცვითი პოლიტიკა	გარემოსდაცვითი ღონისძიებები საერთო გეგმის ნაწილია.	გარემოს დაცვითი ღონისძიებები ხშირად ეწირება ეკონომიკურ ეფექტიანობას	გარემოს დაცვითი ღონისძიებები მეტწილად ეწირება ეკონომიკურ ეფექტიანობას	როგორც წესი, მცირე ყურადღება გარემოს მიმართ.

წყარო: ავტორისეული

ტრადიციული ეკონომიკური სისტემის ბიზნეს გარემოს ძირითადი განმსაზღვრელი გაბატონებული კასტა/გვარი და საზოგადოების კასტური დაყოფაა, ასევე ტრადიციებისადმი ერთგულება და ცვლილებებისადმი ნეგატიური დამოკიდებულება. იგი მინიმალურ ფუნქციას ასრულებს საერთაშორისო ეკონომიკურ სისტემაში. მაკროგარემოს ქმნის, არეგულირებს და აკონტროლებს გაბატონებული ფენა. სისტემა ხასიათდება განუვითარებელი საბაზრო ურთიერთობებით, ხოლო შიდა საწარმო გარემო ხასიათდება ისეთივე დაბალტექნოლოგიური წარმოებით და ადამიანების ეკონომიკური როლის განაწილებით მათი სოციალური როლის შესაბამისად, როგორიც არის საერთოდ საზოგადოებრივი კონტექსტი.

მბრძანებლური ეკონომიკური სისტემის ბიზნეს გარემოს მთავარი მახასიათებელი ყოვლის მომცველი გეგმაა. კიდევ ორ განსაკუთრებულ მახასიათებელს პარტიულობა და მკაცრი იდეოლოგიური ჩარჩოებია. ამ გეგმის შესაბამისად იქმნება მთელი საქმიანი გარემო. პრინციპში ამ გარემოს არც შეიძლება უწოდო „ბიზნეს“ გარემო, რადგან ყველაფერი - საერთაშორისო ურთიერთობები, სავალუტო კურსი, ფასების სისტემა, მოხმარებლის მიერ შეძენილი საქონელ-მომსახურების რაოდენობა, ინვესტიციები კაპიტალში, ტექნოლოგიური განვითარება და სხვა, ერთიანი გეგმის ფარგლებში ხორციელდება.

საბაზრო ეკონომიკური სისტემის ბიზნეს გარემოს მთავარი მახასიათებელი თავისუფალი ბაზრების სისტემაა. ეს სისტემა განაპირობებს ბიზნეს გარემოს მდგომარეობას მისი ყველა ელემენტის მიხედვით - საერთაშორისო გახსნილობის მაღალ ხარისხს, თავისუფალ მცურავ სავალუტო კურსებს, მომხმარებლის მაღალ სუვერენიტეტს, მწვავე კონკურენციას ბაზარზე და აქედან გამომდინარე მაღალ სწრაფვას ტექნოლოგიური პროგრესისადმი, სახელმწიფოს შეზღუდულ როლს მაკროეკონომიკაში. მეტწილად სწორედ საბაზრო ურთიერთობები და მათ უკან მდგარი დემოკრატიის იდეოლოგია განაპირობებენ პოლიტიკურ და სოციალურ პროცესებს ამ სისტემაში.

შერეული ეკონომიკური სისტემის ბიზნეს გარემოს მახასიათებლები, როგორც წესი, ან ნაზავს წარმოადგენს, ან იხრება რომელიმე იდეოლოგიისკენ და ეკონომიკური პრაქტიკისკენ, რომელიც ამ მომენტისთვის პრევალირებს სისტემაში. აქ ბაზრები მრავალფეროვანია და მათზე გვხვდება როგორც მწვავე კონკურენტული შემთხვევები, ისე გაბატონებული მონოპოლიები. საბაზრო პოზიცია განაპირობებს ბევრ რამეს ამ სისტემაში - ფირმის სწრაფვას განავითაროს საკუთარი მუშახელი და ეძებოს ახალი ტექნოლოგიების დანერგვის გზები, დანერგოს კორპორაციული კულტურა და იზრუნოს მენეჯმენტის ეფექტიანობის ზრდაზე და ა.შ. მაკროგარემოს რაც შეეხება, მასში გვხვდება სხვადასხვა ეკონომიკური სისტემის დამახასიათებელი ნიშნები, როგორც ეკონომიკურ პოლიტიკაში, ისე სოციალურ ურთიერთობებში, იმის მიხედვით, თუ ამ ნიშნებიდან რომელი ჩაითვალა ამ მომენტში საზოგადოების მიერ ოპტიმალურად და ეფექტიანად.

გარდამავალი ეკონომიკის ბიზნეს გარემო თავისი მახასიათებლებით ძალიან წააგავს ტრადიციულ ეკონომიკას, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ აქ აღარ შეიძლება ვისაუბროთ ერთპიროვნულად გაბატონებულ კასტაზე ან კლასზე. როგორც წესი, ესაა ახალი ეკონომიკური სისტემისკენ მიმავალი საზოგადოება, რომელშიც რაღაცეები უკვე ჩამოყალიბებულია, შესაძლოა შექმნილია სამართლებრივი ბაზა, შექმნილია გარკვეული ინსტიტუტები, მაგრამ სისტემა ჯერ კიდევ ინარჩუნებს ძველ ნიშნებს, ასე რომ ბიზნეს გარემო ბევრი ელემენტის მიხედვით ბუნდოვანია, გაურკვეველი და ჩამოუყალიბებელი.

ეკონომიკური ინტეგრაციის არსი მრავალ კვლევაში არის განსაზღვრული. მაგალითად, ბალასა, თავის ცნობილ ნაშრომში „The Theory of Economic Integration“, ეკონომიკურ ინტეგრაციას განმარტავს ორ ასპექტში, როგორც პროცესს და როგორც მდგომარეობას (Balassa, 1961 :1). როგორც პროცესი, იგი მოიცავს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია გააქრონ დისკრიმინაცია ეკონომიკურ ერთეულებს შორის რომლებიც სხვადასხვა ეროვნულ სახელმწიფოებს მიეკუთვნებიან; როგორც მდგომარეობა, იგი წარმოგვიდგება როგორც ეროვნულ ეკონომიკებს შორის დისკრიმინაციის სხვადასხვა ფორმების არარსებობა.

ეკონომიკური ინტეგრაცია წარმოადგენს პროცესს, რომლის ფარგლებშიც ხდება სხვადასხვა, მსგავსი ან განსხვავებული ტიპის ეკონომიკური სისტემების გაერთიანება ერთიან ეკონომიკურ სისტემად. იგი რამდენიმე მნიშვნელოვანი მოქმედების განხორციელებას გულისხმობს, რომლებიც ახალად შექმნილი ინტეგრირებული ეკონომიკური სისტემის სახეს განსაზღვავენ. კერძოდ:

- საქონელ-მომსახურებით ვაჭრობის ერთიანი სივრცის შექმნა.
- წარმოების ფაქტორების მოძრაობის ერთანი სივრცის ჩამოყალიბება.
- ერთიანი ვალუტის შექმნა.
- მაკროეკონომიკური, სოციალური, გარემოსდაცვითი და სხვა პოლიტიკის დამსგავსება.

ზემოთ მოყვანილი ჩამონათვალი გულისხმობს ინტეგრაციის პროცესის ერთ საკვანძო, მნიშვნელოვან მახასიათებელს - დამსგავსებას. ერთიანი სივრცე ვაჭრობისა და წარმოების ფაქტორების მოძრაობისთვის, ერთიანი ვალუტა და ერთიანი მარეგულირებელი ჩარჩები გულისხმობს ეკონომიკური პრაქტიკის დამსგავსებას ინტეგრირებულ ეკონომიკურ სისტემაში, რომელიც, შესაძლოა იდეოლოგიურად და პრაქტიკის თვალსაზრისით სრულიად განსხვავებული ეკონომიკური პრინციპებზე ეყრდნობოდა და ეყრდნობა ინტეგრაციის პროცესის დასრულებამდე.

შესაბამისად, ინტეგრირებული ეკონომიკური სისტემა წარმოადგენს „ეკონომიკური თამაშის“ წესების ერთიან ჩარჩოში ეკონომიკურ აგენტთა ურთიერთქმედებათა ერთიანობას, რომელიც წევრი საზოგადოებების ეკონომიკური ქცევის თანდათანობთი დამსგავსების ხარჯზე ცდილობს მთელი სისტემის ფარგლებში ერთნაირი პასუხები გასცეს კითხვებს: რა ვაწარმოოთ? როგორ

ვაწარმოოთ? ვისთვის ვაწარმოოთ? მისი ბიზნეს გარემო წარმოადგენს ბიზნესის საქმიანობის შიდა, მიკრო, მაკრო და გლობალური პირობების ერთობლიობას, რომელიც მეტ-ნაკლებად დაახლოებულია სისტემის სხვადასხვა წევრი საზოგადოებების ინტეგრირებამდელ საქმიან პრაქტიკასთან და რომელიც, საქმიანი პრაქტიკის აღნიშნულ პირობებთან თანდათანობით ადაპტირების ხარჯზე ცდილობს მიაღწიოს მდგრად, ეფექტიან ბიზნეს გადაწყვეტილებებს და ბიზნეს პროცესებს სისტემის ფარგლებში.

ბიზნეს გარემო ადგენს გამოწვევებს კომპანიებისთვის, რომლებიც მასში მოქმედებენ. შესაბამისად, კომპანიებს უწევთ სხვადასხვა ტიპის გადაწყვეტილებების მიღება ამ გამოწვევების საპასუხოდ. ცხრილი 1.1.3. სწორედ ამ გადაწყვეტილებების აღწერას ემსახურება.

ცხრილი 1.1.3. ბიზნეს-სუბიექტის რეაგირება ბიზნეს-გარემოს პირობების ცვლილებაზე

N	ბიზნეს-გარემო	ფაქტორები	გამოწვევები ბიზნეს-სექტორისთვის	ბიზნეს-გადაწყვეტილებები
1	გლობალური	სავალუტო კურსი	სავალუტო კურსის მკვეთრი ცვლილებები	გადაწყვეტილება პარტნორ ქვეყანაში ინვესტირების განხორციელების ან შეჩერების შესახებ გადაწყვეტილება სავალუტო მარაგების შეძენის ან დახარჯვის შესახებ გადაწყვეტილება საქონალ-მომსახურების გასაღების ან გასაღების შეჩერების შესახებ გადაწყვეტილება მარაგების შეძენის ან დახარჯვის შესახებ.
2	მაკრო	ეკონომიკური ზრდა	ეკონომიკური ზრდის ტემპების დაცემა ან გადიდება ქვეყანაში / პარტიორ ქვეყნებში	გადაწყვეტილება წარმოების მოცულობის ცვლილების / შემცირების შესახებ გადაწყვეტილება დაქირავებულთა რაოდენობის ცვლილების შესახებ გადაწყვეტილება ახალი ბაზრების ძიების შესახებ გადაწყვეეტილება პროდუქტის / სერვისის დიფერენცირების შესახებ.
		უმუშევრობა	ციკლური უმუშევრობა	გადაწყვეტილება სახელფასო პოლიტიკის ცვლილების შესახებ გადაწყვეტილება დაქირავებულთა რაოდენობის ცვლილების შესახებ გადაწყვეტილება ბიზნესის სოციალურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული პროექტების განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება ბიზნესის გადანაცვლების შესახებ სხვა ქვეყანაში
		ინფლაცია	ფასების დონის ზრდა როგორც საბოლოო ისე შუალედურ პროდუქტებზე. მათ შორის მიწოდების შოკების გავლენით.	გადაწყვეტილება საფასო პოლიტიკის ცვლილების შესახებ გადაწყვეტილება წარმოების მოცულობის ცვლილების შესახებ გადაწყვეტილება დაქირავებულთა რაოდენობის ცვლილების შესახებ გადაწყვეტილება ინვესტიციების

				განხორციელების ან შეჩერების შესახებ
3	მიკრო	კონკურენციის ხარისხი	კონკურენციის გამწვავება.	გადაწყვეტილება საფასო პოლიტიკის ცვლილების შესახებ გადაწყვეტილება პროდუქტის / სერვისის დიფერენცირების შესახებ ახალი ბაზრების ძიების შესახებ
4	სოციალური	სიღარიბე	სოციალური დაძაბულობა.	გადაწყვეტილება ბიზნესის გადანაცვლების შესახებ სხვა ქვეყანაში გადაწყვეტილება წარმოების მოცულობის ცვლილების შესახებ გადაწყვეტილება სამუშაო ძალაში ინვესტირების შესახებ გადაწყვეტილება ბიზნესის სოციალურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული პროექტების განხორციელების შესახებ
		პოლიტიკური დაძაბულობა	პოლიტიკური დაძაბულობა	გადაწყვეტილება ინვესტიციების განხორციელების გადადების შესახებ გადაწყვეტილება ბიზნესის გადანაცვლების შესახებ სხვა ქვეყანაში გადაწყვეტილება წარმოების მოცულობის ცვლილების / შეჩერების შესახებ.
5	ეკოლოგიური	გარემოსდაცვითი	გარემოსდაცვითი კანონმდებლობის ცვლილება. ეკოლოგიური პრობლემები.	გადაწყვეტილება ეკო ტექნოლოგიებში ინვესტირების შესახებ გადაწყვეტილება ბიზნესის ეკოლოგიური პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული პროექტების განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება ბიზნესის გადანაცვლების შესახებ სხვა ქვეყანაში გადაწყვეტილება წარმოების მოცულობის ცვლილების შესახებ

წყარო: ავტორისეული

როგორც ჩანს ცხრილიდან, ბიზნეს-სუბიექტს უწევს მთელი რიგი გადაწყვეტილებების მიღება, რათა უპასუხოს ცვლილებებს ბიზნეს გარემოში, ამავე დროს ისიც არის გასათვალისწინებელი, რომ ეს ცვლილებები შესაძლოა ერთდროულად მოხდეს. ადაპტაციის ტიპის ამგვარი გადაწყვეტილებები ბიზნეს-სუბიექტის ყოველდღიურობის ნაწილია და მას დროის ძალიან მოკლე პერიოდში ძალიან ბევრი ასეთი გადაწყვეტილების მიღება შეიძლება მოუწიოს.

ამავე დროს, ცხრილში ჩანს რომ ბიზნეს გარემოს ცვლილებებისადმი ადაპტაცია ძირითადად რამდენიმე ტიპის გადაწყვეტილებას მოიცავს:

- გადაწყვეტილება მოცემულ ან პარტნორ ქვეყანაში ინვესტირების განხორციელების ან შეჩერების შესახებ, ასევე გადაწყვეტილება ბიზნესის გადანაცვლების შესახებ სხვა ქვეყანაში;
- გადაწყვეტილება მარაგების, მათ შორის სავალუტო მარაგების შემენის ან დახარჯვის შესახებ;

- გადაწყვეტილება საქონელ-მომსახურების წარმოების და გასაღების მოცულობის გადიდების, შემცირების ან შეწყვეტის შესახებ;
- გადაწყვეტილება დაქირავებულთა რაოდენობის ცვლილების შესახებ, ასევე გადაწყვეტილება სახელფასო პოლიტიკის ცვლილების შესახებ;
- გადაწყვეტილება საფასო პოლიტიკის ცვლილების შესახებ, ასევე გადაწყვეტილება ახალი ბაზრების მოძებნის შესახებ და გადაწყვეტილება პროდუქტის / სერვისის დიფერენცირების შესახებ;
- გადაწყვეტილებები ბიზნესის სოციალურ ან გარემოსდაცვით პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული პროექტების განხორციელების შესახებ;
- გადაწყვეტილებები ეკო ტექნოლოგიებში ან სამუშაო ძალის განვითარებაში ინვესტირების შესახებ.

მოცემული პარაგრაფი შესაძლებლობას გვაძლევს გარკვეული დასკვნები გავაკეთოთ:

ფაქტორები, რომლებიც თანამედროვე ბიზნეს გარემოს აყალიბებენ, უპრიანია ოთხ დონედ დაიყოს: მაკრო (ეკონომიკური ზრდა, უმუშევრობა, ინფლაცია), მიკრო (კონკურენციის ხარისხი), სოციალური (სიღარიბე და პოლიტიკური დაძაბულობა), ეკო (გარემოს დაბინძურება) და გლობალური (სავალუტო კურსი).

ეკონომიკური სისტემები განსხვავდებიან საერთაშორისო გახნილობის დონის, ინტეგრირებისკენ სწრაფვის და ცვლილებების მიმართ ეკონომიკურ აგენტთა დამოკიდებულების მიხედვით. ამდენად, ბიზნეს გარემო ყოველ კონკრეტულ ეკონომიკურ სისტემაში ამ პირობების შესაბამისად ყალიბდება. გარდა ამისა, ბიზნეს გარემო ყოველი კონკრეტული ბიზნეს ორგანიზაციისთვის განსხვავებულია იმის მიხედვით, თუ რა მასშტაბის ეკონომიკურ სისტემაში მოქმედებს იგი.

ტრადიციული ეკონომიკის, მბრძანებლური ეკონომიკის, საბაზრო ეკონომიკის, შერეული ეკონომიკის და გარდამავალი ეკონომიკის ბიზნეს გარემო განსხვავდება ერთმანეთისგან. ყოველ მათგანს აქვს საკვანძო მახასიათებელი, რომელიც განაპირობებს ბიზნეს გარემოს საერთო მდგომარეობას. ტრადიციულ ეკონომიკაში ეს მახასიათებელი გაბატონებული კასტა/კლასია; მბრძანებლურ ეკონომიკაში - ყოველისმომცველი გეგმა; საბაზრო ეკონომიკაში თავისუფალი არჩევანის სისტემა;

შერეულ ეკონომიკაში - სხვადასხვა მახასიათებლების ნაზავი; გარდამავალ ეკონომიკაში - ბუნდოვანება და კრიზისულობა.

ეკონომიკური ინტეგრაცია განიხილება, როგორც პროცესი, რომლის ფარგლებშიც რამდენიმე ეკონომიკური სისტემა ცდილობს გაერთიანებას. ამ გაერთიანების მთავარ შინაარსს დამსგავსება წარმოადგენს. საბოლოო ჯამში, მიიღება ეკონომიკური სისტემა, და შესაბამისად, ბიზნეს გარემო, რომლის საკვანძო იდეოლოგია წარმოადგენს დამსგავსების მთავარ ორიენტირს, ხოლო ეკონომიკურ აგენტთა ურთიერთქმედება ამ ორიენტირთან მიახლოების და მისი პრაქტიკული განხოციელების შესაძლებლობას იძლევა.

ბიზნეს გარემოს ცვლილებაზე ბიზნეს-სუბიექტის პასუხი რამდენიმე სახის გადაწყვეტილების მიღებას გულისხმობს, რომელთა შორის არის გადაწყვეტილებები ინვესტირების შეჩერების ან განხორციელების, ბიზნესის გადანაცვლების, წარმოების მოცულობის ცვლილების შესახებ; გადაწყვეტილებები მარაგების შეძენის ან დახარჯვის შესახებ; გადაწყვეტილებები საფასო პოლიტიკის ცვლილების, ახალი ბაზრების ძიების, პროდუქტის დიფერენცირების შესახებ; გადაწყვეტილებები სახელფასო პოლიტიკის ცვლილებს, სამუშაო ძალაში ინვესტირების, დაქირავებულთა რაოდენობის ცვლილების, სოციალური პროექტების განხორციელების შესახებ; გადაწყვეტილებები ეკო ტექნოლოგიებში ინვესტირების, ეკო პროექტებში ინვესტირების შესახებ.

ბიზნეს გარემო გავლენას ახდენს გადაწყვეტილების მიღების პროცესზეც. გამოწვევას ბიზნესი პასუხობს შიდა და გარე ინფორმაციის მოძიების, ანალიზის, საკუთრივ გადაწყვეტილების მიღების, დანერგვის, კონტროლის და შეფასების, შესაბამისი გამოცდილების მიღების მეშვეობით. ამ პროცესზე ზემოქმედებს გადაწყვეტილების მიმღებთა პიროვნული თვისებები, გადაწყვეტილების მიღების ტრადიცია, ბიზნეს გარემოს პირობები და კომპანიის შიდა სპეციფიკური პირობები.

თავი 1.2. ბიზნესი ორი ეკონომიკური სისტემის ინტეგრირების პროცესში

ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესში ყალიბდება ჰიბრიდული ბიზნეს გარემო, რომელსაც გაერთიანებაში შესული საზოგადოებების ბიზნეს გარემოს მახასიათებლები გააჩნიათ, დიდი ეკონომიკური სისტემის ბიზნეს გარემო „ისრუტავს“ მცირე ეკონომიკური სისტემის ბიზნეს გარემოს, თუ ეკონომიკური ინტეგრაცია არ ცვლის ბიზნეს გარემოს გაერთიანებაში შესულ საზოგადოებებში. ყველა ამ შემთხვევის განხილვა შეიძლება ერთიან ჩარჩოში, თუ მათ განვიხილავთ ერთიანი, „ბიზნეს გარემოთა ინტეგრირების“ ქუდქვეშ.

ცხრილი 1.2.1. ბიზნეს გარემოთა ინტეგრირების პროცესი სხვადასხვა მასშტაბის და რაოდენობის ეკონომიკური სისტემების გაერთიანების შემთხვევაში

	მცირე ეკონომიკური სისტემა	დიდი ეკონომიკური სისტემა	რამდენიმე მცირე ეკონომიკა	რამდენიმე დიდი ეკონომიკა
მცირე ეკონომიკური სისტემა	**შემთხვევა 1.** ბიზნეს გარემო იძენს ორივე სისტემის თვისებებს	მცირე ეკონომიკური სისტემის ბიზნეს გარემო განიცდის ადაპტირებას დიდი ეკონომიკური სისტემის ბიზნეს გარემოსთან	მცირე ეკონომიკური სისტემის ბიზნეს გარემო განიცდის ადაპტირებას ადრე ჩამოყალიბებული გაერთიანების ბიზნეს გარემოსთან	მცირე ეკონომიკური სისტემის ბიზნეს გარემო განიცდის ადაპტირებას ადრე ჩამოყალიბებული გაერთიანების ბიზნეს გარემოსთან
დიდი ეკონომიკური სისტემა	**შემთხვევა 5.** მცირე ეკონომიკური სისტემის ბიზნეს გარემო განიცდის ადაპტირებას დიდი ეკონომიკური სისტემის ბიზნეს გარემოსთან	**შემთხვევა 2.** ბიზნეს გარემო იძენს ორივე სისტემის თვისებებს	ბიზნეს გარემო იძენს ორივე სისტემის თვისებებს	ბიზნეს გარემო იძენს ორივე სისტემის თვისებებს
რამდენიმე მცირე ეკონომიკა	**შემთხვევა 8.** მცირე ეკონომიკური სისტემის ბიზნეს გარემო განიცდის ადაპტირებას ადრე ჩამოყალიბებული გაერთიანების ბიზნეს გარემოსთან	**შემთხვევა 6.** ბიზნეს გარემო იძენს ორივე სისტემის თვისებებს	**შემთხვევა 3.** ბიზნეს გარემო იძენს ორივე სისტემის თვისებებს	ბიზნეს გარემო იძენს ორივე სისტემის თვისებებს
რამდენიმე დიდი ეკონომიკა	**შემთხვევა 10.** მცირე ეკონომიკური სისტემის ბიზნეს გარემო განიცდის ადაპტირებას ადრე ჩამოყალიბებული გაერთიანების ბიზნეს გარემოსთან	**შემთხვევა 9.** ბიზნეს გარემო იძენს ორივე სისტემის თვისებებს	**შემთხვევა 7.** ბიზნეს გარემო იძენს ორივე სისტემის თვისებებს	**შემთხვევა 4.** ბიზნეს გარემო იძენს ორივე სისტემის თვისებებს

წყარო: ავტორისეული

პირველი მახასიათებელი, რომლის საფუძველზეც ბიზნეს გარემოთა ინტეგრირების პროცესი იქნება აღწერილი, არის ეკონომიკური სისტემის მასშტაბები. ცხრილი 1.2.1 წარმოადგენს ინტეგრირების პროცესის სხვადასხვა შემთხვევების შემჭიდროებულ აღწერას.

როგორც ჩანს ცხრილიდან 1.2.1, არსებობს 10 შემთხვევა, როდესაც ინტეგრირებული ეკონომიკური სისტემის ბიზნეს გარემო სხვადასხვაგვარად პასუხობს ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესს.

შემთხვევა 1. ერთმანეთს უერთდება ორი მცირე ზომის ეკონომიკური სისტემა. ამ შემთხვევაში ბიზნეს გარემო ორივე ეკონომიკური სისტემის მახასიათებლებს იძენს. ეს არ არის შემთხვევა, როდესაც რამდენიმე მცირე ეკონომიკური სისტემა ერთიანდება ერთ დიდ ეკონომიკურ სისტემად, რაც ბიზნეს გარემოს მახასიათებლებს თვისებრივად ცვლის - ამგვარი გაერთიანების ანალიზი უკვე სხვა შემთხვევას წარმოადგენს, რომელიც ქვემოთ იქნება განხილული.

როდესაც დგება ორი ეკონომიკური სისტემის გაერთიანების საკითხი, მინიმუმ ორივე სისტემა უნდა თანხმდებოდეს ერთი და იგივე ტიპის ეკონომიკური პრაქტიკის მიღებაზე, მინიმუმ ორივე სისტემას უნდა გააჩნდეს, თუ ერთნაირი ინსტიტუტები არა, ისეთი ინსტიტუტები მაინც, რომლებისთვისაც მისაღებია უცხო სისტემის ეკონომიკური პრაქტიკა და ისინი ახერხებენ ამ პრაქტიკისადმი ადაპტირებას, ამდენად, როგორც ჩანს, რთულია ან შეუძლებელია ტრადიციული ეკონომიკა უცვლელი ფორმით საბაზრო ეკონომიკას შეუერთდეს, მეტიც ამგვარი შეერთება რომ მოხდეს და ტრადიციულმა ეკონომიკურმა სისტემამ შეიძინოს საბაზროსთან ახლო სამართლებრივი გარემო და ფორმალური ინსტიტუტები, ტრადიციული სისტემის ურთიერთობებს მიჩვეული ადამიანების შეცვლა ყველაზე რთული იქნება, ხოლო ფორმალურად გაერთიანებული ეკონომიკური სისტემის შიგნით პრაქტიკულად ტრადიციულის და საბაზრო კონომიკური უერთიერთობების ნარევს მივიღებთ. უფრო დაწვრილებით ამის შესახებ ქვემოთ იქნება მოყვანილი.

შემთხვევა 2. ერთმანეთს უერთდება ორი დიდი ეკონომიკური სისტემა, რაც შედეგად იგივეს გამოიწვევს, რაც იყო შემთვევაში 1 - სისტემა შეიძენს ორივე მონაწილის ბიზნეს გარემოს მახასიათებლებს. განსხვავება შემთხვევისგან 1 ის არის, რომ როდესაც ორი დიდი ეკონომიკური სისტემა აერთიანებს საკუთარ ძალებს,

ბიზნეს გარემო შესაძლოა თვისებრივად შეიცვალოს - ეს ნიშნავს, რომ ამ სისტემის ფარგლებში მოქმედი საწარმოების გლობალური როლი უფრო მეტად გაიზრდება რადგან ერთიანობაში ისინი ისარგებლებენ უფრო დიდი შიდა ბაზრით და წვდომით სხვადასხვა რესურსებზე, რაც მათ სიძლიერეს საერთაშორისო დონეზე ბევრად უფრო გაადიდებს.

შემთხვევა 3. ერთმანეთს უერთდება რამდენიმე მცირე ეკონომიკა. ცხადია, ბიზნეს გარემო შეიძენს ამ ეკონომიკების ბიზნეს გარემოს მახასიათებლებს. ამავე დროს, მრავალი მცირე ეკონომიკის გაერთიანების შედეგად ერთი დიდი ეკონომიკა მიიღება, ხოლო ბიზნეს გარემო შეიძენს თვისებრივად ახალ ნიშნებს. ეს უკვე აღარ იქნება მცირე ეკონომიკის ბიზნეს გარემო, რომელიც მცირე სარგებლებს სთავაზობს საკუთარ კომპანიებს, არამედ დიდი ეკონომიკის ბიზნეს გარემო, რომლის საწარმოებიც უფრო მნიშვნელოვან როლს ითამაშებენ საერთაშორისო ეკონომიკურ სისტემაში.

შემთხვევა 4. ამ შემთხვევაში ერთმანეთს უერთიანდება რამდენიმე დიდი ეკონომიკა, რაც ნიშნავს რომ საერთაშორისო ეკონომიკაში ახალი, გლობალური, მსხვილი მოთამაშე ჩნდება. ეს იმდენად დიდი მოთამაშეა, რომ თვისებრივად იცვლება არა მარტო ახალი წარმონაქმნის ბიზნეს გარემო, რომელიც უზარმაზარ წვდომას აძლევს კომპანიებს შიდა მომხმარებელზე, ტექნოლოგიებსა და რესურსებზე, არამედ იცვლება საერთაშორისო ბიზნეს გარემო და ეს ცვლილება ახალი სავალუტო წესრიგის და შეცვლილი კონკურენციის პირობების დადგენაში გამოიხატება.

შემთხვევა 5. მცირე ეკონომიკური სისტემა უერთიანდება დიდ ეკონომიკურ სისტემას. ცხადია, ამ შემთხვევაში მცირე ეკონომიკის ბიზნეს გარემო უბრალოდ ადაპტირდება დიდი ეკონომიკის ბიზნეს გარემოსთან და ფაქტიურად დიდი ეკონომიკის ბიზნეს გარემოს პირობებში მოქმედებას გააგრძელებს.

შემთხვევა 6. რამდენიმე მცირე ეკონომიკური სისტემა და დიდი ეკონომიკური სისტემა ერთიანდებიან. აქ შესაძლებელია განვითარდეს სცენარი როდესაც ბიზნეს გარემოს ფაქტორები შედგენილი იქნება ორივე მხარეს არსებული პირობების ნაზავით, თუმცა შესაძლოა დიდი ეკონომიკური სისტემა დაიწყებს ლიდერის როლის თამაშს და სწორედ ის პირობები, რომლებიც დიდ ეკონომიკურ სისტემაში

არსებობენ, განაპირობებენ გაერთიანების ბიზნეს გარემოს ჩამოყალიბებას და მცირე ეკონომიკებში მოქმედ კომპანიებს უბრალოდ უწევთ ახალ რეალობასთან შეგუება.

შემთხვევა 7. რამდენიმე მცირე და რამდენიმე დიდი ეკონომიკა ერთიანდებიან ერთ სისტემად. აქაც შეიძლება ითქვას, რომ გაერთანებულ სისტემაში ყველა მონაწილის ბიზნეს გარემოთა გარკვეულ ნარევს მივიღებთ, თუმცა, აქაც შეიძლება დიდი ეკონომიკები კვლავ აღმოჩნდნენ ლიდერის როლში და მცირე ეკონომიკების ბიზნეს სუბიექტებს მოუწევთ სწორედ მსხვილი ეკონომიკური სისტემების მიერ შედგენილი პირობების მიღება თამაშის წესებად.

შემთხვევა 8. მცირე ეკონომიკა უერთიანდება რამდენიმე მცირე ეკონომიკას. ამ შემთხვევაშიც ადგილი აქვს ადაპტირების პროცესს, როდესაც მცირე ეკონომიკის ბიზნეს გარემო შეიცვლება მეორე მხარეს მდგარი რამდენიმე მოთამაშის მიერ ჩამოყალიბებულ პირობებს.

აქ საჭიროა ერთი შენიშვნის გაკეთება - როდესაც საუბარია „რამდენიმე მცირე ეკონომიკაზე“, იგულისხმება რომ ეს ეკონომიკები უკვე წარმოადგენენ ერთიანობას. ცხადია რამდენიმე მცირე ეკონომიკა თუ აგერთიანდება, მიიღება დიდი ეკონომიკა და თითქოს შემთხვევა 5-თან გვაქვს საქმე, მაგრამ აუცილებელია ამ ორი შემთხვევის ცალკე გამოყოფა რათა გასაგები იყოს, დიდი ეკონომიკური სისტემა არის შინაგანი გამსხვილების შედეგი, თუ რამდენიმე მცირე ეკონომიკური სისტემის გაერთიანების შედეგი.

შემთხვევა 9. დიდი ეკონომიკა უერთიანდება რამდენიმე დიდ ეკონომიკას. ამ შემთხვევაში დიდი ეკონომიკური სისტემა შეიტანს საკუთარ წვლილს გაერთიანების ბიზნეს გარემოს ჩამოყალიბებაში, გამომდინარე მისი მასშტაბებიდან და როლიდან გლობალურ ეკონომიკურ სისტემაში.

შემთხვევა 10. მცირე ეკონომიკური სისტემა უერთიანდება რამდენიმე დიდ ეკონომიკას. ეს შემთხვევა ასევე წარმოადგენს ტიპური ადაპტირების სიტუაციას, მცირე ეკონომიკური სისტემის ბიზნეს სუბიექტებს მოუწევთ იმ ბიზნეს გარემოს პირობების მიღება, რომელიც დახვდებათ დიდი ეკონომიკური სისტემების გაერთიანებაში.

დასკვნისთვის შეიძლება ითქვას, რომ გაერთიანების ბიზნეს გარემოს ჩამოყალიბებაში არის სამი ტიპური პროცესი ა) ადაპტირება - ესაა შემთხვევა,

როდესაც ერთი ეკონომიკური სისტემის ბიზნეს სუბიექტებს უწევთ შეეგუონ იმ პირობებს, რომელსაც გაერთიანების მეორე მხარე უყენებს; ბ) შერევა - შემთხვევა, როდესაც გაერთიანების ორივე მონაწილე ბიზნეს გარემოში შემოიტანს საკუთარ მახასიათებლებს, რაც ნიშნავს რომ ბიზნეს სუბიექტებისთვის იქმნება სრულიად ახალი გარემო და ორივე ეკონომიკური სისტემის წარმომადგენლებს უწევთ ამ ახალ გარემოში მუშაობა; გ) ლიდერობა - სიტუაცია, როდესაც ეკონომიკური სისტემა გამოდის როგორც ლიდერი, რომელიც ქმნის პირობებს ბიზნეს გარემოში და ეს პირობები უცვლელად გადადის ახალ გაერთიანებაში, რაც ნიშნავს, რომ ამ სისტემის ეკონომიკური სუბიექტებისთვის ბიზნესის გარემოს პირობები პრაქტიკულად ისეთივე რჩება, როგორიც გაერთიანებამდე არსებობდა.

მეორე მახასიათებელი, რომელიც აუცილებელია განხილულ იქნას ბიზნეს გარემოს ცვლილების ანალიზისთვის, არის ეკონომიკური სისტემის ტიპი. ცხრილში 1.2.2. მოცემულია ინტეგრირებული ბიზნეს გარემოს მახასიათებლების შემჭიდროებული აღწერა სხვადასხვა ტიპის ეკონომიკური სისტემების გაერთიანების პროცესში. როგორც ცხრილიდან 4 ჩანს, არსებობს 15 შემთხვევა, როდესაც სხვადასხვა ტიპის ეკონომიკური სისტემა გაერთიანებას ახდენს.

შემთხვევა 1. ამ დროს გაერთიანებას ქმნის ორი მსგავსი ეკონომიკური სისტემა, რომლებიც ტრადიციული ეკონომიკის ნიშან-თვისებებით ხასიათდებიან. ცხადია, გაერთიანების შემდეგაც ინტეგრირებული ეკონომიკური სისტემა დახასიათდება, როგორც ტრადიციული, რაც ნიშნავს, რომ ამ გაერთიანების ბიზნეს გარემო შეიძლება დახასიათდეს ცხრილში 2 მოყვანილი ნიშან-თვისებებით.

შემთხვევა 2. ამ დროს ერთმანეთთან ერთიანდება ორი მბრძანებლური ეკონომიკა. ამ შემთხვევაშიც ბიზნეს (საქმიანი) გარემო ორივე ეკონომიკის საქმიანი სუბიექტებისთვის იგივე რჩება რაც გაერთიანებამდე იყო. იგივე სიტუაცია ნარჩუნდება შემდეგი სამი შემთხვევის პირობებში.

შემთხვევა 3. გაერთიანებაში შედის ორი საბაზრო ეკონომიკა. გაერთიანებული სისტემის ბიზნეს გარემოს მახასიათებლები პრაქტიკულად იგივე ნარჩუნდება. ეკონომიკურ სუბიქტებს შესაძლებლობა ეძლევათ სრულიად თავისუფლად ისარგებლონ გაერთიანების ფარგლებში გაზრდილი შიდა ბაზრით, ეკონომიკური რესურსებით და ახალი ტექნოლოგიებით.

ცხრილი 1.2.2. ბიზნეს გარემოთა ინტეგრირების პროცესი სხვადასხვა ტიპის ეკონომიკური სისტემის გაერთიანების პირობებში

	ტრადიციული ეკონომიკა	მბრძანებლური ეკონომიკა	საბაზრო ეკონომიკა	შერეული ეკონომიკა	გარდამავალი ეკონომიკა
ტრადიციული ეკონომიკა	**შემთხვევა 1.** ბიზნეს გარემო უცვლელი რჩება	ტრადიციული ეკონომიკის ბიზნეს გარემო ადაპტირებას ახდენს მბრძანებლური ეკონომიკის ბიზნეს გარემოს მიმართ	ტრადიციული ეკონომიკის ბიზნეს გარემო ადაპტირებას ახდენს საბაზრო ეკონომიკის ბიზნეს გარემოს მიმართ	ტრადიციულ ეკონომიკას შეაქვს თავისი მახასიათებლები შერეული ეკონომიკის ბიზნეს გარემოში	გარდამავალი ეკონომიკის ბიზნეს გარემოს განუსაზღვრელობის, ბუნდოვანების ხარისხი გაიზრდება
მბრძანებლური ეკონომიკა	**შემთხვევა 6.** ტრადიციული ეკონომიკის ბიზნეს გარემო ადაპტირებას ახდენს მბრძანებლური ეკონომიკის ბიზნეს გარემოს მიმართ	**შემთხვევა 2.** ბიზნეს გარემო უცვლელი რჩება	მიღებულ იქნება ბიზნეს გარემო ორივე სისტემის მაჩვენებლებით, ანუ შერეული ეკონომიკის ბიზნეს გარემო	შერეული ეკონომიკის ბიზნეს გარემო უფრო მეტად დაემსგავსება წმინდა მბრძანებლური ეკონომიკის ბიზნეს გარემოს	გარდამავალი ეკონომიკის ბიზნეს გარემო ადაპტირებას ახდენს მბრძანებლური ეკონომიკის ბიზნეს გარემოს მიმართ
საბაზრო ეკონომიკა	**შემთხვევა 10.** ტრადიციული ეკონომიკის ბიზნეს გარემო ადაპტირებას ახდენს საბაზრო ეკონომიკის ბიზნეს გარემოს მიმართ	**შემთხვევა 7.** მიღებულ იქნება ბიზნეს გარემო ორივე სისტემის მაჩვენებლებით, ანუ შერეული ეკონომიკის ბიზნეს გარემო	**შემთხვევა 3.** ბიზნეს გარემო უცვლელი რჩება	შერეული ეკონომიკის ბიზნეს გარემო უფრო მეტად დაემსგავსება წმინდა საბაზრო ეკონომიკის ბიზნეს გარემოს	გარდამავალი ეკონომიკის ბიზნეს გარემო ადაპტირებას ახდენს საბაზრო ეკონომიკის ბიზნეს გარემოს მიმართ
შერეული ეკონომიკა	**შემთხვევა 13.** ტრადიციულ ეკონომიკას შეაქვს თავისი მახასიათებლები შერეული ეკონომიკის ბიზნეს გარემოში	**შემთხვევა 11.** შერეული ეკონომიკის ბიზნეს გარემო უფრო მეტად დაემსგავსება წმინდა მბრძანებლური ეკონომიკის ბიზნეს გარემოს	**შემთხვევა 8.** შერეული ეკონომიკის ბიზნეს გარემო უფრო მეტად დაემსგავსება წმინდა საბაზრო ეკონომიკის ბიზნეს გარემოს	**შემთხვევა 4.** ბიზნეს გარემო უცვლელი რჩება	გარდამავალი ეკონომიკის ბიზნეს გარემო ადაპტირებას ახდენს შერეული ეკონომიკის ბიზნეს გარემოს მიმართ
გარდამავალი ეკონომიკა	**შემთხვევა 15.** გარდამავალი ეკონომიკის ბიზნეს გარემოს განუსაზღვრელობის, ბუნდოვანების ხარისხი გაიზრდება	**შემთხვევა 14.** გარდამავალი ეკონომიკის ბიზნეს გარემო ადაპტირებას ახდენს მბრძანებლური ეკონომიკის ბიზნეს გარემოს მიმართ	**შემთხვევა 12.** გარდამავალი ეკონომიკის ბიზნეს გარემო ადაპტირებას ახდენს საბაზრო ეკონომიკის ბიზნეს გარემოს მიმართ	**შემთხვევა 9.** გარდამავალი ეკონომიკის ბიზნეს გარემო ადაპტირებას ახდენს შერეული ეკონომიკის ბიზნეს გარემოს მიმართ	**შემთხვევა 5.** ბიზნეს გარემო უცვლელი რჩება

წყარო: ავტორისეული

შემთხვევა 4. ამ შემთვევაში ერთმანეთს უერთიანდება ორი შერეული ტიპის ეკონომიკა. ცხადია, რომ ბიზნეს გარემო გაერთიანებულ სისტემაში ასევე შერეული

ტიპისა დარჩება. ბიზნეს გარემოს მახასიათებლების გადახრა საბაზროსკენ, ან მბრძანებლური ეკონომიკისკენ დამოკიდებული იქნება იმაზე, რომელი იდეოლოგიისკენ იხრება ამ მომენტისთვის საზოგადოება - მემარცხენე თუ მემარჯვენე, შესაბამისად ბიზნეს გარემოში შეცვლილი რაოდენობით იქნება წარმოდგენილი მარეგულირებელი ან საბაზრო ფაქტორები.

შემთხვევა 5. გარდამავალ ეტაპზე მყოფი ორი ეკონომიკური სისტემის გაერთიანება პრაქტიკულად ძნელი განსახორციელებელი იქნება. ამის მიზეზი არის ის რომ გაერთიანების მომავალი მონაწილეები ჯერ თავად ვერ გარკვეულან კარგად რა უნდათ, ან მხოლოდ ახლა დგამენ ნაბიჯებს იმ ეკონომიკური სისტემისკენ, რომელსაც ითხოვს საზოგადოება, ან მისი რომელიმე პოლიტიკური, ეკონომიკური ან სოციალური დაჯგუფება ცდილობს მიიყვანოს საზოგადოება. ყოველ შემთხვევაში, თუ ამგვარი გაერთიანება განხორციელდა, შედეგად მივიღებთ ბიზნეს გარემოს, ასახულს ცხრილში 2, რომლის მთავარი მახასიათელები იქნებიან ბუნდოვანება და გაურკვევლობა.

შემთხვევა 6. ამ შემთხვევაში გაერთიანდებიან ტრადიციული და მბრძანებლური ეკონომიკა. ბიზნეს (საქმიანი) გარემო, რომელიც ამ გაერთიანების შედეგად შეიქმნება, პრინციპში იქნება მბრძანებლური ეკონომიკის საქმიანი გარემო, რომელშიც პრაქტიკულად არ დარჩება ადგილი ტრადიციული ეკონომიკის მახასიათებლებისთვის. ამის მიზეზი ის არის რომ ერთიანი გეგმა მთელი ეკონომიკისთვის უბრალოდ არ ტოვებს ადგილს განსხვავებული ელემენტებისთვის, ხოლო ტრადიციულ ეკონომიკას არ გააჩნია ისეთი ძლიერი სისტემური მახასიათებლები, რომ მბრძანებლურ ეკონომიკას შესთავაზოს. ტრადიციული ეკონომიკის სხვადასხვა მახასიათებლები, ახალმა გაერთიანებამ რომ მისაღებად ჩათვალოს კიდეც, მაინც ერთიანი გეგმის ფარგლებში იქნებიან მიწოდებული საქმიანი სუბიექტებისთვის.

შემთხვევა 7. როდესაც ერთიანდებიან საბაზრო ეკონომიკა და მბრძანებლური ეკონომიკა, შეიძლება ითქვას რომ შედეგად შერეული ეკონომიკა იქნება მიღებული. აქვე უნდა ითქვას, რომ ამ ორი სისტემის გაერთიანება ძალიან რთულია და ძირითადად შეუძლებელი, რადგან ისინი პრინციპულად სხვადასხვა იდეოლოგიას ეყრდნობიან. მაგრამ თუ მოხდა ისე, რომ ამ ორი სისტემის გაერთიანება მოხდა,

შედეგად ბიზნეს სუბიექტებისთვის შეიქმნება გარემო, რომელშიც ადგილი ექნება თავისუფალი ბაზრის მარეგულირებელ ძალას ეკონომიკის გარკვეულ სექტორებში, მაგრამ ეკონომიკური პროცესების მეორე ნაწილი მკაცრად დაგეგმილი, მართული ან რეგულირებული იქნება მთავრობის მიერ გარკვეული გეგმის საფუძველზე.

შემთხვევა 8. შერეული ეკონომიკის და საბაზრო ეკონომიკის გაერთიანება ნიშნავს ეკონომიკური აქტივობის იდეოლოგიის უფრო მეტად გადახრას თავისუფალი ბაზრის მხარეს, შესაბამისად ბიზნეს გარემოს ყველა მახასიათებელი, მთავრობის რეგულირების მასშტაბების, ბაზრების კონკურენტულობის, რესურსების და პროდუქტების თავისუფალი მოძრაობის, ტექნოლოგიებისადმი დამოკიდებულების, საერთაშორისო ღიაობის და სხვა ფაქტორების მხრივ, უფრო დაუახლოვდება საბაზრო ეკონომიკის დოქტრინას და მოშორდება მბრძანებლური ეკონომიკის პრინციპებს.

შემთხვევა 9. გარდამავალ ეტაპზე მყოფი ეკონომიკის გაერთიანება შერეულ ეკონომიკასთან ნიშნავს, რომ ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი, ბუნდოვანი პირობების მქონე სისტემა უერთდება სისტემას რომელიც წარმოადგენს სხვადასხვა იდეოლოგიების ნაზავს. პრინციპში, ეს გარკვეული კონკრეტიკის შემოტანაა გარდამავალ ეტაპზე მყოფი ეკონომიკისთვის. ბიზნეს სუბიექტებისთვის გარდამავალი ეკონომიკური სისტემიდან აბსოლუტურად მისაღები იქნება შერეული ეკონომიკის პირობები, რომლებიც, მიუხედავად პირობების ნაზავისა, მაინც კონკრეტული, დროში მეტნაკლებად მდგრადი პირობების ერთიანობას სთავაზობენ ბიზნესს.

შემთხვევა 10. ტრადიციული და საბაზრო ეკონომიკის გაერთიანება რთული ან საერთოდ შეუძლებელი აღმოჩნდება. საქმე იმაშია, რომ საბაზრო ეკონომიკას არ გააჩნია ისეთი საკომანდო ინსტრუმენტი, როგორიც მბრძანებლურ ეკონომიკას - საბაზრო ეკონომიკა სთავაზობს ინტეგრაციის მონაწილეს ეკონომიკური თავისუფლების იდეას, მაგრამ ფაქტიურად ვერ უბრძანებს ამ იდეის პრაქტიკულ რეალიზაციას - მაშინ თავად თავისუფლების იდეა იქნება კომპრომენტირებული. შესაბამისად, რადგან გაერთიანება ხდება, ეს ნიშნავს, რომ ტრადიციული ეკონომიკის საზოგადოებამ თავად გადაწყვიტა ამ გაერთიანებაზე წასვლა და ახალი თამაშის პირობების მიღება - ასე რომ შედეგად მივიღებთ ბიზნეს გარემოს პირობებს

რომლებიც საბაზრო ეკონომიკისთვის არის დამახასიათებელი - ტრადიციული ეკონომიკის ბიზნეს სუბიექტებს მოუწევთ თამაშის ახალი წესების მიღება.

შემთხვევა 11. როდესაც შერეული ეკონომიკური სისტემა მბრძანებლურთან გაერთიანდება, მოხდება იმის საპირისპირო პროცესი რაც აღწერილი იყო შემთხვევაში 8 - ანუ ეკონომიკური აქტივობის იდეოლოგია უფრო მეტად გადაიხრება მბრძანებლური ეკონომიკის მხარეს, შესაბამისად ბიზნეს გარემოს ყველა მახასიათებელი, მთავრობის რეგულირების მასშტაბების, ბაზრების კონკურენტულობის, რესურსების და პროდუქტების თავისუფალი მოძრაობის, ტექნოლოგიებისადმი დამოკიდებულების, საერთაშორისო ღიაობის და სხვა ფაქტორების მხრივ, უფრო დაუახლოვდება მბრძანებლური ეკონომიკის დოქტრინას და მოშორდება საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს.

შემთხვევა 12. გარდამავალი ეკონომიკის და საბაზრო ეკონომიკის სისტემების გაერთიანება ნიშნავს, რომ გარდამავალი ეკონომიკის საზოგადოებრივი აზრი, ან წამყვანი იდეოლოგიური - პოლიტიკური - ფინანსური ჯგუფების აზრი იხრება საბაზრო ეკონომიკისკენ - შესაბამისად ახალ გაერთიანებაში ბიზნეს გარემოს პირობებს სწორედ საბაზრო ეკონომიკის იდეოლოგია კარნახობს. ამდენად, გარდამავალ ეკონომიკაში მოქმედ ბიზნეს სუბიექტებს მოუწევთ (და შესაძლოა სურვილიც აქვთ), იმოქმედონ საბაზრო ურთიერთობებზე დაფუძნებული ბიზნეს გარემოს პირობების ფარგლებში.

შემთხვევა 13. ერთიანდებიან ტრადიციული და შერეული ტიპის ეკონომიკური სისტემები. რა თქმა უნდა, „ლიდერი“ ამ გაერთიანებაში არის შერეული ტიპის ეკონომიკა, რომელიც სთავაზობს ტრადიციულ ეკონომიკურ სისტემას მბრძანებლურისკენ ან საბაზროსკენ მეტ-ნაკლებად გადახრილ ბიზნეს გარემოს, თუმცა შერეული ეკონომიკის იდეოლოგიური საფუძველი თავისთავად გულისხმობს გარკვეულ მოქნილობას, ამდენად შესაძლებელია შერეული ეკონომიკა ამ გაერთიანების შედეგად შეიძენს ბიზნეს გარემოს ისეთ მახასიათებლებს, რომლებიც ტრადიციულ ეკონომიკასთან შეიძლება გაიგივდეს.

შემთხვევა 14. აქ ერთიანდებიან გარდამავალი და მბრძანებლური ეკონომიკური სისტემები და ვითარდება ისეთივე სცენარი, როგორიც იყო შემთხვევაში 12 - ამგვარი გაერთიანება ნიშნავს, რომ გარდამავალი ეკონომიკის

საზოგადოებრივი აზრი, ან წამყვანი იდეოლოგიური - პოლიტიკური - ფინანსური ჯგუფების აზრი იხრება მბრძანებლური ეკონომიკისკენ - შესაბამისად ახალ გაერთიანებაში ბიზნეს გარემოს პირობებს სწორედ მბრძანებლური ეკონომიკის იდეოლოგია კარნახობს. ამდენად, გარდამავალ ეკონომიკაში მოქმედ ბიზნეს სუბიექტებს მოუწევთ (და შესაძლოა სურვილიც აქვთ), იმოქმედონ მბრძანებლურ ურთიერთობებზე დაფუძნებული საქმიანი გარემოს პირობების ფარგლებში.

შემთხვევა 15. ერთიანდებიან გარდამავალი და ტრადიციული ეკონომიკური სისტემები. აქ შეიძლება ითქვას, რომ ამგვარი გაერთიანების არსებობა საერთოდ საეჭვოა უბრალოდ იმის გამო, რომ გარდამავალი ეკონომიკის საზოგადოებრივი აზრი სავარაუდოდ საერთოდ არ ისწრაფვის ტრადიციული ეკონომიკური სისტემისკენ. მაგრამ თუ ამგვარი გაერთიანება მაინც მოხდა, ბუნდოვანების და განუსაზღვრელობის მასშტაბები გარდამავალ ეტაპზე მყოფ ეკონომიკაში უფრო გაიზრდება. შესაბამისად, იგივე განუსაზღვრელობა და ბუნდოვანება იქნება გაერთიანების ბიზნეს გარემოს მახასიათებელი.

დასკვნისთვის შეიძლება ითქვას, რომ მკაფიო იდეოლოგიური საფუძვლის მქონე ეკონომიკური სისტემები გამოდიან გაერთიანებაში ლიდერის როლში და კარნახობენ ბიზნეს გარემოს მახასიათებლებს ახალ წარმონაქმნს, ხოლო დანარჩენი ეკონომიკური სისტემები, უფრო მეტად ადაპტაციაზე, შეგუებაზე და შერევაზე არიან ორიენტირებულები.

მესამე მახასიათებელი, რომელიც საჭიროა იმისთვის, რომ კარგად აღიწეროს ბიზნეს გარემოს ცვლილების პროცესი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, არის ინტეგრაციის მონაწილე ეკონომიკური სისტემების განვითარების დონის იდენტიფიცირება. ცხრილი 1.2.3. აჩვენებს ბიზნეს გარემოთა ინტეგრირების შემთხვევებს განვითარების სხვადასხვა დონეზე მყოფი ეკონომიკური სისტემებისთვის.

იმისთვის, რომ შექმნილიყო ცხრილი 1.2.3, აუცილებელი გახდა მკაფიო კლასიფიკაციის შემოღება, თუ რა იგულისხმება განვითარების დონეში და განვითარების რომელ დონეს რა სახელწოდება შეეფერება. ამ შემთხვევაში საყრდენ წერტილად აღებულ იქნა ლინგ ნილსენის ნაშრომი ქვეყნების კლასიფიკაციის საკითხზე (Nielsen, 2011 :18-19), რომელშიც მოცემულია საერთაშორისო სავალუტო

ფონდის, გაეროს განვითარების პროგრამის და მსოფლიო ბანკის მიდგომები ქვეყნების კლასიფიკაციის მიმართ. როგორც ჩანს, სამივე მიდგომაში გამოიყოფა ორ-ორი კატეგორია: საერთაშორისო სავალუტო ფონდისთვის ესაა ა) განვითარებული ქვეყნები; ბ) ახალგანვითარებული და განვითარებადი ქვეყნები; გაეროსთვის ესაა ა) განვითარებული ქვეყნები; ბ) განვითარებადი ქვეყნები; მსოფლიო ბანკისთვის ესაა ა) მაღალი შემოსავლის ქვეყნები; ბ) დაბალი და საშუალო შემოსავლის ქვეყნები. თავად ავტორი გვთავაზობს ალტერნატიულ დიქოტომიურ და ტრიქოტომიურ მიდგომას, თუმცა წინამდებარე კვლევის მიზნებისთვის შესაძლოა გაეროს განვითარების პროგრამის მიდგომა იქნას აღებული და გაკეთდეს განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებად დაყოფა.

ცხრილი 1.2.3. ინტეგრირებული ბიზნეს გარემოს მახასიათებლები განვითარების სხვადასხვა დონის მქონე ეკონომიკური სისტემების გაერთიანებისას

	განვითარებული ეკონომიკა	განვითარებადი ეკონომიკა
განვითარებული ეკონომიკა	**შემთხვევა 1.** ბიზნეს გარემო არ შეიცვლება	ამ შემთხვევაში განვითარებადი ქვეყნის ბიზნეს გარემო ადაპტირებას განიცდის განვითარებული ქვეყნის ბიზნეს გარემოსადმი
განვითარებადი ეკონომიკა	**შემთხვევა 3.** ამ შემთხვევაში განვითარებადი ქვეყნის ბიზნეს გარემო ადაპტირებას განიცდის განვითარებული ქვეყნის ბიზნეს გარემოსადმი	**შემთხვევა 2.** ბიზნეს გარემო არ შეიცვლება

წყარო: ავტორისეული

როგორც ჩანს ცხრილიდან 1.2.3, არსებობს 3 შემთხვევა, რომელიც განსაზღვრავს სხვადასხვა განვითარების დონის ეკონომიკური სისტემების გაერთიანებისას ბიზნეს გარემოს ინტეგრირების სპეციფიკურ მახასიათებლებს.

შემთხვევა 1. თუ ერთმანეთს უერთიანდება ორი განვითარებული ეკონომიკა, ბიზნეს გარემოს მახასიათებლები, პრინციპში, არ შეიცვლება. პირობები, რომლებშიც მოქმედება უწევთ ახალი გაერთიანების ბიზნეს სუბიექტებს, ისეთივეა, როგორიც გაერთიანებამდე არსებობდა.

შემთხვევა 2. ორი განვითარებადი ეკონომიკის ინტეგრირების შემთხვევაში, ბიზნეს გარემოს მახასიათებლები ისევ არ განიცდის ძირეულ ცვლილებას. ბიზნეს სუბიექტებისთვის გარემოს გლობალური, მაკრო, სოციალური და ეკო პირობები

მორგებულია განვითარების მოცემულ დონეს, გაერთიანების შემდეგ კი ეს დონე, შესაბამისად პირობები, არ იცვლება.

შემთხვევა 3. თუ განვითარებადი ეკონომიკა ინტეგრირდება განვითარებულ ეკონომიკასთან, ეს ნიშნავს, რომ პირველის ბიზნეს სუბიექტებს მოუწევთ მეორეს გარემოსთან შეგუება. ამის არგუმენტები შემდეგია - განვითარებული ქვეყნის ეკონომიკა სთავაზობს განვითარებადი ქვეყნის ბიზნეს სუბიექტებს უფრო განვითარებულ, მაღალი მსყიდველობითი უნარის მქონე ბაზრებს, წვდომას უფრო კვალიფიციური მუშახელზე, კაპიტალზე, ტექნოლოგიებზე და ა.შ. რა თქმა უნდა არის საფრთხე (ამაზე საუბარი იქნება წინამდებარე დისერტაციის მესამე თავში), რომ განვითარებადი ქვეყნების ბიზნეს სუბიექტები უბრალოდ ვერ მოახერხებენ ადაპტაციას განვითარებული ქვეყნის ბიზნეს გარემოს მაღალი სტანდარტების მიმართ და მათ უბრალოდ „ჩაყლაპავენ“ კონკურენტები. შეიძლება ითქვას, რომ განვითარების მაჩვენებლით ეკონომიკური ინტეგრაციის ერთადერთ მნიშვნელოვან მახასიათებელს, მსგავსად ზევით განხილული შემთხვევებისა, „ადაპტაცია“ წარმოადგენს.

ბოლო პროცესი, რომელიც გაერთიანებას ახლავს და რომელიც განხილულ უნდა იქნას ამ პარაგრაფში, არის გაერთიანების დროითი განრიგი - ინტეგრაციის ეტაპები, ფაზები, რომელსაც გადიან ინტეგრაციის მონაწილეები, სანამ მათი საბოლოო გაერთიანება არ მოხდება.

კლემენტი კოლეგებთან ერთად, ჩრდილოეთ ამერიკის ეკონომიკური ინტეგრაციის თეორიული ანალიზის დროს გამოჰყოფს (Clement at all, 1999 :48) სავაჭრო ბლოკებს, რომლებიც ინტეგრაციის ხარისხის მიხედვით იყოფა: ა)თავისუფალი ვაჭრობის არეალებად; ბ)საბაჟო კავშირებად; გ)საერთო ბაზრებად; დ)სრულფასოვან ეკონომიკურ კავშირებად. მოცემული კლასიფიკაცია პრინციპში შეიძლება ასახავდეს ინტეგრაციის გარკვეულ ეტაპებს, მაგრამ მაინც შემოზღუდულია მხოლოდ ვაჭრობასთან დაკავშირებული პროცესების ანალიზთან. ამდენად, ნაკლებად გამოდგება წინამდებარე კვლევისთვის.

ელ-აგრა თავის ნაშრომში რეგიონული ინტეგრაციის თაობაზე ასევე გამოჰყოფს ზევით აღნიშნულ ბლოკებს, და უმატებს კიდევ ერთს - „პოლიტიკური კავშირი“. გარდა ამისა, ინტეგრაციის სქემები, ყოველი ბლოკისთვის ხუთი ნიშნის

მიხედვით აქვს დახასიათებული: ა) თავისუფალი სქემის-შიდა ვაჭრობა; ბ) ერთიანი კომერციული პოლიტიკა; გ) ფაქტორების თავისუფალი მობილობა; დ) ერთიანი მონეტარული და ფისკალური პოლიტიკა; ე) ერთი მთავრობა (El-Agraa, 1999 :2). ამგვარი კლასიფიცირება უფრო დეტალურია და უფრო მეტად შეესაბამება წინამდებარე კვლევის მიზანს, თუმცა მთლიანად არ ასახავს იმ ყოვლისმომცველობას და მრავალფაქტორიანობას, რომელიც ბიზნეს გარემოს შინაარსს წარმოადგენს.

კორესი კოლეგებთან ერთად განიხილავს ორი სახის ინტეგრაციას - ნომინალურ კონვერგენციას (ანუ ნომინალური ეკონომიკური მაჩვენებლების და პირობების შერწყმას) და რეალურ კონვერგენციას (რეალური ეკონომიკური მაჩვენებლების დაახლოებას) (Korres, Mamatzakis, Staikouras, 2007 :25-38).

ლივიუ აკრიტიკებს ბალასას ინტეგრაციის 5 ეტაპს (თავისუფალი ვაჭრობის არეალი; საბაჟო კავშირი; საერთო ბაზარი; ეკონომიკური კავშირი; ეკონომიკური და მონეტარული კავშირი) და აცხადებს, რომ არსებობს ინტეგრაციის ორი დიდი ფაზა: ა) საწყისი ინტეგრაცია, რომელიც ეყრდნობა საბაჟო კავშირის კონცეპციას და მოიცავს თავში თავისუფალი ვაჭრობის არეალის ცნებასაც; ბ) განვითარებული ინტეგრაცია, რომელიც ეყრდნობა საერთო ბაზრის, ეკონომიკური კონვერგენციის და ოპტიმალური ვალუტის არეალის კონცეპციებს (Liviu, 2012 : 62).

ცხრილი 1.2.4 აჩვენებს ინტეგრაციის ფაზებს ოდნავ გაფართოებული ასპექტში. ბალასას ხუთი ფაზა აქ ორშია ჩატეული - ნაწილობრივ და სრულ ფორმალურ ინტეგრაციაში. გარდა ამისა, მოცემულია სამი „წინაინტეგრაციული“ ფაზა - იდეოლოგიის ჩამოყალიბება, პრომოუშენი და ტექნიკური სამუშაოების განხორციელება. ასევე მიმატებულია კიდევ ერთი, საბოლოო ფაზა - სრული ინტეგრაცია, რომელიც ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუტების სრულ გაერთიანებას / დამსგავსებას გულისხმობს.

ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ყოველი ფაზა განიხილება ხუთ ასპექტში (ეკონომიკური, სოციალური, ინსტიტუციონალური, იდეოლოგიური, პოლიტიკური). ეს მნიშვნელოვანია, რადგან ყოველი ფაზა გულისხმობს გარკვეულ ცვლილებებს საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა ასპექტებში, რომლებიც, შესაძლოა წარმოადგენენ ინტეგრაციის კატალიზატორებს, ან პირიქით, შემაფერხებლებს.

ცხრილი 1.2.4. ეკონომიკური ინტეგრაციის ფაზები და ასპექტები

	ეკონომიკური ასპექტი	სოციალური ასპექტი	ინსტიტუციონალური ასპექტი	იდეოლოგიური ასპექტი	პოლიტიკური ასპექტი
ფაზა 1. იდეოლოგიის ჩამოყალიბება	ეკონომიკურ სისტემებს შორის ეკონომიკური ურთიერთობები ჩვეულებრივ ექსპორტ-იმპორტის ოპერაციებსა და ეკონომიკური რესურსების მოძრაობას მოიცავს, რომლისთვისაც ჩარჩოს ქმნის ვალუტის გაცვლითი კურსი, ეკონომიკური საზღვარი და მაკროეკონომიკური პოლიტიკა	შესაძლოა განხილული საზოგადოების წევრებს გააჩნიათ ერთ სახელმწიფოში ცხვორების ისტორია, ან ახლო არიან ერთმანეთთან ეთნიკური ან კულტურული თვალსაზრისით, თუმცა ამჟამად ისინი არ არიან მიდრეკილი გაერთიანებისკენ	სხვადასხვა ფორმალური ინსტიტუტები ამ საზოგადოებებში ვითარდებოდნენ საკუთარი გზით და ლოგიკით. ისინი შეიძლება ჰგავდნენ ერთმანეთს, შეიძლება არა. იგივე შეიძლება ითქვას არაფორმალურ ინსტიტუტებზეც.	**ინტეგრაციის იდეოლოგია შეიძლება გაჩნდეს აკადემიურ სფეროში და მიწოდებულ იქნას საზოგადოებისთვის ავტორიტეტული პირების, მასმედიის, თანამედროვე ხელოვნების მეშვეობით. ამავე დროს ინტეგრაციის იდეოლოგია შეიძლება წლების (ათწლეულების) მანძილზე „ტრიალებდეს“ საზოგადოებაში**	შესაძლოა საზოგადოებებში არსებობდეს პოლიტიკური ძალა, რომელიც ინტეგრაციის იდეოლოგიას იზიარებს და მხარს უჭერს, თუმცა იგ ჯერჯერობით ვერ ახდენს გავლენას საზოგადოებრივ ცხოვრებაზე.
ფაზა 2. იდეის პრომოუშენი	ეკონომიკური აგენტები იწყებენ ფიქრს იმაზე, თუ რამდენად ხელსაყრელია შესაძლო ეკონომიკური გაერთიანება, თუმცა ეკონომიკური პროცესები მიმდინარეობს იგივე ჩარჩოში, რაც პირველ ფაზაში არსებობდა.	მოქალაქეები უფრო მეტად ექცევიან გაერთიანების იდეის პრომოუშენის ზემოქმედების ქვეშ, უპირველეს ყოვლისა საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც უფრო მეტად არის მიდრეკილი ცვლილებებისადმი ან მოსწონს ამგვარი გაერთანების იდეა	არც ფორმალური, არც არაფორმალური ინსტიტუტების ასპექტში ამ ფაზაში არ ფიქსირდება არავითარი ცვლილება	ინტეგრაციის იდეა პოულობს თავის განვითარებას ორი მიმართულებით: ა) აკადემიურ სფეროში სხვადასხვა სამეცნიერო ნაშრომების სახით და ბ) მასმედიაში საზოგადოებრივი დისკუსიის ფორმით.	**ინტეგრაციის იდეა ხდება წამყვანი პოლიტიკური ძალის პოლიტიკური პლატფორმის ერთ-ერთი ელემენტი, რითაც იგი ნელნელა ოფიციალურ სახეს და დროში გაწერილი გეგმის ფორმას ღებულობს.**
ფაზა 3. ტექნიკური სამუშაოების განხორციელება	**ეკონომიკური აგენტები იწყებენ მოსალოდნელი ინტეგრაციის პირობებისადმი ადაპტირების ნაბიჯების გადადგმას: საჭირო ინვესტიციების, ბაზრების კვლევის და სხვა პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას**	**მოქალაქეები ასევე იწყებენ მოსალოდნელი ინტეგრაციის პირობებისადმი ადაპტირების ნაბიჯების დაგეგმვას და განხორციელებას (მობილობის, მოგზაურობის დაგეგმვა და სხვა)**	ფორმალური ინსტიტუტები იწყებენ ინტეგრაციასთან დაკავშირებული ტექნიკური სამუშაოების განხორციელებას.	ამ ფაზაში იდეოლოგიის განვითარება ხდება ინტეგრაციის სხვადასხვა ასპექტში წარმოშობილი საკითხების დეტალიზებასთან დაკავშირებით, მათ შორის ერთიანი ვალუტის შემოღებასთან დაკავშირებით, რაშიც წამყვან როლს კვლავ აკადემიური სექტორი ასრულებს.	მთავრობა იწყებს ინტეგრაციის ტექნიკური სამუშაოებს კოორდინაციას სხვადასხვა სახელმწიფოთა შორისი სამუშაო ჯგუფების შექმნის, ნორმატიული ბაზის შექმნის მეშვეობით.
ფაზა 4. ნაწილობრივი ინტეგრაცია	საქონელ-მომსახურების, შრომის და კაპიტალის თავისუფალი მოძრაობა ხსნის ეკონომიკური აგენტებისთვის ბიზნესის კეთების ახალ შესაძლებლობებს	მოქალაქეთა თავისუფალი გადაადგილება შესაძლებლობას აძლევს მოქალაქეებს უფრო მჭიდრო სოციალურ-კულტურული ურთიერთობები დაამყარონ მეზობელ საზოგადოებასთან	ფორმალური ინსტიტუტები, მიუხედავად იმისა რომ ახორციელებენ ინტეგრაციასთან დაკავშირებულ ამოცანებს, ჯერ კიდევ შეესაბამება ინტეგრაციამდელი პერიოდის სისტემას	ინტეგრაციის იდეა ჰპოვებს შემდგომ გაფართოებას. აკადემიური სექტორი, მასმედია და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები ახდენენ ინტეგრაციის შემდგომი ფაზის პრომოუშენს, თუმცა ამ ეტაპზე ტავს იჩენს დეზინტეგრაციის მომხრე ძალაც.	**ერთიანი ვალუტის შემოღება განაპირობებს ერთიანი მონეტარული პოლიტიკის აუცილებლობას, რაც თავისთავად გულისხმობს დამსგავსებას ან ინტეგრაციას ეკონომიკური პოლიტიკის სხვა ასპექტებშიც.**

ფაზა 5. სრული ფორმალური ინტეგრაცია	ბიზნესის კეთების ფორმალური პირობები აბსოლუტურად ერთიანი ხდება ინტეგრირებული სისტემის ფარგლებში	მოქალაქეები სარგებლობენ ინტეგრაციის შესაძლებლობებით, თუმცა სოციალურ-კულტურული მრავალფეროვნება ნარჩუნდება	ყალიბდება ფორმალური ინსტიტუტების ერთიანი სისტემა, ამ ეტაპზე ყველა ფორმალური ინსტიტუცია საერთოს წარმოადგენს. ინტეგრაციამდელი განსხვავებები ქრება.	**ინტეგრაციის იდეოლოგია ცდილობს ამტკიცოს ინტეგრაციის პროცესში სოციალურ კულტურული მრავალფეროვნების შენარჩუნების შესაძლებლობები, ასევე ცდილობს დაიცვას ახალი წარმონაქმნი დეზინტეგრაციის იდეის პრომოუშენისგან.**	მყარდება ერთიანი საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება, ერთიანი მონეტარული ფისკალური და სოციალური პოლიტიკა
ფაზა 6. სრული ინტეგრაცია	ბიზნესის კეთების არაფორმალური პირობების დამსგავსება უზრუნველყოფს ერთიან ბიზნეს გარემოს ინტეგრირებულ ეკონომიკურ სისტემაში	სოციალურ-კულტურული დამსგავსება გულისხმობს ცხოვრების ერთნაირი დონის და პირობების ჩამოყალიბებას ინტრეგრირებული სისტემის ყველა მოქალაქისთვის, რაც მოქალაქეთა სოციალური მრავალფეროვნების საფუძველზე შეიქმნა	**ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუტების სრული ინტეგრაცია**	ინტეგრაციის იდეა გადადის ინტეგრაციის პროცესის შეფასებით მსჯელობებზე. გარდა ამისა, იგი ცდილობს არგუმენტების მოყვანას ინტეგრაციის შემდგომი გაფართოებისთვის.	ერთიანი სახელმწიფო

წყარო: ავტორისეული

ფაზა 1. იდეოლოგიის ჩამოყალიბება. ამ ფაზაში წამყვან როლს თამაშობს აკადემიური სფერო, რომელიც სამეცნიერო კვლევის ფარგლებში ქმნის ინტეგრაციის იდეოლოგიას, თუმცა არ არის აუცილებელი. სავსებით შესაძლოა აკადემიური სფერო მხოლოდ ასახავდეს საერთო საზოგადოებრივ განწყობას ინტეგრაციის მიმართ. შესაძლოა ინტეგრაციის იდეა მოდიოდეს პოლიტიკური ძალის წარმომადგენლებიდან ან საზოგადოებრივი მოღვაწეების მხრიდან. შესაძლოა ინტეგრაციის იდეა გაჩნდეს ინტეგრაციის ერთ-ერთ მონაწილე საზოგადოებაში. ანდა, როგორც ეს წინამდებარე კვლევაში არის მოყვანილი, ინტეგრაციის იდეა ერთ საზოგადოებაში ჩნდება იმიტომ, რომ მეორე საზოგადოება უკვე წარმოადგენს ინტეგრირებულ სისტემას, რომელშიც ამ იდეამ კარგად იმუშავა.

ყოველ შემთხვევაში, პირველ ფაზა გულისხმობს, რომ მოქალაქეები, ეკონომიკური აგენტები, საჯარო მოხელეები ნაკლებ მონაწილეობას ღებულობენ, ნაკლებად არიან დაინტერესებულები და ინფორმირებულები ინტეგრაციის იდეოლოგიის, ინტეგრაციის სარგებლებისა და რისკების თაობაზე.

ფაზა 2. იდეის პრომოუშენი. ეს არის ფაზა, რომელშიც საკვანძო მოქმედებებს პოლიტიკური ძალა ახორციელებს. სწორედ იგი არის დაკავებული ინტეგრაციის იდეის პრომოუშენის ღონისძიებათა კოორდინაციით. ინტეგრაცია ამ ძალის პოლიტიკური პლატფორმის ერთ-ერთ ელემენტს წარმოადგენს, რომლითაც შესაძლოა ეს პოლიტიკური ძალა ხელისუფლებაში მოვიდა.

პრომოუშენის ფაზაში ხდება საზოგადობის განწყობის ჩამოყალიბება. ცხადია, საზოგადოების განწყობა დამოკიდებულია იმ სარგებლებზე, რომლებსაც ინტეგრაციის შედეგად ელოდება ეს საზოგადოება. ეს ძირითადი დეტერმინანტია, თუმცა არის კიდევ ორი დეტერმინანტი - ნდობა სახელისუფლებო პოლიტიკური ძალის მიმართ, რომელიც ამ იდეის პრომოუშენს ეწევა, ასევე მასმედიის და საზოგადო მოღვაწეთა მიერ ინტეგრაციის იდეის სწორად მიწოდების ხარისხი. თუმცა, თუ საზოგადოების წევრები ვერ ხედავენ მკაფიო სარგებლებს ინტეგრაციისგან, მათი მხარდაჭერა ამ პროცესისადმი შეიძლება ფორმალური და ხელისუფლებსადმი ნდობის ხარისხზე დამოკიდებული აღმოჩნდება. ნდობის შემცირებასთან ერთად ინტეგრაციაც დაკარგავს აქტუალობას.

ფაზა 3. ტექნიკური სამუშაოების განხორციელება. ამ ფაზაში უამრავი ოპერაციის განხორციელება უწევს ხელისუფლებას და ფორმალურ ინსტიტუციებს. უპირველეს ყოვლისა ეს არის საკანონმდებლო საქმიანობა, რომელიც გულისხმობს სამართლებრივი ჩარჩოების შექმნას ინტეგრაციის პროცესის კონკრეტული ეტაპისთვის. ამაში ასევე იგულისხმება მაკრო ეკონომიკური და სხვა პოლიტიკის ორიენტირების, პოლიტიკური და საჯარო სამსახურების დღის წესრიგების შეცვლა.

თუმცა, ტექნიკური სამუშაოების ფაზაში, სავარაუდოდ, უფრო მნიშვნელოვანია ის ცვლილებები, რომლებიც ეკონომიკური აგენტების და უბრალოდ მოქალაქეების ცნობიერებაში ხდება - საზოგადოების მოქმედ პირთა ორივე ტიპი იწყებს საკუთარი საქმიანობის, ქცევის მორგებას ინტეგრირებული სისტემის მოსალოდნელ რეალობებზე.

ფაზა 4. ნაწილობრივი ინტეგრაცია. იგი გულისხმობს ორი ეკონომიკური სისტემის გაერთიანების სხვადასხვა ქვე-ფაზებს, რომლის ფარგლებშიც ორ სისტემას შორის გაქრება საბაჟო დაბრკოლებები, საქონელ-მომსახურების თავისუფალ

მოძრაობას დაემატება შრომისა და კაპიტალის თავისუფალი მოძრაობა, მოქალაქეთა გადაადგილების თავისუფლება.

თუმცა ამ ეტაპზე ყველაზე მნიშვნელოვან ელემენტს ერთიანი ვალუტის შემოღება წარმოადგენს. იგი უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს არა მარტო შიდა ინტეგრაციის პროცესის ხარისხის ამაღლებისთვის, არამედ გლობალურ ეკონომიკურ სისტემაში ახალი ეკონომიკური წარმონაქმნის პოზიციების დაფიქსირებისა და გამყარებისთვის.

ფაზა 5. სრული ფორმალური ინტეგრაცია. ამ ფაზაში იქმნება ერთიანი ფორმალური ინსტიტუტები - ინტეგრაციამდელი განცალკევებული ინსტიტუციები წყვეტენ თავის არსებობას და მყარდება ერთიანი სახელისუფლებო, საჯარო სისტემა, ხორციელდება ერთიანი მონეტარული და ფისკალური, სოციალური და საერთაშორისო პოლიტიკა.

თუმცა ამ ეტაპზე შესაძლოა კვალვ წინ წამოიწიოს ინტეგრაციის იდეოლოგიური ასპექტი - ინტეგრაციის გაძლიერებასთან ერთად გაჩნდება დეზინტეგრაციული ტენდენციებიც - პოლიტიკაში, მეცნიერებაში, მასმედიაში გაჩნდება დისკუსია ინტეგრაციის ზარალებსა და დეზინტეგრაციის სარგებლების შესახებ. სწორედ ამ ტენდენციას შეეწინააღმდეგებიან აკადემიური და მასმედიის სექტორები.

ფაზა 6. სრული ინტეგრაცია. იგი გულისხმობს ყველაზე მნიშვნელოვანი და რთულად შესაცვლელი ელემენტის - სოციალურ-კულტურული გარემოს ინტეგრირებას. საკვანძო ელემენტს ამ შემთხვევაში სწორედ არაფორმალური ინსტიტუტების ინტეგრირება / დამსგავსება წარმოადგენს. იქნება ეს მოქალაქეთა ცხოვრების წესის სრული დამსგავსება, თუ ინტეგრაციის შედეგად მათი კულტურული ავთენტურობა შენარჩუნებული იქნება, დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ფასეულობებს ეყრდნობა ინტეგრაციის იდეოლოგია ზოგადად და რამდენად იზიარებენ ამ ფასეულობებს ინტეგრაციის მონაწილეები.

როგორც ჩანს, ბიზნეს-გარემოთა ინტეგრირების პროცესში კონკრეტულ ბიზნეს-სუბიექტები დგებიან ბიზნეს გარემოს შესაძლო სამი ტიპის წინაშე:

1. სრულიად ახალი რეალობა, თუ მათი ეკონომიკური სისტემის ბიზნეს გარემოს ინტეგრაციის სხვა წევრთა ბიზნეს გარემოსთან ადაპტირება მოუწია. ამ შემთხვევაში მათ თამაშის ახალი წესების გაცნობა და მათთან შეგუება მოუწევთ;

2. მეტ-ნაკლებად ნაცნობი რეალობა, თუ ინტეგრაციის პროცესში მონაწილეთა ბიზნეს გარემოს პირობები ერთმანეთს შეერწყა და შეერია. ამ შემთხვევაში ადაპტირება შედარებით ადვილი იქნება რადგან ბიზნეს გარემოს ზოგიერთი ფაქტორის მიმართ მათ უკვე გააჩნიათ შესაბამისი რეაგირების გამოცდილება;

3. აბსოლუტურად ნაცნობი რეალობა, თუ ეს ბიზნეს სუბიექტები ინტეგრაციის ლიდერი მონაწილის წარმომადგენლები არიან. ამ შემთხვევაში სწორედ მათი ეკონომიკური სისტემის ბიზნეს გარემო კარნახობს პირობებს, რომელთაც სხვები უნდა შეეგუონ. შესაბამისად, ამ ბიზნეს სუბიექტებს სრულიად არაფრის შეცვლა არ უწევთ საკუთარ მმართველობით საქმიანობაში, გადაწყვეტილების მიღების სტრუქტურასა და შინაარსში.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას შემდეგი:

ბიზნეს გარემოთა ინტეგრაციის პროცესი შეიძლება განხილულ იქნას სამ ასპექტში.

პირველი ასპექტი გულისხმობს სხვადასხვა ზომის ეკონომიკური სისტემების ინტეგრირების პროცესში ბიზნეს გარემოთა ურთიერთქმედებას. 10 ასეთი შემთხვევის ანალიზიდან ირკვევა, რომ ინტეგრაცია ნიშნავს ადაპტირებას, შერევას ან ლიდერობას. ცხადია, დიდი ეკონომიკური სისტემები კარნახობენ საკუთარ ბიზნეს გარემოს პირობებს ინტეგრაციის სხვა მონაწილეებს.

მეორე ასპექტს წარმოადგენს სხვადასხვა ტიპის ეკონომიკური სისტემების ინტეგრირების პროცესში ბიზნეს გარემოთა ურთიერთობას. 15 ასეთი შემთხვევის ანალიზმა გამოავლინა ურთიერთქმედების ზევით დასახელებული სამი ტიპი, გარდა ამისა, აღმოჩნდა, რომ მკაფიო იდეოლოგიის მ ქონე ეკონომიკური სისტემები, როგორც წესი, კარნახობენ ბიზნეს გარემოს საკუთარ პირობებს ინტეგრაციის სხვა მონაწილეებს.

მესამე ასპექტი გულისხმობს განვითარების სხვადასხვა დონის მქონე ეკონომიკური სისტემების გაერთიანებას. სამი ასეთი შემთხვევის განხილვამ

გამოავლინა მხოლოდ ერთი, ადაპტაციის, პროცესი. ასევე, ცხადია, რომ განვითარებული ქვეყნის ბიზნეს გარემო სწორედ იმ პირობების ერთიანობას წარმოადგენს, რომელთანაც ადაპტირება უწევს განვითარებადი ეკონომიკური სისტემის ბიზნეს გარემოს.

დაბოლოს, ჩამოყალიბდა ინტეგრაციის პროცესის ექვს-ფაზიანი სცენარი, რომელიც გულისხმობს ა) იდეოლოგიის ჩამოყალიბებას; ბ) პრომოუშენს; გ) ტექნიკური სამუშაოების განხორციელებას; დ) ნაწილობრივ ინტეგრაციას; ე) სრულ ფორმალურ ინტეგრაციას; ვ) სრულ ინტეგრაციას.

ყოველი ფაზა განხილულ იქნა ხუთ ასპექტში: ა) ეკონომიკური; ბ) სოციალური; გ) ინსტიტუციონალური; დ) იდეოლოგიური; ე) პოლიტიკური. როგორც აღმოჩნდა, სხვადასხვა ფაზაზე წამყვანი როლი იცვლება, დაწყებული აკადემიური წრეების აქტიურობიდან იდეოლოგიის ჩამოყალიბების ფაზაში, დამთავრებული არაფორმალური ინსტიტუტების ინტეგრირებით სრული ინტეგრაციის ფაზაში.

კონკრეტული ბიზნეს სუბიექტისთვის, ინტეგრაციის პროცესში დგება ისეთივე ტიპის გამოწვევები, როგორიც მთლიანად ბიზნეს გარემოსთვის. მას უწევს ან შეგუება სრულიად ახალი პირობებისთვის; ან მის ირგვლივ იქმნება ბიზნეს გარემო, რომელიც მეტნაკლებად არის მისთვის ცნობილი; ან მის ირგვლივ არსებული ბიზნეს გარემო საერთოდ არ იცვლება, რადგან იგი ინტეგრაციის მსხვილ მოთამაშეს და ლიდერს წარმოადგენს.

თავი 1.3. საწარმოს ბიზნეს-გარემოს ცვლილება ქვეყნის მსხვილ ეკონომიკურ გაერთიანებასთან ინტეგრირების პროცესში

წინამდებარე კვლევის მიზანი საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესში ბიზნეს გარემოს აღწერაა, ამდენად ინტეგრაციის პროცესის თეორიული ანალიზის მონაწილეებად შესაბამისი ტიპის ეკონომიკები იქნება არჩეული. საქართველო მცირე, საბაზრო ეკონომიკისკენ მიდრეკილი შერეული ეკონომიკის მქონე, განვითარებადი ქვეყანაა და ევროკავშირს, დიდ, განვითარებულ, საბაზრო ეკონომიკასთან ახლო მყოფ შერეულ ეკონომიკურ სისტემას უერთდება.

როგორც ჩანს ცხრილებიდან 1.2.1, 1.2.2 და 1.2.3, ინტეგრაციის პროცესის ჩვენს მიერ აღებულ შემთხვევაში არსებობს მხოლოდ ერთი სახის პროცესი - ესაა ერთი მონაწილის ბიზნეს გარემოს პირობების ადაპტირება მეორე მონაწილის ბიზნეს გარემოს პირობებისადმი.

როდესაც საბაზრო ეკონომიკისკენ მეტად გადახრილი შერეული ეკონომიკა მიუერთდება საბაზროსთან ძალიან ახლოს მდგარ შერეულ ეკონომიკას, ეს პროცესი შეიძლება განვიხილოთ როგორც შემთხვევა 8 ცხრილიდან 1.2.2 – „შერეული ეკონომიკის ბიზნეს გარემო დაემსგავსება საბაზრო ეკონომიკის ბიზნეს გარემოს“, ე.ი. ეკონომიკურ აგენტებს მონაწილე 1 სისტემიდან ცხრილში 1.3.1 ინტეგრაციის პროცესში მოუწევთ ახალ, თითქმის წმინდა საბაზრო ეკონომიკის პირობებში მოქმედება.

როდესაც მცირე ეკონომიკა მიუერთდება რამდენიმე დიდი ეკონომიკისგან შემდგარ გაერთიანებას, ეს პროცესი შეიძლება განვიხილოთ როგორც შემთხვევა 10 ცხრილიდან 1.2.1 რომლის მიხედვითაც ეკონომიკურ აგენტებს მონაწილე 1 სისტემიდან ცხრილში 1.3.1 ინტეგრაციის პროცესში მოუწევთ დიდი ეკონომიკების გაერთიანებაში დადგენილი ბიზნეს გარემოს წესების მიხედვით თამაში.

როდესაც განვითარებადი ეკონომიკა მიუერთდება განვითარებულ ეკონომიკას, ეს პროცესი შეიძლება განვიხილოთ როგორც შემთხვევა 3 ცხრილიდან 1.2.3, რომლის მიხედვითაც ეკონომიკურ აგენტებს მონაწილე 1 სისტემიდან ცხრილში 1.3.1 ინტეგრაციის პროცესში მოუწევთ დიდი ეკონომიკების განვითარებული ეკონომიკის ბიზნეს გარემოსადმი ადაპტირება.

ცხრილი 1.3.1. ორი ეკონომიკური სისტემის ინტეგრირების კონკრეტული შემთხვევების შეპირისპირება ცხრილებიდან 1.2.1, 1.2.2 და 1.2.3.

		ინტეგრაციის მონაწილე 2		
		საბაზროსთან ძალიან ახლოს მდგარი შერეული ეკონომიკა	**რამდენიმე დიდი ეკონომიკა**	**განვითარებული ეკონომიკა**
ინტეგრაციის მონაწილე 1	**საბაზრო ეკონომიკისკენ მეტად გადახრილი შერეული ეკონომიკა**	შემთხვევა 8. შერეული ეკონომიკის ბიზნეს გარემო დაემსგავსება საბაზრო ეკონომიკის ბიზნეს გარემოს (ცხრილი 1.2.2)		
	მცირე ეკონომიკა		შემთხვევა 10. მცირე ეკონომიკის ბიზნეს გარემო განიცდის ადაპტირებას დიდი ეკონომიკებისგან შემდგარი გაერთიანების ბიზნეს გარემოსადმი (ცხრილი 1.2.1)	
	განვითარებადი ეკონომიკა			შემთხვევა 3. განვითარებადი ქვეყნის ეკონომიკა განიცდის ადაპტირებას განვითარებული ქვეყნის ეკონომიკის მიმართ. (ცხრილი 1.2.3)

წყარო: ავტორისეული

როგორც ჩანს, ჩვენთვის საინტერესო ორი ეკონომიკური სისტემის ინტეგრირებისას, ინტეგრაციის რა წინაპირობაც არ უნდა განიხილო, ყველა შემთხვევაში ერთი ეკონომიკური სისტემის ბიზნეს გარემო შეიცვლება ინტეგრაციის მეორე მონაწილის ბიზნეს გარემოს პირობებით.

ცხრილი 1.3.2 წარმოადგენს მცდელობას, ორი ეკონომიკური სისტემის ინტეგრაციის პროცესში წამყვანი მონაწილის (მონაწილე 2) ბიზნეს გარემოს პირობების ინტეგრაციის „ადაპტირებადი“ მონაწილის (მონაწილე 1) ეკონომიკურ საქმიანობაზე გავრცელების პროცესი ასახოს ცხრილში 6 განხილული ფაზების გავლით.

ცხრილი 1.3.2. ბიზნეს გარემოს ადაპტირების პროცესი

	იდეოლოგიის ჩამოყალიბება	იდეის პრომოუშენი	ტექნიკური სამუშაოების განხორციელება	ნაწილობრივი ინტეგრაცია	სრული ფორმალური ინტეგრაცია	სრული ინტეგრაცია
გლობალური გარემო						
სავალუტო კურსი	ამ ეტაპზე სავალუტო კურსი დგინდება და იცვლება მცირე ეკონომიკური სისტემის კანონზომიერებები	ამ ეტაპზე შესაძლოა ოპერაციები დიდი ეკონომიკური სისტემის ვალუტაში გაიზარდოს,	ამ ეტაპზე გაუფასურების პროცესი შეიძლება შეწყდეს რადგან ტექნიკურ სამუშაოებში შესაძლოა	ერთიანი ვალუტა გულისხმობს რომ დიდი ეკონომიკური სისტემის ვალუტის ძალა	სავალუტო გარემოს ცვლილება, პრინციპში ნაკლებად არის მერყეობას დაქვემდებარებული, რაც ნიშნავს რომ	ახალი ვალუტა „საკუთრად“ იქნება აღიარებული არაფორმალური ინსტიტუციის დონეზე, რაც

	თ და ცენტრალური ბანკის მიერ დადგენილი ინტერვენციის პოლიტიკის შესაბამისად, მასზე გავლენას არ ახდენს იდეოლოგიიის ფორმირების პროცესი.	რადგან ეკონომიკური აგენტები იწყებენ ამ ვალუტისადმი ყურადღების მიპყრობას, შესაძლოა ამან გამოიწვიოს ეროვნული ვალუტის გაუფასურება პარტნიორი ვალუტის მიმართ.	სავალუტო სტაბილურობის მიღწევაც იგულისხმებოდეს, რაც ერთიანი ვალუტის წინაპირობა უნდა აღმოჩნდეს.	ახლა მცირე ეკონომიკური სისტემის აქტორებს შეუძლიათ გამოიყენონ.	მეწარმოების საიმედოობა ახალ ინტეგრირებულ სისტემაში გაიზრდება.	ახალი ინტეგრირებული წევრისთვის მისადმი ნდობის ამაღლებას ნიშნავს.
მაკრო გარემო						
ეკონომიკური ზრდა, უმუშევრობა და ინფლაცია	ინფლაციის, ეკონომიკური ზრდის და დასაქმების მაჩვენებლები პრაქტიკულად აგრძელებენ ცვლილებას საკუთარი, სისტემური კანონზომიერებების მიხედვით.	პრომოუშენის ეტაპზე მაკროეკონომიკური დინამიკა ასევე არ არის კავშირში ინტეგრირების პროცესთან. შესაძლოა ამ ეტაპზე მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის მესვეურნი უბრალოდ აანალიზებენ შესაძლო რეფორმის საკითხებს საკუთარ სფეროებში.	ამ ეტაპზე ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა იწყებს ცვლილებას და სვლას იმ სისტემის მაჩვენებლებისკენ, რომელთანაც ინტეგრირება ხორციელდება. ეს ნიშნავს, რომ ფასების დონე დასტაბილურდება, ეკონომიკური ზრდის და შესაბამისად დასაქმების მაჩვენებლები დაიწყებს ასევე სტაბილურ სვლას არჩეული ნიშნულისკენ.	უკვე საბაჟო კავშირის ფარგლებში მცირე ეკონომიკური სისტემის მაჩვენებლები ექცევიან დიდი ეკონომიკის მაჩვენებლების გავლენის ქვეშ. ბიზნესისთვის ეს ნიშნავს უფრო ნაკლებად მერყევ მაკროენომიკურ მაჩვენებლებს.	მაკროეკონომიკური მაჩვენებლები დგინდება ერთიანი ფისკალური და მონეტარული ინსტიტუტების ფარგლებში	ადამიანებისთვის მცირე ეკონომიკური სისტემიდან უკვე ჩვეულებრივ მოვლენად იქცევა ინტეგრირებული ბიუჯეტის ან მონეტარული პოლიტიკის საკითხების ანალიზი. მცირე ეკონომიკური სისტემის „მეხსიერება“ მთლიანად ჩაიკარგება ინტეგრირებულ სისტემაში.
მიკრო გარემო						
კონკურენციის ხარისხი	ამ ეტაპზე ბაზრების კონკურენტულობის ხარისხი უცვლელი რჩება ორივე ეკონომიკურ სისტემაში	ამ ეტაპზეც არავითარი ცვლილებები კონკურენციის ხარისხში არ იცვლება, თუმცა ბიზნეს-სუბიექტები უკვე იწყებენ ფიქრს გაძლიერებული კონკურენციისათვის მომზადებაზე	ახალი ბაზრები და ახალი კონკურენცია უახლოეს რეალობად იქცევა - აქ ბაზრების კონკურენტულობის ხარისხი არ იცვლება ცალკე აღებულ საზოგადოებებში, არამედ თავად ბაზრის მასშტაბები იზრდება.	კომპანიები ხვდებიან გასაღების ახალ შესაძლებლობებს მაგრამ ხვდებიან კონკურენციის გამწვავებულ პირობებსაც.	სრულიად თავისუფალი ბაზარი კონკურენციისთვის ერთიან სივრცეს ქმნის ბაზრების უმეტესობისთვის.	კონკურენტული ბრძოლის წესები საყოველთაო ხდება კავშირის ახალი მონაწილის ბიზნეს-სუბიექტებისთვის
სოციალური გარემო						
სიღარიბე, პოლიტიკური მდგომარეობა	ორივე მონაწილის ეკონომიკური სისტემა, აგრძელებს რა საკუთარი ტემპით სვლას, ინარჩუნებს სიღარიბის საკუთარ მაჩვენებლებს. პოლიტიკურ ასპარეზზე ჩნებიან ინტეგრაციის მომხრე და მოწინააღმდეგე ძალები	ამ ეტაპზე პრაქტიკულად არ ხდება ცვლილება სიღარიბის მაჩვენებლებში. პოლიტიკური დისკუსია კავშირში შესვლა-არშესვლასთან დაკავშრებით არ ცვლის პოლიტიკურ ატმოსფეროს მოცემულ საზოგადოებაში	ამ ეტაპზე ეკონომიკური სუბიექტები სიღარიბის ზღვარს ქვემოთ, განიხილავენ ტერიტორიულ გადაადგილებას ინტეგრირებულ ეკონომიკურ სისტემაში, ახალი შესაძლებლობების გამოყენების მიზნით, როგორც წესი, ნაკლებ განვითარებული მონაწილიდან უფრო განვითარებული მონაწილის ეკონომიკურ სისტემაში.	თავისუფალი მიმოქცევა შესაძლებლობას აძლევს დაბალი შემოსავლების მქონე სამუშაო ძალას, ბედი საზღვარგარეთ ეძიოს, ეს შეიძლება კარგი იყოს მიმღები მონაწილისთვის რომელიც დაბალანაზღაურებიან სამუშაოზე ეძებს მუშახელს, შესაძლოა ცუდი, თუ ახალი შრომითი ნაკადი ადგილობრივს უწევს კონკურენციას და ამასთან	სიღარიბესთან ბრძოლა ერთიანი პოლიტიკის ელემენტი ხდება და პრაქტიკულად მიდგომა მის მიმართ ერთნაირი ხდება ინტეგრირებულ ეკონომიკურ სისტემაში. პოლიტიკური პროცესი სულ უფრო მეტად ხდება შესაბამისი გაერთიანების პოლიტიკურ პროცესებთან.	სიღარიბისადმი დამოკიდებულება იცვლება მთელ ინტეგრირებულ ეკონომიკურ სისტემაში, განსაკუთრებით ეს ეხება მიგრაციის სფეროს. ერთიანი პოლიტიკა სიღარიბის დაძლევის მიზნით ასევე აყალიბებს მოლოდინებს ამ პრობლემის მოგვარების შესახებ. პოლიტიკური

			ამ ეტაპზე შეიძლება გაჩნდეს პირველი აქტიური მოქმედებები ინტეგრაციის მოწინააღმდეგეთა მხრიდან.	საბიუჯეტო ხარჯებს მოითხოვს მიგრაციის მართვაზე. ინტეგრაციის მოწინააღმდეგეები ყალიბდება გარკვეულ მუდმივმოქმედ ძალად რომელიც მიუხედავად აქტიურობისა პრინციპში არაფერს ცვლის ინტეგრაციის გზაზე.		პროცესის როგორც ფორმალური ისე არაფორმალური ინსტიტუტები აბსოლუტურად ემსგავსებიან ერთმანეთს.
ეკოგარემო						
გარემოსდაცვითი	გარემოს დაცვითი ფასეულობები, პოლიტიკა და პრაქტიკა უცვლელად რჩებიან და მცირე ეკონომიკის შინაგანი კანონზომიერებებით ვითარდებიან.	პრაქტიკულად ამ ეტაპზეც არ ხდება არავითარი ცვლილებები მცირე ეკონომიკური სისტემის გარემოსდაცვით ფასეულობებსა, პოლიტიკასა და პრაქტიკაში.	ამ ეტაპზე გარემოს დაცვითი პოლიტიკის მესვეურებს მცირე ეკონომიკაშიუწევთ საკუთარი პოლიტიკის რეფორმირება მსხვილ ეკონომიკაში მიღებული სტანდარტების შესაბამისად. ამდენად, ბიზნეს გარემო ამ თვალსაზრისით მცირე ეკონომიკის ბიზნეს სუბიექტებისთვის შეიძლება დამძიმდეს კიდეც.	ამჯერად გავრცელებას, დამსგავსებას იწყებს არა გარემოს დაცვის პოლიტიკა, არამედ გარემოს დაცვის პრაქტიკა ჩვეულებრივ მოქალაქეებში, რაც ნიშნავს, რომ ბიზნესში დასაქმებულები ხდებიან მსგავსი პრაქტიკის განმახორციელებლები გარემოს დაცვის ასპექტში	მცირე ეკონომიკის გარემოს დაცვის პოლიტიკის ინტეგრირება გარემოს დაცვის საერთო სისტემაში მნიშვნელოვნად ცვლის ამ სფეროში არსებულ ურთიერთობებს მცირე ეკონომიკის ბიზნეს სუბიექტებისთვის. შესაძლოა მათთვის გარემოს დაცვითი პრაქტიკა კიდევ უფრო ძვირი გახდეს.	პრაქტიკულად ადამიანები ხდებიან ერთიანი გარემოს დაცვითი ფასეულობების მატარებლები.

წყარო: ავტორისეული

როგორც ჩანს ცხრილიდან 1.3.2, ყველა განხილული ფაქტორი ინტეგრაციის ეტაპებს გადის დაახლოებით ერთნაირი სცენარით. შესაძლებელია შეიქმნას მაჩვენებელთა სისტემა, რომელთა მეშვეობითაც მოხდება ინტეგრაციის მონაწილის ბიზნეს გარემოზე დაკვირვება და იმის შეფასება, თუ ინტეგრაციის რომელ ფაზაზე იმყოფება იგი ამჟამად. ცხრილში 1.3.3 წარმოდგენილია მაჩვენებელთა სისტემა, რომლითაც შეიძლება რაოდენობრივად დახასიათდეს ინტეგრაციის პროცესში მყოფი ორი ეკონომიკური სისტემის ბიზნეს გარემო.

შერჩეულია ბიზნეს გარემოს ფაქტორთა 6 მაჩვენებელი. ორი ფაქტორის მაჩვენებელი (კონკურენციის ხარისხი და პოლიტიკური მდგომარეობა) არ არის შერჩეულია, რადგან ტექნიკურად ძალიან რთული იქნებოდა ინტეგრირებული ეკონომიკური სისტემის ყველა მონაწილის ყველა ბაზრის კონკურენტულობის შეფასება, ყველა მონაწილე საზოგადოების პოლიტიკური მდგომარეობის შეფასება, შმედეგ კი მათი ერთ მაჩვენებელზე დაყვანა.

ცხრილი 1.3.3. ბიზნეს გარემოს ფაქტორთა მაჩვენებლების სისტემა

		მაჩვენებელი
	გლობალური გარემო	
	სავალუტო კურსი	ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსი
	მაკრო გარემო	
	ეკონომიკური ზრდა	ეკონომიკური ზრდის ტემპი
	უმუშევრობა	უმუშევრობის დონე
	ინფლაცია	ინფლაციის ტემპი
	სოციალური გარემო	
	სიღარიბე	აბსოლუტური სიღარიბის დონე
	ეკო გარემო	
	გარემოს დაბინძურება	გამოფრქვეული მავნე ნივთიერებები ერთ სულზე

წყარო: ავტორისეული

ცხრილიდან 1.3.3 შეიძლება ითქვას, რომ შესაძლებელია ბიზნეს გარემო დახასიათდეს ერთი, რაიმე ინტეგრირებული მაჩვენებლით, რომელიც ფორმალურად შეიძლება ასე იქნას ასახული:

$$Y_{small} = A_1X_1 + A_2X_2 + \ldots + A_6 X_6 \qquad (1)$$

და

$$Y_{big} = B_1X_1 + B_2X_2 + \ldots + B_6 X_6 \qquad (2)$$

მცირე და დიდი ეკონომიკებისთვის, სადაც X_i i=1 . . . 6 წარმოადგენს ბიზნეს გარემოს მახასიათებლის მნიშვნელობას დროის რომელიღაც მომენტში, ხოლო A_i და B_i წარმოადგენენ კოეფიციენტებს, რომლებიც ასახავენ შესაბამისი მაჩვენებლის როლს ბიზეს გარემოში მცირე და დიდი ეკონომიკებში (იხ. ცხრილი 1.3.4).

ცხრილი 1.3.4. ბიზნეს გარემოს ფაქტორთა კოეფიციენტების სისტემა

		აღნიშვნა	მცირე ეკონომიკის მახასიათებლები	რამდენიმე დიდი ეკონომიკის გაერთიანების მახასიათებლები
	მაკრო გარემო			
1	ეკონომიკური ზრდის ტემპი	X_1	A_1	B_1
2	ინფლაცია	X_2	A_2	B_2
3	უმუშევრობა	X_3	A_3	B_3
	სოციალური გარემო			
4	სიღარიბის დონე	X_4	A_4	B_4
	ეკო გარემო			
10	მავნე ნივთიერებები ერთ სულზე	X_5	A_5	B_5
	გლობალური გარემო			
13	სავალუტო კურსი	X_6	A_6	B_6

წყარო: ავტორისეული

თუ გაჩნდება შესაძლებლობა, გაანგარიშებულ იქნას ეს მაჩვენებლები ორი ეკონომიკური სისტემისთვის, ინტეგრაციის სხვადასხვა ფაზებში, მაშინ შესაძლებელი იქნება თვალყურის მიდევნება იმაზე, ახლოვდებიან თუ არა მოცემული მაჩვენებლები.

ცხრილი 1.3.5. ბიზნეს გარემოს ინტეგრირებული მაჩვენებელი ორი ეკონომიკური სისტემისთვის, ინტეგრაციის სხვადასხვა ფაზებში[1]

	იდეოლოგიის ჩამოყალიბება	იდეის პრომოუშენი	ტექნიკური სამუშაოების განხორციელება	ნაწილობრივი ინტეგრაცია	სრული ფორმალური ინტეგრაცია	სრული ინტეგრაცია
Y_{small}	$Y_{small\ 1}$	$Y_{small\ 2}$	$Y_{small\ 3}$	$Y_{small\ 4}$	$Y_{small\ 5}$	$Y_{small\ 6}$
Y_{big}	$Y_{big\ 1}$	$Y_{big\ 2}$	$Y_{big\ 3}$	$Y_{big\ 4}$	$Y_{big\ 5}$	$Y_{big\ 6}$

წყარო: ავტორისეული

ნახაზი 1 აჩვენებს სიტუაციებს, როდესაც ორი სისტემის ბიზნეს გარემოს ინტეგრირებული მაჩვენებლები ერთმანეთს უახლოვდებიან ან შორდებიან. ნახაზი 1 ა) აჩვენებს რომ მცირე ეკონომიკური სისტემის ბიზნეს გარემოს ინტეგრირებული მაჩვენებელი ნელ-ნელა უახლოვდება რამდენიმე დიდი ეკონომიკისგან შემდგარი სისტემის ბიზნეს გარემოს მაჩვენებელს და საბოლოო ჯამში, სრული ფორმალური ინტეგრაციის / სრული ინტეგრაციის ფაზებში ერწყმის მას.

იქედან გამომდინარე, რომ წინამდებარე კვლევაში ინტეგრაციის პროცესი განიხილება, ცხადია აუცილებელია იმ სიტუაციის განხილვა, როდესაც ინტეგრაციის ფორმალური პროცედურები მიმდინარეობს, ინტეგრირების სურვილს გამოთქვამს ყველა ეკონომიკური აგენტი, თუმცა რეალურად, ინტეგრირება არ ხორციელდება და ორი სისტემა ერთმანეთს კი არ უახლოვდება, არამედ შორდება. ეს ნიშნავს, რომ მცირე ეკონომიკური სისტემის ბიზნეს გარემო კი არ უახლოვდება მსხვილი გაერთიანების ბიზნეს გარემოს, არამედ შორდება. სწორედ ამგვარი სცენარი აარის ასახული ნახაზზე 1 ბ).

[1] ტექნიკური თვალსაზრისით, რეალური მონაცემების ანალიზის დროს ცხრილში მოცემული იქნება არა ინტეგრაციის ფაზები, არამედ წლები, რომლებიც, ცხადია დაჯგუფდება ფაზების მიხედვით (ავტ. შენიშვნა)



ნახ. 1. ორი ეკონომიკური სისტემის ბიზნეს გარემო ინტეგრირების ან ჩაშლილი ინტეგრირების პროცესში

უნდა გავითვალისწინოთ, რომ დიდი და განვითარებული ეკონომიკებისგან შემდგარი ინტეგრირებული ეკონომიკური სისტემა შეიძლება არ არის სრულად ინტეგრირებული და იმყოფება ცხრილში 1.2.4 განხილული ფაზებიდან რომელიმეზე. ეს ნიშნავს, რომ განსახილველია არა მარტო ამ სისტემისადმი მცირე და განვითარებადი ეკონომიკის მიერთების პროცესი, არამედ საკუთრივ დიდი და განვითარებული ეკონომიკებისგან შემდგარი ეკონომიკური სისტემის ინტეგრაციის პროცესი.

ჩვენ განვიხილავთ საქართველოს ინტეგრაციას ევროკავშირში, რომელიც, როგორც ქვემოთ არის ნაჩვენები, ჯერ ჯერობით არ არის გადასული სრული ინტეგრაციის ეტაპზე.

ნახაზი 2 აჩვენებს ამ სიტუაციას - ინტეგრაციის მეორე მონაწილეს, რამდენიმე დიდი ეკონომიკისგან შემდგარ სისტემას, ჯერ კიდევ არ დაუსრულებია ინტეგრირების პროცესი და ინტეგრაციის გარკვეულ ეტაპზე იმყოფება. ეს ნიშნავს, რომ ბიზნეს გარემოს ინტეგრირებული მაჩვენებელი გრაფიკული გამოსახულებით არ წარმოადგენს ჰორიზონტალურ წრფეს, ან მასთან ახლოს მყოფ გრაფიკს (ცხადია ნახაზში 1 ა) და 1 ბ) ჰორიზონტალური წრფე ასევე დაშვებას წარმოადგენს - რეალურად ბიზნეს გარემოს ინტეგრირებული მაჩვენებელი მერყევი იქნება დროში, თუმცა მისი მერყეობა არ იქნება მაღალი, სწორედ ამიტომ იქნა იგი ჩათვლილი უცვლელად).



ნახ. 2. ორი ბიზნეს გარემო ინტეგრირების ან ჩაშლილი ინტეგრირების პროცესში, როცა ამავე დროს რამდენიმე დიდი ეკონომიკისგან შემდგარ ეკონომიკურ სისტემას ჯერ კიდევ არ დაუსრულებია შიდა ინტეგრაცია.

ნახაზი 2 წარმოადგენს საკოორდინატო სიბრტყეს, რომელზეც ქვედა ჰორიზონტალურ ხაზზე გადაზომილია მცირე ეკონომიკური სისტემის დიდთან ინტეგრაციის ფაზები, ხოლო ზედა ჰორიზონტალურ ხაზზე გადაზომილია დიდი ეკონომიკური სისტემის შიდა ინტეგრაციის ფაზები. აქაც, ნახაზი 1-ის მსგავსად, 2 ა) აჩვენებს სიტუაციას, როდესაც ორი ეკონომიკური სისტემის ბიზნეს გარემოს ინტეგრირებული მაჩვენებლები ერთმანეთს უახლოვდებიან, ხოლო 2 ბ) აჩვენებს სიტუაციას როდესაც ინტეგრირებული მაჩვენებლები ერთმანეთს სცილდებიან, რაც ნიშნავს, რომ ორი სისტემა ერთმანეთს კი არ უახლოვდება, არამედ სცილდება.

ნახაზი 2 გულისხმობს პროგნოზის ამოცანის დასმას. მოცემულია ორი ეკონომიკური სისტემის ბიზნეს გარემოს მაჩვენებლების დინამიკა გარკვეული პერიოდის განმავლობაში. საჭიროა გაკეთდეს ორივე სისტემისთვის ცალ-ცალკე ბიზნეს გარემოს მაჩვენებლების შემდგომი განვითარების შესახებ და აღმოჩენილ იქნას წერტილი, მომენტი დროში, როდესაც ეს მაჩვენებლები დაემთხვევა ან მიუახლოვდება ერთმანეთს.

ინტეგრირების პრობლემის ფორმალიზების უფრო ეფექტიანი გადაჭრა არის ტრენდების ანალიზი არა ცალ-ცალკე, არამედ დაცილებათა ანალიზი. ცხრილი 1.3.6. იმეორებს ცხრილს 1.3.5. მაგრამ მასში ჩნდება მესამე სტრიქონი - ორი სისტემის ბიზნეს გარემოს ინტეგრირებულ მაჩვენებელთა სხვაობის აბსოლუტური

მნიშვნელობა. თუ ვიმსჯელებთ ნახ.2 ტერმინოლოგიით, ბიზნეს გარემოს ინტეგრირებული მაჩვენებლები ან უახლოვდება ერთმანეთს, ან სცილდება, ან არავითარ ტრენდს ადგილი არ აქვს, შესაბამისად, თუ ამ მაჩვენებლებს გრაფიკზე გადავიტანთ, შეიძლება სამი შემთხვევა მივიღოთ (იხ. ნახაზი 3):

ცხრილი 12. ბიზნეს გარემოს ინტეგრირებული მაჩვენებელი ორი ეკონომიკური სისტემისთვის, ინტეგრაციის სხვადასხვა ფაზებში[2]

	იდეოლოგიის ჩამოყალიბება	იდეის პრომოუშენი	ტექნიკური სამუშაოების განხორციელება	ნაწილობრივი ინტეგრაცია	სრული ფორმალური ინტეგრაცია	სრული ინტეგრაცია
Y_{small}	$Y_{small\ 1}$	$Y_{small\ 2}$	$Y_{small\ 3}$	$Y_{small\ 4}$	$Y_{small\ 5}$	$Y_{small\ 6}$
Y_{big}	$Y_{big\ 1}$	$Y_{big\ 2}$	$Y_{big\ 3}$	$Y_{big\ 4}$	$Y_{big\ 5}$	$Y_{big\ 6}$
$/ Y_{small} - Y_{big} /$	$/ Y_{small\ 1} - Y_{big\ 1}/$	$/ Y_{small\ 2} - Y_{big\ 2}/$	$/ Y_{small\ 3} - Y_{big\ 3}/$	$/ Y_{small\ 4} - Y_{big\ 4}/$	$/ Y_{small\ 5} - Y_{big\ 5}/$	$/ Y_{small\ 6} - Y_{big\ 6}/$

წყარო: ავტორისეული



ნახ. 3. ბიზნეს გარემოს ინტეგრირებულ მაჩვენებლებს შორის სხვაობის დროში ცვლილების სამი შემთხვევა.

[2] ტექნიკური თვალსაზრისით, რეალური მონაცემების ანალიზის დროს ცხრილში მოცემული იქნება არა ინტეგრაციის ფაზები, არამედ წლები, რომლებიც, ცხადია დაჯგუფდება ფაზების მიხედვით (ავტ. შენიშვნა)

კიდევ ერთი საკითხის გადაჭრა გახდება საჭირო, სანამ თეორიული მოდელის ტექნიკური შესრულების საკითხი იქნება განხილული.

ეს არის „სუსტი წერტილის“ პრობლემა. საქმე ეხება ბიზნეს გარემოს ფაქტორებს, რომლებიც ყველაზე უფრო პრობლემურებს წარმოადგენენ და განაპირობებენ იმას რომ ბიზნეს-გარემოთა ინტეგრირება არ მიმდინარეობს „დამაკმაყოფილებელი“ (ეს ტერმინი ასევე ცალკე განხილვის საგანს წარმოადგენს) ტემპით, ან საერთოდ არ მიმდინარეობს. საკითხის გადაჭრა შეიძლება სხვაობების ანალიზით ექვსივე ფაქტორზე ცალ-ცალკე. ამ შემთხვევაში შეიძლება ინტეგრაციის რისკების სამი ზონის გამოყოფა და რისკების მართვის შესაბამისი ღონისძიებების შემუშავება):

მაღალი რისკის ზონა - როდესაც სტატისტიკური მაჩვენებლები აშკარად ასახავენ მონაცემთა დაცილებას - ეს ნიშნავს რომ ორი სისტემის ბიზნეს გარემოს კონკრეტული ფაქტორები ინტეგრაციაზე კი არა, დეზინტეგრაციაზე მუშაობენ.

დაბალი რისკის ზონა - როდესაც სტატისტიკური მაჩვენებლები ხან სცილდებიან ერთმანეთს, ხანაც უახლოვდებიან - ეს ნიშნავს რომ ორი სისტემის ბიზნეს გარემოს კონკრეტული ფაქტორები ხან ინტეგრაციაზე მუშაობენ, ხან დეზინტეგრაციაზე.

ურისკო ზონა - როდესაც სტატისტიკური მაჩვენებლები ასახავენ მონაცემთა დაახლოებას - ეს ნიშნავს რომ ორი სისტემის ბიზნეს გარემოს კონკრეტული ფაქტორები ინტეგრაციაზე მუშაობენ.

პროგნოზირების ამოცანის გადაჭრა დროითი მწკრივის ანალიზის მეთოდის გამოყენებით მოხდება. სწორედ დროითი მწკრივის ანალიზი წარმოადგენს მეთოდს რომელიც იქნება გამოყენებული პროგნოზირებისთვის მცირე და დიდი ეკონომიკური სისტემების ბიზნეს გარემოს ინტეგრირებული მაჩვენებლების წარსული მნიშვნელობების საფუძველზე. ისინი (1) და (2) ფორმულების მეშვეობით იქნება გაანგარიშებული.

როგორც აღმოჩნდა დროითი მწკრივების სხვადასხვა მოდელების განხილვისას (ლაზრიევა და სხვები, 2000 :539-598) (Lutkepohl, Kratzig, 2004 :8-85) (Yaffee, McGee, 2000 :69-190) (Mills, 2019 :31-70) (Montgomery, Jennings, Kulahci, 2008 :73-170) (Montgomery, Jennings, Kulahci, 2015 :107-232) (Paolella, 2019 :127-184) (გელაშვილი,

2019 :67-110) (Hamilton, 1994 :72-116) (Palma, 2016 :209-266) (Box, Jenkins, Reinsel, Ljung, 2016 :129-176) მარტივი ექსპონენციული მოსწორება სავსებით შეესაბამება კვლევის მიზნებს, რადგან საანალიზო დროითი მწკრივი პრაქტიკულად არ გულისხმობს სეზონურობას და ავტოკორელაციას.

(1) და (2) ფორმულების მეშვეობით გაანგარიშებების განხორციელება შეუძლებელი იქნება, თუ არ იქნება გაანგარიშებული A_i და B_i კოეფიციენტების მნიშვნელობები.

ამ პრობლემის გადაჭრა შესაძლებელია მრავალფაქტორიანი რეგრესული ანალიზის მეშვეობით, რომელიც გულისხმობს რეგრესიის კოეფიციენტების გაანგარიშებას შემდეგი ორი განტოლებისთვის:

$$Y^I_{small} = a_0 + a_1X_1 + a_2X_2 + \ldots + a_6X_6 \qquad (3)$$

და

$$Y^I_{big} = b_0 + b_1X_1 + b_2X_2 + \ldots + b_6X_6 \qquad (4)$$

სადაც Y არის ბიზნეს-სექტორის წარმოების მოცულობა.

მას შემდეგ რაც შეფასებული იქნება a და b კოეფიციენტები, საჭიროა მათი გადაყვანა A და B კოეფიციენტებში. ამ შემთხვევაში a_0 და b_0 უკუგდებული იქნება, როგორც მუდმივები, ხოლო გადაყვანის პროცედურა შემდეგი ფორმულებით იქნება ასახული კოეფიციენტების არსის და a_i და b_i რეგრესიის კოეფიციენტების A_i და B_i კოეფიციენტებად გადაყვანის ალგორითმის დადგენა.

$$A_i = a_i / \Sigma a_i \quad i=1 \ldots 6 \qquad (5)$$

$$B_i = b_i / \Sigma b_i \quad i=1 \ldots 6 \qquad (6)$$

რეგრესული ანალიზის და რეგრესიის კოეფიციენტების (1) და (2) ფორმულების კოეფიციენტებად გადაქცევის შემდეგ შესაძლებელი გახდება გაანგარიშდეს ბიზნეს გარემოს ინტეგრირებული მაჩვენებლების მნიშვნელობები ინტეგრაციის პროცესში მყოფი ორივე ეკონომიკური სისტემისთვის, რაც გააჩენს პროგნოზირებისთვის დროითი მწკრივების მეთოდის გამოყენების შესაძლებლობას.

მნიშვნელოვანია, იმ სპეციფიკური მახასიათებლების გამოყოფა, რომლითაც ხასიათდება ბიზნეს-გადაწყვეტილებები, როდესაც მცირე ეკონომიკური სისტემის ბიზნეს-გარემო ინტეგრირდება მსხვილ, უკვე ინტეგრირებულ ეკონომიკურ სისტემაში. ეს სპეციფიკური მახასიათებლები ქვემოთ მოყვანილ 1.3.7 ცხრილშია წარმოდგენილი.

ცხრილი 1.3.7. მცირე ეკონომიკური სისტემის ბიზნეს-სუბიექტის რეაგირება ბიზნეს-გარემოს პირობების ცვლილებაზე მცირე და მსხვილი ეკონომიკური სისტემების ბიზნეს-გარემოთა ინტეგრირების პროცესში

N	ბიზნეს-გარემო	ფაქტორები	გამოწვევები ბიზნეს-სექტორისთვის	ბიზნეს-გადაწყვეტილებები
1	გლობალური	სავალუტო კურსი	აქტივების, სახელშეკრულებო ურთიერთობის პირობების გადაფასების აუცილებლობა ერთიანი ვალუტის შემოღების პროცესში.	გადაწყვეტილება შიდა და გარე აუდიტორული შეფასების განხორციელების შესახებ. გადაწყვეტილება საფასო პოლიტიკის გადახედვის შესახებ გადაწყვეტილება მიმწოდებლებთან ურთიერთობების გადახედვის შესახებ
2	მაკრო	ეკონომიკური ზრდა	ტექნოლოგიური ჩამორჩენილობა კავშირის ახალი წევრისთვის როგორც მთლიანად ქვეყნის, ისე კონკრეტული ბიზნეს-სუბიექტის დონეზე ზღუდავს განვითარების პერსპექტივებს.	გადაწყვეტილება ახალ ტექნოლოგიებში ინვესტირების შესახებ გადაწყვეტილება საკუთარი კომპანიის ფარგლებში სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების დაფინანსების შესახებ
		უმუშევრობა	ახალი ბიზნეს რეალობა მოითხოვს მაღალი კვალიფიკაციის სამუშაო ძალას, რომელსაც შეეძლება მაღალი ხარისხის პროდუქტის / სერვისის წარმოებაში მონაწილეობის მიღება.	გადაწყვეტილება სახელფასო პოლიტიკის ცვლილების შესახებ გადაწყვეტილება სამუშაო ძალიას კვალიფიკაციის ამაღლების შესახებ გადაწყვეტილება სამუშაოზე მიღების კრიტერიუმების გადახედვის და ცვლილების შესახებ
		ინფლაცია	მიწოდების შოკებით გამოწვეული ინფლაცია.	გადაწყვეტილება დასაქმებულთა რაოდენობის ცვლილების შესახებ გადაწყვეტილება საფასო პოლიტიკის ცვლილების შესახებ გადაწყვეტილება წარმოების მოცულობის ცვლილების შესახებ.
3	მიკრო	კონკურენციის ხარისხი	ბაზრის საერთო მასშტაბი იზრდება, მასზე პროდუქტების / სერვისებისადმი მოთხოვნები იცვლება და კონკურენციის ხარისხი ასევე იზრდება რადგან ახლა მასზე უფრო მსხვილი და ძლიერი მოთამაშეები მოქმედებენ.	გადაწყვეტილება ხარისხის მართვის სისტემის მოდერნიზების შესახებ გადაწყვეტილება პროდუქტის / სერვისის მოდერნიზების შესახებ გადაწყვეტილება გასაღების სტრატეგიის ცვლილების შესახებ
4	სოციალური	სიღარიბე	ინტეგრაციასთან ერთად დგება სამუშაო ძალის დეფიციტის პრობლემა მუშახელის გადინების გამო ახალი კავშირის უფრო მიმზიდველ გეოგრაფიულ რეგიონებში.	გადაწყვეტილება სახელფასო პოლიტიკის შესახებ გადაწყვეტილება ბიზნესის გადანაცვლების შესახებ
		პოლიტიკური მდგომარეობა	დეზინტეგრაციის მომხმრეთა მიერ გამოწვეული პოლიტიკური კრიზისები	გადაწყვეტილება ბიზნესის გადანაცვლების შესახებ გადაწყვეტილება წარმოების მოცულობის ცვლილების შესახებ
5	ეკოლოგიური	გარემოსდაცვითი	ეკო-რეგულაციებს მიღმა უფრო სერიოზული გამოწვევა არის გაცნობიერებული ეკომეგობრულობის ჩამოყალიბება ბიზნეს-სუბიექტების და მათი თანამშრომლების ქცევაში.	გადაწყვეეტილების მიღება ეკო-მეგობრულობის შემოტანის შესახებ კორპორაციულ კულტურაში

წყარო: ავტორისეული

როგორც ჩანს, მცირე და მსხვილი სისტემების ინტეგრირების პროცესში ბიზნეს გარემოს მიერ ბიზნეს სუბიექტისთვის წარმოქმნილი გამოწვევები იმ ჩარჩოში ჯდება, რაც განხილული იყო თავში 1.1. თუმცა არის გარკვეული სპეციფიკური მახასიათებლები - განსაკუთრებით გამოიყოფა ახალ ტექნოლოგიებში და სამუშაო ძალის კვალიფიკაციის ამაღლებაში ინვესტიციების აუცილებლობა, ასევე ხარისხის მართვის სისტემების მოდერნიზება და ეკომეგობრულობის პრინციპის დანერგვა წარმოების პროცესში.

საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ ორი ეკონომიკური სისტემის ბიზნეს გარემოს ინტეგრირების პროცესის აღწერისთვის შეიძლება გამოყენებულ იქნას 6 მაჩვენებელი. თუმცა, შესაძლებელია ბიზნეს გარემოს აღწერა არა 6, არამედ ერთი, ინტეგრირებული მაჩვენებლის მეშვეობით, რომელშიც აღნიშნულ 6 მაჩვენებელს საკუთარი წვლილი შეაქვთ.

ორი ეკონომიკური სისტემის ინტეგრაციის პროცესის ფორმალიზება შემდეგ ნაბიჯებს მოიცავს: 1) მონაცემთა მოგროვება ორი ეკონომიკური სისტემის ბიზნეს გარემოს მაჩვენებლების შესახებ; 2) ბიზნეს გარემოს ფაქტორების და წარმოების მოცულობას შორის დამოკიდებულების შეფასება მრავალფაქტორიანი რეგრესული ანალიზის მეშვეობით; 3) რეგრესიის კოეფიციენტების ტრანსფორმაცია ბიზნეს გარემოს ინტეგრირებული მაჩვენებლის გამოსათვლელი ფორმულისთვის; 4) ორი ეკონომიკური სისტემის ბიზნეს გარემოს ინტეგრირებული მაჩვენებლების ანგარიში და მათ შორის სხვაობების დადგენა წლების მიხედვით; 5) დროით მწკრივების ანალიზის მეთოდიკის გამოყენებას იმის დასდგენად, თუ რამდენად დიდია სხვაობა და როგორ შეიცვლება იგი მომავალში; 6) ორივე ეკონომიკური სისტემის ბიზნეს გარემოს 6 ფაქტორის შედარებითი განხილვა ცალცალკე ინტეგრაციის მაღალი რისკის, დაბალი რისკის და ურისკო ზონების გამოყოფის მიზნით და რისკების მართვის ღონისძიებების შემუშავება.

ინვესტირება ახალ ტექნოლოგიებში, სამუშაო ძალის კვალიფიკაციის ამაღლება, მისი გადინების დაბრკოლება, ხარისხის მართვის სისტემის დანერგვა, ეკომეგობრულობის პრინციპის შემოტანა კომპანიაში - ეს არის ბიზნეს სუბიექტისთვის საკვანძო გამოწვევები, როდესაც მცირე სისტემის ბიზნეს გარემო მსხვილი გაერთიანების ბიზნეს გარემოსთან ინტეგრირდება.

თავი 2. ბიზნეს გარემოს ტრანსფორმაცია საქართველოში ევროკავშირთან ინტეგრირების გზაზე

თავი 2.1. ქართული საწარმოს ბიზნეს-გარემოს წარსული ცვლილებების მიმოხილვა

1.1.-1.3. პარაგრაფებში შემუშავებული თეორიული დებულებების საჭიროებს რეალური მონაცემებით შემოწმებას. იმისთვის რომ ევროკავშირთან ინტეგრირების პროცესში ქართული კომპანიის ბიზნეს-გარემოს ცვლილება აღიწეროს, აუცილებელია ორი ეკონომიკური სისტემის ინტეგრირების აღწერა ეკონომიკური სისტემის ტიპების, განვითარების დონის და ეკონომიკის მასშტაბების მახასიათებლების მიხედვი.

ეკონომიკური სისტემის ტიპი შეიძლება დადგინდეს შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: 1. საკუთრების ტიპი, რომელსაც ეყრდნობა სისტემა; 2. მეწარმეობის და არჩევანის თავისუფლების ხარისხი; 3. პირადი ინტერესის როლი; 4. კონკურენციის როლი; 5. საქონელ-მომსახურების და რესურსების განაწილების მექანიზმი; 6. სახელმწიფოს ჩარევის მასშტაბები ეკონომიკაში. აქედან გამომდინარე შეიძლება დასკვნების გაკეთება ინტეგრაციისადმი სწრაფვის ხარისხის შესახებ ცხრილში 1.1.1. მოცემულ თეორიულ პოსტულატებზე დაყრდნობით.

ცხრილი 2.1.1. აჩვენებს ინტეგრაციის ორი მონაწილის შემჭიდროებულ დახასიათებას

ცხრილი 2.1.1. საქართველოს და ევროკავშირის ეკონომიკური სისტემების ტიპები

N	მახასიათებელი	საქართველო	ევროკავშირი
1	საკუთრების ტიპი, რომელსაც ეყრდნობა სისტემა	კერძო საკუთრებაზე დაფუძნებული, ყოფილი კომუნისტური სისტემა, ძირითადად დასრულებული პრივატიზაციის პროცესით	კერძო საკუთრებაზე დაფუძნებული ეკონომიკური სისტემა, რომელშიც ინტეგრირებულია როგორც ტრადიციულად კერძო საკუთრებაზე დაფუძნებული, ისე ყოფილი კომუნისტური ეკონომიკური სისტემები
2	მეწარმეობისა და არჩევანის თავისუფლების ხარისხი	მეწარმეობის და არჩევანის თავისუფლება გამყარებულია კონსტიტუციით, შესაბამისი კანონმდებლობით და სასამართლო ხელისუფლებით. წარმოებისა და რესურსების განაწილების ადრე არსებული მბრძანებლური სისტემა გამქრალია	ქვეყნები, რომლებიც ევროკავშირის პირველ წევრებს შეადგენდნენ, ტრადიციულად ეყრდნობიან მეწარმეობისა და არჩევანის თავისუფლების პრინციპებს. ყოფილი კომუნისტური ბლოკის ქვეყნები, რომლებიც ევროკავშირში შევიდნენ, უკვე გათავისუფლებული იყვნენ წარმოების და რესურსების განაწილების მბრძანებლური სისტემისგან.
3	პირადი ინტერესის როლი	პირადი ინტერესის როლი აღიარებულია, როგორც სისტემის ერთ-ერთი მამოძრავებელი ძალა, თუმცა ქვეყანა, რომლის ტერიტორიული მთლიანობა არ არის აღდგენილი,	ინდივიდუალიზმი წარმოადგენს ევროგაერთიანების პრაქტიკულად საკვანძო იდეოლოგიურ კომპონენტას

		გარვეკულწილად საზოგადოებრივი, საყოველთაო ინტერესების შესახებ განაცხადების ჩარჩოში ცხოვრობს.	
4	კონკურენციის როლი	კონკურენცია წარმოადგენს ეკონომიკური თამაშის წესს, მაგრამ როგორც არაფორმალური ინსტიტუცია, ჯერ კიდევ ბოლომდე არ არის გამყარებული ეკოომიკურ აგენტთა ცნობიერებაში, რომლებიც ყველა საშუალებით ეძებენ მონოპოლიზაციის შესაძლებლობებს ბაზრების უმეტესობებზე, სადც ეს არის მიღწევადი.	კონკურენცია ამ სისტემის ტრადიციულ არაფორმალურ ინსტიტუციას წარმოადგენს.
5	საქონელ-მომსახურების და რესურსების განაწილების მექანიზმი	ეკონომიკური ურთიერთობები ძირითადად საბაზრო სისტემას ეყრდნობა. ბაზრების და ფასების სისტემა განაპირობებს მომხმარებლის არჩევანს, ეკონომიკური რესურსების დარგებს შორის მოძრაობას, წარმოების მოცულობის განსაზღვრას.	ბაზრების და ფასების სისტემა პრაქტიკლად განაპირობებს ეკონომიკური ურთიერთობების უმეტეს ტიპს.
6	სახელმწიფოს ჩარევის მასშტაბები ეკონომიკაში	მაკროეკონომიკური რეგულირება ეყრდნობა ეროვნული ბანკის პოლიტიკას, რომელიც ნაკლებ-ინტერვენციულია, სახელმწიფო თავზე იღებს ისეთ სოციალურ როლს როგორიცაა საყოველთაო სამედიცინო დაზღვევა,	მაკროეკონომიკური რეგულირება ასევე ეყრდნობა ცენტრალური ბანკის, ძირითადად ნაკლებ-ინტერვენციულ პოლიტიკას, თუმცა სისტმის შემადგენელ წევრ ქვეყნებში საკმაოდ დიდი დოზით არის მიღებული სოციალური უზრუნველყოფის, ზოგჯერ საკმაოდ მასშტაბური პაკეტები.
	დასკვნა	**საბაზრო ეკონომიკისკენ მეტად გადახრილი შერეული ეკონომიკა**	**საბაზროსთან ძალიან ახლოს მდგარი შერეული ეკონომიკა**

წყარო: ავტორისეული

როგორც ჩანს ცხრილიდან 2.1.1., საქართველო, ისევე როგორც ევროკავშირი, წარმოადგენენ საბაზრო პრინციპებზე აგებულ ეკონომიკურ სისტემებს, ერთადერთი მნიშვნელოვანი განსხვავება, რომელიც განსაზღვრავს სწორედ ამ სისტემების პოზიციას პირველ თავში გაკეთებულ კლასიფიკაციაში, არის კონკურენციის ხარისხი. სწორედ კონკურენციის, როგორც არაფორმალური ინსტიტუციის განვითარების ხარისხი განაპირობებს იმას, რომ საქართველო ხასიათდება, როგორც საბაზრო ეკონომიკისკენ მეტად გადახრილი შერეული ეკონომიკა, ხოლო ევროკავშირი საბაზროსთან ძალიან ახლოს მდგარი შერეული ეკონომიკა.

ცხრილი 2.1.2. აჩვენებს, ცხრილში 1.1.1. მოცემული კლასიფიკაციის მიხედვით, რომ საქართველოს და ევროკავშირს შორის ინტეგრაციას აქვს მნიშვნელოვანი პერსპექტივა, რადგან ორივე სისტემა პრინციპში საერთაშორისო გახსნილობით ხასიათდება, სწრაფვა ინტეგრირებისკენ ორივე შემთხვევაში მძლავრია, ხოლო ეკონომიკურ აგენტთა დამოკიდებულება ცვლილებების მიმართ ასევე პოზიტიურია. შესაბამისად, შეიძლება ითქვას რომ არსებობს საკმაოდ მდგრადი საფუძველი საქართველოს ევროკავშირში ინტეგრირებისთვის.

ცხრილი 2.1.2. საქართველოს და ევროკავშირის ეკონომიკური სისტემების მახასიათებლები ცხრილი 1.1.1.-ის პოსტულატების მიხედვით

N	მახასიათებელი	საქართველო **საბაზრო ეკონომიკისკენ მეტად გადახრილი შერეული ეკონომიკა**	ევროკავშირი **საბაზროსთან ძალიან ახლოს მდგარი შერეული ეკონომიკა**
1	სისტემის საერთაშორისო გახსნილობის დონე	მეტწილად ღია	თითქმის აბსოლუტურად ღია
2	სისტემის სწრაფვა ინტეგრირებისკენ	მძლავრი	მძლავრი
3	ეკონომიკურ აგენტთა დამოკიდებულება ცვლილებების მიმართ	მეტწილად დადებითი	დადებითი

წყარო: ავტორისეული

დამატებით ორი მახასიათებელი, რომლებიც საქართველოს ევროკავშირში ინტეგრირების პროცესში ბიზნეს გარემოს ცვლილების აღწერისთვის არის გამოსადეგი, არის ეკონომიკის მასშტაბები და განვითარების დონე. საქართველო არის მცირე და განვითარებადი ეკონომიკა, ხოლო ევროკავშირი რამდენიმე დიდი სუბიექტის გაერთიანებით შექმნილ, მაღალ განვითარებულ ეკონომიკას წარმოადგენს.

ზევით განხილული სამი მახასიათებლის დადგენის შედეგად შეიძლება იმ დასკვნის გაკეთება, რომ საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესი შეიძლება აღიწეროს იმ სამი შემთხვევით, რომლებიც 1.3. პარაგრაფში იქნა განხილული (იხ. შემთხვევები 8, 10 და 3 ცხრილში 2.1.3.), რაც ნიშნავს, რომ საქართველოს ბიზნეს გარემოს ცვლილება ევროკავშირში ინტეგრირების პროცესში შეიძლება აღწერილ იქნას ტერმინით „ადაპტირება“ - ბიზნეს გარემოს მოუწევს იმ მახასიათებლების მიღება, რომელიც მას ინტეგრაციის პროცესში „დახვდება“ მსხვილ, განვითარებული ეკონომიკის მქონე ევროკავშირში. ნაკლებად სავარაუდოა, რომ საქართველოს ბიზნეს გარემოს მახასიათებლები, როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური, რაიმე ფორმით დარჩება ბიზნეს გარემოს ფაქტორებად ინტეგრაციის შემდეგ. საქართველოს ბიზნეს გარემოს ამჟამინდელი პირობები უბრალოდ ტრანსფორმირდება იმ მაჩვენებლებად, რომელსაც ევროკავშირი შესთავაზებს საქართველოს.

ცხრილი 2.1.3. საქართველოს და ევროკავშირის ეკონომიკური სისტემის ტიპები და ინტეგრაციის პროცესის შედეგები

		ევროკავშირი		
		საბაზროსთან ძალიან ახლოს მდგარი შერეული ეკონომიკა	**რამდენიმე დიდი ეკონომიკა**	**განვითარებული ეკონომიკა**
საქართველო	**საბაზრო ეკონომიკისკენ მეტად გადახრილი შერეული ეკონომიკა**	შემთხვევა 8. საქართველოს ბიზნეს გარემო დაემსგავსება ევროკავშირის ბიზნეს გარემოს (ცხრილი 4)		
	მცირე ეკონომიკა		შემთხვევა 10. საქართველოს ეკონომიკის ბიზნეს გარემო განიცდის ადაპტირებას ევროკავშირის ბიზნეს გარემოსადმი (ცხრილი 3)	
	განვითარებადი ეკონომიკა			შემთხვევა 3. საქართველოს ქვეყნის ეკონომიკა განიცდის ადაპტირებას ევროკავშირის ეკონომიკის მიმართ. (ცხრილი 5)

წყარო: ავტორისეული

ანალიზის შემდეგ ეტაპზე საჭიროა აღიწეროს საქართველოს ევროკავშირთან მიერთების პროცესი, რათა განისაზღვროს წლების მიხედვით, რა ფაზები იქნა უკვე გავლილი და ამჟამად რომელ ფაზაზე იმყოფება ინტეგრაციის პროცესი.

საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების მნიშვნელოვანი მოვლენების ქრონოლოგია, რომელიც აღებულ იქნა საქართველოს საგარეო სამინისტროს ვებ-გვერდიდან, აჩვენებს, რომ იდეოლოგიის ჩამოყალიბების ფაზად შეიძლება ავიღოთ საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების წლები, ხოლო ამჟამინდელი ფაზა შეიძლება აღიწეროს, როგორც მეოთხე, ნაწილობრივი ინტეგრაციის ფაზა. (საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, 2021 :1). ვებ-გვერდიდან აღებული ინფორმაცია დაედო საფუძვლად ცხრილი 2.1.4.-ის შემუშავებას.

როგორც ჩანს, ამჟამად საქართველო ევროკავშირთან ნაწილობრივი ინტეგრაციის ეტაპზე იმყოფება. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ იდეოლოგიის ჩამოყალიბებისა და პრომოუშენის ფაზა პრაქტიკულად არ არის მკაფიოდ გამოკვეთილი. საქართველოს სწრაფვას ევროკავშირისკენ (ევროპისკენ) არ დასჭირვებია რაიმე განსაკუთრებული იდეოლოგიური სამუშაოს ჩატარება, რადგან

ამგვარი სწრაფვა ბუნებრივად იყო საქართველოს ისტორიული (როგორც ადრეული, ისე უახლესი) მახასიათებელი. სწორედ ამის გამოა, რომ პირველი და მეორე ფაზები, პრინციპში პირობითია.

ცხრილი 2.1.4. საქართველო ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესში

		ფაზა 1 იდეოლოგიის ჩამოყალიბება	ფაზა 2 იდეის პრომოუშენი	ფაზა 3 ტექნიკური სამუშაოების განხორციელება	ფაზა 4 ნაწილობრივი ინტეგრაცია	ფაზა 5 სრული ფორმალური ინტეგრაცია	ფაზა 6 სრული ინტეგრაცია
	წლები	1991-1994	1995-1998	1999-2013	2014-დღემდე	-	-
	ინტეგრაციის მიმდინარეობა	ევროკავშირმა დაიწყო საქართველოსთან ურთიერთობა დამოუკიდებლობის აღდგენისთანავე. 1992 წელს საქართველოში ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროგრამა დაიწყო.	საქართველომ დაიწყო ევროკავშირის სავაჭრო პრეფერენციათა განზოგადებული სისტემით სარგებლობა 1996 წელს ხელი მოეწერა ევროკავშირს და საქართველოს შორის პარტნიორობის და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას.	1999 წლიდან შეიქმნა საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის ინსტიტუტები. 2004 წელს საქართველო ჩაერთო ევროპულ სამეზობლო პოლიტიკაში. 2009 წელს საქართველო ჩაერთო „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ ინიციატივაში. 2010 წელს დაიწყო მოლაპარაკებები „ასოცირების შეთანხმებაზე“	2014 წელს ხელი მოეწერა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმებას. 2016 წელს შეთანხმება ძალაში შევიდა. 2017 წელს მიღებულ იქნა ასოცირების განახლებული დღის წესრიგი 2017-2020 წლებისთვის		

წყარო: საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრაოს ვებ-გვერდი. www.mfa.gov.ge/ევროპული-და-ევრო-ატლანტიკური-ინტეგრაცია/საქართველო-ევროკავშირი.aspx

ამავე დროს, მნიშვნელოვანია იმის გათვითცნობიერება, ინტეგრაციის რომელ ფაზაზე იმყოფება საკუთრივ ევროკავშირი. როგორც ჩანს, ისტორიულად ეს საკმაოდ ხანგრძლივი, წინააღმდეგობებით, ინტეგრაციის შენელებითა და დაჩქარებით შედგენილი პროცესია (Baldwin, Wyplosz, 2009 :3-46) (დევიძე, მირიანაშვილი, 2019 :7-14). ცხრილი 2.1.5. მოკლედ აჩვენებს ინტეგრაციის მიმდინარეობას წლების და ფაზების მიხედვით. როგორც ჩანს ევროინტეგრაცია პრინციპში ბოლო, სრული ინტეგრაციის ფაზაზე იმყოფება, როდესაც არის დაწყებული ყველაზე რთული ელემენტი ინტეგრაციისა - არაფორმალური ინსტიტუტების შერწყმა.

ცხრილი 2.1.5. ევროკავშირის ინტეგრაციის პროცესი

		ფაზა 1 იდეოლოგიის ჩამოყალიბება	ფაზა 2 იდეის პრომოუშენი	ფაზა 3 ტექნიკური სამუშაოების განხორციელება	ფაზა 4 ნაწილობრივი ინტეგრაცია	ფაზა 5 სრული ფორმალური ინტეგრაცია	ფაზა 6 სრული ინტეგრაცია
	წლები	1920-იანი წლები	1940-იანი წლების შუაგული	1948-1986	1986-1991	1992-დღემდე	-
	ინტეგრაციის მიმდინარეობა	რიჩარდ კარლეგი და პანევროპული მოძრაობა	უინსტონ ჩერჩილი და ინიციატივა „ევროპის გაერთიანებული შტატები“ რობერტ შუმანი და ქვანახშირის და ფოლადის ინდუსტრიების გაერთიანების იდეა	1948 OEEC (ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია) შექმნა 1949 ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს შექმნა 1949 ევროპის საბჭოს შექმნა 1950 ევროპის საგადამხდელო კავშირის შექმნა 1950 ადამიანთა უფლებების სასამართლოს შექმნა 1952 ECSC (ქვანახშირის და ფოლადის ევროპული გაერთიანება) შექმნა 1957 EEC (ევროპული ეკონომიკური გაერთიანება) და Euroatom (ატომური ენერგიის ევროპული გაერთიანება) დაფუძნება 1960 საბაჟო კავშირის და EFTA (ევროპული თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის) დაფუძნება 1965 ე.წ. შერწყმის შესახებ ხელშეკრულება 1973-1986 ევროპესიმიზმის პერიოდი	1986 ერთიანი ევროპული აქტი ევროპული გაერთიანების შიდა ბაზრის დაფუძნების შესახებ	1992 ევროპის კავშირის შესახებ მაასტრიხტის ხელშეკრულება 1997 ამსტერდამის ხელშეკრულება 2000 ევროპის კავშირის ძირითად უფლებათა ქარტია 2001 ნიცას ხელშეკრულება 2004 ევროპული კონსტიტუცია 2007 ე.წ. „რეფორმის“ (ლისაბონის) ხელშეკრულება	

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ სხვადასხვა წყაროების გადამუშავების შედეგად.

როგორც ჩანს ცხრილებიდან 2.1.4 და 2.1.5, პერიოდი 1992 წლიდან დღემდე სწორედ ის პერიოდია, როდესაც ევროკავშირი სრული ფორმალური ინტეგრაციის ფაზაში გადავიდა, ამავე დროს ეს არის დამოუკიდებელ საქართველოსთან

ურთიერთობების დამყარების პერიოდი. ამდენად, ანალიზის მიზნისთვის სწორედ ამ პერიოდის მახასიათებლები გამოდგება.

მას შემდეგ, რაც გაირკვა, ინტეგრაციის რომელ ფაზებზე იმყოფებიან საქართველო და ევროკავშირი, საჭიროა დავადგინოთ კოეფიციენტების მნიშვნელობა ბიზნეს გარემოს ინტეგრირებული განტოლებებისთვის ცალ-ცალკე საქართველოსთვის და ევროკავშირისთვის. როგორც უკვე აღინიშნა თავში 1.3., ამისთვის გამოყენებული იქნება შემდეგი ტექნოლოგია:

ცხრილი 2.1.6. ინფორმაცია საქართველოს ბიზნეს-გარემოს მაჩვენებლების შესახებ 2002-2020წწ.

წელი	**გამოშვებული პროდუქცია, მლნ ლარი**	ეკონომიკური ზრდა	ინფლაცია	უმუშევრობა	აბსოლუტური სიღარიბე	გამოფრქვეული მავნე ნივთიერებები ერთ სულზე	ეროვნული ვალუტის ღირებულება დოლარში
	Y	X_1	X_2	X_3	X_4	X_5	X_6
2002	7000	110	105,6	12,6	24	0,056547992	0,455705432
2003	7100	111,1	104,8	11,5	24	0,047127944	0,46600494
2004	7200	105,9	105,7	12,6	24	0,055793991	0,521648409
2005	7300	109,6	108,2	13,8	24,1	0,069006893	0,551663265
2006	7412,6	109,4	109,2	13,6	23,3	0,072968107	0,562841222
2007	9645,4	112,3	109,2	13,3	21,3	0,083275234	0,598551505
2008	10248,4	102,3	110	16,5	22,1	0,087379145	0,671050866
2009	11003,1	96,2	101,7	16,9	21	0,097022721	0,598623167
2010	13303,7	106,3	107,1	16,3	22,7	0,17390389	0,560978346
2011	19239,9	107,2	108,5	15,1	23	0,191832733	0,59311981
2012	23096	106,2	99,1	15	22,4	0,213917043	0,60558348
2013	23553,6	103,3	99,5	14,6	21,4	0,229130809	0,601178309
2014	26068,6	104,6	103,1	23	23,5	0,252522263	0,566283482
2015	29993,9	102,9	104	21,9	21,6	0,215535076	0,440489825
2016	34156,9	102,8	102,1	21,7	22	0,20718232	0,42252926
2017	38206,8	104,8	106	21,6	21,9	0,223057106	0,398628717
2018	41649,2	104,8	102,6	19,2	20,1	0,234743672	0,394555139
2019	47494,7	105	104,9	17,6	19,5	0,276245468	0,354710556

წყარო: [საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2020 : 1-286] [საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2019 : 1-290]

1. აღებული იქნება 6 ფაქტორის მაჩვენებელი საქართველოსთვის ბოლო რამდენიმე ათეული წლის მანძილზე და ამავე პერიოდში წარმოების საერთო მოცულობა. ეს შესაძლებლობას მოგვცემს მრავალფაქტორიანი რეგრესული ანალიზის საფუძველზე გაკეთდეს ყოველი ფაქტორის წვლილის შეფასება წარმოების საერთო მოცულობაში. შემდეგ იგივე გაკეთდება ევროკავშირისთვის. ინფორმაცია საქართველოსთვის და ევროკავშირისთვის ამ ფაქტორებთან დაკავშირებით მოცემულია ცხრილებში 2.1.6 და 2.1.7:

ცხრილი 2.1.7. ინფორმაცია ევროკავშირის ბიზნეს-გარემოს მაჩვენებლების შესახებ 2002-2020წწ.

წელი	**გამოშვებული პროდუქცია, მლნ ევრო**	ეკონომიკური ზრდა	ინფლაცია	უმუშევრობა	აბსოლუტური სიღარიბე	გამოფრქვეული მავნე ნივთიერებები ერთ სულზე	ეროვნული ვალუტის ღირებულება დოლარში
	Y	X_1	X_2	X_3	X_4	X_5	X_6
2002	7672027,1	1,1	2,1	9,6	23,1	10,64117017	0,9456
2003	7874663,8	0,9	2	9,7	23,2	10,8029557	1,1312
2004	8227884	2,5	2	9,9	23,3	10,78907168	1,2439
2005	8558159,5	1,9	2,2	9,6	23,4	10,69745714	1,2441
2006	9029986,4	3,5	2,2	8,6	23,5	10,66106742	1,2556
2007	9591383	3,1	2,3	7,5	23,6	10,55385467	1,3705
2008	9940784	0,6	3,7	7,2	23,7	10,30265948	1,4708
2009	9531898,1	-4,3	1	9,1	23,8	9,535984279	1,3948
2010	9848077,5	2,2	2,1	9,8	23,9	9,731530681	1,3257
2011	10145922,5	1,8	3,1	9,9	24,5	9,495736279	1,392
2012	10205622,2	-0,7	2,6	10,8	24,9	9,301678254	1,2848
2013	10320110,4	0	1,5	11,4	24,6	9,098534939	1,3281
2014	10554133,6	1,6	0,6	10,9	24,5	8,761839263	1,3285
2015	10934725,7	2,3	0,1	10,1	23,8	8,873106654	1,1095
2016	11229665,9	2	0,2	9,1	23,7	8,86207964	1,1069
2017	11686707,5	2,8	1,7	8,2	22,5	8,925789861	1,1297
2018	12080661,8	2,1	1,9	7,3	21,6	8,72482451	1,181
2019	12482569,4	1,6	1,5	6,7	20,9	8,719979572	1,1195

წყარო: Eurostat.

რეგრესული ანალიზი განხორციელდა IBM SPSS პროგრამული პაკეტის გამოყენებით. ანალიზის შედეგად მიღებული რეგრესიის განტოლებები საქართველოსთვის და ევროკავშირისთვის ქვემოთაა მოყვანილი:

საქართველოსთვის:

$$Y^I_{small} = 74769,479 - 5,948X_1 + 117,066X_2 + 294,364X_3 - 2169,56X_4 + 99603,962X_5 - 51815,98X_6 \quad (7)$$

ევროკავშირისთვის

$$Y^I_{big} = 27671595,7 + 130002,239X_1 + 82843,844X_2 - 319548,498X_3 - 39277,764X_4 - 1607272,893X_5 + 1151182,985X_6 \quad (8)$$

აუცილებელია (7) და (8) განტოლების ერთი სპეციფიკური თავისებურება იქნას აღნიშნული. წარმოების მოცულობას განაპირობებს ისეთი ელემენტები, როგორიცაა წარმოების ფაქტორები და გამოყენებული ტექნოლოგიები. ამდენად, სავსებით მოსალოდნელია, რომ (7) და (8) განტოლებაში თავისუფალი წევრი საკმაოდ დიდ რიცხვს წარმოადგენს.

2. (5) და (6) ფორმულების შესაბამისად მოხდა რეგრესიის კოეფიციენტების ტრანსფორმაცია, რათა მიღებულ ყოფილიყო კოეფიციენტები ბიზნეს-გარემოს ინტეგრირებული მაჩვენებლის განტოლებებისთვის (1) და (2). ეს ინფორმაცია წარმოდგენილია ცხრილში 2.1.8.

ცხრილი 2.1.8. რეგრესიის კოეფიციენტების ტრანსფორმაცია

მაჩვენებელი	რეგრესიის კოეფიციენტები საქართველოსთვის	ბიზნეს გარემოს განტოლების კოეფიციენტები საქართველოსთვის	რეგრესიის კოეფიციენტები ევროკავშირისთვის	ბიზნეს გარემოს განტოლების კოეფიციენტები ევროკავშირისთვის
X_1	5,948	0,00004	130002,239	0,03904
X_2	117,066	0,00076	82843,844	0,02488
X_3	294,364	0,00191	319548,498	0,09596
X_4	2169,56	0,01409	39277,764	0,01179
X_5	99603,962	0,64675	1607272,893	0,48265
X_6	51815,98	0,33645	1151182,985	0,34569

წყარო: ავტორისეული

შესაბამისად ბიზნეს გარემოს ინტეგრირებულ მაჩვენებლებს შემდეგი ფორმულით მოუწევს ანგარიში:

საქართველოსთვის:

$$Y_{small} = -0,00005X_1 + 0,00076X_2 + 0,00191X_3 - 0,01409X_4 + 0,64675X_5 - 0,33645X_6 \quad (9)$$

ევროკავშირისთვის

$$Y_{big} = 0,03904X_1 + 0,02488X_2 - 0,09596X_3 - 0,01179X_4 - 0,48265X_5 + 0,34569X_6 \quad (10)$$

3. ბიზნეს-გარემოს ინტეგრირებული მაჩვენებლების ანგარიში წლების მიხედვით საქართველოსთვის და ევროკავშირისთვის 2002-2019 წლებისთვის, ასევე მათ შორის სხვაობის მოდული წარმოდგენილია ცხრილში 2.1.9.

ცხრილი 2.1.9. ბიზნეს-გარემოს ინტეგრირებული მაჩვენებლები და მათ შორის სხვაობის მოდული

წელი	$Y_{Georgia}$	$Y_{European\ Union}$	$/ Y_{Georgia} - Y_{European\ Union} /$
2002	-0,4269	-5,9075	5,4806
2003	-0,4392	-5,9425	5,5033
2004	-0,4493	-5,8547	5,4054
2005	-0,4482	-5,8013	5,3530
2006	-0,4378	-5,6225	5,1847
2007	-0,4156	-5,4398	5,0242
2008	-0,4415	-5,3191	4,8775
2009	-0,4008	-5,4172	5,0165
2010	-0,3597	-5,3227	4,9630
2011	-0,3645	-5,1934	4,8290
2012	-0,3532	-5,3379	4,9847
2013	-0,3281	-5,2790	4,9509
2014	-0,3121	-5,0271	4,7150
2015	-0,2683	-5,0566	4,7883
2016	-0,2751	-4,9643	4,6892
2017	-0,2527	-4,8181	4,5654
2018	-0,2256	-4,6287	4,4032
2019	-0,1782	-4,6113	4,4331

წყარო: ავტორისეული

ნახ. 4-ზე ნათლად ჩანს რომ საქართველოს და ევროკავშირის ბიზნეს-გარემოს ინტეგრირებულ მაჩვენებლებს შორის განსხვავება თანდათან მცირდება. ისინი ერთმანეთს ნელი ტემპით, მაგრამ მაინც უახლოვდებიან.



ნახ. 4. ბიზნეს-გარემოს ინტეგრირებული მაჩვენებლების სხვაობის მოდული

მნიშვნელოვანია გამოწვევები, რომლებიც ქართული ბიზნეს-სუბიექტისთვის დგება ევროკავშირთან ინტეგრირების პროცესში. 1.1.3 და 1.3.7 ცხრილებში მოყვანილი თეორიული დებულებების საფუძველზე შედგა სადისკუსიო გეგმა, რომლის საფუძველზეც განხორციელდა 20 ჩაღრმავებული ინტერვიუ ქართული ბიზნეს სექტორის სხვადასხვა წარმომადგენელთან.

ინტერვიუსთვის შერჩეულ იქა ნახევრად-სტრუქტურირებული სადისკუსიო გეგმა, რომელიც წარმოდგენილია ცხრილში 2.1.10.

ცხრილი 2.1.10. სადისკუსიო გეგმა ჩაღრმავებული ინტერვიუსთვის

	სადისკუსიო თემა	ქვე-თემები სადისკუსიო თემისთვის	ინტერვიუს დროითი განრიგი
1	შესავალი	კომპანიის მოკლე დახასიათება. კომპანიის წარმომადგენლის პოზიცია, გამოცდილება, განათლება.	5წთ
2	ევროკავშირი, როგორც შესაძლებლობები, კომპანიისთვის	ევროკავშირთან ინტეგრაციის შედეგად გაჩენილი შესაძლებლობები, რომლებიც უკვე გამოიყენა კომპანიამ. ევროკავშირთან ინტეგრაციის შედეგად გაჩენილი შესაძლებლობები, რომელთა გამოყენებასაც გეგმავს კომპანია.	20წთ
3	ევრო, როგორც	რა როლი უჭირავს ევროს ამჟამად კომპანიის ოპერაციებში.	15წთ

	საოპერაციო ვალუტა	რამდენად არის ხელმისაწვდომი ევრო ახლა, როგორც ფინანსური რესურსი, რამდენად აბრკოლებს მისი კურსის ცვლილება კომპანიის ევრო-პარტნიორებთან ურთიერთობაში. რამდენად ხელმისაწვდომი იქნება ევრო კომპანიისთვის, როგორც ფინანსური რესურსი, ევროკავშირთან ინტეგრაციის სამომავლო ეტაპზე. რა საფრთხეები ან შესაძლებლობები მოიტანამ ევროს ლართან კურსის ცვლილებამ კომპანიისთვის.	
4	გამოყენებული ტექნოლოგიები და ინვესტიციების საკითხი	ევროკავშირთან დაახლოების პროცესში ახალ ტექნოლოგიებში ინვესტირების გაჩენილი აუცილებლობა კომპანიის მიერ ახლა გამოყენებული ტექნოლოგიების დონე და მათი შესაბამისობა ევროკონკურენტების მიერ გამოყენებულ ტექნოლოგიებთან ახალ ტექნოლოგიებში კომპანიის საინვესტიციო გეგმები, როგორც რეაქცია ევროკავშირთან დაახლოების პროცესში გაჩენილ აუცილებლობაზე	15წთ
5	დასაქმებულთა კვალიფიკაციის საკითხი	ცვლილება მოთხოვნებში დასაქმებულთა მიმართ, რომელიც აუცილებელი გახდა როცა კომპანიამ დაიწყო / გეგმავს დაიწყოს იმ შესაძლებლობების გამოყენება, რომელიც ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესში გაჩნდა. ცვლილებები კომპანიის მენეჯმენტის სტრუქტურაში რომელიც აუცილებელი გახდა როცა კომპანიამ დაიწყო / გეგმავს დაიწყოს იმ შესაძლებლობების გამოყენება, რომელიც ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესში გაჩნდა.	15წთ
6	ფასების ცვლილება	შესაძლებლობები და საფრთხეები რომლებიც გჩნდა ევროკავშირთან ინტეგრირების პროცესში საბოლოო და შუალედურ პროდუქტებსა და სერვისებზე ფასების ცვლილების გამო და სტრატეგიები რომლითაც კომპანიამ მოახერხა ამ საფრთხეები მართვა.	15წთ
7	კონკურენტულ ბრძოლაში მონაწილეობა	კონკურენცია, რომლის წინაშე დადგა კომპანია, საკუთარი პროდუქტის / სერვისის ევროკავშირის ქვეყნებში გასაღების პროცესში ან რომელსაც ელოდება მომავალში პროდუქტის /სერვისის შეტანის დროს. კომპანიის გამოყენებული და სამომავლო კონკურენტული სტრატეგია.	15წთ
8	კადრების დეფიციტის და გადინების საკითხი	პრობლემები კვალიფიციური კადრების გადინებასთან დაკარგვასთან / არ არსებობასთან დაკავშირებით, რაც შეიქმნა ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესში კადრების გადინების გამო, ან ერვო-ბაზრებზე კონკურენციისთვის აუცილებელი მაღალკვალიფიციური პერსონალის საჭიროების გამო.	15წთ
9	პოლიტიკური დაძაბულობა საქართველოში	პრობლემები რომლებიც შეექმნა კომპანიას ევროპარტნიორებთან საქართველოში პოლიტიკური დაძაბულობის გამო. პრობლემები რომლებიც შეექმნა კომპანიას ევროკავშირთა ინტეგრაციის პროცესში გაჩენილი შესაძლებლობების გამოყენებისას ევროკავშირის ქვეყნებში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების გამო.	20წთ
10	წარმოების და თანამშრომლების ეკომეგობრულობის ხარისხი	წარმოებული პროდუქტის / სერვისის ხარისხობრივი / თვისებრივი ცვლილებები, ასევე გამოყენებული ტექნოლოგიების ცვლილებები, რომელთა აუცილებლობა დადგა კომპანიის წინაშე, ევროკავშირთან ინტეგაციის პროცესში გაჩენილი შესაძლებლობების გამოყენების დროს, გამომდინარე საქონლის ხარისხის, უვნებლობის, ეკოლოგიური რეგულაციებიდან, რომლებიც მოქმედებენ ევროკავშირში და დაიწყეს მოქმედება საქართველოში. ასევე ამ ცვლილებების განხორციელების გეგმები.	20წთ
11	დაბრკოლებები ევროკავშირის როგორც შესაძლებლობის,	პრობლემები და საფრთხეები, რომლებიც ახლდა კომპანიის მიერ ევროკავშირთან ინტეგრაციის შედეგად გაჩენილი შესაძლებლობების გამოყენებას და მათი მართვის პროცესი.	20წთ

	გამოყენების გზაზე	პრობლემები და საფრთხეები, რომლებიც მოსალოდნელია წარმოიშვას კომპანიის მიერ ევროკავშირთან ინტეგრაციის შედეგად გაჩენილი შესაძლებლობების გამოყენების პროცესში და მათი მართვის გეგმები.	
12	დასკვნა	ევროინტეგრაციის მიმართ კომპანიის / რესპოდენტის დამოკიდებულების შეჯამება: გაჩენილი შესაძლებლობები და მათი ათვისების დონე კომპანიაში, მთავარი პრობლემები, დაბრკოლებები, საფრთხეები და მათი მართვა.	5წთ
	ჯამი		3სთ

წყარო: ავტორისეული

ჩაღრმავებული ინტერვიუს შედეგები ღია ღერძულა და შერჩევითი კოდირების სქემაში ქვემოთ არის მოცემული:

ცხრილი 2.1.11. ღია, ღერძულა და შერჩევითი კოდირება

ღია კოდები	ღერძულა კოდირება	შერჩევითი კოდირება
• ბიო-პროდუქტი • აგრო-სამრეწველო პროდუქტი • ღვინო • პარტნიორი-ინვესტორი • პარტნიორი-გამსაღებელი • ქართულ პროდუქტს არ იცნობენ • საქართველოს როგორც მრეწველობის ქვეყანას არ იცნობენ • უნდობლობა • მკაცრი მოთხოვნები პროდუქტის მიმართ • წარმოების სიძვირე • მკაცრი მოთხოვნები წარმოების პროცესის მიმართ • ძალიან დიდი ხარჯები ბაზრის შესწავლაზე • ძალიან დიდი ხარჯები რეკლამაზე • ქართული დიასპორა • მართვის შეუძლებლობა ადგილზე ყოფნის გარეშე • გასაღების სქემაში მოხვედრის სირთულე და დიდი ხარჯები • უცხოელი სპეციალისტი - მაღალი ხელფასი • ტრენინგები • საინჟინრო-ტექნიკური პერსონალის დეფიციტი • ექსპორტის საკითხებზე კონსულტაციის აუცილებლობა • ჩამოყალიბებული კონტაქტები ევროპულ ბაზრებზე რომლებშიც ჩაჯდომა ძნელია • ბევრი წვრილმანი ფორმალობა, რომელსაც შეიძლება მნიშვნელობა არ მიანიჭო მაგრამ საქონლის შეტანას და გასაღებას აფერხებს • ძირითადად განიხილავენ საქართველოს როგორც ტურისტულ ადგილს • ისეთი შუალედური პროდუქტები რომლებიც სჭირდება საქონელს ექსპორტისთვის მაგრამ საქართველოში არ იწარმოება (შეფუთვა). • წარმოების არასაკმარისი მასშტაბები • ერთობლივი მოქმედება	**ფენომენი:** ექსპორტი ამ ეტაპზე მხოლოდ ძალების, ბაზრების მოსინჯვაა და არ წარმოადგენს კომპანიის ოპერაციების ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილს. **მიზეზები:** ბაზრის არ ცოდნა ან დიდი ხარჯების აუცილებლობა ბაზრის შესწავლაზე, ასევე პრომოუშენის სტრატეგიის განხორციელებაზე, მასობრივი წარმოების ტექნოლოგიებში ინვესტირების და ერთეულ პროდუქციაზე დაბალი დანახარჯების მიღწევის აუცილებლობა **შედეგები:** საექსპორტო ძალისხმევა ძირითადად მცირე წარმატებით მთავრდება, წარუმატებლად, ან საერთოდ არი მიდის საკუთრივ საექსპორტო პროცედურების დაწყებამდე და ფორმალობების შესრულების ეტაპზე ჩერდება. **სტრატეგიები:** ქართული დიასპორის გამოყენება. ერთობლივი მოქმედების გამოყენება. ადგილზე წარმომადგენლობის გახსნა. **კონტექსტი:** საქართველოს როგორც სამრეწველო ქვეყანას ევროპულ ბაზრებზე არ იცნობენ რაც უნდობლობას აჩენს ინდუსტრიული, კომერციული და საინვესტიციო პარტნიორობის ჩამოყალიბების მცდელობის დროს. **ხელისშემშლელი და / ან ხელისშემწყობი გარემოებები:** მრავალი წვრილმანი ფორმალური პროცედურა. ჩამოყალიბებული კავშირები რომლებც ახალი სუბიექტისთვის ადგილის მოპოვებას ართულებენ.	ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესი აჩენს შესაძლებლობებს საქართველოს ბიზნეს-სექტორისთვის, რომელიც ძალების მოსინჯვას ცდილობს ახალ ბაზრებზე სამოქმედოდ იმ ფონზე, როცა წარმოება შედარებით ძვირი ჯდება, ხოლო ევროპულ ბაზრებზე საქართველოს ნაკლებად იცნობენ როგორც ინდუსტრიულ ქვეყანას და შესაბამისად უნდობლობით ეკიდებიან საქმიან წინადადებებს ამ ქვეყნიდან.

წყარო: ავტორისეული

ჩაღრმავებული ინტერვიუების განხორციელების შედეგად ჩამოყალიბდა ძირითადი გამოწვევები ბიზნეს-სექტორისთვის საქართველოში და ბიზნეს-გადაწყვეტილებები რომლებიც მიღებულ იქნა კომპანიების მხრიდან ამ გამოწვევებზე საპასუხოდ. ცხრილი 2.1.12. წარმოადგენს ცხრილის 1.3.7. განვითარებას, რომელშიც ამგვარი გამოწვევები და შესაბამისი გადაწყვეტილებები თეორიულად იყო განხილული. აქვე გამოჩნდა, კვლევის დასაწყისში ჩამოყალიბებული ჰიპოთეზის შესაბამისად, რომ საწარმოებისთვის საკვანძო პრობლემას ევროკავშირში მუშაობისთვის პროდუქციის ერთეულზე დაბალი დანახარჯების მიღწევა, კვალიფიციურ რესურსებზე და თანამედროვე ტექნოლოგიებზე შეზღუდული წვდომა წარმოადგენს.

ცხრილი 2.1.12. ბიზნეს-სუბიექტის რეაგირება ბიზნეს-გარემოს პირობების ცვლილებაზე

N	ბიზნეს-გარემო	ფაქტორები	გამოწვევები ბიზნეს-სექტორისთვის	ბიზნეს-გადაწყვეტილებები
1	გლობალური	სავალუტო კურსი	ევროს ყოველი გაძვირება ქმნის ექსპორტის შესაძლებლობას კომპანიისთვის თუმცა აძვირებს ევროპულ ბაზრებზე განსახორციელებელი პრომოუშენის ღირებულებას, ასევე წარმოების ტექნიკური გადაიარაღების ღირებულებას.	კომპანიები ცდილობენ ჩაანაცვლონ საჭირო შუალედური საქონელ-მომსახურების, კაპიტალური აქტივების, საპრომოუშენო მასალების მომწოდებლები ადგილობრივით ან სხვა საერთაშორისო მიმწოდებლებით. კომპანიები არჩევენ შეამცირონ საექსპორტო ოპერაციები ან პაუზას იღებენ.
2	მაკრო	ეკონომიკური ზრდა	ევროპული ბაზრები მცირე მაგრამ მდგრადი ტემპებით იზრდებიან, რაც კომპანიისთვის ნიშნავს ნიშის მოძებნის შესაძლებლობებს, მაგრამ კონკურენტული გარემო მოითხოვს პროდუქციის ერთეულზე ხარჯების მინიმიზირებას, რაც თავის მხრივ მასობრივი წარმოების ტექნოლოგიებში ინვესტირებას მოითხოვს.	კომპანიები ცდილობენ ძალების გაერთიანებას ან/და საერთაშორისო პარტნიორის მოძებნას რათა მასობრივი წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიებში ინვესტირებისთვის საჭირო ფინანსურ რესურსებზე გაუჩნდეთ წვდომა. კომპანიები არჩევენ შეამცირონ საექსპორტო ოპერაციები ან პაუზას იღებენ.
		უმუშევრობა	კომპანიები ხედავენ კვალიფიკაციური თანამშრომლების აუცილებლობას, განსაკუთრებით პროდუქტის შემუშავების და გასაღების სფეროში, რომელთაც შეეძლებათ ეფექტიანად მართონ ევროპულ ბაზრებზე გასაღების პროცესი, მაგრამ ხშირად ვერ ახერხებენ შესაბამისი კვალიფიკაციის პერსონალის დაქირავებას.	კომპანიები არჩევენ უცხოელი, ან საერთაშორისო გამოცდილების მქონე სპეციალისტის მოწვევას რომელსაც მაღალ ანაზღაურებას აძლევენ. კომპანიები მიმართავენ პრესტიჟულ უნივერსიტეტებს და ჯერ კიდევ სტუდენტები აჰყავთ სამუშაოზე.
		ინფლაცია	სავალუტო კურსის ცვლილებით გამოწვეული იმპორტირებული ინფლაციის გარდა კომპანია ხვდება ლოგისტიკური სერვისების გაძვირებას, განსაკუთრებით პანდემიის პირობებში.	კომპანიები აგრძელებენ საექსპორტო ოპერაციებს და უარს ამბობენ მოგების ნაწილზე ბაზრის შენარჩუნების მიზნით თუმცა ამცირებენ ოპერაციების მასშტაბებს ან პაუზას იღებენ.
3	მიკრო	კონკურენციის ხარისხი	ევროპული ბიზნეს-სივრცე კომპანიას მრავალ ბაზარს, სეგმენტს და ნიშას სთავაზობს, თუმცა ამ მრავალფეროვნებას თან ახლავს ბაზარზე შესვლის დანახარჯების გადიდება და მწვავე კონკურენციის წინაშე დადგომა, შესაბამისად რთული და ძვირადღირებული ხდება შესაფერისი ნიშის მიგნება, მასზე გამაგრება და მისი შენარჩუნება, იმ პირობებში როცა ქართულ სამრეწველო პროდუქციას ნაკლებად იცნობენ და არ ენდობიან.	კომპანიები ცდილობენ გამოიყენონ ქართული დიასპორა ევროკავშირში. კომპანიები ცდილობენ მოძებნონ პარტნიორი ევროკავშირში სხვადასხვა ბიზნეს-ფორუმების, გამოფენების და სხვა საკომუნიკაციო ინსტრუმენტების მეშვეობით.
4	სოციალური	სიღარიბე	შიდა ბაზარი არ არის საკმარისი იმისთვის,	კომპანიები ცდილობენ ძალების

			რომ კომპანიებმა მასობრივი წარმოების ტექნოლოგიები გამოიყენონ და პროდუქციის ერთეულზე დანახარჯების მინიმიზირება განახორციელონ. კომპანიები შესაბამის ტექნოლოგიებს იყენებენ და ამდენად მზად არ არიან ევროპულ ბაზრებზე საბრძოლველად.	გაერთიანებას ან/და საერთაშორისო პარტნიორის მოძებნას რათა მასობრივი წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიებში ინვესტირებისთვის საჭირო ფინანსურ რესურსებზე გაუჩნდეთ წვდომა. კომპანიები პაუზას იღებენ ევროკავშირში საექსპორტო ოპრაციების გეგმების განხორციელებასთან დაკავშირებით.
		პოლიტიკური მდგომარეობა	მიუხედავად საერთო ევროპული მიდგომისა თანასწორობისა და ეკონომიკური უფლებების დაცვის მიმართ იზოლაციონიზმის და დეზინტეგრაციის მომხრე ძალების პოლიტიკური გავლენა ევროკავშირში შეიძლება აისახებოდეს კონკრეტული ახალი მოთამაშეებისთვის გარკვეული ბარიერების დაწესებაში.	კომპანიები არჩევენ შეამცირონ საექსპორტო ოპერაციები ან პაუზას იღებენ მანამ სანამ უკეთ გაერკვევიან შექმნილი სიტუაციის დეტალებში ან გამოძებნიან სანდო პარტნიორს.
5	ეკოლოგიური	გარემოსდაცვითი	ევროკავშირის მოთხოვნები იმპორტულ პროდუქციაზე, ასევე სხვა საერთო ევროპული, შიდა საქვეყნო, ხანდახან ქალაქის და რეგიონის, რეგულაციები იმდენად მრავალფეროვანია რომ კომპანიებს ხანდახან ურჩევნიათ შეაჩერონ მუშაობა ევროკავშირში ექსპორტის მიმართულებით.	კომპანიები არჩევენ შეამცირონ საექსპორტო ოპერაციები ან პაუზას იღებენ მანამ სანამ უკეთ არ გაერკვევიან შესაბამის რეგულაციებში.

წყარო: ავტორისეული

ჩაღრმავებულმა ინტერვიუმ აჩვენა, რომ ბიზნეს-გარემოს გამოწვევების ზოგიერთი ელემენტი და შესაბამისი რეაგირება კომპანიების მხრიდან, რომელიც ცხრილში 1.3.7 თეორიულად იქნა გააზრებული, რეალურ ბიზნეს-სამყაროში ასევე დგას კომპანიების წინაშე. ჩაღრმავებული ინტერვიუების შედეგად აღმოჩნდა რამდენიმე საკითხი, რომლებიც არ იყო გაშლილი ცხრილში 1.3.7. მაგრამ მოხვდა ცხრილში 2.1.12. პროდუქციის ერთეულზე დანახარჯების მინიზირების, მასშტაბური ინვესტიციების განხორციელების, ბაზრის ძვირადღირებული კვლევის და პრომოუშენის განხორციელების, კვალიფიციური პერსონალის დაქირავების, მრავაგვარი ფორმალური პროცედურის გავლის, გარემოსდაცვითი თუ საქონლის უსაფრთხოების ნორმების შესრულების აუცილებლობა მეტწილად კომპანიებს აძლევს ბიძგს შეაჩერონ ევროკავშირში საექსპორტო გეგმების განხორციელება.

დასკვნისთვის შეიძლება ითქვას, რომ კონკურენციის, როგორც არაფორმალური ინსტიტუციის განვითარების ხარისხი განაპირობებს იმას, რომ საქართველო ხასიათდება, როგორც საბაზრო ეკონომიკისკენ მეტად გადახრილი შერეული ეკონომიკა, ხოლო ევროკავშირი საბაზროსთან ძალიან ახლოს მდგარი შერეული ეკონომიკა.

საქართველოს და ევროკავშირს შორის ინტეგრაციას აქვს მნიშვნელოვანი პერსპექტივა, რადგან ორივე სისტემა პრინციპში საერთაშორისო გახსნილობით

ხასიათდება, სწრაფვა ინტეგრირებისკენ ორივე შემთხვევაში მძლავრია, ხოლო ეკონომიკურ აგენტთა დამოკიდებულება ცვლილებების მიმართ ასევე პოზიტიურია.

საქართველოს ბიზნეს გარემოს ცვლილება ევროკავშირში ინტეგრირების პროცესში შეიძლება აღწერილ იქნას ტერმინით „ადაპტირება“ - ბიზნეს გარემოს მოუწევს იმ მახასიათებლების მიღება, რომელიც მას ინტეგრაციის პროცესში „დახვდება“ მსხვილ, განვითარებული ეკონომიკის მქონე ევროკავშირში.

ამჟამად საქართველო ევროკავშირთან ნაწილობრივი ინტეგრაციის ეტაპზე იმყოფება. საკუთრივ ევროინტეგრაცია პრინციპში ბოლო, სრული ინტეგრაციის ფაზაზე იმყოფება, როდესაც არის დაწყებული ყველაზე რთული ელემენტი ინტეგრაციისა - არაფორმალური ინსტიტუტების შერწყმა.

რეგრესიის კოეფიციენტების ტრანსფორმაციის შედეგად გაჩნდა შესაძლებლობა გამოთვლილიყო ბიზნეს-გარემოს ინტეგრირებული მაჩვენებლები საქართველოსთვის და ევროკავშირისთვის და გაანგარიშებულიყო მათ შორის სხვაობა. როგორც ჩანს, 2002-2019 წლის რეტროსპექტივაში, ამ მაჩვენებლებს შორის სხვაობა თანდათან მცირდება.

ამავე დროს, ჩაღრმავებულმა ინტერვიუმ ქართულ კომპანიებთან აჩვენა, რომ ევროკავშირი ქმნის მათთვის შესაძლებლობებს და ზოგიერთ შემთხვევაში ისინი წარმატებით იყენებენ მათ, თუმცა უმეტეს შემთხვევაში ქართული კომპანიების აქტივობას ევროკავშირში საკუთარი საქმიანობის გაფართოების მიმართულებით უფრო საცდელი ხასიათი აქვს, ხშირად კი ახალ ბაზარზე გასვლასთან დაკავშირებული უამრავი ეკონომიკური, რესურსული, ტექნოლოგიური, ფინანსური, რეგულაციური სირთულეების, ასევე ერთეულ პროდუქტზე დაბალი დანახარჯების მიღწევის შეუძლებლობის გამო ისინი საერთოდ აჩერებენ მუშაობას ამ მიმართულებით ან პაუზას იღებენ.

თავი 2.2. ადგილობრივი საქმიანი ორგანიზაციის ბიზნეს გარემო ევროკავშირთან ინტეგრირების თანამედროვე ეტაპზე

საქართველოს და ევროკავშირს, ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების 3-21 მუხლები სწორედ დაახლოების საერთო პოლიტიკურ იდეოლოგიურ ჩარჩოს განსაზღვრავენ. ისინი გულისხმობენ პოლიტიკური დიალოგის რეჟიმს სხვადასხვა საკითხებში, მათ შორის შიდა სახელმწიფოებრივ რეფორმებთან დაკავშირებით. მუხლი 4 ადგენს თანამშრომლობის პირობებს სასამართლო და სამართლებრივი რეფორმის, საჯარო მმართველობის, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში. მუხლები 15 და 16 კი ადგენს მიგრაციის, თავშესაფრის და საზღვრის მართვის სფეროებში თანამშრომლობას, ასევე ვიზალიბერალიზაციის პირობებს. თუმცა ძირითადი პროცედურები, საქართველოს და ევროკავშირს შორის ინტეგრირების პროცესში ღია და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების, DCFTA-ს ფარგლებში მიმდინარეობს, რომელიც 2014 წლის 1 სექტემბრიდან ამოქმედდა.

საქონელ-მომსახურების, შრომის და კაპიტალის თავისუფალი მოძრაობა ხსნის ეკონომიკური აგენტებისთვის ბიზნესის კეთების ახალ შესაძლებლობებს. ამ მხრივ DCFTA მთელ რიგ პირობებს ქმნის ქართული ბიზნესისთვის, რომელსაც ევროკავშირთან თანამშრომლობა სურს. შეთანხმების 22-36 მუხლები განსაზღვავენ ისეთ მნიშვნელოვან პირობებს როგორიცაა ევროკავშირიდან საქართველოში და საქართველოდან ევროკავშირში საქონლის იმპორტზე საბაჟო გადასახადის გაუქმება, საქართველოსთვის ევროკავშირში „შესვლის ფასის“ და გაყალბების საწინააღმდეგო მექანიზმების ამუშავება. გარდა ამისა, შეთანხმების 37-43 მუხლების მიხედვით მხარეებს შეეძლებათ საკუთარი ბაზრების დაცვის ზომები აამოქმედონ, თუ ადგილი ექნება დემპინგურ იმპორტს, გადაჭარბებულ იმპორტს ან სუბსიდირებულ იმპორტს.

შეთანხმების 44-49 მუხლები ითვალისწინებს რომ საქართველომ უნდა დაუახლოვოს ევროკავშირს სტამდარტები, ტექნიკური რეგლამენტები, მეტროლოგია, ბაზრის ზედამხედველობა, აკრედიტაცია და შესაბამისობის სტანდარტები. ამ მხრივ საქართველოს მთავრობამ უკვე განახორციელა გარკვეული სამუშაოები, კერძოდ, გამოსცა განკარგულება „სტანდარტიზაციის, აკრედიტაციის,

შესაბამისობის შეფასების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის სფეროში საქართველოს მთავრობის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“, ასევე „სტანდარტიზაციის, აკრედიტაციის, შესაბამისობის შეფასები, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის სფეროში საკანონმდებლო რეფორმის და ტექნიკური რეგლამენტების მიღების სამთავრობო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ და „სამრეწველო პროდუქტების ბაზარზე ზედამხედველობის სტრატეგია“.

შეთანხმების 50-65 მუხლები, რომლებიც სანიტარიულ და ფიტოსანიტარიულ ზომებს ეხება, ავალდებულებს საქართველოს დაუახლოვოს საკუთარი კანონმდებლობა ევროპის სანიტარიულ და ფიტოსანიტარიულ კანონმდებლობას და აძლევს შესაძლებლობას ბიზნესს, გამარტივებული წესით ივაჭროს ევროკავშირთან ცხოველური და მცენარეული წარმოშობის პროდუტებით. „სურსათის უვნებლობის სფეროში ყოვლისმომცველი სტრატეგიისა და საკანონმდებლო მიახლოების პროგრამის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის განკარგულება სწორედ ამ პროცესის ნაწილია.

ასოცირების შეთანხმება ასევე განსაზღვრავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა საბაჟო სისტემების დაახლოება (მუხლები 66-75), მომსახურების საზღვრებს გარეთ მიწოდების და ბაზარზე დაშვების რეჟიმები, ფილიალების დაფუძნება და საკუთარი მოქალაქეების იქ დასაქმება (მუხლები 76-136), მათ შორის, რაც ძალიან მნიშვნელოვანია სამუშაო ძალის მობრაობის ხელშეწყობისთვის - პროფესიული კვალიფიკაციის აღიარების მექანიზმებს.

კიდევ ერთი საყურადღებო ელემენტი ასოცირების შეთანხმებაში (მუხლები 137-140) კაპიტალის თავისუფლად გადაადგილებასთან დაკავშირებული პირობები, მათ შორის მოგების გატანა და პირდაპირი ინვესტიციების განხორციელება.

სახელმწიფო შესყიდვების ბაზრების გახსნა საქართველოსთვის და ევროკავშირისთვის ასევე ძალიან მნიშვნელოვანი ელემენტია ასოცირების ხელშეკრულებაში, რომელიც პრაქტიკულად უხსნის ქართველ მეწარმეებს (და პირიქით) შესაძლებლობას, მონაწილეობა მიიღონ საჯარო შესყიდვის ტენდერებში ევროკავშირში (მუხლები 141-149). ამასთან დაკავშირებით განსახორციელებელი მოქმედებები ასახულია საქართველოს მთავრობის მიერ გამოცემულ განკარგულებაში „სახელმწიფო შესყიდვების სფეროში განსახორციელებელი

ცვლილებების შესახებ საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმების, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებების შესრულების გზამკვლევის დამტკიცების თაობაზე“. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ინტელექტუალური საკუთრების დაცვის შესახებ მუხლები (150-202 მუხლები).

კონკურენციის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებისა და ასოცირების შეთანხმების შესაბამისი მუხლების (მუხლები 203-209) პირობების შესრულების მიზნით საქართველოს მთავრობამ მიიღო განკარგულება „კონკურენციის პოლიტიკის ყოვლისმომცველი სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“.

ენერგეტიკის სფეროში ვაჭრობასთან დაკავშირებით ასოცირების ხელშეკრულება (მუხლები 210-218) უხსნის შესაძლებლობებს ქართულ ენერგეტიკულ სექტორს, გაჰყიდოს ევროკავშირში საკუთარი წარმოების პროდუქცია, მაგალითად ელექტროენერგია.

ასოცირების შეთანხმება ადგენს ასევე ისეთ ტექნიკურ პირობებს ორი სისტემის ინტეგრაციისთვის, როგორიცაა გამჭვირვალობა (მუხლები 219-226); მდგრადი განვითარება (მუხლები 227-243); რაც მათ შორის გულისხობს მრავალმხრივი შრომითი სტანდარტების და შეთანხმებების, მრავალმხრივი გარემოსდაცვითი მმართველობის და შეთანხმებების, ისეთი ვაჭრობისა და ინვესტიციების ხელშეწყობას, რომელთაც გარემოსდაცვითი და სოციალური ეფექტი გააჩნიათ, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას და სხვა; დავების მოგვარების პროცედურებს (მუხლები 243-270); დაახლოების ზოგად პროცედურებს (271-276 მუხლები).

როგორც ჩანს საქართველოს ევროკავშირთან დაახლოების პროცესში ბევრი რამ უკვე გაკეთებულია საქონელ-მომსახურების და რესურსების თავისუფალი გადაადგილების ასპექტში, მაგრამ კიდევ ბევრი რამე გასაკეთებელია სახელმწიფო პოლიტიის სტანდარტების და რეგულაციების ევროკავშირთან დაახლოებასთან დაკავშირებით. ამავე დროს, ასოცირების შეთანხმება უფრო მეტ ვალდებულებებს და მითითებებს გულისხმობს და მხოლოდ ამის შემდეგ იძლევა თავისუფლების უფლებას - ეს ნიშნავს რომ ქართულ ბიზნესს საკმაოდ მკაცრი პირობები ხვდება ევროკავშირში სამუშაოდ.

ამავე დროს ეს ქმნის საქართველოში მუშაობის შესაძლებლობებს ევროკავშირის ბიზნესისთვის, რომელიც ბევრად უფრო ეფექტიანი და კონკურენტული შეიძლება აღმოჩნდეს - ეს შესაძლებლობები ამავე დროს საფრთხეცაა ქართული ინდუსტრიისთვის. ცხადია კონკურენცია განვითარების ყველაზე ძლიერი გზაა და მწვავე პირობებში ჩაყენებული ქართული ბიზნესი სწორედ ამგვარად შეძლებს გაიზარდოს და განვითარდეს, მეორე მხრივ, განსხვავება ევორკავშირის და საქართველოს ბიზნესს შორის შესაძლოა ისეთი დიდი იყოს, რომ ქართულ ბიზნესს უბრალოდ შანსი არ დარჩეს გადარჩენისა და განვითარებისთვის.

მოქალაქეთა თავისუფალი გადაადგილება შესაძლებლობას აძლევს მოქალაქეებს უფრო მჭიდრო სოციალურ-კულტურული ურთიერთობები დაამყარონ მეზობელ საზოგადოებასთან.

2017 წლის 28 მარტიდან საქართველოს მოქალაქეებისთვის ევროკავშირთან ვიზა ლიბერალიზაციის რეჟიმი ჩაირთო. ამან მაშინვე მოიტანა ეფექტი საქართველოს მოქალაქეების ევროკავშირში ვიზიტების გახშირებასთან დაკავშირებით. ცხადია, ეს ძირითადად ტურისტული ხასიათის ვიზიტები იყო, თუმცა ამ შესაძლებლობით იმდენმა ადამიანმა ისარგებლა ვისაც ევროკავშირში დარჩენის და მუშაობის, თუნდაც არალეგალურად, სურვილი ჰქონდა, რომ ვიზალიბერალიზაციის პირველივე წელს ევროკავშირში დაიწყეს საუბარი დროებით შეჩერებაზე, თუმცა იგი არ განხორციელებულა.

საქართველოს მოქალაქეების ევროკავშირში ვიზიტის გაადვილებას ხელი შეუწყო რიგმა სატრანსპორტო გადაწყვეტილებებმა მათ შორის ქუთაისის აეროპორტის კეთილმოწყობამ და ეკონომ-კლასის ფრენების სეგმენტზე მომუშავე საჰაერო კომპანიების შემოსვლამ საქართველოს ბაზარზე.

ევროკავშირის მოქალაქეებისთვის საქართველოში უვიზო სტუმრობის შესაძლებლობა ვიზალიბერალიზაციამდე უფრო ადრე გაჩნდა, ასე რომ მათ უფრო ადრე გაუადვილდათ ქართულ კულტურასთან შეხვედრა. ვიზალიბერალიზაციამ იგივე გააკეთა საქართველოს მოქალაქეებისთვის, ვისთვისაც ევროკავშირში ტურისტული ვიზიტები ბევრად უფრო ხელმისაწვდომი გახდა - ცხადია ამას მოსდევს კულტურათშორისი დიალოგის გაღრმავება - ტურიზმი ამ დიალოგის წარმართვის საყოველთაოდ აღიარებული ინსტრუმენტია.

ინტეგრაციის პროცესის კოორდინაციისთვის შეიქმნა სპეციალური კომისიები - ევროინტეგრაციის კომისია, DCFTA-ს განხორციელების საკოორდინაციო უწყებათაშორისი ქვეკომისია, საქართველო-ევროკავშირის ასოცირების საბჭო, საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო საკითხებზე ასოცირების კომიტეტი, ვაჭრობისა და მდგრადი განვითარების ქვეკომიტეტი, საბაჟო ქვეკომიტეტი, სანიტარული და ფიტოსანიტარული ქვეკომიტეტი, გეოგრაფიული აღნიშვნების ქვეკომიტეტი, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) საკონსულტაციო ჯგუფი, ხოლო საერთო კოორდინაცია და მონიტორინგი დაევალა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, მაგრამ აქ იგულისხმება ის რომ ყველა ღონისძიებები, რომლებიც აღმსარულებელი ხელისუფლების ორგანოების მიერ არის გასაკეთებელი კონკრეტულ დარგსა და სფეროში, კეთდება იმ საჯარო დაწესებულებების მიერ, რომლებიც უკვე არსებობენ - ნაწილობრივი ინტეგრირების ეტაპზე არ უქმდება ან რეორგანიზდება რაიმე საჯარო დაწესებულება, რათა ახალი ან რეორგანიზებული სტრუქტურა შეიქმნას რომელიც შეესაბამება, ან უფრო მეტი, ნაწილი ხდება ერთიანი ევროპული სტრუქტურული მექანიზმისა. აკადემიური სექტორი, მასმედია და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები ახდენენ ინტეგრაციის პრომოუშენს, თუმცა ამ ეტაპზე თავს იჩენს დეზინტეგრაციის მომხრე ძალაც.

ევროკავშირში საქართველოს ინტეგრირების იდეოლოგიის ჩამოყალიბებას და პრომოუშენს არ დასჭირვებია მნიშვნელოვანი ძალისხმევა, რადგან საქართველოს ისტორიულად გააჩნია ამგვარი სწრაფვა. სინამდვილეში საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური რეალობა არ აჩვენებს რაიმე განსაკუთრებულ აჟიოტაჟს ევროკავშირისკენ სწრაფვასთან მიმართულებით - არ არის რაიმე განსაკუთრებული დიალოგი მასმედიაში, არ არის რაიმე განსაკუთრებული დამოკიდებულება მოქალაქეებში, არ არის რაიმე განსაკუთრებული სახის განცხადებები და დისკუსია საჯარო და სამოქალაქო სექტორებში, არ ხდება რაიმე განსაკუთრებული სახის მოძრაობა ინდუსტრიაში.

ჯერ-ჯერობით საქართველო არ იმყოფება ინტეგრაციის პროცესის იმ ეტაპზე, როცა ერთიანი ვალუტის შემოღების დრო დგება. ამავე დროს მონეტარული პოლიტიკა საქართველოსა და ევროკავშირში სრულიად სხვადასხვა,

კონიუნქტურული თუ გრძელვადიანი განვითარების მიზნების მიღწევას ემსახურება და შესაბამისად სხვადასხვაგვარად იყენებს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ინსტრუმენტებსაც. იგივეს თქმა შეიძლება ფისკალურ პოლიტიკასთან დაკავშირებითაც.

საქართველოს და ევროკავშირის ეკონომიკური ზრდის ტემპი, ინფლაცია და უმუშევრობა, მიუხედავად იმისა, რომ აბსოლუტური მაჩვენებლებით მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისგან და ასევე განსხვავდებიან ერთმანეთისგან მერყეობის მასშტაბებით, ავლენენ ერთ საინტერესო ტენდენციას - მათი ცვლილების მიმართულება წლების მანძილზე პრაქტიკულად ემთხვევა ერთმანეთს თითქმის ყველა მაჩვენებლის მიხედვით, რაც ნიშნავს, რომ საქართველოს და ევროკავშირის სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრება პრაქტიკულად ერთიან, მსგავს გლობალურ და რეგიონულ პირობებში მიმდინარეობს, რომელიც მსგავს პირობებს ადგენს ეკონომიკური საქმიანობისთვის ინტეგრაციის ორივე მონაწილისთვის.

თავისუფალი მიმოქცევა შესაძლებლობას აძლევს დაბალი შემოსავლების მქონე სამუშაო ძალას, ბედი საზღვარგარეთ ეძიოს, ეს შეიძლება კარგი იყოს მიმღები მონაწილისთვის რომელიც დაბალანაზღაურებიან სამუშაოზე ეძებს მუშახელს, შესაძლოა ცუდი, თუ ახალი შრომითი ნაკადი ადგილობრივს უწევს კონკურენციას და ამასთან საბიუჯეტო ხარჯებს მოითხოვს მიგრაციის მართვაზე.

საქართველოდან ევროპაში სამუშაო ძალის „საშოვარზე“ გადინება პრაქტიკულად გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დაიწყო და ამაში ვიზალიბერალიზაციის ან ევროინტეგრაციის დადანაშაულება პრინციპში არ შეიძლება, ვიზალიბერალიზაციამ უბრალოდ ერთ-ერთი ბარიერი მოხსნა. ამასთან, საქართველომ პრაქტიკულად თავიდან აიცილა ემიგრანტთა ნაკადისთვის სამუშაო ადგილების შექმნის ვალდებულება და გადააკისრა იგი ევროპის კავშირს, თუმცა ნაკლებკვალიფიციურთან ერთად მაღალკვალიფიციური მუშახელიც დაკარგა, რომელიც შემდგომში პრობლემებს გამოიწვევს საჭირო შრომითი რესურსების დეფიციტთან დაკავშირებით. დამატებით, საქართველომ საკუთარი სიღარიბის პრობლემის მოგვარებაც უკვე ინტეგრაციამდე დააკისრა ევროპის კავშირს და იქ მყოფ ემიგრანტებს, რითაც შეიქმნა რისკი, რომ იგი მუდმივად „კმაყოფაზე“ მყოფ ტერიტორიად გადაიქცეს.

ინტეგრაციის დღევანდელ ეტაპზე გავრცელებას, დამსგავსებას იწყებს არა გარემოს დაცვის პოლიტიკა, არამედ გარემოს დაცვის პრაქტიკა ჩვეულებრივ მოქალაქეებში, რაც ნიშნავს, რომ ბიზნესში დასაქმებულები ხდებიან მსგავსი პრაქტიკის განმახორციელებლები გარემოს დაცვის ასპექტში. ზევით აღნიშნული დამსგავსების ტემპები ბევრად უფრო მაღალია მას შემდეგ რაც ვიზალიბერალიზაციის რეჟიმი დადგინდა. სოციალურ-კულტურული ურთიერთობების გაღრმავება მათ შორის საზოგადოების წევრების გარემოსდაცვითი თვითშეგნების და შესაბამისი ქცევის წესების გადმოღებასაც გულისხმობს.

2015-2020 წლებში საქართველოს მთავრობამ, გარდა ზევით აღნიშნულისა, უამრავი ნაბიჯი გადადგა ინტეგრაციის პროცესის დაჩქარებისა და ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მიზნით. ეს მოქმედებები ქვემოთ მოყვანილ ცხრილშია წარმოდგენილი.

ცხრილი 2.2.1. 2014-2020 წწ. ინტეგრირებასთან დაკავშირებით განხორციელებული ღონისძიებები

წელი	ღონისძიებები
2015	• სსიპ მეწარმეობის განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით „აწარმოე საქართველოში“ პროგრამის სხვადასხვა ბენეფიციარმა მცირე და საშუალო ბიზნესის 160-ზე მეტმა წარმომადგენელმა გაიარა ტრენინტი DCFTA-სთან დაკავშირებულ საკითხებზე. ასევე ჩატარდა ტრენინგები სტრატეგიული დაგეგმვისა და მართვის უნარების გაძლიერებისთვის. მომზადდა ვიდეო გაკვეთილები და სხვა. • სსიპ მეწარმეობის განვითარების სააგენტოს ორგანიზებით ჩატარდა 14 ადგილობრივი და საერთაშორისო ღონისძიება ექსპორტის ხელშეწყობისა და ახალი ბიზნეს კავშირების დამყარების მიზნით. შემუშავებულ იქნა ზოგიერთი სახის საქონლის საექსპორტო კატალოგი. დასრულდა მუშაობა ვებგვერდზე www.tradewithgeorgia , მომზადდა ექსპროტის მენეჯერთა გადამზადების სასერტიფიკატო სასწავლო კურსი. • საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მიერ მიღებულ იქნა 1700-ზე მეტისაერთაშორისო და ევროპული სტანდარტი. • აკრედიტაციის ცენტრმა მონაწილეობა მიიღო რიგ საერთაშორისო ფორუმებში, ჩატარდა ტრენინგები სტანდარტის დანერგვის საკითხებზე სერტიფიცირების, ინსპექტირებისა და პირთა სერტიფიცირების სფეროებში. • საერთაშორისო ტექნიკური დახმარება გაეწია ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს. • საქართველოს მიერ მიღებულ იქნა მთელი რიგი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები ვეტერინარიის, სურსათის უვნებლობის, ფიტოსანიტარიის სფეროებში. • დაიწყო მუშაობა ახალი საბაჟო კანონმდებლობის პროექტზე. • მიღებულ იქნა ცვლილებები სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობაში, კონკურსების ჩატარება სრულიად გადავიდა ელექტრონულ პლატფორმაზე, ცვლილებები შეეხო ასევე გამარტივებული შესყიდვების განხორციელებას. გადამზადდა თვითმმართველობის ორგანოებშიდასაქმებული შესყიდვების 549 სპეციალისტი. • მიმდინარეობს მუშაობა ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებით ასოცირების შეთანხმებით აღებული ვალდებულებების შესრულებაზე. • სსიპ კონკურენციის სააგენტომ განახორციელა 10-მდე სხვადასხვა ბაზრის გამოკვლევა, ასევე მიიღო მონაწილეობა საერთაშორისო ფორუმებში და შეხვედრებში. • მიმდინარეობს მუშაობა შრომის კანონმდებლობის დახვეწაზე. • მიმდინარეობს მუშაობა „ტყის კოდექსზე“. დაიწყო სხვადასხვა პროექტები ფლორის და ფაუნის რესურსების მართვის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით. • დამტკიცდა „საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმა“
2016	• ”აწარმოე საქართველოში“ პროგრამის ფარგლებში DCFTA-სთან დაკავშირებით კონსულტაცია 220 ბენეფიციარს გაეწია. • ამუშავდა ვებ-გვერდი www.een-georgia.ge • ქართულად ითარგმნა ევროპული დირექტივები და მომზადდა შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტების პირველი ვერსიები. • საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნულმა სააგენტომ მიიღო 2190-ზე მეტი საერთაშორისო და ევროპული სტანდარტი. • აკრედიტაციის ცენტრმა მთლიანად დანერგა აკრედიტაციის რამდენიმე საერთაშორისო სტანდარტი. ჩატარდა 12 ტრენინგი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო240-ზე მეტმა ადამიანმა. • სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ზომების ევროპულ სტანდარტებთან დაახლოებისთვის გადაიხედა და

	ევროკავშირის საკანონმდებლო აქტებთან შესაბამისობაში მოვიდა ვეტერინარიის, ფიტოსანიტარიის, სურსათის უვნებლობის რეგულაციები. ჩატარდა რამდენიმე ტრენინგი ევროკავშირში პროდუქციის შეტანასთან დაკავშირებით. • მომზადდა საბაჟო კანონმდებლობაში შესატანი ცვლილებების პროექტის პირველი ვერსია. • მომზადდა ცვლილებები „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონში. ჩატარდა სემინარები და ტრენინგები. • მომზადდა ცვლილებები ინტელეატუალური დაცვის სფეროში საქართველოს საკანონმდებლო აქტებში. • ჩატარდა სემინარები და ტრენინგები კონკურენციის ხელშეწყობის საკითხებზე. • დაიწყო რეფორმები ენერგეტიკის და წყალმომარაგების, გაზმომარაგების, ინფრასტრუქტურის სფეროებში მარეგულირებელ ორგანოებსა და რეგულაციებში. • ამუშავდა ვებ-გვერდი www.dcfta.gov.ge • ჩატარდა ტრენინგები შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის საკითხებზე. გრძელდება მუშაობა ტყის კოდექსზე. • მომზადდა კანონის პროექტი „ელექტრონული კომერციის შესახებ“.
2017	• გრძელდება ტრენინგები და კონსულტაციები „აწარმოე საქართველოში“ პროგრამის ბენეფიციარებთან. ქართული კომპანიები მონაწილეობას ღებულობენ საერთაშორისო გამოფენებში. • განხორციელდა სანიტარულ და ფიტოსანიტარულ სფეროებში საქართველოს კანონმდებლობის დაახლოება ევროკავშირის 17 საკანონმდებლო აქტთან. დაინერგა ახალი კვლევის მეთოდები სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიის მცენარეთა მავნე ორგანიზმების დიაგნოსტიკის დეპარტამენტში და სურსათის კვლევის დეპარტამენტში. • მიმდინარეობს ტრენინგები საბაჟო საკითხებზე და სახელმძღვანელოების შექმნა. ახალი რეგულაციების დანერგვა. გრძელდება საბაჟო კოდექსზე მუშაობა. • დაინერგა ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის ინსტიტუტი. • შევოდა ახალი ცვლილებები სახელმწიფო შესყიდვის შესახებ კანონში, ამავე დროს ამ ცვლილებების დანერგვის მიზნით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ გამოსცა 19 კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი. • გრძელდება ეროვნული ეტალონური ბაზების განახლება. • გრძელდება აკრედიტაციის სისტემის დახვეწა. რეფორმები ბაზარზე ზედამხედველობის სფეროში შესაბამისი სტრატეგიის მიხედვით. • საქპატენტის მიერ მომზადდა საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი, რომელიც ეხება 7 ნორმატიულ აქტს. • ხორციელდება კონკურენციის პოლიტიკის ადვოკატირება და კონკურენციის სააგენტოს შესაძლებლობათა გაფართოება. • შემუშავდა „ფოსტის შესახებ“ კანონის პროექტი • შემუშავდა „ტყის კოდექსის“ საბოლოო ვერსია.
2018	• საქსტატის მიერ დასრულდა საგარეო ვაჭრობის მონაცემთა ბაზების დაკავშირება ბიზნეს რეგისტრის ბაზასთან • 79-მა ქართულმა კომპანიამ მიიღო მონაწილეობა ევროკავშრის ქვეყენში გამართულ სავაჭრო მისიებში • DCFTA-სთან დაკავშირებით კონსულტაცია გაეწია აწარმოე საქართველოშ პროგრამის 140 ბენეფიციარს • სტანდარტების და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მიერ დარეგისტრირდა 1946 სტანდარტი • ხდება აკრედიტაციის წესებისა და პროცედურების განვითარება და დაახლოება ევროპულ სდტანდარტებთან • ბაზრის ზედამხედველობის გაუმჯობესების მიზნით განხორციელდა საპილოტე კვლევები • მიღებულ იქნა რიგი დადგენილებები სანიტარიულ და ფიტოსანიტარიულ სფეროში ევროკავშირის რეგულაციებთან დაახლოების მიზნით, სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიის, მცენარეთა დაცვის დარგებში. სურსათს ეროვნულ სააგენტოში ჩატარდა რამდენიმე ტრენინგი. • მიმდინარეობს საბაჟო კანონმდებლობის ახალი პროექტის განხილვა • სახელმწიფო შესყიდვების სისტემაში დარეგულირდა დავების განხილვის მექანიზმი • საქპატენტი აგრძელებს შეხვედრებს, საერთაშორისო ფორუმებში მონაწილეობას და კანონმდებლობის დახვეწაზე მუშაობას. • კონკურენციის პოლიტიკის შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების ასამაღლებლად ჩატარდა 15 ღონისძიება. კონკურენციის სააგენტოს თანამშრომელთა უნარების გაძლიერებისთვის ჩატარდა 27 ღონისძიება. • ეროვნულმა სატყეო სააგენტომ მოამზადა რამდენიმე განკარგულების პროექტი ტყით სარგებლობის სფეროში. მოამზადა „ტყისა და მიწათსარგებლობის შესახებ ინფორმაციისა და გადაწყვეტილების მიღების მხარდამჭერი“ სისტემის პლატფორმა.
2019	• ევროკავშირში 11 საერთაშორისო გამოფენაში მონაწილეობა მიიღო 102-მა ქართულმა კომპანიამ. • DCFTA-სთან დაკავშირებით კონსულტაციები გაეწია 160 ბენეფიციარს პროგრამაში „აწარმოე საქართველოში“ • დამტკიცდა ახალი ტექნიკური რეგლამენტები და სტანდარტები. სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მიერ დარეგისტრირდა 2036 სტანდარტი • დამტკიცდა რამდენიმე ნორმატიული აქტი ვეტერინარიის მიმართულებით, სურსათის უვნებლობის მიმართულებით, მცენარეთა დაცვის მიმართულებით. • ძალაში შევიდა ახალი საბაჟო კოდექსი • მიღებულ იქნა კანონები „ელექტრონული კომერციის შესახებ“ და „ფოსტის შესახებ“. • გრძელდება სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის დაახლოება ევროსტანდარტებთან. • ჩატარდა 22 ღონისძიება კონკურენციასთან დაკავშირებით საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების შესახებ. კონკურენციის სააგენტოს თანამშრომელთათვის ჩატარდა 34 კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიება. • ტყის კოდექსის კოდექსი პარლამენტში იქნა წარდგენილი.
2020	• მთელი რიგი შეხვედრები და ფორუმები გადაიდო Covid19-ის გამო. • საქსტატის მიერ განხორციელდა ევროკავშირის აღრიცხვის სტანდარტებთან დაახლოების მორიგი ღონისძიებები. • ევროკავშირში 9 საერთაშორისო გამოფენაში მონაწილეობა მიიღო 43-მა ქართულმა კომპანიამ. • სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მიერ დარეგისტრირდა 2761 სტანდარტი • სანიტარიული და ფიტოსანიტარიული მიმართულებით მიღებულ იქნა მთავრობის 11 დადგენილება და

	მომზადდა დადგენილების 7 პროექტი. • გრძელდება სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის დაახლოება ევროსტანდარტებთან. • ჩატარდა 9 ღონისძიება კონკურენციასთან დაკავშირებით საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების შესახებ. კონკურენციის სააგენტოს თანამშრომელთათვის ჩატარდა 17 კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიება. • დაიწო მუშაობა ტყის კოდექსის ჯანონქვემდებარე აქტებზე • შემუშავდა კლიმატის ცვლილების სტრატეგია და სამუშაო გეგმა • მიღებულ იქნა კანონი „შრომის ინსპექციის შესახებ“

წყარო: http://www.dcfta.gov.ge/ge/implementation

იქონია თუ არა ამ ღონისძიებებმა გავლენა საქართველოსა და ევროკავშირს შორის ინტეგრირების ხარისხზე, უკვე გამოჩნდა პარაგრაფში 2.1 - ორი ქვეყნის ბიზნეს-გარემოს ინტეგრირებული მაჩვენებლები ერთმანეთს უახლოვდებიან თავისი მნიშვნელობებით.

მაგრამ მოახდინა თუ არა ამ ღონისძიებებმა გავლენა ბიზნეს-გარემოს ისეთ შედეგობრივ მაჩვენებლებზე, როგორიცაა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში ევროკავშირიდან, საქართველოს ექსპორტი ევროკავშირში და იმპორტო ევროკავშირიდან. შესაბამისი მაჩვენებლების დინამიკა წარმოდგენილია ცხრილში 2.2.2. და ნახაზზე 5.

ცხრილი 2.2.2. FDI ევროკავშირიდან საქართველოში, ექსპორტი საქართველოდან ევროკავშირში და იმპორტი ევროკავშირიდან საქართველოში 1995-2020წწ.

წელი	FDI, ათასი აშშ დოლარი	ექსპორტი, ათასი აშშ დოლარი	იმპორტი, ათასი აშში დოლარი
1995	-	7238.07	114090.70
1996	-	19599.73	186943.21
1997	45793.88	20149.40	224431.16
1998	49540.40	36395.15	271229.08
1999	8561.45	49701.23	161423.89
2000	41550.82	69393.96	161535.93
2001	71930.04	55961.24	214544.88
2002	55188.96	59027.17	211795.30
2003	92905.90	77748.15	380372.73
2004	192325.56	111363.43	604352.86
2005	243845.52	165160.23	627350.39
2006	468312.83	157901.95	947822.61
2007	1038201.04	268530.35	1538897.35
2008	483738.91	335153.84	1756449.56
2009	228988.03	237552.54	1330101.63
2010	251869.99	309189.51	1466578.80
2011	492377.88	424448.13	2050757.72
2012	465597.33	352950.40	2428744.95
2013	425100.00	607204.00	2266083.69
2014	835965.17	624201.42	2371979.74
2015	816497.24	644729.94	2082429.42
2016	415939.96	565674.95	2228082.73
2017	807598.57	655435.80	2225014.72
2018	597479.52	729224.32	2555163.71
2019	656317.39	819242.36	2407237.34
2020	600723.41	716973.37	1925962.59

წყარო: www.geostat.ge

როგორც ჩანს, ასოცირების შეთანხმებას არ მოუხდენია რაიმე მკვეთრი გავლენა საქართველოს და ევროკავშირის ეკონომიკურ ურთიერთობებზე - FDI, ექსპორტი და იმპორტი არ ასახავენ რაიმე მკვეთრ ცვლილებას მას შემდეგ რაც ასოცირების შეთანხმებას მოეწერა ხელი და სრულად ამოქმედდა. ამის ნაცვლად სამივე მაჩვენებელი ასახავს იმას, რომ 1995 წლიდან დაწყებული საქართველოს და ევროკავშირს შორის მიმდინარეობს ეკონომიკური ურთიერთობების თანდათანობითი გაღრმავება, რომელსაც სავარაუდოდ ადგილი ექნებოდა იმ შემთხვევაშიც კი ასოცირების საკითხი დღის წესრიგში საერთოდ რომ არ დამდგარიყო. გამოდის ბიზნეს გარემო იცვლება, მაგრამ ბიზნეს-სექტორის რეაგირება ამაზე ჯერჯერობით გვიანდება.



ნახ. 5. FDI, ექსპორტი და იმპორტი

ამავე დროს, თუ FDI და ექსპორტის დინამიკა მეტ-ნაკლები მერყეობით გამოირჩევა და ნელა აღმავალ ტრენდს ასახავს, იმპორტი აჩვენებს საკმაოდ მაღალ ზრდის ტემპს ასევე საკმაოდ მაღალი მერყეობის ხარისხით - ეს კიდევ ერთი დასაბუთებაა იმისა რომ საქართველო იმპორტზე დამოკიდებული, მათ შორის ევროკავშირიდან იმპორტზე დამოკიდებული ეკონომიკაა და ამ დამოკიდების ხარისხი სულ უფრო მატულობს.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას რომ ერთი მხრივ საქართველოს, და მეორე მხრივ ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ

სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების მიხედვით საქართველოს აღებული აქვს მთელი რიგი ვალდებულებები შიდა სახელმწიფოებრივი რეფორმების, საქონლით ვაჭრობის გაადვილების, სტანდარტების დაახლოების, სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ზომების, სახელმწიფო შესყიდვების, კონკურენციის, ენერგეტიკის და სხვა საკითხებში.

ვიზა-ლიბერალიზაციის რეჟიმმა მაშინვე მოიტანა ეფექტი საქართველოს მოქალაქეების ევროკავშირში ვიზიტების გახშირებასთან დაკავშირებით. ასევე ამ რეჟიმმა გახსნა ემიგრაციის კიდევ ერთი შესაძლებლობა სამუშაო ძალისთვის.

შეიქმნა მთელი რიგი სტრუქტურები, რომლებიც ასოცირების შეთანხმების რეალიზაციის კოორდინაციას ახორციელებენ.

იდეოლოგიურად ინტეგრაცია არ აღმოჩნდა უცხო საქართველოს მოსახლეობისთვის, რადგან საქართველოს ისტორიულად გააჩნია ამგვარი სწრაფვა. ამავე დროს, ევროინტეგრაციისადმი ამგვარ „ბუნებრივ“ დამოკიდებულებაში არის საფრთხე, რომ იგი გარკვეულწილად ნიჰილიზმში გადაიზარდოს.

ევროკავშირის და საქართველოს მაკროეკონომიკური მაჩვენებლების ცვლილების მიმართულება წლების მანძილზე პრაქტიკულად ემთხვევა ერთმანეთს თითქმის ყველა მაჩვენებლის მიხედვით, რაც ნიშნავს, რომ საქართველოს და ევროკავშირის სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრება პრაქტიკულად ერთიან, მსგავს გლობალურ და რეგიონულ პირობებში მიმდინარეობს, რომელიც მსგავს პირობებს ადგენს ეკონომიკური საქმიანობისთვის ინტეგრაციის ორივე მონაწილისთვის.

2015-2020 წლებში საქართველოს მთავრობამ უამრავი ღონისძიება განახორციელა ასოცირების ხელშეკრულების, მათ შორის DCFTA პირობების შესასრულებლად. ეს ღონისძიებები მიზნად ისახავდა ადგილობრივი მეწარმეების უნარების გაძლიერებას ევროპულ ბაზარზე საბრძოლველად, ადგილობრივი სტანდარტების და რეგულაციების ევროკავშირთან დაახლოებას და სხვა.

სამწუხაროდ, FDI, ექსპორტის და იმპორტის მაჩვენებლები არ აჩვენებს მკვეთრ ცვლილებებს ასოცირების შეთანხმების ძალაში შესვლის შემდეგ. ამასთან, ევროკავშირიდან იმპორტის მაღალი და მერყევი ტემპებით ზრდა კიდევ ერთხელ ადასტურებს ფაქტს საქართველოს როგორც იმპორტზე დამოკიდებული ქვეყნის თაობაზე. ამავე დროს აჩვენებს, რომ მიუხედავად საქართველოს ბიზნეს-გარემოს

პირობების დაახლოებისა ევროპულ ბიზნეს-გარემოსთან, ბიზნეს-სექტორის რეაგირება, რაც ასახული იქნებოდა იმპორტშემცვლელი წარმოების მასობრივ გაშლაში, ექსპორტის მკვეთრ გადიდებასა და ევროპული ინვესტიციების მოზიდვის დაჩქარებაში, ჯერ-ჯერობით იგვიანებს.

თავი 2.3. საქართველოს ბიზნეს გარემოს პირობების ევროკავშირის საერთო პირობებთან ადაპტირების პროგნოზი

ინტეგრაციის პერსპექტივების ანალიზის დაწყება შეიძლება 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმის გადახედვით. მოკლე ინფორმაცია ამ გეგმის შესახებ მოყვანილია ცხრილში ქვემოთ:

ცხრილი 2.3.1. 2021-2023 წწ. ინტეგრირებასთან დაკავშირებული მიზნები

მიზნები	ამოცანები 2021-2023
ვაჭრობის სტატისტიკის სფეროს შემდგომი გაუმჯობესება	საგარეო ვაჭრობის ინდექსის გაანგარიშება; საქონლით საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკის სარკისებური შედარება; მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკის წარმოება.
ევროკავშირის ტერიტორიაზე ექსპორტის ხელშეწყობა	ევროკავშირის ტერიტორიაზე საექსპორტო პროდუქციის დივერსიფიკაცია; მცირე და საშუალო ბიზნესების ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება; მცირე და საშუალო ბიზნესების შესაძლებლობების განვითარება ექსპორტის მიმართულებით.
ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების სფეროში საკანონმდებლო და ინსტიტუციური დაახლოება ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობასა და საუკეთესო პრაქტიკასთან	კანონმდებლობის დაახლოება ევროპულთან; ტექნიკური რეგულირების, სტანდარტიზაციის, მეტროლოგიის, აკრედიტაციის, შესაბამისობის შეფასების და ბაზრის ზედამხედველობის ადმინისტრირებისთვის საჭირო ინსტიტუციური და ინფრასტრუქტურული განვითარება; დაინტერესებული მხარეების, მათ შორის ეკონომიკური ოპერატორების მომზადების და ადაპტაციის ხელშეწყობა დაახლოებული კანონმდებლობის იმპლემენტაციისთვის; შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების შესაძლებლობების განვითარება; DCFTA-ის ვალდებულებების შესაბამისად ბაზარზე ზედამხედველობის აღსრულება.
სანიტარიულ და ფიტოსანიტარიულ ზომებს დაქვემდებარებული პროდუქციით ვაჭრობის ხელშეწყობა და ადამიანების, ცხოველთა და მცენარეთა სიცოცხლის ან ჯანმრთელობის დაცვა	სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ცხოველთა კეთილდღეობის და სხვა საკანონმდებლო ღონისძიებების გაუმჯობესება; ბიზნეს წრეებსა და სამოქალაქო საზოგადოებაში, მომხმარებლებისა და უფლებების მფლობელთა ცნობიერების გაზრდა; კომპეტენტური ორგანოს შესაძლებლობებისა და უნარების გაუმჯობესება; სანიტარიული, ფიტოსანიტარიული და ვეტერინარული სასაზღვრო კონტროლის განხორციელება.
საბაჟო სფეროში ევროკავშირის კანონმდებლობასა და ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკასთან დაახლოება	„ტრანზიტის საერთო პროცედურების შესახებ“ და „ერთიანი ადმინისტრირების დოკუმენტის“ კონვენციებთან მიერთების და „ახალი კომპიუტერიზებული სატრანზიტო სისტემის“ “NCTS” იმპლემენტაციისთვის სამართლებრივი და პროცედურული მხარდაჭერა; „ტრანზიტის საერთო პროცედურების შესახებ“ და „ერთიანი ადმინისტრირების დოკუმენტის“ კონვენციებთან მიერთების მიზნით და „ახალი კომპიუტერიზებული სატრანზიტო სისტემის“ “NCTS” იმპლემენტაციისთვის საინფორმაციო ტექნოლოგიური მხარდაჭერა; ახალი საბაჟო კოდექსის იმპლემენტაციის ხელშეწყობა; საქართველოს ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორების პროგრამის შემდგომი დაახლოებაევროკავშირის პროგრამასთან.
დაფუძნების, მომსახურებით ვაჭრობისა და ელექტრონული კომერციის სფეროში საკანონმდებლო და ინსტიტუციური დაახლოება ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობასთან	ტელეკომუნიკაციების, ელ.კომერციის და ფოსტის მომსახურების სფეროებში ევროპული საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისი საამრთლებრივი ბაზის შემუშავება და საფოსტო ბაზრის განვითარების ხელშეწყობა.
სახელმწიფო შესყიდვების სფეროში საკანონმდებლო და ინსტიტუციური დაახლოება ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობასთან და ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარება	სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ახალი კანონის და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიღება და ამთემატიკასთან დაკავშირებული სახელმძღვანელოების, მეთოდური მითითებების და ინსტრუქციების შემუშავება; სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მოდერნიზება; ადამიანური რესურსების განვითარება სახელმწიფო შესყიდვების სფეროში.
ინტელექტუალური საკუთრების სფეროში ევროკავშირის სტანდარტებთან და საუკეთესო პრაქტიკასთან დაახლოება	ინტელექტუალური საკუთრეიბს სფეროში მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; სსიპ-საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ ინსტიტუციური გაძლიერება; ინტელექტუალური საკუთრების სფეროში ცნობიერების ამაღლება; კონტრაფაქციის და პირატობის წინააღმდეგ ეფექტიანი ღონისძიებების განხორციელება.
კონკურენციისა და ვაჭრობაში დაცვითი ზომების სფეროების განვითარება ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით	ცნობიერების ამაღლება საჯარო და კერძოსექტორის წარმომადგენლებში კონკურენციისა და ვაჭრობაში დაცვითი პოლიტიკის მიმართულებით; თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება.
მდგრადი განვითარების ხელშეწყობა	ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა და კონსერვაციის ხელშეწყობა; კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული საერთაშორისო ვალდებულებების / ხელშეკრულებების შესრულება; შრომის უფლებების დაცვის უზრუნველყოფა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

DCFTA-ს განხორციელების ეფექტიანი კოორდინაციის და კომუნიკაციის უზრუნველყოფა	DCFTA-ის სარგებლის, შესაძლებლობებისა და უპირატესობების შესახებ ინფორმაციის გავრცელება; საკოორდინაციო მექანიზმის ფუნქციონირების ხელშეწყობა ნაკისრი ვალდებულებების დროული და ხარისხიანი განხორციელებისთვის.

წყარო: http://www.dcfta.gov.ge/ge/implementation

პარაგრაფში 2.1. განხორციელდა საქართველოს და ევროკავშირის ბიზნეს გარემოთა ინტეგრირებული მაჩვენებლების ანგარიში, ხოლო შემდეგ მათ შორის სხვაობის მოდული იქნა გამოთვლილი, რითაც შედგა დინამიური მწკრივი 2002-2019 წწ.

კვლევის შემდეგ ამოცანას წარმოადგენს პროგნოზის გაკეთება იმის თაობაზე თუ რამდენად დაუახლოვდებიან ერთმანეთს საქართველოს და ევროკავშირის ბიზნეს გარემოს ინტეგრირებული მაჩვენებლები.

კვლევის დასაწყისში ჩამოყალიბდა ჰიპოთეზა, რომლის მიხედვითაც საქართველოს და ევროკავშირის ბიზნეს გარემო ნელ-ნელა, დროთა განმავლობაში ერთმანეთს დაემსგავსება. ამჯერად მოცემული ჰიპოთეზა რაოდენობრივი ფორმით იქნება ჩამოყალიბებული. ეს ჰიპოთეზა მოცემულია ცხრილში 2.3.2.

როგორც ჩანს ცხრილში, ბიზნეს-გარემოს ინტეგრირებულ მაჩვენებლებს შორის სხვაობის მოდული 2020-2025 წლების მანძილზე თანდათანობით უფრო ნაკლებ და ნაკლებ მნიშვნელობას მიიღებს, რაც ასახავს საქართველოს ბიზნეს გარემოს ევროკავშირის ბიზნეს გარემოსთან ადაპტაციის პროცესს. ნახ. 6. ასახავს იგივე ჰიპოთეზას, ოღონდ გრაფიკის ფორმით.

ცხრილი 2.3.2. ჰიპოთეზა ბიზნეს გარემოს ინტეგრირებული მაჩვენებლების და მათ შორის სხვაობის მოდულის ცვლილების შესახებ

წელი	$Y_{Georgia}$	$Y_{European\ Union}$	$/ Y_{Georgia} - Y_{European\ Union} /$
2002	-0,4269	-5,9075	5,4806
2003	-0,4392	-5,9425	5,5033
2004	-0,4493	-5,8547	5,4054
2005	-0,4482	-5,8013	5,3530
2006	-0,4378	-5,6225	5,1847
2007	-0,4156	-5,4398	5,0242
2008	-0,4415	-5,3191	4,8775
2009	-0,4008	-5,4172	5,0165
2010	-0,3597	-5,3227	4,9630
2011	-0,3645	-5,1934	4,8290
2012	-0,3532	-5,3379	4,9847
2013	-0,3281	-5,2790	4,9509
2014	-0,3121	-5,0271	4,7150
2015	-0,2683	-5,0566	4,7883
2016	-0,2751	-4,9643	4,6892
2017	-0,2527	-4,8181	4,5654
2018	-0,2256	-4,6287	4,4032

2019	-0,1782	-4,6113	4,4331
2020	-0,19	-4,5	**4,3100**
2021	-0,2	-4,4	**4,2000**
2022	-0,21	-4,3	**4,0900**
2023	-0,22	-4,2	**3,9800**
2024	-0,23	-4,1	**3,8700**
2025	-0,24	-4	**3,7600**



ნახ. 6. ჰიპოთეზა სხვაობის მოდულის მნიშვნელობის შესახებ

IBM SPSS პროგრამის გამოყენებით გაკეთდა პროგნოზი / $Y_{Georgia} - Y_{European\ Union}$ / მაჩვენებლისთვის, რომელიც მოცემულია ცხრილში 2.3.3 და ნახაზზე 7.

ცხრილი 2.3.3. სხვაობის მოდულის პროგნოზი 2020-2025

საპროგნოზო მაჩვენებელი	2020	2021	2022	2023	2024	2025
/ $Y_{Georgia} - Y_{European\ Union}$ /	4.43	4.43	4.43	4.43	4.43	4,43

ნახ. 7. სხვაობის მოდულის პროგნოზი

როგორც ჩანს პროგრამა იძლევა მხოლოდ ერთ მაჩვენებელს 2020-2025 წლებში - 4,43-ს დონეზე. რაც ერთი შეხედვით არ შეესაბამება ზევით ჩამოყალიბებულ ჰიპოთეზას. თუმცა ცხრილი 2.3.4. და ნახაზი 8. იძლევიან 95%-იან ნდობის ინტერვალს, აგებულს საპროგნოზო მაჩვენებლის ირგვლივ. როგორც ჩანს ცხრილიდან, 2020-2025 წლებში ჰიპოთეზით გათვალისწინებული მაჩვენებლები ხვდებიან ნდობის ინტერვალის ქვედა საზღვარში რაც ნიშნავს, რომ არის შესაძლებლობა საქართველოს და ევროკავშირის ბიზნეს გარემოთა ინტეგრირებული მაჩვენებლები ისე დაუახლოვდეს ერთმანეთს, როგორც ეს გათვალისწინებულია ჰიპოთეზით.

ცხრილი 2.3.4. ნდობის ინტერვალი და ჰიპოთეტიური მაჩვენებლები

საპროგნოზო მაჩვენებელი	2020	2021	2022	2023	2024	2025
/ $Y_{Georgia} - Y_{European\ Union}$ /	4.43	4.43	4.43	4.43	4.43	4,43
ნდობის ინტერვალის ზედა საზღვარი	4.70	4.81	4.89	4.96	5.02	5.08
ნდობის ინტერვალის ქვედა საზღვარი	4.17	4.06	3.97	3.90	3.84	3.79
ჰიპოთეზა	4.31	4.20	4.09	3.98	3.87	3.76

ყოველ შემთხვევაში, ჰიპოთეტიური მაჩვენებლების მოხვედრა ნდობის ინტერვალში, ინტერვალის ქვედა საზღვარზე ნიშნავს სიტუაციის განვითარების მხოლოდ ერთ სცენარს. პროგნოზი კი აჩვენებს იმას, რაც პრინციპში ჩანს ზევით განხორციელებული ანალიზიდან - მიუხედავად უამრავი ღონისძიებისა, რომლებიც უკვე განახორციელა საქართველოს მთავრობამ და დაგეგმილი აქვს უახლოეს ხანში

განახორციელოს, საქართველოს და ევროკავშირის ბიზნეს გარემოთა ინტეგრირების პროცესი შესაძლოა უძრაობის ფაზაში გადავიდეს.



ნახ. 8. პროგნოზი და ნდობის ინტერვალები

დასკვნისთვის შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს მთავრობა სამომავლოდ კვლავ აგრძელებს ასოცირების შეთანხებით აღებული ვალდებულებების შესრულებას და საქართველოში არსებული ეკონომიკური საქმიანობის პრაქტიკის მორგებას ევროპულ სტანდარტებზე რეგულაციების, საჯარო ინსტიტუტების რეფორმირების, ვაჭრობის პროცედურების გამარტივების და ევროპული სტანდარტების აღიარების და დანერგვის გზით.

ბიზნეს-გარემოს ამგვარი ადაპტაციის რაოდენობრივი გამოხატვისთვის ჩამოყალიბდა ჰიპოთეზა რომელიც აჩვენებს, როგორ მცირდება სხვაობა ბიზნეს-გარემოს ინტეგრირებულ მაჩვენებლებს შორის 2020-2025 წლებში.

IBM SPSS პროგრამის გამოყენებით გაკეთდა ამ სხვაობის პროგნოზი 2020-2025 წლებისთვის და აღმოჩნდა რომ პროგნოზის მიხედვით ეს სხვაობა 2019 წლის დონეზე უცვლელი დარჩება - საქართველოს ბიზნეს-გარემო არ გააგრძელებს დაახლოებას ევროკავშირის ბიზნეს-გარემოსთან.

ამავე პროგრამის მეშვეობით ჩამოყალიბდა ნდობის ინტერვალები საპროგნოზო მაჩვენებლისთვის 95%-ის დონეზე და აღმოჩნდა, რომ ჰიპოთეტიური მაჩვენებლები ხვდება ამ ინტერვალის ქვედა საზღვართან ახლოს.

თავი 3. ევროკავშირთან ინტეგრირების პროცესში საქართველოს ბიზნეს-გარემოს ცვლილების თანამდევი საფრთხეების მართვა ქართულ კომპანიებში

თავი 3.1. ინტეგრირების საფრთხეების იდენტიფიკაცია ქართული საწარმოებისთვის

პარაგრაფებში 2.1.-2.3. გაკეთებული ანალიზი და მიგნებები არ არის საკმარისი იმისთვის, რომ სიღრმისეულად ჩავწვდეთ საქართველოს ევროკავშირში ინტეგრირების პროცესში ბიზნეს-გარემოს ცვლილების ნიუანსებს. საჭიროა ცალ-ცალკე განვიხილოთ ბიზნეს-გარემოს ყველა ფაქტორი და დავადგინოთ, სად არის ინტეგრაციის „სუსტი წერტილები“ - რომელი ფაქტორი ან ფაქტორები აგებს პასუხს იმაზე რომ საქართველოს და ევროკავშირის ბიზნეს-გარემოთა ინტეგრირებული მაჩვენებლები ან ნელი ტემპით ისწრაფვიან ერთმანეთისკენ, ან სულაც სცილდებიან.

ცხადია ბიზნეს-გარემოს ინტეგრირებული მაჩვენებელი კარგი ინსტრუმენტია ზოგადი სურათის შესაქმელად და შესაფასებლად, თუმცა ეს სურათი შესაძლებლობას გვაძლევს დავინახოთ საერთო ტენდენცია, მაგრამ არ გვაძლევს წარმოდგენას იმ მიზეზებზე, რომლებიც ბიზნეს-გარემოთა წარსული, ამჟამინდელი თუ სამომავლო მდგომარეობას განსაზღვრავს.

აქედან გამომდინარე, ამ პარაგრაფის მიზანს შეადგენს წინა თავებში განხილული ექვსი ფაქტორის ცალ-ცალკე დეტალური ანალიზის განხორციელება.

ცხადია, ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორს, რომელიც პირველ რიგში უნდა იქნეს განხილული, ეკონომიკური ზრდის ტემპები წარმოადგენს. ეს ინფორმაცია მოცემულია ცხრილში 3.1.1.

ეკონომიკური ზრდის ტემპები საქართველოში 2002-2019 წლებში ძირითადად უფრო მაღალი მაჩვენებლებით ხასიათდება, ვიდრე ევროკავშირში. თუმცა უნდა ითქვას, რომ 2002-2007 წლების მაღალი მაჩვენებლები 9-10%-ის ოდენობით შემდგომ წლებში შედარებით უფრო შემცირდა და 4-7%-ის ირგვლივ მერყეობს.

ყველაზე დაბალი მაჩვენებელი საქართველოსთვის დაფიქსირდა 2009 წელს - 3,8%-იანი კლება. ხოლო ყველაზე მაღალი მაჩვენებელი იყო 2007 წელს - 12,3%-იანი ზრდა.

რაც შეეხება ევროკავშირს, აქ მდგომარეობა ასევე მერყევია, თუმცა მერყეობის მასშტაბები შედარებით ნაკლებია - საშუალოდ 1-1,5%-იანი ზრდა 2002-2019 წლებში. აქ არ შეიძლება გამოჰყო რაიმე განსაკუთრებული პერიოდი.

ყველაზე დაბალი მაჩვენებელი ევროკავშირისთვის დაფიქსირდა 2009 წელს - 4,3%-იანი კლება, ხოლო ყველაზე მაღალი 2006 წელს - 3,5%-იანი ზრდა.

ცხრილი 3.1.1. ეკონომიკური ზრდის ტემპები საქართველოსა და ევროკავშირში 2002-2019წწ.

წელი	ეკონომიკური ზრდა. საქართველო	ეკონომიკური ზრდა. ევროკავშირი
2002	10	1,1
2003	11,1	0,9
2004	5,9	2,5
2005	9,6	1,9
2006	9,4	3,5
2007	12,3	3,1
2008	2,3	0,6
2009	-3,8	-4,3
2010	6,3	2,2
2011	7,2	1,8
2012	6,2	-0,7
2013	3,3	0
2014	4,6	1,6
2015	2,9	2,3
2016	2,8	2
2017	4,8	2,8
2018	4,8	2,1
2019	5	1,6

ორი ტრენდის შედარება უფრო მკაფიოდ შეიძლება, თუ მათ გრაფიკზე ვაჩვენებთ:



ნახ. 9. ეკონომიკური ზრდა საქართველოსა და ევროკავშირში

ნახ. 9 აჩვენებს საინტერესო დინამიკას - 2002-2017 წლებში პრაქტიკულად ერთი და იგივე დინამიკა შეინიშნება საქართველოს და ევროკავშირის ეკონომიკური ზრდის ტემპთან დაკავშირებით. ცხადია, 2009 წლის ჩავარდნა, რომელიც გლობალური ფინანსური კრიზისის შედეგი იყო, ორივე ეკონომიკურმა სისტემაზე ერთი მიმართულებით აისახა, თუმცა ეს არ არის საერთო კანონზომიერებიდან ამოვარდნა, არამედ საერთო კანონზომიერების ნაწილია - პრაქტიკულად საქართველოს და ევროკავშირის ეკონომიკური ზრდის ტემპები ერთნაირი მიმართულებით მერყეობს. მხოლოდ 2017 წლიდან იწყება „დაცილება“ მერყეობის მიმართულებებს შორის.

ცხადია, ევროკავშირის და საქართველოს ეკონომიკური ზრდის ტემპებს სხვადასხვაგვარი საფუძველი და მიზეზები აქვთ. ევროკავშირი განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე იმყოფება და მისთვის ბუნებრივია ეკონომიკური ზრდის ამგვარი დაბალი ტემპები. ამავე დროს საქართველოსთვის, რომელიც ერთ სულზე მშპ ოდენობით ბევრად ჩამორჩება ევროკავშირს, ნებისმიერი მერყეობა ბევრად უფრო მაღალ პროცენტულ ცვლილებაში იქნება ასახული.

ყოველ შემთხვევაში, ნახ. 9 შესაძლებლობას იძლევა ერთი საინტერესო დასკვნა გაკეთდეს - საქართველო და ევროკავშირი, პრინციპში, იმყოფებიან და ვითარდებიან ერთი და იგივე, რეგიონულ (ფართო გაგებით) მაკროგარემოში, რომელიც განაპირობებს ეკონომიკური განვითარების ერთნაირ მიმართულებას და ეკონომიკური ზრდის ტემპის მოკლევადიან მერყეობებს.

რა საფრთხე შეიძლება ახლდეს ინტეგრაციის პროცესს - ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც ჩანს ნახაზზე 9, არის ეკონომიკური ზრდის არასაკმარისი ტემპის პრობლემა.

რატომ არის ეს საფრთხე - ევროკავშირში შესვლა, პრინციპში, სწორედ ჩვენი კეთილდღეობის გადიდების თვალსაზრისით არის მიმზიდველი. მაგრამ ამ მიმზიდველობაში იმალება სწორედ საფრთხე - ევროკავშირი, როგორც საბაზროსთან ძალიან ახლოს მდგარი ეკონომიკური სისტემა, გვთავაზობს შესაძლებლობებს და არა დახმარებას. ამ ეკონომიკურ სისტემაში ინტეგრირების დროს, იმ პირობებში, როცა ქვეყნის სამეწარმეო, შრომის და კაპიტალის რესურსები ვერ ნახულობენ საკუთარი თავის საკმარისი ეფექტიანობით თვითრეალიზაციის შესაძლებლობას, რისი

გარანტიაც სწორედ ეკონომიკური ზრდის საკმარისი ტემპი იქნება, რომელიც უფრო სწრაფად დააწევს წარმოების მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებს ევროკავშირის მაჩვენებლებს, მათ ექნებათ ერთი მარტივი გამოსავალი, რასაც აადვილებს ევროკავშირის ეკონომიკური სისტემა, მოძებნონ ტერიტორიულად სხვა ადგილი, სადაც საკუთარი პოტენციალის რეალიზებას მოახდენენ - საუბარია ჩვეულებრივ სამუშაო ძალის (მათ შორის მეწარმეობრივი უნარის) და კაპიტალის გადინებაზე. წინამდებარე კვლევის მიზნებიდან და ასპექტიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას რომ საქართველოს ბიზნეს-გარემოს მახასიათებელი იქნება შეზღუდული ტერიტორიული წვდომა შრომის და კაპიტალის რესურსებზე, რომელიმე სხვა, უფრო ძლიერი ევროკავშირის მოთამაშის სასარგებლოდ.

რაც შეეხება ინფლაციას, ეკონომიკური ზრდის ტემპების მსგავსად, საქართველოს ინფლაციის მაჩვენებლები უფრო მაღალია, ვიდრე ევროკავშირის. ინფლაციის მაჩვენებელი საქართველოში დაახლოებით 4-5%-ის დონეზე მერყეობს.

ცხრილი 3.1.2. ინფლაცია საქართველოში და ევროკავშირში 2002-2019წწ

წელი	ინფლაცია. საქართველო	ინფლაცია. ევროკავშირი
2002	5,6	2,1
2003	4,8	2
2004	5,7	2
2005	8,2	2,2
2006	9,2	2,2
2007	9,2	2,3
2008	10	3,7
2009	1,7	1
2010	7,1	2,1
2011	8,5	3,1
2012	-0.9	2,6
2013	-0,5	1,5
2014	3,1	0,6
2015	4	0,1
2016	2,1	0,2
2017	6	1,7
2018	2,6	1,9
2019	4,9	1,5

დეფლაცია საქართველოში დაფიქსირდა 2012 წელს - 0,9%-ით, ხოლო ინფლაციის ყველაზე მაღალი ტემპი 2008 წელს - 10%.

ევროკავშირში ინფლაციის ტემპი 1,5-2%-ის ირგვლივ მერყეობს, ამასთან, კვლავ უნდა აღინიშნოს, რომ მერყეობის მასშტაბები უფრო მცირეა ვიდრე საქართველოს შემთხვევაში.

ინფლაციის ყველაზე დაბალი ტემპი დაფიქსირდა 2015 წელს - 0,1%, ხოლო ყველაზე მაღალი 2008 წელს - 3,7%.

ორივე ქვეყანაში ინფლაციის ტემპი ეროვნული (ცენტრალური) ბანკის ერთ-ერთ მაკროეკონომიკურ სამიზნე ნიშნულს წარმოადგენს და შესაბამისი პოლიტიკის გამოყენებით, მეტ-ნაკლებად ნარჩუნდება. ცხადია, მაკროეკონომიკური რეალობა საქართველოსა და ევროკავშირში განაპირობებს, თუ რამდენად ხერხდება ინფლაციის შენარჩუნება.



ნახ. 10. ინფლაცია საქართველოში და ევროკავშირში

ორი ქვეყნის ინფლაციის ტემპების გრაფიკული წარმოდგენა გვაძლევს შესაძლებლობას გავაკეთოთ ისეთივე დასკვნა, როგორიც გაკეთდა ეკონომიკური ზრდის ტემპების შემთხვევაში - ორივე გრაფიკი პრაქტიკულად ერთ მაკროეკონომიკურ, რეგიონულ განზომილებაში მყოფ ორ ეკონომიკურ სუბიექტს აჩვენებს, რომელთაგან ერთს უფრო მერყევი მაჩვენებლები აქვს, ვიდრე მეორეს, თუმცა მერყეობის მიმართულებები პრაქტიკულად ერთნაირია ორი ათეული წლის

მანძილზე - ინფლაციის ტემპების დაჩქარების და შენელების ტემპები, პრაქტიკულად ერთმანეთს ემთხვევა დროში.

რა საფრთხეებთან გვაქვს საქმე ამ შემთხვევაში ბიზნეს-გარემოთა ინტეგრაციის ასპექტში? საქმე იმაშია, რომ საქართველოს ინფლაცია პრინციპში იმპორტირებულ ინფლაციას წარმოადგენს და აჩვენებს ქვეყნის დამოკიდებულებას იმპორტზე, რაც უკვე იყო ნახსენები 2.1. პარაგრაფში. ევროკავშირისთვის კი ინფლაცია ერთობლივი მოთხოვნის სტაბილურ, ყოველწლიურ ზრდას აჩვენებს. ბიზნეს-გარემოსთვის რისკებს წარმოადგენს გაზრდილი კონკურენცია იმპორტიორების მხრიდან, რომელთაც ინტეგრაციის შემდეგ უფრო მეტი შესაძლებლობა მიეცემათ, მიწვდნენ საქართველოს ბაზარს.

ცხრილი 3.1.3. უმუშევრობის დონე საქართველოში 2002-2019წწ.

წელი	უმუშევრობა. საქართველო.	უმუშევრობა. ევროკავშირი
2002	12,6	9,6
2003	11,5	9,7
2004	12,6	9,9
2005	13,8	9,6
2006	13,6	8,6
2007	13,3	7,5
2008	16,5	7,2
2009	16,9	9,1
2010	16,3	9,8
2011	15,1	9,9
2012	15	10,8
2013	14,6	11,4
2014	23	10,9
2015	21,9	10,1
2016	21,7	9,1
2017	21,6	8,2
2018	19,2	7,3
2019	17,6	6,7

რაც შეეხება უმუშევრობის დონის მაჩვენებლებს - საქართველოს მონაცემები დაახლოებით ერთნახევარჯერ მეტია ევროკავშირის მონაცემებზე. ცხადია ეს აჩვენებს ამ ორ ეკონომიკურ სისტემას შორის განსხვავებებს გრძელვადიან პერიოდში, ანუ სისტემატურ განსხვავებას - საქართველოს ჯერ კიდევ გადასაჭრელი აქვს სამუშაო ძალის დასაქმების, რესურსების სრულად გამოყენების პრობლემა, ხოლო ევროკავშირს ამგვარი პრობლემა ნაკლებად აწუხებს, მისთვის უმუშევრობის დონე ახლოა სრული დასაქმების პირობებთან ანუ უმუშევრობის ბუნებრივ დონესთან.

საქართველოში უმუშევრობის ყველაზე დაბალი დონე - 11,5% 2003 წელს დაფიქსირდა, ყველაზე მაღალი - 2015 წელს - 21,9%. ეს საკმაოდ მერყევი მაჩვენებელი, იმ დროს როცა ევროკავშირში ყველაზე დაბალი დონე დაფიქსირდა 2019 წელს - 6,7%, ყველაზე მაღალი კი 2013 წელს - 11,4%. როგორც ზევით უკვე აღინიშნა, ევროკავშირის მონაცემები ნაკლებად მერყეობით გამოირჩევა.



ნახაზი 11. უმუშევრობის დონე საქართველოსა და ევროკავშირში.

უმუშევრობის დონის გრაფიკზე ასახვა ნათლად გვიჩვენებს კიდევ ერთხელ იმ მსგავსებას, რომელიც ზევით ორჯერ უკვე აღინიშნა, საქართველოს და ევროკავშირის უმუშევრობის დონის მონაცემები პრაქტიკულად ერთნაირად, ერთი და იგივე მიმართულებით იცვლება დროში, რაც კიდევ ერთხელ მეტყველებს, რომ ეს ორი ეკონომიკური სისტემა პრაქტიკულად ერთ გლობალურ ან რეგიონულ (ფართო გაგებით) სოციალურ-ეკონომიკურ გარემოში ფუნქციონირებს.

სამუშაო ძალის ბაზრისთვის საფრთხეზე უკვე იყო ნათქვამი ზევით, ეკონომიკური ზრდის ტემპის ანალიზის დროს. ინტეგრაცია გამოიწვევს (და ნაწილობრივ უკვე იწვევს) სამუშაო ძალის გადინებას უფრო ძლიერი მონაწილის

ეკონომიკურ სისტემაში ტერიტორიულად და შეამცირებს სამუშაო ძალაზე წვდომას ადგილზე.

შემდეგი ფაქტორი, რომელიც საჭიროებს განხილვას, არის სიღარიბის დონე. ეს ერთადერთი ფაქტორია, რომლის მიხედვითაც, რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, საქართველო და ევროკავშირი ერთმანეთს პრაქტიკულად უტოლდებიან. ამგვარი გატოლება პრინციპში გამოწვეულია სტატისტიკური აღრიცხვის სპეციფიკურობით, რადგან ევროკავშირის მონაცემები მოიცავს სიღარიბის ზღვარს ქვევით და დისკრიმინაციის საფრთხის ქვეშ მყოფი ადამიანების ერთობლიობას, რის გამოც ეს მაჩვენებელი როგორც საქართველოში, ისე ევროკავშირში, 20%-ს აჭარბებს.

ცხრილი 3.1.4. სიღარიბის დონე საქართველოსა და ევროკავშირში 2002-2019წწ.

წელი	აბსოლუტური სიღარიბე. საქართველო.	აბსოლუტური სიღარიბე. ევროკავშირი.
2002	24	23,1
2003	24	23,2
2004	24	23,3
2005	24,1	23,4
2006	23,3	23,5
2007	21,3	23,6
2008	22,1	23,7
2009	21	23,8
2010	22,7	23,9
2011	23	24,5
2012	22,4	24,9
2013	21,4	24,6
2014	23,5	24,5
2015	21,6	23,8
2016	22	23,7
2017	21,9	22,5
2018	20,1	21,6
2019	19,5	20,9

ყოველ შემთხვევაში, თუ ამ მაჩვენებლებს გრაფიკზე ავსახავთ (ნახაზი 12), კიდევ ერთხელ დავინახავთ ტენდენციას, რომელიც აქამდე უკვე სამჯერ დაფიქსირდა - პრაქტიკულად საქართველოს და ევროკავშირის მაჩვენებლები ერთი მიმართულებით იცვლება. კიდევ ერთელ შეიძლება იმის გამეორება, რომ ბიზნეს-გარემოს მეოთხე ფაქტორზე დაკვირვება გვაძლევს მკაფიო სურათს, რომ ინტეგრაციის ორი მონაწილის ბიზნეს-გარემო ერთნაირ, ერთიან გლობალურ, რეგიონულ სოციალურ-კულტურულ სივრცეში ფუნქციონირებს.

რაც შეეხება საფრთხეებს ამ ფაქტორთან დაკავშირებით - ძირითადი საფრთხე კვლავ მომდინარეობს ინტეგრაციის შემდგომ პერიოდში საქართველოსთვის შრომითი და კაპიტალური რესურსების გადინებიდან, ასევე კონკურენციის გამწვავებიდან ევროკავშირის ეკონომიკური აგენტების ბაზარზე წვდომის გაადვილების შედეგად, რაც შეიძლება გააუარესებს შემოსავლების მდგომარეობას საქართველოს ტერიტორიაზე და უფრო გაზრდის სიღარიბის დონეს ადგილზე. შესაძლოა მივიღოთ სიტუაციას, როდესაც აქტიური შრომითი რესურსები დასაქმებულები იქნებიან ევროკავშირის სხვადასხვა ქვეყნებში და გამოაგზავნიან საქართველოში საკუთარი შემოსავლების გარკვეულ ნაწილს, როგორც ეს ახლაც ხდება, ოღონდ სრული ფორმალური ინტეგრაციის შემდეგ ამან შეიძლება საყოველთაო ხასიათი მიიღოს, დააბრკოლოს ბიზნესის განვითარება, კერძო ტრანსფერტების პარალელურად გაჩნდეს აუცილებლობა საჯარო ტრანსფერტების მასშტაბური განხორციელებისა და პრაქტიკულად საქართველო „კმაყოფაზე მყოფი“ ტერიტორიად შეიძლება გადაიქცეს.



ნახაზი 12. სიღარიბის დონე საქართველოსა და ევროკავშირში

გარემოს დაბინძურების ხარისხს რაც შეეხება, ეს ერთადერთი ფაქტორია ექვსიდან სადაც საქართველოს და ევროკავშირის მაჩვენებლები ერთმანეთს

უახლოვდებიან, ამასთან სრულიად არასასიკეთო ლოგიკით - ევროკავშირის დაბინძურების მაჩვენებელი მცირდება, საქართველოს კი იზრდება.

თავად მაჩვენებლებს შორის დიდი განსხვავება - ევროკავშირის მაჩვენებლები 15-20-ჯერ აღემატება საქართველოს მაჩვენებელს სავსებით ლოგიკურია და გამომდინარეობს ერთ სულზე მოსული მთლიანი შიდა პროდუქტების რაოდენობაში განსხვავებებიდან საქართველოს და ევროკავშირს შორის. როგორც ცნობილია, რაც უფრო დიდია მთლიანი შიდა პროდუქტი, მით უფრო დიდია მთლიანი დაჭუჭყიანების ხარისხი, რაც ასახულია კიდეც ცხრილში 28 და ნახაზზე 13.

ცხრილი 3.1.5. გარემოს დაბინძურების ხარისხი საქართველოსა და ევროკავშირში 2002-2019წწ.

წელი	გამოფრქვეული მავნე ნივთიერებები ერთ სულზე. საქართველო	გამოფრქვეული მავნე ნივთიერებები ერთ სულზე. ევროკავშირი.
2002	0,056547992	10,64117017
2003	0,047127944	10,8029557
2004	0,055793991	10,78907168
2005	0,069006893	10,69745714
2006	0,072968107	10,66106742
2007	0,083275234	10,55385467
2008	0,087379145	10,30265948
2009	0,097022721	9,535984279
2010	0,17390389	9,731530681
2011	0,191832733	9,495736279
2012	0,213917043	9,301678254
2013	0,229130809	9,098534939
2014	0,252522263	8,761839263
2015	0,215535076	8,873106654
2016	0,20718232	8,86207964
2017	0,223057106	8,925789861
2018	0,234743672	8,72482451
2019	0,276245468	8,719979572

ის რომ საქართველოს დაბინძურების ხარისხი ნელი ტემპით იზრდება, უნდა განიხილებოდეს, როგორც არც ისე სანერვიულო ფაქტორი ბიზნეს გარემოსთვის, თუმცა ნელი განვითარების ტემპები საკუთარ თავში მალავს გრძელვადიან პრობლემას - თუ ეკონომიკის წარმოების წესი გააგრძელებს სტაბილურად ჩამოყალიბებას, როგორც გარემოს დამბინძურებელი, ამით გრძელვადიან პერიოდში შეიძლება ჩამოყალიბდეს იმგვარი წარმოების წესი, რომლის გადაწყობაც ევროკავშირის მოთხოვნების შესაბამისად უკვე ძალიან გაძნელდება, მეტიც გართულდება ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესი. ბიზნესი კი მიიიღებს ეკოლოგიური თვალსაზრისით არასასიკეთო გარემოს რომლითაც შეიძლება

დაინტერესდნენ მხოლოდ ისეთი ტიპის შიდა და გარე ეკონომიკური აგენტები, ვისაც გარემოსდაცვითი მკაცრი რეგულაციების თავიდან აცილება სურს და ამ თვალსაზრისით ლოიალურ ტერიტორიას ეძებს წარმოების გასაშლელად.



ნახაზი 13. გარემოს დაჭუჭყიანება საქართველოსა და ევროკავშირში.

და ბოლოს, კიდევ ერთი ფაქტორი, რომელიც ბიზნეს გარემოს განმაპირობებელს შეადგენს, ლარის და ევროს ღირებულება დოლარში.

ვალუტის კურსი არ არის მხოლოდ გაცვლითი პროპორცია, მასში ასახვას პოულობს როგორც ზედაპირული, ტექნიკური საკითხები, დაკავშირებული სპეკულაციებთან სავალუტო ბაზარზე, ისე სიღრმისეული საკითები დაკავშირებული საგადამხდელო ბალანსის მდგომარეობასთან და დინამიკასთან, მონეტარულ და ფისკალურ პოლიტიკასთან, ქვეყნის საერთაშორისო ეკონომიკურ პოზიციასთან, მისი საქონელ-მომსახურების კონკურენტულობასთან და ა.შ. ამდენად, სავალუტო კურსი ინტეგრირებული მაჩვენებელია და ერთდროულად მრავალი პირობის არსებობას გულისხმობს.

ცხადია, შესადარისობისთვის არჩეულ იქნა დოლარი, როგორც საერთაშორისოდ აღიარებული გაცვლის საშუალება, რომლის მიმართაც იქნა

იდენტიფიცირებული ლარის და ევროს ფასეულობები. ცხრილში 29 და ნახაზზე 9 ასახულია მონაცემები, რომლებიც შედარებისთვის შეიძლება იქნას გამოყენებული.

ორივე ვალუტის ღირებულება დოლარში 2002-2019 წლებში არ წარმოადგენს რაიმე მკაფიოდ გამოხატულ ტენდენციას, სინამდვილეში დოლარში მათი ფასეულობა იზრდება ხან მცირდება. ყველაზე იაფი ლარი ღირდა 2019 წელს - 0,36 დოლარი, ხოლო ყველაზე ძვირი - 2008 წელს 0,67 დოლარი.

ამავე დროს ევრო ყველაზე იაფი ღირდა 2002 წელს - 0,95 დოლარი, ხოლო ყველაზე ძვირი 2008 წელს - 1,47 დოლარი.

ცხრილი 3.1.6. ეროვნული ვალუტის ღირებულება საქართველოსა და ევროკავშირში

წელი	ლარის ღირებულება დოლარში.	ევროს ღირებულება დოლარში.
2002	0,455705432	0,9456
2003	0,46600494	1,1312
2004	0,521648409	1,2439
2005	0,551663265	1,2441
2006	0,562841222	1,2556
2007	0,598551505	1,3705
2008	0,671050866	1,4708
2009	0,598623167	1,3948
2010	0,560978346	1,3257
2011	0,59311981	1,392
2012	0,60558348	1,2848
2013	0,601178309	1,3281
2014	0,566283482	1,3285
2015	0,440489825	1,1095
2016	0,42252926	1,1069
2017	0,398628717	1,1297
2018	0,394555139	1,181
2019	0,354710556	1,1195



ნახაზი 14. ლარის და ევროს ღირებულება დოლარში

მონაცემების გრაფიკულად წარმოდგენა კიდევ ერთხელ, მეხუთეჯერ იძლევა დაკვნის გაკეთების შესაძლებლობას იმის შესახებ, რომ ლარი და ევრო ერთნაირ, გლობალურ, რეგიონულ სოციალურ-ეკონომიკურ გარემოში ფუნქციონირებენ. ნახაზზე ჩანს, რომ ორივე ვალუტის ღირებულება დოლარში ერთნაირად იცვლება დროში. ცხადია ამ მსგავსების განმაპირობებელი თავად დოლარის საერთაშორისო ღირებულების ცვლილებაა და აჩვენებს კიდევ ერთხელ რომ დოლარი უმნიშვნელოვანესი გლობალური გაცვლის საშუალებაა, მაგრამ ამავე დროს აჩვენებს იმას, რისი დამტკიცებაც იყო საჭირო - ლარი და ევრო, მიუხედავად იმისა, რომ წარმოადგენენ სხვადასხვა მასშტაბის, განვითარების სხვადასხვა ეტაპზე მყოფ, თუმცა მსგავს, ბაზარზე დაფუძნებული ეკონომიკურ სისტემებს, ერთნაირ გლობალურ და რეგიონულ პირობებში ფუნქციონირებენ.

საფრთხეები, რომლებიც ამ ფაქტორის მიხედვით ორი ეკონომიკური სისტემის ბიზნეს-გარემოთა ინტეგრირების პროცესს ახლავს თან პრინციპში ქრება როდესაც ქვეყანა ევროზონაში მოექცევა. რაც შეეხება პერიოდს, როცა ევრო ჯერ კიდევ არ არის გაშვებული მიმოქცევაში და ლარი აგრძელებს მუშაობას. ამ შემთხვევაში ლარის ფასეულობას განსაზღვრავს საქართველოს გრძელვადიანი საერთაშორისო პოზიცია ვაჭრობასა და კაპიტალის მოძრაობაში და ამ პოზიციის მოკლევადიანი ცვლილებები. აქ კვლავ დგება იმპორტზე დამოკიდებული ქვეყნის პოზიციის საკითხი, რომელიც იწვევს სავაჭრო ბალანსის მუდმივ დეფიციტს და ექაჩება ლარს გაუფასურებისკენ, სავაჭრო ბალანსის დეფიციტი მნიშვნელოვანწილად უცხოეთიდან მიღებული კერძო ტრასნფერტებით ბალანსდება, რაც ასევე წარმოადგენს საკმაოდ არასტაბილურ მუხლს და დამოკიდებულია იმ ქვეყნების ეკონომიკურ ციკლზე, რომლებშიც ემიგრანტები მუშაობენ. საბოლოო ჯამში, და რაც დასტურდება მონაცემებით, ლარი თანდათან კარგავს ფასეულობას. ზევით უკვე ითქვა რომ ეს აძვირებს იმპორტს და იმპორტირებულ ინფლაციას იწვევს.

პარაგრაფში 1.3 შემუშავებულ იქნა კრიტერიუმები, რომელთა გამოყენებაც შეიძლება იმის განსაზღვრისთვის, თუ რამდენად მუშაობენ ბიზნეს-გარემოს ფაქტორები ორი ეკონომიკური სისტემის ბიზნეს-გარემოთა ინტეგრირებაზე. დადგენილ იქნა რამდენიმე ზონა, იმის მიხედვით, სცილდებოდნენ მაჩვენებლები ერთმანეთს თუ უახლოვდებოდნენ.

ცხრილი 3.1.7. რისკის ზონები ბიზნეს-გარემოს ფაქტორებისთვის

N	ბიზნეს-გარემოს ფაქტორი	მაღალი რისკის ზონა მაჩვენებლები ერთმანეთს სციდლებიან	დაბალი რისკის ზონა მაჩვენებლები ხან სცილდებიან ერთმანეთს ხანაც უახლოვდებიან	ურისკო ზონა მაჩვენებლები ერთმანეთს უახლოვდებიან
1	ეკონომიკური ზრდის ტემპი		√	
2	ინფლაცია		√	
3	უმუშევრობის დონე		√	
4	სიღარიბის დონე		√	
5	გამოფრქვეული მავნე ნივთიერებების ოდენობა ერთ სულზე			√
6	ეროვნული ვალუტის კურსი დოლარში		√	

წყარო: ავტორისეული

ახლა უკვე შეიძლება ამ მაჩვენებლების ერთ ცხრილში მოქცევა და ზონების გამოყოფა, რაც ნაჩვენებია კიდეც ცხრილში 3.1.7.

როგორც ჩანს, მაჩვენებლების უმეტესობა, როგორც ზევით უკვე ერთხელ აღინიშნა, დაახლოებით ერთნაირად იცვლება დროში, ისინი არც უახლოვდებიან ერთმანეთს და არც სციდლებიან. 1.3. პარაგრაფში ეს განსაზღვრულ იქნა, როგორც დაბალი რისკის ზონა.

მხოლოდ ერთი მაჩვენებელი, გამოფრქვეული მავნე ნივთიერებების ოდენობა ერთ სულზე, ხვდება ურისკო ზონაში, თუ ამას ურისკო ზონა შეიძლება დაერქვას თავად მაჩვენებლის ტიპიდან გამომდინარე - საქართველოს და ევროკავშირის მონაცემები ერთმანეთს უახლოვდება ამასთან საქართველოს უარესდება ევროკავშირისა კი უმჯობესდება.

პარაგრაფში 2.3. მიღებულ იქნა რამდენიმე შედეგი იმ ბიზნეს გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით, რომლებიც დაახასიათებს საქართველოს ბიზნეს-ორგანიზაციებს ინტეგრაციის შემდეგ ეტაპებზე.

აუცილებელია ამ სპეციფიკური ბიზნეს-გადაწყვეტილებებთან დაკავშირებული საფრთხეების მართვის სქემის შემუშავება, თუმცა პირველ ეტაპზე საფრთხეების იდენტიფიცირება იქნება საჭირო.

რისკების მართვის თეორია დაჰყოფს საფრთხეებს ზუსტად ისეთივე კლასიფიკაციით, რა კლასიფიკაციითაც არის დაყოფილი ბიზნეს-გარემოს ფაქტორები. ამდენად, რისკების იდენტიფიკაციის დროს გამოყენებული იქნება იგივე კლასიფიკაცია. შემჭიდროებულად იგი წარმოდგენილია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში.

ცხრილი 3.1.8. ბიზნეს-სუბიექტის რეაგირება ბიზნეს-გარემოს პირობების ცვლილებაზე

N	ბიზნეს-გარემო	ფაქტორები	გამოწვევები ბიზნეს-სექტორისთვის	ბიზნეს-გადაწყვეტილებები	საფრთხეები
1	გლობალური	სავალუტო კურსი	ევროს ყოველი გაძვირება ქმნის ექსპორტის შესაძლებლობას კომპანიისთვის თუმცა აძვირებს ევროპულ ბაზრებზე განსახორციელებელი პრომოუშენის ღირებულებას, ასევე წარმოების ტექნიკური გადაიარაღების ღირებულებას.	კომპანიები ცდილობენ ჩაანაცვლონ საჭირო შუალედური საქონელ-მომსახურების, კაპიტალური აქტივების, საპრომოუშენო მასალების მომწოდებლები ადგილობრივით ან სხვა საერთაშორისო მიმწოდებლებით. კომპანიები არჩევენ შეამცირონ საექსპორტო ოპერაციები ან პაუზას იღებენ.	კურსის მკვეთრი ცვლილებები შეუძლებელს გახდის ბიზნეს ოპერაციების განხორციელებას.
2	მაკრო	ეკონომიკური ზრდა	ევროპული ბაზრები მცირე მაგრამ მდგრადი ტემპებით იზრდებიან, რაც კომპანიისთვის ნიშნავს ნიშის მოძებნის შესაძლებლობებს, მაგრამ კონკურენტული გარემო მოითხოვს პროდუქციის ერთეულზე ხარჯების მინიმიზირებას, რაც თავის მხრივ მასობრივი წარმოების ტექნოლოგიებში ინვესტირებას მოითხოვს.	კომპანიები ცდილობენ ძალების გაერთიანებას ან/და საერთაშორისო პარტნიორის მოძებნას რათა მასობრივი წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიებში ინვესტირებისთვის საჭირო ფინანსურ რესურსებზე გაუჩნდეთ წვდომა. კომპანიები არჩევენ შეამცირონ საექსპორტო ოპერაციები ან პაუზას იღებენ.	ეკონომიკური რეცესია ევროკავშირში ბაზრებზე შეღწევას გაართულებს.
		უმუშევრობა	კომპანიები ხედავენ კვალიფიკაციური თანამშრომლების აუცილებლობას, განსაკუთრებით პროდუქტის შემუშავების და გასაღების სფეროში, რომელთაც შეეძლებათ ეფექტიანად მართონ ევროპულ ბაზრებზე გასაღების პროცესი, მაგრამ ხშირად ვერ ახერხებენ შესაბამისი კვალიფიკაციის პერსონალის დაქირავებას.	კომპანიები არჩევენ უცხოელი, ან საერთაშორისო გამოცდილების მქონე სპეციალისტის მოწვევას რომელსაც მაღალ ანაზღაურებას აძლევენ. კომპანიები მიმართავენ პრესტიჟულ უნივერსიტეტებს და ჯერ კიდევ სტუდენტები აჰყავთ სამუშაოზე.	თანამშრომელთა დაბალმა კვალიფიკაციამ შეიძლება განაპირობოს პროდუქტის / სერვისის დაბალი ხარისხი.
		ინფლაცია	სავალუტო კურსის ცვლილებით გამოწვეული იმპორტირებული ინფლაციის გარდა კომპანია ხვდება ლოგისტიკური სერვისების გაძვირებას, განსაკუთრებით პანდემიის პირობებში.	კომპანიები აგრძელებენ საექსპორტო ოპერაციებს და უარს ამბობენ მოგების ნაწილზე ბაზრის შენარჩუნების მიზნით თუმცა ამცირებენ ოპერაციების მასშტაბებს ან პაუზას იღებენ.	წარმოების ხარჯების გაძვირება ტრანსპორტირების ან სხვა ხარჯების გადიდების გამო.
3	მიკრო	კონკურენციის ხარისხი	ევროპული ბიზნეს-სივრცე კომპანიას მრავალ ბაზარს, სეგმენტს და ნიშას სთავაზობს, თუმცა ამ მრავალფეროვნებას თან ახლავს ბაზარზე შესვლის დანახარჯების გადიდება და მწვავე კონკურენციის წინაშე დადგომა, შესაბამისად რთული და ძვირადღირებული ხდება შესაფერისი ნიშის მიგნება, მასზე გამაგრება და მისი შენარჩუნება, იმ პირობებში როცა ქართულ სამრეწველო პროდუქციას ნაკლებად იცნობენ და არ ენდობიან.	კომპანიები ცდილობენ გამოიყენონ ქართული დიასპორა ევროკავშირში. კომპანიები ცდილობენ მოძებნონ პარტნიორი ევროკავშირში სხვადასხვა ბიზნეს-ფორუმების, გამოფენების და სხვა საკომუნიკაციო ინსტრუმენტების მეშვეობით.	ბაზარი, მომხმარებელი არ მიიღებს ქართულ პროდუქტს.
4	სოციალური	სიღარიბე	შიდა ბაზარი არ არის საკმარისი იმისთვის, რომ კომპანიებმა მასობრივი წარმოების ტექნოლოგიები გამოიყენონ და პროდუქციის ერთეულზე დანახარჯების მინიმიზირება განახორციელონ. კომპანიები შესაბამის ტექნოლოგიებს იყენებენ და ამდენად მზად არ არიან ევროპულ ბაზრებზე საბრძოლველად.	კომპანიები ცდილობენ ძალების გაერთიანებას ან/და საერთაშორისო პარტნიორის მოძებნას რათა მასობრივი წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიებში ინვესტირებისთვის საჭირო ფინანსურ რესურსებზე გაუჩნდეთ წვდომა. კომპანიები პაუზას იღებენ ევროკავშირში საექსპორტო ოპრაციების გეგმების განხორციელებასთან დაკავშირებით.	კვალიფიციური კადრების გადინებამ შეიძლება გამოიწვიოს სპეციფიკური პროფესიის კადრების დეფიციტი და თანამედროვე წარმოების ტექნოლოგიური გამართვის და მართვის პრობლემები.
		პოლიტიკური	მიუხედავად საერთო	კომპანიები არჩევენ შეამცირონ	ევროკავშირში

		მდგომარეობა	ევროპული მიდგომისა თანასწორობისა და ეკონომიკური უფლებების დაცვის მიმართ იზოლაციონიზმის და დეზინტეგრაციის მომხრე ძალების პოლიტიკური გავლენა ევროკავშირში შეიძლება აისახებოდეს კონკრეტული ახალი მოთამაშეებისთვის გარკვეული ბარიერების დაწესებაში.	საექსპორტო ოპერაციები ან პაუზას იღებენ მანამ სანამ უკეთ გაერკვევიან შექმნილი სიტუაციის დეტალებში ან გამოძებნიან სანდო პარტნიორს.	დეზინტეგრაციული, ნაციონალისტური, იზოლაციონისტური ძალების გავლენის ზრდა იმოქმედებს ევროპულ ბაზრებზე კომპანიების დაშვების პოლიტიკის გამკაცრების მიმართულებით.
5	ეკოლოგიური	გარემოსდაცვითი	ევროკავშირის მოთხოვნები იმპორტულ პროდუქციაზე, ასევე სხვა საერთო ევროპული, შიდა საქვეყნო, ხანდახან ქალაქის და რეგიონის, რეგულაციები იმდენად მრავალფეროვანია რომ კომპანიებს ხანდახან ურჩევნიათ შეაჩერონ მუშაობა ევროკავშირში ექსპორტის მიმართულებით.	კომპანიები არჩევენ შეამცირონ საექსპორტო ოპერაციები ან პაუზას იღებენ მანამ სანამ უკეთ არ გაერკვევიან შესაბამის რეგულაციებში.	ინფორმაციის არ ქონამ კონკრეტულ ევროპულ ბაზარზე მოქმედი სპეციფიკური რეგულაციის შესახებ შეიძლება შეაფერხოს ან შეაჩეროს პროდუქტის გასაღების პროცესი.

წყარო: ავტორისეული

როგორც ჩანს ცხრილიდან, არის რამდენიმე საფრთხე, რომელიც ევროინტეგრაციის პროცესში ჩნდება კომპანიების წინაშე, რომლებიც ცდილობენ ამ პროცესის შედეგად გაჩენილი შესაძლებლობები გამოიყენონ. სავალუტო კურსის მერყეობა, რეცესია, პოლიტიკური პრობლემები, ქართული პროდუქციის შესახებ ინფორმაციის არქონა, დასაქმებულთა კვალიფიკაციის და ახალი ტექნოლოგიების გამართვის პრობლემები, ინფორმაციის ნაკლებობა სპეციფიკური რეგულაციების შესახებ შეიძლება აფერხებდნენ ან საერთოდ აჩერებდნენ ევროკავშირში ქართული საქონელ-მომსახურების გასაღების პროცესს.

საბოლოო ჯამში შეიძლება ითქვას რომ საქართველოს და ევროკავშირის ეკონომიკური ზრდის ტემპების, ინფლაციის, უმუშევრობის, სიღარიბის, გარემოს დაჭუჭყიანების, სავალუტო კურსის 2002-2019 წლის მონაცემების ცალ-ცალკე განხილვის და შედარებითი ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ წყვილ-წყვილად ეს მაჩვენებლები ძირითადად ერთი მიმართულებით იცვლებიან, მიუხედავად იმისა რომ მათი აბსოლუტური მნიშვნელობები განსხვავდება, ცვლილების მიმართულება დროში პრინციპში ერთნაირია, ეს მაჩვენებლები, გარდა ერთისა არც შორდებიან ერთმანეთს და არც უახლოვდებიან, ისინი ერთი მიმართულებით განიცდიან ცვლას რაც მიუთითებს რომ საქართველოს და ევროკავშირის ბიზნესი ერთნაირ, გლობალურ და რეგიონულ ბიზნეს-გარემოში ფუნქციონირებს.

ძირითადი საფრთხეები, რომლებიც შეიძლება საქართველოს ბიზნესისთვის გაჩნდეს ევროკავშირთან ინტეგრაციის პირობებში ევროზონის ბიზნეს-გარემოსთან

შეგუების დროს, წარმოიშვება საქართველოს დღევადელი ეკონომიკური სისტემის ერთი ნეგატიური თავისებურებიდან, ქვეყანა დამოკიდებულია იმპორტზე, რამაც შეიძლება წარმოშვას რესურსების გადინება და მათზე გეოგრაფიულად წვდომის გართულება ქართული ბიზნესისთვის, კონკურენციის გამწვავება და საბოლოოდ „კმაყოფაზე“ მყოფი ტერიტორიის როლში გამოსვლა ევროკავშირისთვის. კომპანიებისთვის წარმოიშვება რისკების მრავალფეროვანი სპექტრი, საიდანაც შეიძლება გამოიყოს უნდობლობა ქართული პროდუქციის მიმართ, კვალიფიკაციის ნაკლებობა და სირთულეები ახალი ტექნოლოგიების ათვისების პროცესში, ინფორმაციის ნაკლებობა სხვადასხვა რეგულაციების შესახებ და ა.შ.

თავი 3.2. ინტეგრირების პროცესში ადგილობრივი ბიზნესის საფრთხეების და დანაკარგების შემცირების მიმართულებები

პარაგრაფში 2.3. გაკეთებული პროგნოზის მიხედვით, უახლოეს წლებში საქართველოს ბიზნეს-გარემოს ევროკავშირის ბიზნე-გარემოსადმი ადაპტაციის პროცესი პრაქტიკულად გაჩერდება.

ამგვარი პროგნოზის არსებობა აუცილებელს ხდის მოვლენათა განვითარების პესიმისტური სცენარის გათვალისწინებასაც, რაც ნაწილობრივ განხორციელდა კიდეც ზევით - პარაგრაფებში 2.1. 2.2. და 3.1. გამოვლინდა რამდენიმე პრობლემა, რომლებიც საჭიროებენ ყურადღებას, რათა საქართველოს და ევროკავშირის ბიზნეს-გარემოთა ინტეგრაცია, უფრო სწორად საქართველოს ბიზნეს-გარემოს ადაპტირება ევროკავშირის ბიზნეს-გარემოსთან, რაც შეიძლება მეტი ეფექტიანობით განხორციელდეს.

ერთ-ერთი ყურადსაღები პრობლემა, რომელიც გამოჩნდა 2.2. პარაგრაფში, არის ევროინტეგრაციისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულების ჩამოყალიბების პრობლემა. შესაძლოა ისე მოხდეს, რომ ევროინტეგრაცია აღმოჩნდეს მხოლოდ საჯარო სივრცეში მიმდინარე პროცედურების ერთიანობა, რომლებიც არ ქმნიან ამინდს საზოგადოებაში და არ ცვლიან მისი სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების წესს. ეს პრობლემა პრინციპში დასტურდება კიდეც საქართველ-ევროკავშირის ეკონომიკური ურთიერთობების (FDI, ექსპორტი, იმპორტი) დინამიკით, რომლებშიც არ შეინიშნება რაიმე ძირეული ცვლილებები ან გარდატეხის მომენტი ასოცირების ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან დღემდე. თუმცა ამ მომენტიდან მხოლოდ რამდენიმე წელია გასული და შესაძლოა ამგვარი შეფასებების გაკეთება ცოტა ადრე იყოს - ადგილობრივ ბიზნესს გარკვეული დრო დასჭირდება ევროინტეგრაციის მოცემულ ეტაპზე გახსნილი ახალი შესაძლებლობების გამოყენებისთვის. ყოველ შემთხვევაში, არის რისკი რომ ევროინტეგრაცია მხოლოდ ევროპაში უვიზოდ ტურისტული მიმოსვლის შესაძლებლობად ან იქ არალეგალურად დარჩენის შანსად იქნას აღქმული.

მეორე პრობლემა, რომელიც რამდენიმეჯერ დაფიქსირდა კვლევის მსვლელობისას, არის საქართველოს დამოკიდებულება იმპორტზე, რომელიც შექმნის

მომავალში მთელ რიგ პრობლემებს მეწარმეების უნართან დაკავშირებით ეფექტიანად იბრძოლონ ევროკავშირის ბაზრის ფარგლებში, ასევე რესურსების გადინებასთან და მათზე წვდომასთან, სოციალური პრობლემების გამწვავებასთან და საბოლოოდ ევროკავშირში „კმაყოფაზე მყოფი“ ტერიტორიის იმიჯით მოხვედრასთან დაკავშირებით.

საქართველოს მთავრობა ისედაც ახორციელებს ძალიან ბევრ ღონისძიებას, რომელთა ამოცანაც არის ამგვარი პრობლემების შერბილება და რომელთა შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი იყო 2.2. და 2.3. პარაგრაფებში. თუმცა შეიძლება ამ პროცესის ეფექტიანობის გადიდება რამდენიმე მიმართულებით, რომლებიც ქვემოთ არის აღწერილი.

კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც ნათლად გამოჩნდა 3.1 პარაგრაფში, არის განვითარების პროცესში ბიზნეს გარემოს ფაქტორთა მაჩვენებლების მაღალი მერყეობა, რაც კავშირშია ზოგადად განვითარების დონესთან და მთავრობის მარეგულირებელი როლის მასშტაბებთან.

და ბოლოს, პრობლემა რომელიც აღმოჩნდა გარემოს დაბინძურების შედარებითი ანალიზის დროს, იმაში მდგომარეობს რომ გარემოს დაბინძურების მასშტაბები, თუმცა ჩამორჩება ევროკავშირის დონეს, იზრდება. ამავე დროს ევროკავშირში იგივე მაჩვენებელი კლებულობს. აქ არსებობს განვითარებას და მდგრადობას შორის აშკარა დილემა საქართველოსთვის - ეკონომიკური განვითარება ყველა შემთხვევაში ნიშნავს იმას რომ გარემოს დაჭუჭყიანების მასშტაბები გაიზრდება, არადა თუ ეკონომიკური ზრდის ტემპი ევროკავშირისას არ გაასწრებს, უახლოეს პერიოდში ბიზნეს გარემოთა დამსგავსების ერთ-ერთი ფაქტორი ვერ იმუშავებს პოზიტიური მიმართულებით. მეორე მხრივ, საქართველო ყოველწლიურად ღებულობს ახალ და ახალ რეგულაციებს და სტანდარტებს, მათ შორის გარემოსდაცვით სფეროში, რაც ნიშნავს რომ გარემოსდაცვით სფეროში რეგულაციები სულ უფრო მკაცრდება და ეკონომიკური ზრდის შემზღუდავი ხდება. საქართველოს სჭირდება ეკონომიკური ზრდის კარგი ტემპები ევროკავშირის ბიზნეს-გარემოსთან დასაწევად, მაგრამ ევროკავშირის რეგულაციებმა შეიძლება შეზღუდოს ამ ტემპების მიღწევის ამოცანა.

კიდევ ერთი დილემა რომელიც ევროინტეგრაციასთან დაკავშირებით არსებობს, მოლოდინებსა და რეალობას შორის განსხვავებაა. ადამიანთა უმეტესობისთვის ევროინტეგრაცია ეროვნული ეკონომიკური პრობლემების გადაჭრის ინსტრუმენტია. ისინი ნაკლებს ფიქრობენ რომ მათი მხრიდან რაიმე ნაბიჯები არის გადასადგმელი იმისთვის რომ ევროკავშირში გაწევრიანდნენ - პირიქით, ისინი თვლიან რომ მთავარია „შეასწრო“ ევროკავშირში და შემდეგ ჯადოსნური ჯოხის ერთ დაქნევით გაჩნდება სამუშაო ადგილები, შემოსავლები, ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპები, ცხოვრების მაღალი დონე, გასაღების ბაზრები საქონლისთვის და ა.შ. ამგვარი მოლოდინები თავისთავად ჩამოყალიბდა წლების მანძილზე, რასაც „ბუნებრივად“ უწყობდა ხელს განცხადებები „საქართველოს ევროპული არჩევანი“, „ქართველი, მაშასადამე ევროპელი“ და ა.შ. საბოლოოდ მენტალურად საქართველოს მოქალაქე თვლის რომ ევროკავშირში თავისთავად არის მისი ადგილი და ამ ადგილის დასაჭერად არაფრის გაკეთება არ არის საჭირო.

საბოლოო ჯამში შეიძლება ითქვას რომ ევროკავშირში ბიზნესის კეთების პირობებისადმი ბიზნეს გარემოს ადაპტირებისთვის სრულყოფას საჭიროებს სხვადასხვა დონის სახელმწიფო პოლიტიკა.

საჭიროა საქართველო იმპორტზე დამოკიდებული ეკონომიკიდან კონკურენტუნარიან ეკონომიკურ სისტემად გარდაიქმნას. სახელმწიფო ღონისძიებები, რომლებიც ადგილობრივ მეწარმეთა უნარების გაძლიერებას, მათ ფინანსურ მხარდაჭერას, საჯარო სამსახურებში პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებას გულისხმობს, აშკარად არ არის საკმარისი იმისთვის რომ ბიზნესის კეთილგანწყობილი გარემო შექმნას. მაგალითად, წინა თავში განხილული უმუშევრობის და სიღარიბის მწვავე პრობლემების საფუძველი სამუშაო ძალის კვალიფიკაციის ნაკლებობასა და განათლების დაბალ დონეში უნდა მოიძებნოს. შესაძლოა სწორედ აქეთ უნდა იყოს მიმართული ევროინტეგრაციის პოლიტიკის ვექტორი - სამეწარმეო უნარის მქონე ადამიანი თავისითაც მშვენივრად გაიგნებს გზას კონკურენტულ ბაზარზე - ეს მისი, როგორც მეწარმის ბუნებაში ზის, მაგრამ თუ ამ ადამიანს არ ჰყავს დასაქმებული მაღალკვალიფიციური კადრები კომერციულ განყოფილებაში, რომელთაც ეფექტიანი კონკურენტული სტრატეგიის შემუშავება და

განხორციელება შეუძლიათ, ტექნიკურ განყოფილებაში, რომლებიც გამუდმებით აუმჯობესებენ ტექნოლოგიურ პროცესს საკუთარი მიგნებებით ან უახლესი მიღწევებით დარგში, მაშინ ამ მეწარმის ნოვატორობა, რისკიანობა და მოგების მიღების სურვილი ვერ რეალიზდება შესაბამისი პროდუქციის ეფექტიანი წარმოების და გასაღების მეშვეობით. შრომის დაბალი ნაყოფიერება, გამოწვეული განათლების დაბალი დონით, წარმოადგენს ყველაზე დიდ საფრთხეს ევროინტეგრაციის პროცესში, რადგან როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოს ბიზნეს აგენტები ვერ ახერხებენ და მომავალშიც ვერ მოახერხებენ ეფექტიან კონკურენციას ევროპულ პროდუქციასთან და საქართველოს ეკონომიკური სისტემა რისკავს უბრალო ტერიტორიულ დანამატად იქცეს ევრობაზრისთვის.

შესაბამისად, ეფექტიანი განათლების პოლიტიკა ევროინტეგრაციის პროცესში ეროვნული ბიზნეს-გარემოს მზაობის გადიდების ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენს - ამ მიმართულების რეალიზება უზრუნველყოფს ბიზნეს-გარემოს ორი მახასიათებლის - სიღარიბის და უმუშევრობის დონის ასპექტში პოზიტიურ ცვლილებებს და დაახლოებას ევროკავშირის დონესთან. თუმცა ესეც შეიძლება არ აღმოჩნდეს პრობლემის გადაჭრის გზა - უბრალოდ მეტი მაღალმწარმოებლური შრომითი რესურსი გავა ქვეყნის საზღვრებს გარეთ, ხოლო ბიზნეს-გარემო ქვეყნის ტერიტორიაზე უფრო გაუარესდება.

ცხრილი 3.2.1. ბიზნეს გარემოს ფაქტორები და ევროინტეგრაციის რისკებთან გამკლავების სახელმწიფო პოლიტიკა

ბიზნეს-გარემოს ფაქტორები	მარტივი რისკები	შედგენილი რისკები	ძირითადი რისკი
ეკონომიკური ზრდა	ეკონომიკური ზრდის არასაკმარისი ტემპი წარმოების ფაქტორების პოტენციალის რეალიზაციისთვის	წარმოების ფაქტორებზე შემცირებული წვდომა	ევროინტეგრაციის პროცესში ადგილობრივი წარმოების ბიზნეს გარემო გაუარესდება და ქვეყანა გადაიქცევა კრიზისულ რეგიონად, რომელმაც ევროკავშირს მიაწოდა თუ რამ სამუშაო ძალა და კაპიტალი გააჩდა და ახლა კერძო და საჯარო ტრანსფერტებზე ცხოვრობს
უმუშევრობა	ევროინტეგრაციის პროცესში სამუშაო ძალის გადინება ევროზონაში		
სიღარიბე	ევროზინაში გადინებული სამუშაო ძალის ტრასფერტებზე დამოკიდებული ადგილობრივები	არამიმიზიდველი საინვესტიციო გარემო	
გარემოს დაბინძურება	ევროინტეგრაციისთვის შეუსაბამო გარემოსადმი არამეგობრული, წარმოების წესის დამკვიდრება		
გაცვლითი კურსი	იმპორტირებული ინფლაცია	ეროვნული წარმოების საქონელ-მომსახურების გასაღების პრობლემები	
ინფლაცია	გახსნილი ბაზრის პირობებში გაზრდილი კონკურენტული ზეწოლა ადგილობრივ წარმოებაზე ევროკავშირის ბიზნესის მხრიდან		

წყარო: ავტორისეული

პარაგრაფების 2.1, 2.2, 2.3, 3.1. აღმოჩენილი პრობლემების და ამ პარაგრაფში ზევით განხორციელებული დისკუსიის შეჯამება შეიძლება განხორციელდეს

ცხრილში 3.2.1, რომელიც წარმოადგენს მცდელობას, გამოიყენოს რისკების იდენტიფიცირების ცნობილი სქემა „მარტივი რისკები - შედგენილი რისკები - ძირითადი რისკი“, იმისთვის რომ აღმოაჩინოს ის კრიზისი, რომელიც შეიძლება დადგეს საქართველოსთვის ევროინტეგრაციის გზაზე.

როგორც ჩანს ცხრილიდან 3.2.1, საქართველოს ევროინტეგრაციის პესიმისტური სცენარით წარმართვის შემთხვევაში ქვეყანა გადაიქცევა ევროკავშირის ინდუსტრიული ცენტრებისთვის შრომითი და კაპიტალის რესურსების მიმწოდებლად, ხოლო მას დარჩება ამ რესურსებიდან მიღებული ტრანსფერტების, ასევე ევროკავშირიდან მიღებული დახმარებების ხარჯზე ცხოვრება. ბიზნეს გარემო ამ ტერიტორიაზე ჩამოყალიბდება ბიზნესისადმი არაკეთილგანწყობილი ფორმით.

როგორც უკვე აღინიშნა ზევით, ამ პრობლემის გადაჭრას მრავალდონიანი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება დასჭირდება. სწორედ ამგვარი პოლიტიკური მექანიზმის შექმნის მცდელობა იქნება მოყვანილი ქვემოთ:



ნახ. 15. ინტეგრაციაზე ორიენტირებული ეკონომიკური პოლიტიკა

როგორც ჩანს ზევით მოცემული ნახაზიდან, ინტეგრაციაზე ორიენტირებული ეკონომიკური პოლიტიკა ორ დონედ უნდ დაიყოს: მაკრო დონეზერ განსახორციელებელი ღონისძიებები და მიკროდონეზე განსახორციელებული ღონისძიებები.

მაკროდონეზე განსახორციელებელი ღონისძიებები ოთხ საკვანძო ელემენტად შეიძლება დაიყოს:

1. მასტიმულირებელი მონეტარული და შემზღუდავი ფისკალური პოლიტიკის შეხამება. მოკლევადიან პერიოდში ამას მოჰყვება სარგებლის განაკვეთის შემცირება შეხამებული იქნება სახელმწიფო ხარჯების შემცირებასთან. გრძელვადიან პერიოდში კერძო საინვესტიციო დანახარჯები ჩაანაცვლებს სახელმწიფო ხარჯებს ერთობლივი მოთხოვნის სტრუქტურაში. ევროინტეგრაციისთვის ამასა შეიძლება მოჰყვეს შედეგად ის, რომ მაკროდონეზე მოხდება ბიზნეს სექტორისთვის კეთილგანწყობილი გარემოს ფორმირება, რომელიც შექმნის ევრობაზარზე ეფექტიანი კონკურენციის ერთ-ერთ პირობას.

2. ინვესტიციებზე ევროკავშირიდან, ქართული და ევროპული ერთობლივი საწარმოების შექმნაზე, ემიგრაციული კაპიტალით საწარმების შექმნაზე განსაკუთრებული საშეღავათო პირობების მიღების შედეგად მოკლევადიან პერიოდში უზრუნველყოფილ იქნება საგადასახადო შეღავათები და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ობიექტების შეღავათიანი გადაცემა საწარმოებისთვის, რომლებიც ემიგრანტების კაპიტალით, ან ევროკავშირის ეკონომიკური აგენტის მონაწილეობით იქნება შექმნილი. გრძელვადიან ასპექტში საქართველოში გაჩნდება ევროპული ტიპის საწარმოები, (მათ შორის განათლების სფეროში) ევროპული წარმოების წესით, მენეჯმენტით, ტექნოლიგიებით, ბაზარზე ბრძოლის მეთოდებით და ა.შ. ევროინტეგრაციისთვის ამას ექნება იმგვარი შედეგი, რომ ევროპული ტიპის საწარმოების და შრომის და კაპიტალის ევროპული წარმომადგენლების მხრიდან კონკურენტულ ბრძოლაში ჩაბმული ქართული ეკონომიკური აგენტები და წარმოების ფაქტორები მიეჩვევიან ევროპული წარმოების წესს, გააცნობეირებენ როგორი უნდა იყოს თანამედროვე კონკურენტული წარმოება, რათა ბაზარზე საკუთარი ადგილი დაიმკვიდროს.

3. სოციალური პაკეტის გამსხვილების და პაკეტის მიღების პირობების გამკაცრების პოლიტიკის შეხამება მოკლევადიან პერიოდში გამოიწვევს იმას, რომ მთავრობის სოციალური როლი დაუახლოვდება საშუალო ევროპული სახელმწიფოს სოციალურ როლს. გრძელვადიან პერიოდში სოციალური დახმარების პაკეტის ორიენტირების შეცვლა უბრალოდ დახმარებიდან განვითარებისკენ და სიღარიბიდან

ამოყვანისკენ შეცვლის საზოგადოების დამოკიდებულებას სოციალური დახმარების მიმართ. ევროპული სოციალური პოლიტიკის რეპლიკაცია შექმნის საქართველოში ცხოვრების ერთ-ერთ ასპექტს ისეთივე ფორმით, როგორიც ეს ევროპაშია და ერთ - ერთ მიზეზს შექმნის იმისთვის რომ სამუშაო ძალა არ გაედინოს და პირიქით, ევროპული სამუშაო ძალისთვის ჩვეულებრივი მოვლენა გახდეს საქართველოში სამუშაოდ ჩამოსვლა.

4. კონკურენციის გამწვავების და ტექნოლოგიური განვითარების პოლიტიკების შეხამება და ბალანსის დაცვა მოკლევადიან პერიოდში ნიშნავს, რომ მონოპოლიებთან ბრძოლას და მსხვილი ეკონომიკური აგენტებისთვის ტექნოლოგიური განვითარების სტიმულირებას შორის ბალანსი უნდა იყოს დაცული. ამ პოლიტიკის შედეგად გრძელვადიან პერიოდში საქართველოში გაჩნდება საშუალო ზომის, თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაფუძნებული საწარმოების „ფენა“, რომლებსაც შეეძლებთ ეფექტიანად გასწიონ კონკურენცია ევროპულ და საერთაშორისო ბაზრებზე. ევროინტეგრაციისთვის ეს ნიშნავს, რომ თავიდან იქნება არიდებული საფრთე, რომ ევროინტეგრაციის მასშტაბების გაღრმავების პროცესში ქართულ ბიზნეს არ ჩაყლაპავენ ევროპული კონკურენტები, რომელთაც საქართველოს ბაზარზე დაშვება გაუადვილდებათ.

მიკრო დონეზე ასევე უნდა გამოიყოს ოთხ საკვანძო მიმართულება, რომლებიც ევროინტეგრაციის პროცესის მეტ-ნაკლებად უმტკივნეულოდ განხორციელებას შეუწყობს ხელს:

1. განათლებაზე წვდომის გადიდების და განათლების სტანდარტების გამკაცრების პოლიტიკის შეხამება მოკლევადიან პერიოდში ნიშნავს რომ უფასო განათლება იქნება უზრუნველყოფილი ნებისმიერი მსურველისთვის, თუმცა განათლების სტანდარტი მსურველისთვის და სწავლების სტანდარტი სერვისის მიმწოდებლისთვის ძალიან მაღალი იქნება. ამას გრძელვადიან პერიოდში მოჰყვება ის, რომ მიღებული განათლების სტრუტურა შეიცვლება და მასში მეტ ადგილს პროფესიული განათლება დაიჭერს. ასევე გაიზრდება მიღებული განათლების ხარისხი. ევროინტეგრაციისთვის ეს ნიშნავს, რომ ეროვნულ სამუშაო ძალას შეეძლება ეფეტიანი კონკურენციის გაწევა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ევროზონის შრომის

ბაზრებზე, შრომის ნაყოფიერება ქვეყანაში, და შესაბამისად, ეკონომიკური ზრდის ტემპი, ასევე ამაღლდება.

2. სოფლის მეურნეობის პროდუქციისთვის მწვავე კონკურენტულ ბაზარზე სუბსიდირების და სხვა დახმარებების გარეშე დაშვების, აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარების ხელშეწყობის და ტექნოლოგიური დახმარების პოლიტიკის შეხამებამ მოკლევადიან პერიოდში შეიძლება შექმნას პრობლემები ფერმერული მეურნეობებისთვის, განსაკუთრებით მცირე და საშუალო მეურნეობებისთვის, რაც შეიძლება გადაიზარდოს პოლიტიკური და სოციალურ დაძაბულობაში. ტექნოლოგიური დახმარება, რომელიც უფასოდ უნდა გადაეცეს ფერმერებს, გრძელვადიან პერიოდში მოიტანს ეფექტს. გრძელვადიან პერიოდში მოსალოდნელია ფერმერული მეურნეობების გამსხვილება და მათი ტექნოლოგიური აღჭურვის ხარისხის, წარმოების ნაყოფიერების გადიდება, რაც საფუძველს შექმნის ადგილობრივ ბაზაზე აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარებისთვის. ევროინტეგრაციისთვის ამას დიდი მნიშვნელობა ექნება რადგან ადგილობრივ სასურსათო პროდუქციას შეეძლება ეფექტიანი კონკურენცია გასწიოს ევროზონაში.

3. ევროკავშირთან ტურისტული გაცვლების მასშტაბების ზრდის პოლიტიკა. მოკლევადიან პერიოდში ძალიან მნიშვნელოვანია ორივე მიმართულებით გამყვანი ტურიზმის ხელშეწყობა, რაც კულტურული გაცვლის გაღრმავების წინაპირობაა. გრძელვადიან პერიოდში სოციალურ-კულტურული გაცვლა აამაღლებს ურთერთპატივისცემის, ტოლერანტობის ხარისხს ორივე მხრიდან და სოციალურ ურთიერთობებს ევროზონას და საქართველოს შორის ჩვეულებრივს გახდის, ასევე მოხდება სოციალური ქცევის ნორმების და მსოფლმხედველობის გავრცელება და ადაპტირება რაც მრავალი არაფორმალური ინსტიტუტის დამსგავსებას ნიშნავს. საქართველო არაფორმალური ინსტიტუტების დონეზე გახდება ნელნელა ევროზონის ერთერთი შემადგენელი ნაწილი რაც შეუწყობს ხელს ინტეგრაციას პრაქტიკულად ყველა მიმართულებით.

4. ევროპული საქონელ-მომსახურების საწარმოო ჯაჭვში ადგილობრივი სამრეწველო საწარმოების ჩართვის პოლიტიკა მოკლევადიან პერიოდში გულისხმობს, რომ საქართველოში გაიხსნება საწარმოები (მათ შორის აგროსამრეწველო სფეროში), რომლებიც რაიმე ერთ დეტალს, ნახევარფაბრიკატს, ან

სერვისს აწარმოებენ, რომელიც საბოლოო ევროპული პროდუქტის ერთ-ერთი ელემენტი იქნება. გრძელვადიან პერიოდში საქართველო აღქმული იქნება, როგორც ევროზონის ერთი ჩვეულებრივი ელემენტი, რომელსაც გააჩნია ინვესტირებისთვის ხელსაყრელი პირობები და შესაბამისი კვალიფიკაციის სამუშაო ძალა, ასევე კეთილგანწყობილი სოციალური ინფრასტრუქტურა, იმისთვის, რომ აქ აახალი წარმოების გახსნა და ინვესტირება ევროკავშირის ეკონომიკური აგენტის მხრიდან ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდეს. ამდენად, დროთა განმავლობაში საქართველოს ბიზნეს გარემო ბუნებრივად შეერწყმება ევროპულს.

ზევით მოყვანილი საფრთხეების მართვის სქემა განკუთვნილია სახელმწიფო მოქმედებებისთვის, მაგრამ ბიზნეს-გარემოს ცვლილებები და მათი გავლენა უპირველეს ყოვლისა აისახება კომპანიებზე, რომლებიც ახალ გარემო პირობებში მოქმედებას იწყებენ. სწორედ ისინი ღებულობენ თავის თავზე სხვადასხვა საფრთხეების გავლენის მთელ სიმძიმეს და ცდილობენ შეეგუონ ამ საფრტხეებს ან სხვაგვარად მართონ ისინი, მანამ, სანამ სახელმწიფო ორგანოები მოიმოქმედებენ იმ ღონისძიებებს, რომლებიც ზევით არის აღწერილი.

შემჭიდროებულად რისკის მართვის ღონისძიებები ქვემოთ მოყვანილ ცხრილებში არის წარმოდგენილი.

ცხრილი 3.2.2. ბიზნეს-სუბიექტის რეაგირება ბიზნეს-გარემოს პირობების ცვლილებაზე და საფრთხეების მართვა

N	ბიზნეს-გარემო	ფაქტორები	გამოწვევები ბიზნეს-სექტორისთვის	ბიზნეს-გადაწყვეტილებები	საფრთხეები	საფრთხეების მართვა
1	გლობალური	სავალუტო კურსი	ევროს ყოველი გაძვირება ქმნის ექსპორტის შესაძლებლობას კომპანიისთვის თუმცა აძვირებს ევროპულ ბაზრებზე განსახორციელებელი პრომოუშენის ღირებულებას, ასევე წარმოების ტექნიკური გადაიარაღების ღირებულებას.	კომპანიები ცდილობენ ჩაანაცვლონ საჭირო შუალედური საქონელ-მომსახურების, კაპიტალური აქტივების, საპრომოუშენო ამსალების მომწოდებლები ადგილობრივით ან სხვა საერთაშორისო მიმწოდებლებით. კომპანიები არჩევენ შეამცირონ საექსპორტო ოპერაციები ან პაუზას იღებენ.	კურსის მკვეთრი ცვლილებები შეუძლებელს გახდის ბიზნეს ოპერაციების განხორციელებას.	ბიზნესის ნაწილის ევროკავშირის ტერიტორიაზე გადატანა ფილიალის / წარმომადგენლობის სახით.
2	მაკრო	ეკონომიკური ზრდა	ევროპული ბაზრები მცირე მაგრამ მდგრადი ტემპებით იზრდებიან, რაც კომპანიისთვის ნიშნავს ნიშის მოძებნის შესაძლებლობებს, მაგრამ კონკურენტული გარემო მოითხოვს პროდუქციის	კომპანიები ცდილობენ ძალების გაერთიანებას ან/და საერთაშორისო პარტნიორის მოძებნას რათა მასობრივი წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიებში ინვესტირებისთვის საჭირო ფინანსურ რესურსებზე გაუჩნდეთ წვდომა.	ევროკავშირში ეკონომიკური რეცესია ბაზრებზე შეღწევას გაართულებს.	ბაზრების დივერსიფიკაციის პოლიტიკა

			ერთეულზე ხარჯების მინიმიზირებას, რაც თავის მხრივ მასობრივი წარმოების ტექნოლოგიებში ინვესტირებას მოითხოვს.	კომპანიები არჩევენ შეამცირონ საექსპორტო ოპერაციები ან პაუზას იღებენ.		
		უმუშევრობა	კომპანიები ხედავენ კვალიფიკაციური თანამშრომლების აუცილებლობას, განსაკუთრებით პროდუქტის შემუშავების და გასაღების სფეროში, რომელთაც შეეძლებათ ეფექტიანად მართონ ევროპულ ბაზრებზე გასაღების პროცესი, მაგრამ ხშირად ვერ ახერხებენ შესაბამისი კვალიფიკაციის პერსონალის დაქირავებას.	კომპანიები არჩევენ უცხოელი, ან საერთაშორისო გამოცდილების მქონე სპეციალისტის მოწვევას რომელსაც მაღალ ანაზღაურებას აძლევენ. კომპანიები მიმართავენ პრესტიჟულ უნივერსიტეტებს და ჯერ კიდევ სტუდენტები აჰყავთ სამუშაოზე.	თანამშრომელთა დაბალმა კვალიფიკაციამ შეიძლება განაპიროობოს პროდუქტის / სერვისის დაბალი ხარისხი.	პერსონალის მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების / ტრენინგების პროგრამა კომპანიის ფარგლებში.
		ინფლაცია	სავალუტო კურსის ცვლილებით გამოწვეული იმპორტირებული ინფლაციის გარდა კომპანია ხვდება ლოგისტიკური სერვისების გაძვირებას, განსაკუთრებით პანდემიის პირობებში.	კომპანიები აგრძელებენ საექსპორტო ოპერაციებს და უარს ამბობენ მოგების ნაწილზე ბაზრის შენარჩუნების მიზნით თუმცა ამცირებენ ოპერაციების მასშტაბებს ან პაუზას იღებენ.	წარმოების ხარჯების გაძვირება ტრანსპორტირების ან სხვა ხარჯების გადიდების გამო.	ბიზნესის ნაწილის ევროკავშირის ტერიტორიაზე გადატანა ფილიალის / წარმომადგენლობის სახით.
3	მიკრო	კონკურენციის ხარისხი	ევროპული ბიზნეს-სივრცე კომპანიას მრავალ ბაზარს, სეგმენტს და ნიშას სთავაზობს, თუმცა ამ მრავალფეროვნებას თან ახლავს ბაზარზე შესვლის დანახარჯების გადიდება და მწვავე კონკურენციის წინაშე დადგომა, შესაბამისად რთული და ძვირადღირებული ხდება შესაფერისი ნიშის მიგნება, მასზე გამაგრება და მისი შენარჩუნება, იმ პირობებში როცა ქართულ სამრეწველო პროდუქციას ნაკლებად იცნობენ და არ ენდობიან.	კომპანიები ცდილობენ გამოიყენონ ქართული დიასპორა ევროკავშირში. კომპანიები ცდილობენ მოძებნონ პარტნიორი ევროკავშირში სხვადასხვა ბიზნეს-ფორუმების, გამოფენების და სხვა საკომუნიკაციო ინსტრუმენტების მეშვეობით.	ბაზარი, მომხმარებელი არ მიიღებს ქართულ პროდუქტს.	სხვა კომპანიებთან ერთად ერთობლივი ძალისხმევა ზოგადად ქართული ინდუსტრიული პროდუქტის იმიჯის ამაღლებასთან დაკავშირებით.
4	სოციალური	სიღარიბე	შიდა ბაზარი არ არის საკმარისი იმისთვის, რომ კომპანიებმა მასობრივი წარმოების ტექნოლოგიები გამოიყენონ და პროდუქციის ერთეულზე დანახარჯების მინიმიზირება განახორციელონ. კომპანიები შესაბამის ტექნოლოგიებს იყენებენ და ამდენად მზად არ არიან ევროპულ ბაზრებზე საბრძოლველად.	კომპანიები ცდილობენ ძალების გაერთიანებას ან/და საერთაშორისო პარტნიორის მოძებნას რათა მასობრივი წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიებში ინვესტირებისთვის საჭირო ფინანსურ რესურსებზე გაუჩნდეთ წვდომა. კომპანიები პაუზას იღებენ ევროკავშირში საექსპორტო ოპრაციების გეგმების განხორციელებასთან დაკავშირებით.	კვალიფიციური კადრების გადინებამ შეიძლება გამოიწვიოს სპეციფიკური პროფესიის კადრების დეფიციტი და თანამედროვე წარმოების ტექნოლოგიური გამართვის და მართვის პრობლემები.	პერსონალის მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების / ტრენინგების პროგრამა კომპანიის ფარგლებში.
		პოლიტიკური	მიუხედავად საერთო	კომპანიები არჩევენ	ევროკავშირში	ბიზნესის ნაწილის

		მდგომარეობა	ევროპული მიდგომისა თანასწორობისა და ეკონომიკური უფლებების დაცვის მიმართ იზოლაციონიზმის და დეზინტეგრაციის მომხრე ძალების პოლიტიკური გავლენა ევროკავშირში შეიძლება აისახებოდეს კონკრეტული ახალი მოთამაშეებისთვის გარკვეული ბარიერების დაწესებაში.	შეამცირონ საექსპორტო ოპერაციები ან პაუზას იღებენ მანამ სანამ უკეთ გაერკვევიან შექმნილი სიტუაციის დეტალებში ან გამოძებნიან სანდო პარტნიორს.	დეზინტეგრაციული, ნაციონალისტური, იზოლაციონისტური ძალების გავლენის ზრდა იმოქმედებს ევროპულ ბაზრებზე კომპანიების დაშვების პოლიტიკის გამკაცრების მიმართულებით.	ევროკავშირის ტერიტორიაზე გადატანა ფილიალის / წარმომადგენლობის სახით.
4	ეკოლოგიური	გარემოსდაცვითი	ევროკავშირის მოთხოვნები იმპორტულ პროდუქციაზე, ასევე სხვა საერთო ევროპული, შიდა საქვეყნო, ხანდახან ქალაქის და რეგიონის, რეგულაციები იმდენად მრავალფეროვანია რომ კომპანიებს ხანდახან ურჩევნიათ შეაჩერონ მუშაობა ევროკავშირში ექსპორტის მიმართულებით.	კომპანიები არჩევენ შეამცირონ საექსპორტო ოპერაციები ან პაუზას იღებენ მანამ სანამ უკეთ არ გაერკვევიან შესაბამის რეგულაციებში.	ინფორმაციის არ ქონამ კონკრეტულ ევროპულ ბაზარზე მოქმედი სპეციფიკური რეგულაციის შესახებ შეიძლება შეაფერხოს ან შეაჩეროს პროდუქტის გასაღების პროცესი.	ბიზნესის ნაწილის ევროკავშირის ტერიტორიაზე გადატანა ფილიალის / წარმომადგენლობის სახით.

წყარო: ავტორისეული

როგორც ჩანს ცხრილიდან, იკვეთება საფრთხეების მართვის ოთხი ძირითადი მიმართულება:

1. ბიზნესის ნაწილის ევროკავშირის ტერიტორიაზე გადატანა ფილიალის / წარმომადგენლობის სახით;
2. ბაზრების დივერსიფიკაციის პოლიტიკა;
3. პერსონალის მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების / ტრენინგების პროგრამა კომპანიის ფარგლებში;
4. სხვა კომპანიებთან ერთად ერთობლივი ძალისხმევა ზოგადად ქართული ინდუსტრიული პროდუქტის იმიჯის ამაღლებასთან დაკავშირებით.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ წარმოების ფაქტორებზე შემცირებული წვდომა, არამიმზიდველი საინვესტიციო გარემო და ეროვნული წარმოების საქონელ-მომსახურების გასაღების პრობლემები წარმოადგენენ იმ საკვანძო შედგენილ რისკებს, რომლებიც შეიძლება გაჩნდეს საქართველოსთვის ევროინტეგრაციის პროცესში, რასაც მივყავართ ძირითადი რისკისკენ: ევროინტეგრაციის პროცესში ადგილობრივი წარმოების ბიზნეს გარემო გაუარესდება და ქვეყანა გადაიქცევა

კრიზისულ რეგიონად, რომელმაც ევროკავშირს მიაწოდა თუ რამ სამუშაო ძალა და კაპიტალი გააჩდა და ახლა კერძო და საჯარო ტრანსფერტებზე ცხოვრობს.

ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად ან შესარბილებლად ან მასთან გამკლავებისთვის საჭიროა ღონისძიებების კომპლექსური სისტემის განხორციელება, რომლებიც მოიცავენ როგორც მაკრო, ისე მიკროდონეზე განსახორციელებელ მოქმედებას, კერძოდ: ა) მასტიმულირებელი მონეტარული და შემზღუდავი ფისკალური პოლიტიკის შეხამება. ბ) ინვესტიციებზე ევროკავშირიდან, ქართული და ევროპული ერთობლივი საწარმოების შექმნაზე, ემიგრაციული კაპიტალით საწარმების შექმნაზე განსაკუთრებული საშეღავათო პირობების მიღება. გ) სოციალური პაკეტის გამსხვილების და პაკეტის მიღების პირობების გამკაცრების პოლიტიკის შეხამება. დ) კონკურენციის გამწვავების და ტექნოლოგიური განვითარების პოლიტიკების შეხამება. ე) განათლებაზე წვდომის გადიდების და განათლების სტანდარტების გამკაცრების პოლიტიკის შეხამება. ვ) სოფლის მეურნეობის პროდუქციისთვის მწვავე კონკურენტულ ბაზარზე სუბსიდირების და სხვა დახმარებების გარეშე დაშვების, აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარების ხელშეწყობის და ტექნოლოგიური დახმარების პოლიტიკის შეხამება. ზ) ევროკავშირთან ტურისტული გაცვლების მასშტაბების ზრდის პოლიტიკა. თ) ევროპული საქონელ-მომსახურების საწარმოო ჯაჭვში ადგილობრივი სამრეწველო საწარმოების ჩართვის პოლიტიკა.

რაც შეეხება საფრთხეების მართვას ქართულ კომპანიებში, ისინი დაკავშირებულია ისეთ ოპერაციებთან, როგორიცაა ქართული ინდუსტრიული პროდუქტის იმიჯის ამაღლება ევროპულ ბიზნეს სივრცეში, თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებები, ფილიალების გახსნა ევროკავშირის ტერიტორიაზე და ბაზრების დივერსიფიკაციის პოლიტიკა.

თავი 3.3. კვლევის შედეგების სანდოობის შეფასება

მონტე-კარლოს ექსპერიმენტი იქნა გამოყენებული რეგრესული ანალიზის შედეგების საიმედოობის შეფასებისთვის. ექსპერიმენტი შემდეგი თანმიმდევრობით განხორციელდა:

1. პარაგრაფში 2.1. მიღებული რეგრესიის კოეფიციენტები ჩაითვალა „ნამდვილ“ კოეფიციენტებად.
2. ცალ-ცალკე გაანალიზდა წარმოების მოცულობის მაჩვენებლები საქართველოსთვის და ევროკავშირისთვის. გამოთვლილ იქნა ყოველწლიური ცვლილების აბსოლუტური მნიშვნელობა, შემდეგ გაანგარიშებულ იქნა ამ ცვლილების საშუალო, რათა განსაზღვრულიყო ის დიაპაზონი, რომლიდანაც შეიძლებოდა შემთხვევითი რიცხვების გენერირება.
3. www.random.org ვებგვერდზე განლაგებული შემთხვევითი რიცხვების გენერატორი იქნა გამოყენებული 20 ექსპერიმენტისთვის 360 შემთხვევითი რიცხვის გენერირებისთვის.
4. შემთხვევითი რიცხვები გამოყენებულ იქნა როგორც შემთხვევითი წევრი რეგრესიის (1) და (2) განტოლებებისთვის:

$$Y^{I}_{small} = a_0 + a_1X_1 + a_2X_2 + \ldots + a_6X_6 + U_{small}$$

და

$$Y^{I}_{big} = b_0 + b_1X_1 + b_2X_2 + \ldots + b_6X_6 + U_{big}$$

5. შემდეგ აღებულ იქნა სტატისტიკური მონაცემები ექვსი ფაქტორის შესახებ საქართველოსა და ევროკავშირისთვის და ამგვარად იქნა გაანგარიშებული წარმოების მოცულობები ოცი ექსპერიმენტისთვის და მიღებულ იქნა დინამიკური მწკრივი საქართველოსთვის და ევროკავშირისთვის, რომელიც მოიცავს წარმოების მოცულობის, კონსტანტას და განმმარტავი ექვსი ცვლადის მნიშვნელობებს 2002-2019 წლებისთვის.
6. IBM SPSS პაკეტის გამოყენებით რეგრესული ანალიზის შედეგად კვლავ იქნა მიღებული რეგრესიის კოეფიციენტის მნიშვნელობები.

7. აგებულ იქნა გაფანტულობის დიაგრამა რეგრესიის ყოველი კოეფიციენტისთვის ცალ-ცალკე, რათა შეფასებულიყო, რამდენად კარგად მუსაობს რეგრესიის მიღებული განტოლებები სინამდვილეში და რამდენად ჯგუფდება ექსპერიმენტის შედეგები „ნამდვილი“ მნიშვნელობის ირგვლივ (ნახ. 16.-29) (ბოლო, მეთერთმეტე მაჩვენებელი დიაგრამებზე არის კოეფიციენტის „ნამდვილი“ მნიშვნელობა).

საქართველოსთვის:







ნახ. 18. ინფლაციის ფაქტორის კოეფიციენტის გაფანტულობა



ნახ. 19. უმუშევრობის ფაქტორის კოეფიციენტის გაფანტულობა



ნახ. 20. სიღარიბის ფაქტორის კოეფიციენტის გაფანტულობა



ნახ. 21. გარემოს დაბინძურების ფაქტორის კოეფიციენტის გაფანტულობა



ნახ. 22. გაცვლითი კურსის ფაქტორის კოეფიცენტის გაფანტულობა

ევროკავშირისთვის



ნახ. 23. კონსტანტას გაფანტულობა



ნახ. 24. ეკონომიკური ზრდის ფაქტორის კოეფიციენტის გაფანტულობა



ნახ. 25. ინფლაციის ფაქტორის კოეფიციენტის გაფანტულობა



ნახ. 26. უმუშევრობის ფაქტორის კოეფიციენტის გაფანტულობა



ნახ. 27. სიღარიბის ფაქტორის კოეფიციენტის გაფანტულობა



ნახ. 28. გარემოს დაბინძურების ფაქტორის კოეფიციენტის გაფანტულობა



ნახ. 29. გაცვლითი კურსის ფაქტორის კოეფიციენტის გაფანტულობა

როგორც ჩანს ნახაზებიდან 16.-29. საქართველოსთვის რეგრესიის შვიდი კოეფიციენტიდან ხუთი კარგად არის შემჭიდროებული „ნამდვილი“ მნიშვნელობის ირგვლივ. ხოლო ევროკავშირისთვის ორს გააჩნია მკაფიო შემჭიდროება, ხოლო სამი მეტ-ნაკლებად არის შემჭიდროებული „ნამდვილი“ მნიშვნელობის ირგვლივ.

მთლიანობაში შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, მონტა-კარლოს ექსპერიმენტის წარმატების შესახებ - პარაგრაფში 2.1 მიღებული რეგრესიის განტოლებები მეტ-წილად სწორად ასახავენ ბიზნეს-გარემოს რეალობას ორ ქვეყანაში.

R^2 იქნა გამოყენებული რათა გაკეთებულიყო დასკვნა, რამდენად ხარიხიანად არის შედგენილი რეგრესიის გატოლებები და დინამიკური მწკრივი. როგორც აღმოჩნდა:

- საქართველოს ბიზნეს-გარემოს რეგრესიის განტოლებისთვის $R^2 = 0,968$
- ევროკავშირის ბიზნეს-გარემოს რეგრესიის განტოლებისთვის $R^2 = 0,982$
- ბიზნეს-გარემოთა მაჩვენებლების სხვაობის მოდულის დინამიკური მწკრივისთვის $R^2 = 0,860$

სამივე შემთხვევაში R^2-ის მნიშვნელბა უახლოვდება 1-ს რაც ნიშნავს, რომ სამივე შემთხვევაში ანალიზის შედეგად რეალობის მეტ-ნაკლებად სწორი აღწერა იქნა მოცემული.

დარბინ-უოტსონის კრიტერიუმი იქნა გამოყენებული იმის საჩვენებლად, რომ რეგრესიის განტოლებების ელემენტებს შორის არ არსებობს ავტკორელაცია:

- საქართველოს ბიზნეს-გარემოს რეგრესიის განტოლებისთვის $d = 1,845$
- ევროკავშირის ბიზნეს-გარემოს რეგრესიის განტოლებისთვის $d = 2,056$

ორივე შემთხვევაში d უახლოვდება 2-ს რაც ნიშნავს, რომ ევროკავშირის ბიზნეს-გარემოს რეგრესიის განტოლებაში პრაქტიკულად არ არის ავტოკორელაცია, ხოლო საქართველოს შემთხვევაში მცირედი ავტოკორელაცია ფიქსირდება.

F-სტატისტიკა იქნა გამოყენებული რეგრესიის შეფასების ხარისხის დასადგენად:

- საქართველოს ბიზნეს-გარემოს რეგრესიის განტოლებისთვის $F = 56,286$
- ევროკავშირის ბიზნეს-გარემოს რეგრესიის განტოლებისთვის $F = 97,371$

ორივე შემთხვევაში სახეზეა მაღალი ხარიხის შეფასება.

ჩაღრმავებული ინტერვიუს შედეგების ანალიზის სანდოობის დადასტურების მიზნით განხორციელდა ჩაღრმავებული ინტერვიუების შედეგად მოპოვებული მასალის მიწოდება სხვა მკვლევარისთვის. მის მიერ მიღებული ღია კოდები, განხორციელებული ღერძულა და შერჩევითი კოდირების შედეგები წარმოდგენილია ცხრილში 3.3.1.

ცხრილი 3.3.1. ღია, ღერძულა და შერჩევითი კოდირება სხვა მკვლევარის მიერ.

ღია კოდები	ღერძულა კოდირება	შერჩევითი კოდირება
• ორიენტირი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი მრეწველობის შედეგების ექსპორტზე. • უცხოელი ინვესტორისთვის საქართველო ჯერ კიდევ არ არის ცნობილი და საიმედო ქვეყანა. თუმცა სიტუაცია ნელ-ნელა იცვლება. • ექსპორტზე გატანას ბევრი ფორმალობა ახლავს, ზოგიერთი მათგანის შესრულება ხშირად შეუძლებელი ხდება ფინანსური და ტექნიკური დაბრკოლებების გამო. • ევროპელი კონკურენტები უფრო თანამედროვე ტექნოლოგიებით მუშაობენ. • ბაზრის გამოკვლევას ზოგჯერ ძალიან დიდი ხარჯები და დრო სჭირდება. • მწვავე კონკურენცია და უნდობლობა მომხმარებლის მხრიდან. • ბაზრის იმ სეგმენტებზე მუშაობა სადაც უკვე იცნობენ ქართულ პროდუქციას ან იმ მომხმარებლებთან, რომლებიც სტუმრად იყვნენ საქართველოში. • მოულოდნელი წვრილმანი ფორმალური პრობლემები, რომლებიც გასაღების პროცესს აფერხებენ. • თანამედროვე ტექნოლოგიის დანერგვის პრობლემები. • ევროპულ ბაზრებზე მუშაობის გამოუცდელობა. • ევროპელი პარტნიორის მოძებნის სირთულე.	**ფენომენი:** ევროპულ ბაზრებზე საკუთარი პროდუქციის გასაღების მცდელობა **მიზეზები:** ზოგადად ქართული პროდუქციისადმი უნდობლობა. წარმოების არასაკმარისი მასშტაბები და ერთეულ პროდუქციაზე შედარებით მაღალი დანახარჯები. **შედეგები:** კომპანიები ხშირად გადადებენ ხოლმე ექსპორტის გეგმების განხორციელებას. **სტრატეგიები:** კომპანიები ცდილობენ სანდო პარტნიორების მიგნებას ადგილზე. **კონტექსტი:** საქართველო ევროპელისთვის ძირითადად ტურისტული დანიშნულების ადგილს წარმოადგენს, იგი არ იცნობს ქართულ სამრეწველო პროდუქციას და არ ენდობა მას. **ხელის შემშლელი და / ან ხელის შემწყობი გარემოებები:** ბევრი ფორმალობა და პროცედურა.	ქართული კომპანიებისთვის ევროკავშირში საქმიანობის საკვანძო პრობლემებს წარმოადგენს ევროპული ბაზრების უნდობლობა ქართული პროდუქტებისადმი ზოგადად, ევროპულ ბაზრებზე ბრძოლის გამოუცდელობა, დიდი დანახარჯები სარეკლამო საქმიანობაზე, ბაზრის კვლევაზე, წარმოების ტექნოლოგიურ განახლებაზე, სხვადასხვა ფორმალობების შესრულებაზე.

წყარო: ავტორისეული

როგორც ჩანს ცხრილიდან 3.3.1. პარალელურ რეჟიმში სხვა მკვლევარის მიერ განხორციელებული ღია, ღერძულა და შერჩევითი კოდირების შედეგები ძირითადად იმეორებენ 2.1.11 ცხრილში ნაჩვენებ შედეგებს რომლებიც

ინტერვიუების კოდირების პროცესში იქნა მიღებული, რითაც დასტურდება წინამდებარე კვლევის თვისებრივი ნაწილის სანდოობა.

საბოლოო ჯამში შეიძლება ითქვას, რომ მონტე-კარლოს ექსპერიმენტის, R^2-ის, დარბინ-უოტსონის ტესტის და F-სტატისტიკის მაჩვენებლები ამტკიცებენ, რომ როგორც რეგრესიის განტოლებები, ისე დინამიკური მწკრივის ანალიზიდან მიღებული შედეგები სწორად ასახავენ რეალობას. გარდა ამისა, პარალელურ რეჟიმში განხორციელებული თვისებრივი ანალიზის შედეგები ასევე ამტკიცებენ, რომ ღია, ღერძულა და შერჩევითი კოდირება ასევე იმსახურებენ ნდობას.

დასკვნები

მოცემული კვლევის ფარგლებში გაკეთდა შემდეგი დასკვნები:

ფაქტორები, რომლებიც თანამედროვე ბიზნეს გარემოს აყალიბებენ, უპრიანია ოთხ დონედ დაიყოს: მაკრო (ეკონომიკური ზრდა, უმუშევრობა, ინფლაცია), მიკრო (კონკურენციის ხარისხი), სოციალური (სიღარიბე და პოლიტიკური დაძაბულობა), ეკო (გარემოს დაბინძურება) და გლობალური (სავალუტო კურსი).

ეკონომიკური სისტემები განსხვავდებიან საერთაშორისო გახნილობის დონის, ინტეგრირებისკენ სწრაფვის და ცვლილებების მიმართ ეკონომიკურ აგენტთა დამოკიდებულების მიხედვით. ამდენად, ბიზნეს გარემო ყოველ კონკრეტულ ეკონომიკურ სისტემაში ამ პირობების შესაბამისად ყალიბდება. გარდა ამისა, ბიზნეს გარემო ყოველი კონკრეტული ბიზნეს ორგანიზაციისთვის განსხვავებულია იმის მიხედვით, თუ რა მასშტაბის ეკონომიკურ სისტემაში მოქმედებს იგი. ტრადიციული ეკონომიკის, მბრძანებლური ეკონომიკის, საბაზრო ეკონომიკის, შერეული ეკონომიკის და გარდამავალი ეკონომიკის ბიზნეს გარემო განსხვავდება ერთმანეთისგან. ყოველ მათგანს აქვს საკვანძო მახასიათებელი, რომელიც განაპირობებს ბიზნეს გარემოს საერთო მდგომარეობას. ტრადიციულ ეკონომიკაში ეს მახასიათებელი გაბატონებული კასტა/კლასია; მბრძანებლურ ეკონომიკაში - ყოველისმომცველი გეგმა; საბაზრო ეკონომიკაში თავისუფალი არჩევანის სისტემა; შერეულ ეკონომიკაში - სხვადასხვა მახასიათებლების ნაზავი; გარდამავალ ეკონომიკაში - ბუნდოვანება და კრიზისულობა.

ეკონომიკური ინტეგრაცია განიხილება, როგორც პროცესი, რომლის ფარგლებშიც რამდენიმე ეკონომიკური სისტემა ცდილობს გაერთიანებას. ამ გაერთიანების მთავარ შინაარსს დამსგავსება წარმოადგენს. საბოლოო ჯამში, მიიღება ეკონომიკური სისტემა, და შესაბამისად, ბიზნეს გარემო, რომლის საკვანძო იდეოლოგია წარმოადგენს დამსგავსების მთავარ ორიენტირს, ხოლო ეკონომიკურ აგენტთა ურთიერთქმედება ამ ორიენტირთან მიახლოების და მისი პრაქტიკული განხოციელების შესაძლებლობას იძლევა.

ბიზნეს გარემოს ცვლილებაზე ბიზნეს-სუბიექტის პასუხი რამდენიმე სახის გადაწყვეტილების მიღებას გულისხმობს, რომელთა შორის არის გადაწყვეტილებები ინვესტირების შეჩერების ან განხორციელების, ბიზნესის გადანაცვლების, წარმოების

მოცულობის ცვლილების შესახებ; გადაწყვეტილებები მარაგების შეძენის ან დახარჯვის შესახებ; გადაწყვეტილებები საფასო პოლიტიკის ცვლილების, ახალი ბაზრების ძიების, პროდუქტის დიფერენცირების შესახებ; გადაწყვეტილებები სახელფასო პოლიტიკის ცვლილებს, სამუშაო ძალაში ინვესტირების, დაქირავებულთა რაოდენობის ცვლილების, სოციალური პროექტების განხორციელების შესახებ; გადაწყვეტილებები ეკო ტექნოლოგიებში ინვესტირების, ეკო პროექტებში ინვესტირების შესახებ.

ბიზნეს გარემო გავლენას ახდენს გადაწყვეტილების მიღების პროცესზეც. გამოწვევას ბიზნესი პასუხობს შიდა და გარე ინფორმაციის მოძიების, ანალიზის, საკუთრივ გადაწყვეტილების მიღების, დანერგვის, კონტროლის და შეფასების, შესაბამისი გამოცდილების მიღების მეშვეობით. ამ პროცესზე ზემოქმედებს გადაწყვეტილების მიმღებთა პიროვნული თვისებები, გადაწყვეტილების მიღების ტრადიცია, ბიზნეს გარემოს პირობები და კომპანიის შიდა სპეციფიკური პირობები.

ბიზნეს გარემოთა ინტეგრაციის პროცესი შეიძლება განხილულ იქნას სამ ასპექტში. პირველი ასპექტი გულისხმობს სხვადასხვა ზომის ეკონომიკური სისტემების ინტეგრირების პროცესში ბიზნეს გარემოთა ურთიერთქმედებას. 10 ასეთი შემთხვევის ანალიზიდან ირკვევა, რომ ინტეგრაცია ნიშნავს ადაპტირებას, შერევას ან ლიდერობას. ცხადია, დიდი ეკონომიკური სისტემები კარნახობენ საკუთარ ბიზნეს გარემოს პირობებს ინტეგრაციის სხვა მონაწილეებს. მეორე ასპექტს წარმოადგენს სხვადასხვა ტიპის ეკონომიკური სისტემების ინტეგრირების პროცესში ბიზნეს გარემოთა ურთიერთობას. 15 ასეთი შემთხვევის ანალიზმა გამოავლინა ურთიერთქმედების ზევით დასახელებული სამი ტიპი, გარდა ამისა, აღმოჩნდა, რომ მკაფიო იდეოლოგიის მ ქონე ეკონომიკური სისტემები, როგორც წესი, კარნახობენ ბიზნეს გარემოს საკუთარ პირობებს ინტეგრაციის სხვა მონაწილეებს. მესამე ასპექტი გულისხმობს განვითარების სხვადასხვა დონის მქონე ეკონომიკური სისტემების გაერთიანებას. სამი ასეთი შემთხვევის განხილვამ გამოავლინა მხოლოდ ერთი, ადაპტაციის, პროცესი. ასევე, ცხადია, რომ განვითარებული ქვეყნის ბიზნეს გარემო სწორედ იმ პირობების ერთიანობას წარმოადგენს, რომელთანაც ადაპტირება უწევს განვითარებადი ეკონომიკური სისტემის ბიზნეს გარემოს.

ჩამოყალიბდა ინტეგრაციის პროცესის ექვს-ფაზიანი სცენარი, რომელიც გულისხმობს ა) იდეოლოგიის ჩამოყალიბებას; ბ) პრომოუშენს; გ) ტექნიკური სამუშაოების განხორციელებას; დ) ნაწილობრივ ინტეგრაციას; ე) სრულ ფორმალურ ინტეგრაციას; ვ) სრულ ინტეგრაციას.

ყოველი ფაზა განხილულ იქნა ხუთ ასპექტში: ა) ეკონომიკური; ბ) სოციალური; გ) ინსტიტუციონალური; დ) იდეოლოგიური; ე) პოლიტიკური. როგორც აღმოჩნდა, სხვადასხვა ფაზაზე წამყვანი როლი იცვლება, დაწყებული აკადემიური წრეების აქტიურობიდან იდეოლოგიის ჩამოყალიბების ფაზაში, დამთავრებული არაფორმალური ინსტიტუტების ინტეგრირებით სრული ინტეგრაციის ფაზაში.

კონკრეტული ბიზნეს სუბიექტისთვის, ინტეგრაციის პროცესში დგება ისეთივე ტიპის გამოწვევები, როგორიც მთლიანად ბიზნეს გარემოსთვის. მას უწევს ან შეგუება სრულიად ახალი პირობებისთვის; ან მის ირგვლივ იქმნება ბიზნეს გარემო, რომელიც მეტნაკლებად არის მისთვის ცნობილი; ან მის ირგვლივ არსებული ბიზნეს გარემო საერთოდ არ იცვლება, რადგან იგი ინტეგრაციის მსხვილ მოთამაშეს და ლიდერს წარმოადგენს.

შეიძლება ითქვას, რომ ორი ეკონომიკური სისტემის ბიზნეს გარემოს ინტეგრირების პროცესის აღწერისთვის შეიძლება გამოყენებულ იქნას 6 მაჩვენებელი. თუმცა, შესაძლებელია ბიზნეს გარემოს აღწერა არა 6, არამედ ერთი, ინტეგრირებული მაჩვენებლის მეშვეობით, რომელშიც აღნიშნულ 6 მაჩვენებელს საკუთარი წვლილი შეაქვთ.

ორი ეკონომიკური სისტემის ინტეგრაციის პროცესის ფორმალიზება შემდეგ ნაბიჯებს მოიცავს: 1) მონაცემთა მოგროვება ორი ეკონომიკური სისტემის ბიზნეს გარემოს მაჩვენებლების შესახებ; 2) ბიზნეს გარემოს ფაქტორების და წარმოების მოცულობას შორის დამოკიდებულების შეფასება მრავალფაქტორიანი რეგრესული ანალიზის მეშვეობით; 3) რეგრესიის კოეფიციენტების ტრანსფორმაცია ბიზნეს გარემოს ინტეგრირებული მაჩვენებლის გამოსათვლელი ფორმულისთვის; 4) ორი ეკონომიკური სისტემის ბიზნეს გარემოს ინტეგრირებული მაჩვენებლების ანგარიში და მათ შორის სხვაობების დადგენა წლების მიხედვით; 5) დროით მწკრივების ანალიზის მეთოდიკის გამოყენებას იმის დასდგენად, თუ რამდენად დიდია სხვაობა და როგორ შეიცვლება იგი მომავალში; 6) ორივე ეკონომიკური სისტემის ბიზნეს

გარემოს 6 ფაქტორის შედარებითი განხილვა ცალცალკე ინტეგრაციის მაღალი რისკის, დაბალი რისკის და ურისკო ზონების გამოყოფის მიზნით და რისკების მართვის ღონისძიებების შემუშავება.

ინვესტირება ახალ ტექნოლოგიებში, სამუშაო ძალის კვალიფიკაციის ამაღლება, მისი გადინების დაბრკოლება, ხარისხის მართვის სისტემის დანერგვა, ეკომეგობრულობის პრინციპის შემოტანა კომპანიაში - ეს არის ბიზნეს სუბიექტისთვის საკვანძო გამოწვევები, როდესაც მცირე სისტემის ბიზნეს გარემო მსხვილი გაერთიანების ბიზნეს გარემოსთან ინტეგრირდება.

კონკურენციის, როგორც არაფორმალური ინსტიტუციის განვითარების ხარისხი განაპირობებს იმას, რომ საქართველო ხასიათდება, როგორც საბაზრო ეკონომიკისკენ მეტად გადახრილი შერეული ეკონომიკა, ხოლო ევროკავშირი საბაზროსთან ძალიან ახლოს მდგარი შერეული ეკონომიკა.

საქართველოს და ევროკავშირს შორის ინტეგრაციას აქვს მნიშვნელოვანი პერსპექტივა, რადგან ორივე სისტემა პრინციპში საერთაშორისო გახსნილობით ხასიათდება, სწრაფვა ინტეგრირებისკენ ორივე შემთხვევაში მძლავრია, ხოლო ეკონომიკურ აგენტთა დამოკიდებულება ცვლილებების მიმართ ასევე პოზიტიურია.

საქართველოს ბიზნეს გარემოს ცვლილება ევროკავშირში ინტეგრირების პროცესში შეიძლება აღწერილ იქნას ტერმინით „ადაპტირება“ - ბიზნეს გარემოს მოუწევს იმ მახასიათებლების მიღება, რომელიც მას ინტეგრაციის პროცესში „დახვდება“ მსხვილ, განვითარებული ეკონომიკის მქონე ევროკავშირში.

ამჟამად საქართველო ევროკავშირთან ნაწილობრივი ინტეგრაციის ეტაპზე იმყოფება. საკუთრივ ევროინტეგრაცია პრინციპში ბოლო, სრული ინტეგრაციის ფაზაზე იმყოფება, როდესაც არის დაწყებული ყველაზე რთული ელემენტი ინტეგრაციისა - არაფორმალური ინსტიტუტების შერწყმა.

რეგრესული ანალიზის შედეგად საქართველოსთვის და ევროკავშირისთვის დადგინდა წარმოების მოცულობის დამოკიდებულება ბიზნეს-გარემოს ექვს ფაქტორზე, რომელთა ანალიზიდანაც გამოვლინდა, რომ ძირითადი მიზეზი, რომელიც ამ ფაქტორთა უმეტესობის მოქმედების უკან დგას არის ის რომ საქართველო წარმოადგენს იმპორტზე დამოკიდებულ ეკონომიკას, ხოლო

ევროკავშირი ძლიერი ეკონომიკური მოთამაშეა და თავად, შიგნიდან ადგენს ბიზნეს-გარემოს პირობებს.

რეგრესიის კოეფიციენტების ტრანსფორმაციის შედეგად გაჩნდა შესაძლებლობა გამოთვლილიყო ბიზნეს-გარემოს ინტეგრირებული მაჩვენებლები საქართველოსთვის და ევროკავშირისთვის და გაანგარიშებულიყო მათ შორის სხვაობა. როგორც ჩანს, 2002-2019 წლის რეტროსპექტივაში, ამ მაჩვენებლებს შორის სხვაობა თანდათან მცირდება.

ამავე დროს, ჩაღრმავებულმა ინტერვიუმ ქართულ კომპანიებთან აჩვენა, რომ ევროკავშირი ქმნის მათთვის შესაძლებლობებს და ზოგიერთ შემთხვევაში ისინი წარმატებითიყენებენ მათ, თუმცა უმეტეს შემთხვევაში ქართული კომპანიების აქტივობას ევროკავშირში საკუთარი საქმიანობის გაფართოების მიმართულებით უფრო საცდელი ხასიათი აქვს, ხშირად კი ახალ ბაზარზე გასვლასთან დაკავშირებული უამრავი ეკონომიკური, რესურსული, ტექნოლოგიური, ფინანსური, რეგულაციური სირთულეების, ასევე ერთეულ პროდუქტზე დაბალი დანახარჯების მიღწევის შეუძლებლობის გამო ისინი საერთოდ აჩერებენ მუშაობას ამ მიმართულებით ან პაუზას იღებენ.

ერთი მხრივ საქართველოს, და მეორე მხრივ ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების მიხედვით საქართველოს აღებული აქვს მთელი რიგი ვალდებულებები შიდა სახელმწიფოებრივი რეფორმების, საქონლით ვაჭრობის გაადვილების, სტანდარტების დაახლოების, სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ზომების, სახელმწიფო შესყიდვების, კონკურენციის, ენერგეტიკის და სხვა საკითხებში.

ვიზა-ლიბერალიზაციის რეჟიმმა მაშინვე მოიტანა ეფექტი საქართველოს მოქალაქეების ევროკავშირში ვიზიტების გახშირებასთან დაკავშირებით. ასევე ამ რეჟიმმა გახსნა ემიგრაციის კიდევ ერთი შესაძლებლობა სამუშაო ძალისთვის.

შეიქმნა მთელი რიგი სტრუქტურები, რომლებიც ასოცირების შეთანხმების რეალიზაციის კოორდინაციას ახორციელებენ.

იდეოლოგიურად ინტეგრაცია არ აღმოჩნდა უცხო საქართველოს მოსახლეობისთვის, რადგან საქართველოს ისტორიულად გააჩნია ამგვარი სწრაფვა.

ამავე დროს, ევროინტეგრაციისადმი ამგვარ „ბუნებრივ“ დამოკიდებულებაში არის საფრთხე, რომ იგი გარკვეულწილად ნიჰილიზმში გადაიზარდოს.

ევროკავშირის და საქართველოს მაკროეკონომიკური მაჩვენებლების ცვლილების მიმართულება წლების მანძილზე პრაქტიკულად ემთხვევა ერთმანეთს თითქმის ყველა მაჩვენებლის მიხედვით, რაც ნიშნავს, რომ საქართველოს და ევროკავშირის სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრება პრაქტიკულად ერთიან, მსგავს გლობალურ და რეგიონულ პირობებში მიმდინარეობს, რომელიც მსგავს პირობებს ადგენს ეკონომიკური საქმიანობისთვის ინტეგრაციის ორივე მონაწილისთვის.

2015-2020 წლებში საქართველოს მთავრობამ უამრავი ღონისძიება განახორციელა ასოცირების ხელშეკრულების, მათ შორის DCFTA პირობების შესასრულებლად. ეს ღონისძიებები მიზნად ისახავდა ადგილობრივი მეწარმეების უნარების გაძლიერებას ევროპულ ბაზარზე საბრძოლველად, ადგილობრივი სტანდარტების და რეგულაციების ევროკავშირთან დაახლოებას და სხვა.

სამწუხაროდ, FDI, ექსპორტის და იმპორტის მაჩვენებლები არ აჩვენებს მკვეთრ ცვლილებებს ასოცირების შეთანხმების ძალაში შესვლის შემდეგ. ამასთან, ევროკავშირიდან იმპორტის მაღალი და მერყევი ტემპებით ზრდა კიდევ ერთხელ ადასტურებს ფაქტს საქართველოს როგორც იმპორტზე დამოკიდებული ქვეყნის თაობაზე. ამავე დროს აჩვენებს, რომ მიუხედავად საქართველოს ბიზნეს-გარემოს პირობების დაახლოებისა ევროპულ ბიზნეს-გარემოსთან, ბიზნეს-სექტორის რეაგირება, რაც ასახული იქნებოდა იმპორტშემცვლელი წარმოების მასობრივ გაშლაში, ექსპორტის მკვეთრ გადიდებასა და ევროპული ინვესტიციების მოზიდვის დაჩქარებაში, ჯერ-ჯერობით იგვიანებს.

საქართველოს მთავრობა სამომავლოდ კვლავ აგრძელებს ასოცირების შეთანხებით აღებული ვალდებულებების შესრულებას და საქართველოში არსებული ეკონომიკური საქმიანობის პრაქტიკის მორგებას ევროპულ სტანდარტებზე რეგულაციების, საჯარო ინსტიტუტების რეფორმირების, ვაჭრობის პროცედურების გამარტივების და ევროპული სტანდარტების აღიარების და დანერგვის გზით.

ბიზნეს-გარემოს ამგვარი ადაპტაციის რაოდენობრივი გამოხატვისთვის ჩამოყალიბდა ჰიპოთეზა რომელიც აჩვენებს, როგორ მცირდება სხვაობა ბიზნეს-გარემოს ინტეგრირებულ მაჩვენებლებს შორის 2020-2025 წლებში.

IBM SPSS პროგრამის გამოყენებით გაკეთდა ამ სხვაობის პროგნოზი 2020-2025 წლებისთვის და აღმოჩნდა რომ პროგნოზის მიხედვით ეს სხვაობა 2019 წლის დონეზე უცვლელი დარჩება - საქართველოს ბიზნეს-გარემო არ გააგრძელებს დაახლოებას ევროკავშირის ბიზნეს-გარემოსთან.

ამავე პროგრამის მეშვეობით ჩამოყალიბდა ნდობის ინტერვალები საპროგნოზო მაჩვენებლისთვის 95%-ის დონეზე და აღმოჩნდა, რომ ჰიპოთეტიური მაჩვენებლები ხვდება ამ ინტერვალის ქვედა საზღვართან ახლოს.

საქართველოს და ევროკავშირის ეკონომიკური ზრდის ტემპების, ინფლაციის, უმუშევრობის, სიღარიბის, გარემოს დაჭუჭყიანების, სავალუტო კურსის 2002-2019 წლის მონაცემების ცალ-ცალკე განხილვის და შედარებითი ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ წყვილ-წყვილად ეს მაჩვენებლები ძირითადად ერთი მიმართულებით იცვლებიან, მიუხედავად იმისა რომ მათი აბსოლუტური მნიშვნელობები განსხვავდება, ცვლილების მიმართულება დროში პრინციპში ერთნაირია, ეს მაჩვენებლები, გარდა ერთისა არც შორდებიან ერთმანეთს და არც უახლოვდებიან, ისინი ერთი მიმართულებით განიცდიან ცვლას რაც მიუთითებს რომ საქართველოს და ევროკავშირის ბიზნესი ერთნაირ, გლობალურ და რეგიონულ ბიზნეს-გარემოში ფუნქციონირებს.

ძირითადი საფრთხეები, რომლებიც შეიძლება საქართველოს ბიზნესისთვის გაჩნდეს ევროკავშირთან ინტეგრაციის პირობებში ევროზონის ბიზნეს-გარემოსთან შეგუების დროს, წარმოიშვება საქართველოს დღევადელი ეკონომიკური სისტემის ერთი ნეგატიური თავისებურებიდან, ქვეყანა დამოკიდებულია იმპორტზე, რამაც შეიძლება წარმოშვას რესურსების გადინება და მათზე გეოგრაფიულად წვდომის გართულება ქართული ბიზნესისთვის, კონკურენციის გამწვავება და საბოლოოდ „კმაყოფაზე“ მყოფი ტერიტორიის როლში გამოსვლა ევროკავშირისთვის. კომპანიებისთვის წარმოიშვება რისკების მრავალფეროვანი სპექტრი, საიდანაც შეიძლება გამოიყოს უნდობლობა ქართული პროდუქციის მიმართ, კვალიფიკაციის ნაკლებობა და სირთულეები ახალი ტექნოლოგიების ათვისების პროცესში, ინფორმაციის ნაკლებობა სხვადასხვა რეგულაციების შესახებ და ა.შ.

წარმოების ფაქტორებზე შემცირებული წვდომა, არამიმზიდველი საინვესტიციო გარემო და ეროვნული წარმოების საქონელ-მომსახურების გასაღების

პრობლემები წარმოადგენენ იმ საკვანძო შედგენილ რისკებს, რომლებიც შეიძლება გაჩნდეს საქართველოსთვის ევროინტეგრაციის პროცესში, რასაც მივყავართ ძირითადი რისკისკენ: ევროინტეგრაციის პროცესში ადგილობრივი წარმოების ბიზნეს გარემო გაუარესდება და ქვეყანა გადაიქცევა კრიზისულ რეგიონად, რომელმაც ევროკავშირს მიაწოდა თუ რამ სამუშაო ძალა და კაპიტალი გააჩდა და ახლა კერძო და საჯარო ტრანსფერტებზე ცხოვრობს.

ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად ან შესარბილებლად ან მასთან გამკლავებისთვის საჭიროა ღონისძიებების კომპლექსური სისტემის განხორციელება, რომლებიც მოიცავენ როგორც მაკრო, ისე მიკროდონეზე განსახორციელებელ მოქმედებას, კერძოდ: ა) მასტიმულირებელი მონეტარული და შემზღუდავი ფისკალური პოლიტიკის შეხამება. ბ) ინვესტიციებზე ევროკავშირიდან, ქართული და ევროპული ერთობლივი საწარმოების შექმნაზე, ემიგრაციული კაპიტალით საწარმების შექმნაზე განსაკუთრებული საშეღავათო პირობების მიღება. გ) სოციალური პაკეტის გამსხვილების და პაკეტის მიღების პირობების გამკაცრების პოლიტიკის შეხამება. დ) კონკურენციის გამწვავების და ტექნოლოგიური განვითარების პოლიტიკების შეხამება. ე) განათლებაზე წვდომის გადიდების და განათლების სტანდარტების გამკაცრების პოლიტიკის შეხამება. ვ) სოფლის მეურნეობის პროდუქციისთვის მწვავე კონკურენტულ ბაზარზე სუბსიდირების და სხვა დახმარებების გარეშე დაშვების, აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარების ხელშეწყობის და ტექნოლოგიური დახმარების პოლიტიკის შეხამება. ზ) ევროკავშირთან ტურისტული გაცვლების მასშტაბების ზრდის პოლიტიკა. თ) ევროპული საქონელ-მომსახურების საწარმოო ჯაჭვში ადგილობრივი სამრეწველო საწარმოების ჩართვის პოლიტიკა.

რაც შეეხება საფრთხეების მართვას ქართულ კომპანიებში, ისინი დაკავშირებულია ისეთ ოპერაციებთან, როგორიცაა ქართული ინდუსტრიული პროდუქტის იმიჯის ამაღლება ევროპულ ბიზნეს სივრცეში, თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებები, ფილიალების გახსნა ევროკავშირის ტერიტორიაზე და ბაზრების დივერსიფიკაციის პოლიტიკა.

მონტე-კარლოს ექსპერიმენტის, R^2-ის, დარბინ-უოტსონის ტესტის და F-სტატისტიკის მაჩვენებლები ამტკიცებენ, რომ როგორც რეგრესიის განტოლებები, ისე

დინამიკური მწკრივის ანალიზიდან მიღებული შედეგები სწორად ასახავენ რეალობას. გარდა ამისა, პარალელურ რეჟიმში განხორციელებული თვისებრივი ანალიზის შედეგები ასევე ამტკიცებენ, რომ ღია, ღერძულა და შერჩევითი კოდირება ასევე იმსახურებენ ნდობას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე ოთარ. „ევროკავშირთან საქართველოს ეკონომიკური ინტეგრაციის სტატისტიკური ანალიზი“, სადოქტორო დისერტაცია. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი. 2015.
2. გელაშვილი ს. „შესავალი სტატისტიკურ პროგნოზირებაში“. გამომცემლობა „უნივერსალი“. თბილისი 2019.
3. დაღელიშვილი ნათია, „ქართული ფირმების საექსპორტო საქმიანობის დივერსიფიკაცია ევროკავშირის ბაზრებზე“, სადოქტორო დისერტაცია. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი. 2016.
4. კაპანაძე სერგი, „პირობითობისა და სოციალიზაციის გავლენა ევროპული პოლიტიკის მაკოორდინირებელი შიდა ინსტიტუტების ტრანსფორმაციაზე აღმოსავლეთ ევროპისა და საქართველოს ევროპეიზაციის პროცესში“, სადოქტორო დისერტაცია. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი. 2009.
5. ლაზრიევა ნ., მანია მ., მარი გ., მოსიძე ა., ტორონჯაძე ა., ტორონჯაძე თ., შერვაშიძე თ. „ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა ეკონომისტებისათვის“. ა.რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი. თბილისი. 2000.
6. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების მნიშვნელოვანი მოვლენების ქრონოლოგია. მოძიებულია 06.03.2021. https://mfa.gov.ge/%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9E%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D-

%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D-%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A8%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%98.aspx

7. დევიძე ა. მირიანაშვილი გ. „ევროკავშირის სამართლის დამხმარე სახელმძღვანელო“. GIZ. თბილისი. 2019.
8. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. „საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული: 2020“. თბილისი. 2020.
9. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. „საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული: 2019“. თბილისი. 2019.
10. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. „საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული: 2018“. თბილისი. 2018.
11. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. „საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული: 2017“. თბილისი. 2017.
12. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. „საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული: 2016“. თბილისი. 2016.
13. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. „საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული: 2015“. თბილისი. 2015.
14. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. „საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული: 2014“. თბილისი. 2014.
15. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. „საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული: 2013“. თბილისი. 2013.
16. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. „საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული: 2012“. თბილისი. 2012.
17. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. „საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული: 2011“. თბილისი. 2011.

18. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. „საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული: 2010“. თბილისი. 2010.
19. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. „საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული: 2009“. თბილისი. 2009.
20. ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთი მხრივ საქართველოსა და მეორე მხრივ ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებასა და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის.
21. საქართველოს მთავრობის განკარგულება N965 „სტანდარტიზაციის, აკრედიტაციის, შესაბამისობის შეფასების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის სფეროში საქართველოს მთავრობის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“. 16 ივლისი 2010. თბილისი.
22. საქართველოს მთავრობის განკარგულება N1140 „სტანდარტიზაციის, აკრედიტაციის, შესაბამისობის შეფასები, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის სფეროში საკანონმდებლო რეფორმის და ტექნიკური რეგლამენტების მიღების სამთავრობო პროგრამის დამტკიცების შესახებ“. 25 აგვისტო 2010. თბილისი.
23. საქართველოს მთავრობის განკარგულება N2639 „სამრეწველო პროდუქტების ბაზარზე ზედამხედველობის სტრატეგია“. 30 დეკემბერი 2011. თბილისი.
24. საქართველოს მთავრობის განკარგულება N1756 „სურსათის უვნებლობის სფეროში ყოვლისმომცველი სტრატეგიისა და საკანონმდებლო მიახლოების პროგრამის დამტკიცების თაობაზე“. 28 დეკემბერი 2010. თბილისი.
25. საქართველოს მთავრობის განკარგულება „კონკურენციის პოლიტიკის ყოვლისმომცველი სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“. 3 დეკემბერი 2010. თბილისი.
26. საქართველოს მთავრობის განკარგულება N536 „სახელმწიფო შესყიდვების სფეროში განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმების, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებების შესრულების გზამკვლევის დამტკიცების თაობაზე“. 31 მარტი 2016. თბილისი.

27. საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო. „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) განხორციელების 2014-2017 წლების სამოქმედო გეგმის 2015 წლის ანგარიში. 2016. თბილისი.
28. საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო. „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) განხორციელების 2014-2017 წლების სამოქმედო გეგმის 2016 წლის ანგარიში. 2017. თბილისი.
29. საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო. „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) განხორციელების 2017 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის ანგარიში. 2018. თბილისი.
30. საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო. „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) განხორციელების 2018 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის ანგარიში. 2019. თბილისი.
31. საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო. „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) განხორციელების 2019 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის ანგარიში. 2020. თბილისი.
32. საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტო. „საქართველოს და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) განხორციელების საშუალოვადიანი (2021-2023 წლების) სამოქმედო გეგმა. 2020. თბილისი.
33. შუბლაძე გ. ნანიტაშვილი მ. „ბიზნესის საფუძვლები“, გამომც. „უნივერსალი“. თბილისი. 2011;
34. ცინცქილაძე ინგა, „დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარების საკითხი საქართველოში ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ჭრილში“, სადოქტორო

დისერტაცია. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი. 2016.

35. ცინცაძე ა. ვაშაყმაძე ი. თავაძე ი. ევროპის ასოცირების შეთანხმებების დირექტივების შესრულების მდგომარეობა და პრობლემები ფინანსურ ბაზარზე. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. საქართველო, ქუთაისი, 4600, თამარ მეფის 59. 20-21 სექტემბერი. 2019.
36. Abesadze N. "Statistical analysis of the economicintegration of Georgia with the European Union and prospects for development". Economics and Management: 19 (4). 2014.
37. Abesadze N. "The Statistic Indexes of Penetrating the Products Manufactured in Georgia into European Market". Procedia - Social and Behavioral Sciences. Volume 213, 1 December 2015.
38. Abesadze O. "The Influence of European Neighbouring Policy Upon the Economic Development of Georgia". Procedia - Social and Behavioral Sciences. Volume 213, 1 December 2015.
39. Abuselidze G. The Peculiarities of the Budgetary Policy of Georgia and the Directions of Improvement in Association with EU. Proceedings of the Innovative Economic Symposium 2019 – Potential of Eurasian Economic Union, 01001, 2020;
40. Abuselidze G. Analysis of Performance Efficiency of Legal Entities of Public Law and Non-Profit Legal Entities under the Central and Local Government Bodies: in Terms of the Transformation of Georgia with the EU. Proceedings of the International Conference on European Integration, 23-35, 2020;
41. Abuselidze G., "European Integration of Georgia and Financial-Economic Condition: Achievements and Challenges". European Journal of Sustainable Development. Vol.8. No.1. 2019
42. Abramishvili N. "European Integration and Business Enviroment in Georgia". European Journal of Sustainable Development. Vol.5. No.1. 2016.
43. Balassa B. "The Theory of economic integration", Publ. House "George Allen & UNWIN LTD". London. 1961.

44. Baldwin R. Wyplosz C. “The Economics of European Education”. McGraw-Hill Education. NY. 2009.
45. Bedianashvili G., Gogiashvili S., Pavliashvili S. “European Union, Georgia and institutional environmentof competition”. European Cooperation. Vol 5, No.5. 2015.
46. Box G.E.P., Jenkins G.M., Reinsel G.C., Ljung G.M. “Time series analysis. Forecasting and control”. A John Wiley & Sons, Inc. New Jersey. 2016.
47. Chakhava K. “Road leading Georgiato the European Union Membership”. Journal of Social Sciences. Vol.1. No.1. Tbilisi. 2012.
48. Clement, Norris C. Gustavo del Castillo Vera, James Gerber, William A. Kerr, Alan J. MacFadyen, Stanford Shedd, Eduardo Zepeda and Diana Alarcón “North American Economic Integration: Theory and Practice”. Edward Elgar Publishing, Inc. Cheltenham. 1999.
49. Cristina M., “European Integration of Georgia and the Republic of Moldova: evolution and prospects”. Moldoscopie. No. 3(66). 2014.
50. Dr. Suba Rao P. “International Business Environment”, Himalaya Publ. House. Mumbai. 2008.
51. Dr. Basil Hans V. “Business Environment – Conceptual Framework and Polices”, International Educational Scientific Research Journal. Vol.4. Issue 3. Ahmedabad. 2018.
52. El-Agraa A.M. “Regional Integration. Experience, Theory and Measurement.” Macmillan Press Ltd. Hampshire. 1999.
53. Eurostat. “”Key figures on Europe. Statistics illustrated. 2020 edition.” Luxembourg. 2020.
54. Eurostat. “”Key figures on Europe. Statistics illustrated. 2019 edition.” Luxembourg. 2019.
55. Eurostat. “”Key figures on Europe. Statistics illustrated. 2018 edition.” Luxembourg. 2018.
56. Eurostat. “”Key figures on Europe. Statistics illustrated. 2017 edition.” Luxembourg. 2017.

57. Eurostat. “”Key figures on Europe. Statistics illustrated. 2016 edition.” Luxembourg. 2016.
58. Eurostat. “”Key figures on Europe. Statistics illustrated. 2015 edition.” Luxembourg. 2015.
59. Eurostat. “”Key figures on Europe. Statistics illustrated. 2014 edition.” Luxembourg. 2014.
60. Eurostat. “”Key figures on Europe. Statistics illustrated. 2013 edition.” Luxembourg. 2013.
61. Eurostat. “”Key figures on Europe. Statistics illustrated. 2012 edition.” Luxembourg. 2012.
62. Eurostat. “Key figures on Europe. Statistics illustrated. 2011 edition.” Luxembourg. 2011.
63. Eurostat. “Key figures on Europe. Statistics illustrated. 2010 edition.” Luxembourg. 2010.
64. Eurostat. “Key figures on Europe. Statistics illustrated. 2009 edition.” Luxembourg. 2009.
65. Eurostat. “Key figures on Europe. 2007/08 edition.” Luxembourg. 2008.
66. Eurostat. “Key figures on Europe. Statistical pocketbook 2006. Data 1995-2005.” Luxembourg. 2006.
67. Eurostat. “The EU in the world. 2020 edition.” Luxembourg. 2020.
68. Eurostat. “The EU in the world. 2018 edition.” Luxembourg. 2018.
69. Eurostat. “The EU in the world. 2016 edition.” Luxembourg. 2016.
70. Eurostat. “The EU in the world. 2015 edition.” Luxembourg. 2015.
71. Eurostat. “The EU in the world 2014. A statistical portrait.” Luxembourg. 2014.
72. Eurostat. “The EU in the world 2013. A statistical portrait.” Luxembourg. 2013.
73. Eurostat. “Eurostat regional Yearbook. 2020 edition”. Luxembourg. 2020.
74. Eurostat. “Eurostat regional Yearbook. 2019 edition”. Luxembourg. 2019.
75. Eurostat. “Eurostat regional Yearbook. 2018 edition”. Luxembourg. 2018.
76. Eurostat. “Eurostat regional Yearbook. 2017 edition”. Luxembourg. 2017.
77. Eurostat. “Eurostat regional Yearbook. 2016 edition”. Luxembourg. 2016.

78. Eurostat. “Eurostat regional Yearbook. 2015 edition”. Luxembourg. 2015.
79. Eurostat. “Eurostat regional Yearbook. 2014 edition”. Luxembourg. 2014.
80. Eurostat. “Eurostat regional Yearbook. 2013 edition”. Luxembourg. 2013.
81. Eurostat. “Eurostat regional Yearbook. 2012 edition”. Luxembourg. 2012.
82. Eurostat. “Eurostat regional Yearbook. 2011 edition”. Luxembourg. 2011.
83. Eurostat. “Eurostat regional Yearbook. 2010 edition”. Luxembourg. 2010.
84. Eurostat. “Eurostat regional Yearbook. 2009 edition”. Luxembourg. 2009.
85. Eurostat. “Eurostat regional Yearbook. 2008 edition”. Luxembourg. 2008.
86. Eurostat. “Eurostat regional Yearbook. 2007 edition”. Luxembourg. 2007.
87. Gelashvili S. Abesadze N. Abesadze O. “Expected trends in trade relations between Georgia and European Union. Folia Pomeranae Universitatis Technologiae Stetinensis. Oeconomica. N.81. 2015.
88. Hamilton J.D. “Time Series Analysis”. Princeton University Press. Princeton. 1994.
89. Kobayashi K., Rashid K.A., Furuichi M., Anderson W.P. “Economic Integration and Regional Development. The ASEAN economic community. Routledge. London an NY. 2018.
90. Killeen J. “Understanding your Business Environment”, Publ. House “Results Consortium Ltd”. Dunmow. 2012;
91. Korres G.M. at all. “Regionalisation, Growth, and Economic Integration”. Physica-Verlag Heidelberg. New York. 2007.
92. Liviu C.A. “The Economic Integration: Concept and end of the Process”. Theoretical and Applied Economics. Volume XIX (2012), No.10(575). General Associacion of Economists from Romania (GAER). Bucharest. 2012
93. Lutkepohl H., Kratzig M. “Applied time series econometrics”. Cambridge University Press. Cambridge. 2004.
94. Lijphart A. “Comparative Politics and the Comparative Method”. The American Political Science Review, Vol.65, Issue 3 Sep., 1971.
95. Landman T. “Issues and Methods in Comparative Politics: An Introduction”. Taylor & Francis Group. NY. 2008.

96. Loda C. “Georgia, the European Union, and the Visa-Free Travel Regime: Between European Identity and Strategic Pragmatism”. Nationalities Papers, 47(1), 72-86. doi:10.1017/nps.2018.7. 2019.
97. Mihajlovic L.S. “Conditionality Economic Policy and Economic System”, (JPMNT) Journal of Process Management – New Technologies, International Vol. 3, No.1. Vranje. 2015.
98. Mills T.C. “Applied Time Series Analysis. A practical guide to modeling and forecasting”. Academic Press. London. 2019.
99. Montgomery D.C., Jennings C.L., “Kulahci M. Introduction to time series analysis and forecasting”. Wiley-interscience. A John Wiley & Sons, Inc., Publication. New Jersey. 2008.
100. Montgomery D.C., Jennings C.L., Kulahci M. “Introduction to time series analysis and forecasting”. Second edition. Wiley. A John Wiley & Sons, Inc., Publication. New Jersey. 2015.
101. Mamuladze G., Aroshidze P., Gechbaia B. “Export problems of nationally produced goods in the terms of deep and comprehensive free trade area with EU”. IOP Publishing. Journal- IOP Conference Series: Earth and Environmental Science 274 012142. doi:10.1088/1755-1315/274/1/012142. 2019
102. Mamuladze G., Aroshidze P., Serzhanov V. “Export problems of nationally produced goods in the terms of deep and comprehensive free trade area with EU: Georgia case study”. The owner of «BULLETIN of the Kyiv National University of Technologies and Design». №5 (115),. ISSN 2413-0117. 2017.
103. Nielsen L. “Classifications of Countries Based on Their Level of Development: How it is Done and How it Could be Done”, IMF Working Paper, WP/11/31. International Monetary Fund. Washington. 2011.
104. Paolella M.S. “Linear models and time-series analysis”. A John Wiley & Sons, Inc. New Jersey. 2019.
105. Palma W. “Time Series Analysis”. A John Wiley & Sons, Inc. New Jersey. 2016.
106. Pryor F.L. “Economic Systems of Developing Nations”, Comparative Economic Studies. No48. London. 2006.

107. Putkaradze R. “Historical Determinants of the Economic Relations of Georgia and the European Union”. Zeszyty Naukowe Uniwersytetu Przyrodniczo-Humanistycznego w Siedlcach. Administracja i Zarządzanie. No.107. 2015

108. Ragin C., Zaret D. “Theory and Method in Comparative Research: Two Strategies”, Social Forces, Vol.61, No.3 (Mar., 1983). Oxford University Press. Oxford. 1983.

109. Ragin C.C. “The Comparative Method”. University of California Press. Berkeley and Los Angeles. 1989.

110. Ruxandra A. Georgia: from neighbour to partner of the European Union. EIRP Proceedings, Vol 7. 2012.

111. Tsetskhladze M. “Economic Potential of Georgia and Perspectives of Economic Integration with Europe”, Lupcon Center for Business Researech - Finance and Economics, Conference, 2016 – in Frankfurt am Main, Germany August 1 until August 3 Vol. 7. 2016.

112. Tsintsadze A. Vashakmadze I. Tavadze I. Meloian-Phutkaradze L. Perspectives and opportunities of Georgian financial market integration into EU. Economic Science for Rural Development. 131. 2020.

113. Worthington I., Britton C. “The Business Environment”, Publ. House “Pearson Education Limited”. Edinburgh. 2006;

114. Yaffee R.A., McGee M. “Introduction to time series analysis and forecasting”. Academic Press, Inc. San Diego. 2000.